ყოველკვირეული ჟურნალი. გამოდის ოთხშაბათობით

ფასი: 1 ლარი

№50

11-17.XII 2013



გვ.10

ელისო ჩაფიძე: „ჩემი ქმრის ქალიშვილის მიმართ დედობრივი განცდა მაქვს“

დავით მიქაბერიძე: „ბიძინა ივანიშვილს ვეთანხმები, ჩემი ცოლი კარგ ხაჭაპურებს აცხობს“

„მე და ჩემს ქმარს ცხოვრების ახალი წესი გვაქვს, ის მოსკოვში ცხოვრობს, მე — შვეიცარიაში“

„ლამაზი ქალის ტიტულზე უარს ვამბობ!“



გვ.34

ნინო სურგულაძე: „კარგი გარეგნობისთვის ბედნიერებაა საჭირო“

ნინო ჟიჟილაშვილი, ნინო თოლორდავა, დათო გოგიჩაიშვილი — ვის ვიხილავთ და ვის არა განახლებულ „მაესტროზე“

# მაკა ასათიანი დიდი ცვლილებების წინ

„ძალიან ბევრ რამეს ვნანობ, მაგრამ უკან ყურება არ მიყვარს“ გვ.8



გვ.24

ნინი შერმადინმა ამერიკაში იპოვა მამაკაცი, რომელიც ოცნებებს აუხდენს



გვ.14

ვახო სანაია: „იმედიდან“ ჩემი წასვლის მიზეზი ანაზღაურება არ არის“



გვ.43

ასმათ ტყაბლაძეს საფრანგეთში ცოლობა სთხოვეს



გვ.30

მიშა ანდღულაძე: „რეალური მარეხ თოდუა მემუქრება, რომ გამწენავს“

ISSN 1987-9369

9 771987 936002

ტრაგედია, რომლის ერთ მხარეს შვილმკვდარი დედაა, მეორე მხარეს — ხუთშვილიანი მღვდელი გვ.20



გვ.35

**ნუკი კოშკელიშვილი: „მე და ანდრო ბარნოვს რომანი არ გვაქვს“**



გვ.31

**დიმა კობეშავიძეს მამისგან კრიტიკა აბრაზებს**

**ზურაბ კობეშავიძე:** „დათო ფოჩხიძეს ვუთხარი, დიმა ახლა შენი შვილია და თუ გინდა, მათრახი უტყი-მეთქი“



გვ.36

**სალომე ბაკურაძე: „სიყვარულის გარეშე არსებობა გამიჭირდება“**



გვ.23

**გიორგი გურგულია: „მესამე სართულიდან რომ ვვარდებოდი, ანგელოზის ფრთა დავინახე...“**



გვ.52

**ნინო შავგულიძე: „ქართველი მამაკაცების მიმართ განსაკუთრებულად ეჭვიანი ვარ“**



**კოტე ტულუში: „ყველა საშინელ მანევრს ღიმილით ვპასუხობ“**

გვ.38




# ნომერში


## ქალი ბომონდიდან

მაკა ასათიანი: „ძალიან ბევრ რამეს ვნანობ, მაგრამ უკან ყურება არ მიყვარს“ 8

## ცოლ-ქმრის კლუბი

ელისო ჩაფიძე: „ჩემი ქმრის ქალიშვილის მიმართ დედობრივი განცდა მაქვს“ 10

## გულახდილი საუბრები 12

## ტელესახე

ვახო სანაია: „იმედიდან“ ჩემი წასვლის მიზეზი ანაზღაურება არ არის“ 14

## პოლიტიკა

- დავით ზურაბიშვილი: „თვითმმართველობის გარეშე არ არსებობს დემოკრატია!“ 16
- ეკა ბესელია: „პატრიარქის აზრი თვითმმართველობის კანონპროექტზე ყურადსაღებია“ 17
- სოსო ცისკარიშვილი მოუსვენარ საქართველოს ელოდება 19

## გახმაურებული საქმე

- „მოძღვარი იმ ბიჭს გულში ჩაეხუტა, ეხვეწებოდა, არ მომიკვდე, ბიჭოო!“ — ტრაგედია, რომლის ერთ მხარეს შვილმკვდარი დედაა, მეორე მხარეს — ხუთშვილიანი მღვდელი 20
- „გიგი წერეთლის შვილს რომ ნელა ევლო, ჩემი შვილი დღეს ცოცხალი იქნებოდა“ — დაღუპული ბაიკერის მამა ექსპერტიზის დასკვნას კატეგორიულად არ ეთანხმება 21

## მეორედ დაბადება

გიორგი გურგულია: „მესამე სართულიდან რომ ვვარდებოდი, ანგელოზის ფრთა დავინახე...“ 23

## სამზარეულო

- ნინი შერმადინმა ამერიკაში იპოვა მამაკაცი, რომელიც ოცნებებს აუხდენს 24
- ქართველი მომღერლების გამო პრაღის კონკურსზე გრან პრი გააუქმეს? 25

## მოზარდები 28

## ბიჭები შოუდან

მიშა ანდღულაძე: „რეალური მარეხ თოდუა მემუქრება, რომ გამწეწავს“ 30

## მამა-შვილი

დიმა კობეშავიძეს მამისგან კრიტიკა აბრაზებს 31

## შეჭირვებულები

6 წლის მარიამს თვალისჩინის დასაბრუნებლად ჩვენი დახმარება სჭირდება 33

## სარკის წინ

ნინო სურგულაძე: „კარგი გარეგნობისთვის ბედნიერებაა საჭირო“ 34

## ეტაპი

- ნუკი კოშკელიშვილი: „მე და ანდრო ბარნოვს რომანი არ გვაქვს“ 35
- სალომე ბაკურაძე: „სიყვარულის გარეშე არსებობა გამიჭირდება“ 36

## ავტომოყვარული

კოტე ტუღუში: „ყველა საშინელ მანევრს ღიმილით ვპასუხობ“ 38

## ცხოვრება ჩემოდნებზე

ასმათ ტყაბლაძეს საფრანგეთში ცოლობა სთხოვეს 43

## მეგზური

ბერგენი — ჩრდილოეთის ზღაპარი 44



№ 50 (815)

11 — 17 დეკემბერი, 2013

ჟურნალი სტამბას დასაბეჭდად გადაეცა 9.12.2013, 21.00 სთ-ზე.



## ასეც ხდება

„ცოლს გავექეცი და ნამდვილი აფთრის გვერდით აღმოვჩნდი“ — როცა გვავიწყდება, რომ ერთ დროს მეუღლეს ვაღმერთებდით... 46

## მხოლოდ ქალებისთვის 48

## დედიკოების სკოლა 49

## ცოტ-ცოტა ყველაფერზე 50

## სახე სერიალიდან

ნინო შავგულიძე: „ქართველი მამაკაცების მიმართ განსაკუთრებულად ეჭვიანი ვარ“ 52

## სპორტის მიღმა 53

## შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო 54

## სახალისო 56

## იყავით ჯანმრთელი 58

## ადამიანის ინსტიტუტი 62


## რა მსხვერპლი გაიღო ლატავრა ფოჩიანმა სიყვარულისთვის

### „მართალია, ცეკვა შეწყვიტა, მაგრამ მისი დედოფლობა ამით არ დასრულებულა“



ცეკვის დედოფალი — ასე უწოდებდნენ სუხიშვილების ანსამბლის სოლისტ ლატავრა ფოჩიანს. მისი ცეკვის მანერა განუმეორებელი იყო და ასეთად დარჩა. ქართულ ცეკვაში მისი ტახტი ველარავინ დაიკავა. ის ხშირად გამხდარა ქართველი მწერლებისა თუ მხატვრების მუზა. ასე შეიქმნა ცნობილი ტილოები: „ცისფერი ლატავრა“, „ლატავრა დაირით“, „ტრიპტიქი შოთა რუსთაველი“... მას ეძღვნება იოსებ ნონეშვილის ლექსი „ვენის ტყეში ქართველები ცეკვავენ“, თენგიზ ურთმელიძის სტრიქონები: „დედოფლურ ეშხით ცეკვავს ლატავრა, ქართული გენი, ქართული სული, მსოფლიოს გზებზე კდემით ატარა...“.

ცეკვის დედოფალს მთელი ცხოვრება ერთგულად მოჰყვებოდა მისი საყვარელი მამაკაცი — მეუღლე, ცნობილი მეცნიერი, რადიოლოგი კიაზო ნადარეიშვილი. მათი სიყვარული და ყურადღება ერთი ბიჭისკენ იყო მიმართული, ეს იყო კიაზოს ვაჟი დავითი. ის თავის დედობილს „სარკესთან“ იხსენებს.

„ყოველდღიურობაშიც მიხვდებოდი, რა დიდებულ ქალთან გქონდა საქმე. ჩაის დასხმა და ადამიანისთვის ხელის გაწოდებაც კი ისეთი იცოდა, როგორიც დედოფალს ეკადრება“.


გვ.26



## სიცილის გვერდი 63

## უცხოური დეტექტივი

ჰამლეტს მკვლელი თამაშობდა (დასაწყისი) 64

## ქალური მოთხრობები

თინათინ ბონი. ოცნების ძიებაში (გაგრძელება) 66

## გზა ტაძრისაკენ

მამა მირიანი: „ჩემი მეუღლე მუსლიმანი იყო“ 71

## წმინდანები

ერთი კაცის კეთილშობილება შეიძლება მსოფლიო კეთილშობილების მიზეზი გახდეს — ხსენება ღირსისა მიქაელ მალეინისა 72

## კითხვები მოძღვარს

„სამყაროს არსებობას ადამიანის ამქვეყნად არსებობა აძლევს აზრს“ 73

## საბავშვო გვერდი 76

## კულინარიული შედევრები 77

## ხელსაქმე 78



■ ბიძინა ივანიშვილი



■ ბარაკ ობამა

# ბარაკ ობამა ბიძინა ივანიშვილს მადლობას უხდის

ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს წერილი გამოუგზავნა, სადაც აღნიშნულია, რომ მისთვის ივანიშვილთან თანამშრომლობა სასიხარულო იყო. ობამა ყურადღებას ამახვილებს იმ როლზე, რომელიც საქართველოს ყოფილმა პრემიერმა დემოკრატიის განვითარებასა და ამერიკა-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებაში შეასრულა.

„ძვირფასო ბატონო ბიძინა! ჩემთვის სასიხარულო იყო თქვენს ხელისუფლებასთან თანამშრომლობა თქვენი პრემიერმინისტრობის პერიოდში. ტოვებთ რა ამ თანამდებობას, მსურს, გამოვხატო ჩემი პატივისცემა იმ როლისადმი, რომელიც თქვენ შეასრულეთ საქართველოს დემოკრატიის მდგრად განვითარებასა და აშშ-ისა და საქართველოს შორის ურთიერთობების გაღრმავებაში. თქვენმა მიღწევებმა პრემიერმინისტრის რანგში, ასევე წარმატებულმა არჩევნებმა და ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემამ გააძლიერა საქართველო. მსურს, მადლობა მოგახსენოთ ავღანეთში ჩვენი ერთობლივი ძალისხმევისათვის საქართველოს მიერ გაწეული დახმარების გამო. ჩვენ ვაფასებთ საქართველოს შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვან წვლილსა და გაღებულ მსხვერპლს.

იმედის თვალით შევყურებ პრემიერმინისტრ ღარიბაშვილთან თანამშრომლობას. ჩვენ კვლავაც დავუჭერთ მხარს საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს და თქვენი ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

გისურვებთ ბედნიერებას და წარმატებებს თქვენს ყველა წამოწყებაში!

პატივისცემით, ბარაკ ობამა“.

# ზურაბ ჟვანიას 50-ე დაბადების დღეს კონფერენცია მიუძღვნეს



■ ზურაბ ჟვანია

საქართველოს პრეზიდენტმა, პრემიერმინისტრმა და პარლამენტის თავმჯდომარემ უმასპინძლეს ვილნიუსის სამიტის შემაჯამებელ კონფერენციას „აღმოსავლეთ პარტნიორობა — გზა ვილნიუსის სამიტის შემდეგ“. კონფერენცია ზურაბ ჟვანიას 50 წლის იუბილეს ეძღვნებოდა. ღონისძიებაში ევროკავშირის ელჩი საქართველოში ფილიპ დიმიტროვი და ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრები მონაწილეობდნენ.

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ვილნიუსის სამიტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და ყურადღება გაამახვილა ზურაბ ჟვანიას ისტორიულ წვლილზე საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე.

— დღეს ბევრი საინტერესო დამთხვევაა. რამდენიმე დღის წინ ვილნიუსში ისტორიული ნაბიჯი გადავდგით და მტკიცედ დავადექით ქვეყნის განვითარების გზას, მოხდა ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება. დღეს ასევე ზურაბ ჟვანიას, ჩემი მეგობრის და თანამებრძოლის, ვისთან ერთადაც მე შევეხე პოლიტიკას, დაბადებიდან 50 წლისთავია. ასეთმა თანხვედრამ განმაწყო იმისთვის, რომ მელაპარაკა არა მხოლოდ იმ პოლიტიკურ გზაზე, რომელიც გასავლელი გვაქვს, არამედ მესაუბრა ზურას შესახებ იმ პროცესებთან მიმართებაში, რომელიც საქართველოში 90-იანი წლების ბოლოს დაიწყო; იმ პროცესებზე, რომელიც მომავალში ერთად გვაქვს გასავლელი, — აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.



■ ზურაბ ჟვანიას ოჯახი: ძმა, ცოლი, შვილი და დედა

კონფერენციაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც გამოვიდა სიტყვით:

— ეს შეხვედრა ეძღვნება იმ ადამიანის დაბადებიდან 50-ე წლისთავს, რომელმაც სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენ ევროპასთან დაახლოების მნიშვნელოვანი ეტაპი დავასრულეთ და გავხდით ევროპის საბჭოს წევრები, წარმოთქვა ისტორიული სიტყვები: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი“. ბატონი ზურაბ ჟვანია — საქართველოს პრემიერმინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე, პოლიტიკური ლიდერი და უბრალოდ ერთი ძალიან გამორჩეული ადამიანი, რომლის სახელთანაა დაკავშირებული უახლესი ისტორიის უამრავი მნიშვნელოვანი მოვლენა. მე მივესალმები ზურას ოჯახის წევრებს. ჩვენ ამით კიდევ ერთხელ გვინდოდა, ხაზი გაგვესვა იმ მარტივი ჭეშმარიტებისთვის, რომელიც ზოგჯერ გვავიწყდება ხოლმე, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, ის, რაც ჩვენ და ჩვენს ქვეყანას აღელვებს, არის ისტორიული პროცესი, რომელშიც ბედი გვარგუნებს ხოლმე იმ ბედნიერებას, რომ ჩვენი აგურიც დავდოთ ამ საქმეში.

# ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმის გამოძიება მალე დასრულდება

ზურაბ ჟვანიას ძმის, გოგლა ჟვანიას შეფასებით, პრემიერმინისტრის გარდაცვალების საქმის გამოძიება კომპეტენტური ხალხის ხელშია და საქმე მალე დასრულდება.

— ზურას გარდაცვალების საქმის გამოძიება ინტენსიურად მიმდინარეობს. ბოლო პერიოდში ეს პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდა და მე ვიცი, რომ საქმე მალე დასრულდება და საზოგადოება ყველა კითხვაზე მიიღებს პასუხს. უფრო მეტის განცხადების უფლება დღეს არ მაქვს. ამ საქმის მიმართ ჩემი დამოკიდებულება საზოგადოებამ იცის და არ მინდა, ზედმეტი განცხადებები გავაკეთო, რომ ვიღაცამ ეს გამოძიებაზე ზეწოლად არ აღიქვას. გამოძიება ძალიან კომპეტენტური ხალხის ხელშია და შედეგიანად დასრულდება, — აღნიშნა გოგლა ჟვანიამ.

სარკე
ჟურნალი გამოდის 1998 წლის 23 იანვრიდან

დამფუძნებელი — შპს „სარკე“
მთავარი რედაქტორი — მედეა სანაია
კომერც. დირექტორი — ვაჟა შენგელია

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. სტატიაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო მასალა ინახება 14 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ სტატიის შესახებ პრეტენზიები არ მიიღება. „სარკეში“ გამოქვეყნებული ნაბეჭდი და ფოტომასალის გამოყენება რედაქციასთან შეუთანხმებლად აკრძალულია.

მთავარი რედაქტორის მოადგილეები — ირინე მჭედლიძე, ირმა გოგინაძე, ავთო ჩიტიძე.

პოლიტიკა — მანანა გვეია. საზოგადოება, სამართალი, შოუბიზნესი — ირინე მჭედლიძე, რუსუდან ადვაძე, ლანა კიკნაძე, სოფიო ბოჭორიძე, მანანა ნოღია, ავთო ჩიტიძე, ქეთი დინოშვილი, ეკა ლემონჯავა, თათია ბოჭორიძე. მედიცინა — აზა გაგოშიძე, ნათია ტოტიკაშვილი. ფოტო — ქეთი ყორიძლიშვილი. მხატვარი — ქეთი ხარატიშვილი.
კომპიუტერული მომსახურება: დაკაბადონება — ირმა გოგინაძე, ნონა კანდელაკი. ოპერატორი — მარინა ჟღენტი, მაია ფიფია. კორექტურა — ლანა გაბუნია, მაია ფიფია.
სარეკლამო სამსახური — მამუკა ბარბაქაძე; 599 975-699; e-mail: mgb7@mail.ru
მდივანი — იზა ბარბაქაძე.

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ.№50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 296-75-43. ფაქსი: 296-75-43.
ელ.ფოსტა: SARKE@MAIL.RU ვებგვერდი: SANA.GE



Cyan Magenta Yellow Black

## რა ურთიერთობა ჰქონდა გია ხუხაშვილს დავით ჩხატარაშვილთან?



■ გია ხუხაშვილი

ყოფილი მთავარი პროკურორის მოადგილეს, დავით ჩხატარაშვილს, აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა. წინასასამართლო სხდომა კი 27 იანვარს გაიმართება. პროცესს ყოფილი მთავარი პროკურორი მურთაზ ზოდელავაც ესწრებოდა, რომლის მოადგილეც იყო დავით ჩხატარაშვილი.

საქართველოს ყოფილი მთავარი პროკურორის, მურთაზ ზოდელავას პირველი მოადგილე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით 7 დეკემბერს დააკავეს. მას ბრალად ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება; დამამცირებელი, არაადამიანური მოპყრობის ორგანიზება; მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულების ფალსიფიკაცია და დანაშაულის პროვოკაციის ორგანიზება.

პროკურატურის ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ 2012 წლის სექტემბერში იუსტიციის ყოფილმა მინისტრმა, ზურაბ ადეიშვილმა და ყოფილი მთავარი პროკურორის ყოფილმა პირველმა მოადგილემ, დავით ჩხატარაშვილმა, შეიტყვეს, რომ სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში გადაღებული იყო პატიმრების ცემისა და წამების ფაქტები. ადეიშვილმა და ჩხატარაშვილმა სასჯელაღსრულების დაწესებულების სხვა მაღალჩინოსნებთან ერთად მიაყენეს რამდენიმე პატიმარს შეურაცხყოფა, რაც მიზნად ისახავდა საზოგადოებისთვის ცრუ ინფორმაციის მიწოდებას, თითქოსდა სახელმწიფოს საგამოძიებო სტრუქტურებმა დროულად გამოავლინეს პატიმრების ცემისა და შეურაცხყოფის ფაქტები.



■ დავით ჩხატარაშვილი

დავით ჩხატარაშვილს ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ხშირად ახსენებდნენ, როგორც გია ხუხაშვილისა და ლაშა ნაცვლიშვილის მარჯვენა ხელს, რომელიც წინა ხელისუფლების დროს სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა, მათ შორის მთავარ პროკურატურაში და სხვადასხვა ფინანსურ თუ ბიზნეს სქემების შესახებ ინფორმაციას ფლობდა. ბოლოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა ახსენა სამეგრელოში აღმოჩენილი ვიდეომასალის დროს.

გია ხუხაშვილი ადასტურებს, რომ დავით ჩხატარაშვილთან კომუნიკაცია ჰქონდა, მაგრამ მის მფარველობას უარყოფს.

— დავით ჩხატარაშვილი იყო დანაშაულებრივი სისტემის მონაწილე. მისი როლი ყველასთვის ცნობილი გახლდათ. მქონდა მასთან კომუნიკაცია, რათა გამეგო, თუ როგორ მუშაობდა სისტემა. ჩხატარაშვილი ამ სისტემის ერთ-ერთი მსახური გახლდათ. ეს იყო არჩევნების შემდეგ ერთი-ორი თვის განმავლობაში. რამდენიმე შეხვედრა მქონდა მასთან. ბევრი ვერაფერი ინფორმაცია მივიღე, მაგრამ საინტერესო რაღაცეები ითქვა მისი მხრიდან. ეს სამწუხარო რეალობაა. ის არ იყო სისტემის დამკვეთი, ის იყო სისტემის კარგი, ინტელექტუალური მსახური. მასთან სხვა არანაირი ურთიერთობა არ მქონია, — აცხადებს ხუხაშვილი. მას არც იმის შესახებ აქვს ინფორმაცია, თანამშრომლობდა თუ არა დავით ჩხატარაშვილი ყოფილი მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის მოადგილე ლაშა ნაცვლიშვილთან.

## ადვოკატთა ხმაურიანმა კრებამ თავმჯდომარედ ზაზა ხატიაშვილი აირჩია



■ ზაზა ხატიაშვილი

8 დეკემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის უმაღლესმა ორგანომ — საერთო კრებამ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ახალი თავმჯდომარე აირჩია — ზაზა ხატიაშვილი. ახალი თავმჯდომარე ასოციაციას 2017 წლამდე უხელმძღვანელებს.

ამ თანამდებობაზე კენჭს 5 კანდიდატი იყრიდა — ნუგზარ ბირკაია, მამუკა მდინარაძე, ლევან ჯოხაძე, ასოციაციის მოქმედი თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი და ვასილ ოსეფაშვილი.

არჩევნები საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა. ერთმანეთს ზაზა ხატიაშვილი და ნუგზარ ბირკაია დაუპირისპირდნენ. ბირკაიას პროტესტი გამოიწვია იმან, რომ ზაზა ხატიაშვილი საერთო კრებას უძღვებოდა, რაც, ბირკაიას აზრით, ასოციაციის თავმჯდომარეობის სხვა კანდიდატებს არათანაბარ მდგომარეობაში აყენებდა. დაპირისპირება იმით დასრულდა, რომ ბირკაიამ თავისი კანდიდატურა მოხსნა და ყრილობა დატოვა.

კენჭისყრის შედეგები „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელმა კახა კოჟორიძემ გამოაცხადა. ზაზა ხატიაშვილს მხარი 994-მა ადვოკატმა დაუჭირა. მამუკა მდინარაძემ 292 ხმა მიიღო, ლევან ჯოხაძემ — 10 ხმა, ვასილ ოსეფაშვილმა — 6 ხმა. ბათილად იქნა ცნობილი 87 ბიულეტენი. როგორც კოჟორიძემ განმარტა, სულ გაიცა 1.393 ბიულეტენი, საარჩევნო ყუთში კი 1.389 ბიულეტენი აღმოჩნდა, ანუ ოთხით ნაკლები.

— ყველაზე წარმატებული დღე იყო, არჩევნები გამჭვირვალედ და ღიად ჩავატარეთ. ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე კახა კოჟორიძე იყო. 15 კაცისგან დაკომპლექტებულ კომისიაში ჩემი კოალიციის წევრი მხოლოდ 4 ადამიანი იყო, დანარჩენები კი კოალიციის წევრები არ იყვნენ. 50 ადამიანი აკვირდებოდა არჩევნების მიმდინარეობას. გპირდებით, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ საზოგადოების, ადვოკატებისა და ჟურნალისტების უფლებები დაცული იყოს. იურისტობა კეთილშობილურ და წესიერ პროფესიად იქცევა, — განაცხადა ხატიაშვილმა.

რაც შეეხება ნუგზარ ბირკაიას პროტესტს, ხატიაშვილის თქმით, მისი მიზანი კრების ჩაშლა იყო.

— კანდიდატების მხრიდან წესდების არცოდნამ პრობლემები გამოიწვია. ნუგზარ ბირკაია იმისთვის მოვიდა, რომ წესდების საწინააღმდეგო ქმედება განეხორციელებინა და შემდეგ ჟურნალისტების ყურადღება მიექცია, თითქოს ასოციაციის თავმჯდომარემ ვინმე შეზღუდა. წესდებიდან გამომდინარე, მე მიმყავდა კრება. ეს სამართლიანი ფაქტია. ისეთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ თავმჯდომარე იჯდეს და კრება სხვას წაეყვანოს. ბირკაიას უბრალოდ კრების ჩაშლა უნდოდა, — განაცხადა ხატიაშვილმა.

## თვითმმართველობის რეფორმის საფრთხეები უშიშროების საბჭომ შეისწავლა

საქართველოს უშიშროების საბჭოს დებულებაში შესატან ცვლილებებს საქართველოს პარლამენტი, სავარაუდოდ, ამ დღეებში მიიღებს. როგორც უშიშროების საბჭოს მდივანმა ირინე იმერლიშვილმა განაცხადა, აღნიშნული დებულება უშიშროების საბჭოს ფუნქციებსა და მოვალეობებს განსაზღვრავს. ამასთან, იმერლიშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს გამოეხმაურა და იმედი გამოთქვა, რომ კანონპროექტი შეჯერდება.

— ეს არის აუცილებლად მისაღები კანონპროექტი, ვინაიდან აუცილებელია ქვეყნისთვის, რომ განვითარდეს. იმედი მაქვს, რომ კითხვის ნიშნები მოიხსნება და პარლამენტი უახლოეს სხდომაზე შეჯერებულ ვარიანტს მიიღებს. ცხადია, უშიშროების საბჭოს მიერ საფრთხეები შესასწავლია, მაგრამ ჯერ უშიშროების საბჭო ელოდება კანონში შესატან ცვლილებებს, რომლებიც მის ფუნქციებს და მოვალეობებს განსაზღვრავს. სავარაუდოდ, პარლამენტი ამ ცვლილებებს ამ კვირაში მიიღებს, — განაცხადა იმერლიშვილმა.


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.




Cyan Magenta Yellow Black

# ბალზამი პრომიოდი

100% ნატურალური პროდუქტი!



როცა თვით ბუნება კურნავს...

## ბალზამი „პრომიოდი“ – ბუნების მიერ ნაჩუქარი ჯანმრთელობა!




ლეგენდებით განთქმული ურალის მთები, რომელიც მრავალ ხალხურ გადმოცემაში უმღერიან, ცნობილია მიწისქვეშა განძეულით. ჩვენთვის ძნელად წარმოსადგენია ის საოცრებები, რომლებიც იბადება მთის უმდიდრეს ფლორასა და ფაუნაში. ურალის მთების დიდებული ბუნება წყაროა ამოუწურავი სასიცოცხლო ენერგიისა და ნამდვილი ჯანმრთელობისა.

იმისთვის, რომ გავიზიაროთ ეს სასიცოცხლო ენერგია, სრულიადაც არ არის საჭირო გავემგზავროთ ურალში, რადგან ამ მთების სამკურნალო ძალა იმალება ჯადოსნურ ბალზამ - „პრომიოდში“. ამ ბალზამის უნიკალურობა არის ის, რომ 100%-იანი ბუნებრივი პროდუქტია და თითოეული შემადგენელი კომპონენტი მრავალფუნქციურია.

## მის შემადგენლობაში შედის:

თაფლი, დინდგელი, კედარის ზეთი, გოგრის თესლის ზეთი, ქაცვის ზეთი, ფუტკრის ცვილი.

თაფლი-პროდუქტი, რომელიც შეიცავს 70 სხვადასხვა ნივთიერებას, ძირითადად გლუკოზას, ფრუქტოზასა და ვიტამინებს: B1, B2, B3, B, B6, H, K, C, E, A და სხვა. თაფლი ასევე შედგება მთელი რიგი მიკროელემენტებისაგან: მარგანეცი, სილიციუმი, ალუმინი, ქრომი, ბორი, სპილენძი, ბარიუმი, ნიკელი და სხვა.

პროპოლისი-ფუტკრის წებო. ის შეიცავს თითქმის ყველა ბიოლოგიურად მნიშვნელოვან ელემენტს, რომლებიც აუცილებელია ცოცხალი ორგანიზმის ნორმალური განვითარებისთვის. ამჟამად მასში აღმოჩენილია მცირე ოდენობით ვიტამინები:B1, B2, B3, A, E, PP

კედარის ზეთი-კედარის თხილისა და წიწვის ზეთი ვიტამინების: E, B1, F, C, A ცილების საწყობია.

ქაცვის ზეთი-შეიცავს ვიტამინების მთელ კომპლექსს: C, E, A, H, B1, B2, ასევე სტერინებს და სხვა სასარგებლო ნაერთებს.

გოგრის თესლის ზეთი-დიდი ოდენობით შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. აქვს დახვეწილი გემო და არომატი.

ფუტკრის ცვილი-შეიცავს ცხიმოვანი, თავისუფალი მჟავების, რთულ ეთერებს, მინერალურ ნივთიერებებს და ვიტამინ A-ს. იგი შეიცავს 300-ზე მეტ კომპონენტს.

ნებისმიერ მათგანს ხალხში „ურალის ოქროს ფესვს“ უწოდებენ. მხედველობაში აქვთ ამ კომპონენტების სამკურნალო თვისებათა უნიკალურობა. ხოლო ერთ ბალზამად შეკრული, ტექნოლოგიურად ურთულესი დამუშავების გავლის შემდეგ, ერთიანობაში იძლევა კუმულაციურ ეფექტს და წარმოადგენს უზარმაზარ ძალას, რომელიც გასაოცარ შედეგებს იძლევა და აღადგენს ჩვენს ორგანიზმს.

ხანმოკლე დროის მანძილზე „პრომიოდი“ დაეხმარა ათასობით ადამიანს დაავადებებთან ბრძოლაში.

## პრომიოდი ეფექტურია, როგორც გარეგანი ასევე შინაგანი გამოყენებისთვის, შემდგომი დაავადებებისას:

- **გულ-სისხლძარღვთა სისტემის:** სტენოკარდია, ათეროსკლეროზი, ინფარქტი, ცვალებადი წნევა, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ტრომბოფლებიტი, ინსულტი, შაქრიანი დიაბეტი, ჰიპერტონია, ჰიპოტონია,
- **საჭმლის მომნელებელი სისტემის**: გასტრიტი, 12-გოჯა ნაწლავის წყლული, ღვიძლის დავადებები (ცეროზი, ჰეპატიტი), ნაღვლის ბუშტის (ჰოლეცესტიტი), კუჭქვეშა ჯირკვლის (პანკრეატიტი), ნაწლავური (დისბაქტერიოზი, კოლიტი, სწორნაწლავზე ნახეთქები)და აგრეთვე ბუასილის დროს.
- **საყრდენ -მამოძრავებელი აპარატის:** ართრიტი, ართროზი, პოლიართრიტი, პოდაგრა, ოსტეოქონდროზი, კოკსართროზი და ა, შ. :
- **სუნთქვის ორგანოების:** ანგინა , ფარინგიტი, ლარინგიტი, რინიტი, ცვირის სისხლდენა, ჰაიმორიტი, ქრონიკული ხველა, ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა, პნევმონია, ტუპერკულიოზის კომპლექსური მკურნალობისას
- **მხედველობის:** გლაუკომა კონიუქტივიტი, მხედველობის ძარღვის ნევრიტი.
- **საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის:** ართრიტი, ართროზი, პოლიართროზი, ოსტეოქონდროზი, პადაგრა, კოკსართროზი, პოლიართრიტი და ა. შ.
- **ცენტრალური ნერვული სისტემის:** ინსულტის შემდგომ რეაბილიტაცია (დამბლა ხელების, ფეხების, ტანის)
- **ენდოკრინული სისტემის:** შაქრიანი დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები.
- **სისხლმბადი ორგანოების:** დაბალი ჰემოგლობინი
- **შარდ-სასქესო სისტემის:** თირკმლების დაავადებები(პიელონეფრიტი, ნეფრიტი), შარდის ბუშტის(ცისტიტი, ურეთრიტი), ქალის სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებები-საშვილოსნოს ყელის ეროზია, მიომა, მასტოპათია და სხვა, მამაკაცის სასქესო ორგანოების ანთებითი დაავადებები-დაქვეითებული პოტენცია, ადენომა, პროსტატა და სხვა.
- **პერიფერიული ნერვული** სისტემის: რადიკულიტი, ნევრიტი, ნევრალგია
- **კანის დაავადებები:** ფსორიაზი, ჰერპესი, დერმატიტი, ეკზემა, ნეიროდერმიტი, ტროფიკული წყლული.
- **იმუნიტეტის გასაძლიერებლად სეზონური ვირუსული დაავადებების დროს**:გრიპი, ანგინა, ყელ-ყურის დაავადებები



წლების განმავლობაში მაწუხებდა წნევები, დაღლილობა. მქონდა პირი სამშრალე. უკვე მივიღე 4 პრომიოდი და 2 ჟივიცა. წნევები დარეგულირდა, პირი აღარ მიშრება, მომემატა ენერგია. თავისუფლად ავდივარ კიბეზე. სახეზე მქონდა პატარა ხორცმეტი. მალამოს და ზეთს გარედანაც ვისვამდი, ხორცმეტი მოხმა და უკვე აღარ მაქვს! **კაკუშაძე როზა, 78 წლის, ქუთაისი**

8 წლის უკან გამიჩნდა კვანძები ფარისებრ ჯირკვალზე. ამის გამო მქონდა მუდმივი გულისრევის შეგრძნება, მიჭირდა საკვების გადაყლაპვა. ვმკურნალობდი მედიკამენტებით, მაგრამ უშედეგოდ, მათი ზომა არ პატარავდებოდა, პირიქით, იზრდებოდა. ექიმებმა მირჩიეს გამეკეთებინა ოპერაცია, მაგრამ გამბედაობა არ მყოფნიდა გადამედგა ეს ნაბიჯი. გამოხმაურებები ბალზამ პრომიოდის შესახებ ამოვიკითხე გაზეთში, რომელმაც დიდი იმედი ჩამისახა. ერთი მთლიანი კურსის ჩატარების შემდეგ, საგრძნობლად შემიმცირდა ტკივილი და გულისრევის შეგრძნება, შემდეგ გადავილე ექო. პასუხი იყო გასაოცარი კვანძები შემიმცირდა ზომებში. გავნარგძობ მკურნალობას უკეთესი შედეგების მისაღწევად. **იაკობაშვილი ვერა, თბილისი**




Cyan Magenta Yellow Black

ჯერ ჩამოვთვლი იმ დაავადებებს რაც მაწუხებდა: სახსრები, დიაბეტი. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ორივე თვალში გამიჩნდა შავი მოგრძო ლაქები, რომელიც მხედველობას მიშლიდა, ასევე მქონდა ცრემლიანობა. ბევრ ექიმთან ვიყავი, მაგრამ უშედეგოდ. კიბეებზე ასვლა-ჩასვლა მიჭირდა, ვინაიდან მუხლებიც მტკიოდა. როგორც კი გავიგე პრომიოდის შესახებ, გამიჩნდა იმედი, იქნებ რაღაც შვება მეგრძნო, ამიტომ შევიძინე. ცოტა ხნის შემდეგ შევატყვე, რომ ლაქები ნელ-ნელა გაქრა. გამომისწორდა მხედველობა, ვაგრძელებ მიღებას, რომ დანარჩენი პრობლემებიც მომიგვარდეს. **რაინდი სიმონია 71წლის, აბაშა**

ვარ მსოფლიო ომის და შრომის ვეტერანი. დაჯილდოებული ვარ წითელი დროშის ორდენით. ძალიან რთული პერიოდი მაქვს გამოვლილი, რამაც ჩემს ჯანმრთელობაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. მაწუხებდა **ჰიპერტონია, ოსტეოქონდროზი, ცვალებადი წნევა**. ჩემდა საბედნიეროდ, ჩემმა ნაცნობმა მომიყვა პრომიოდის შესახებ, გადავწყვიტე დამეწყო პრომიოდის მიღება. მას მერე უკვე ერთი წელი გავიდა. მაქვს შესანიშნავი შედეგები. დამირეგულრდა წნევა, გამიარა ტკვილმა სახსრებში და ზურგის არეში, სმენა და მხედველობა გამიუმჯობესდა. მომემატა ძალა და ენერგია. ულრმესი მადლობა მინდა გადაგიხადოთ ჩემი ასეთი დახმარებისთვის! **დოლიძე ლალი, გურია**

მოგესალმებით, პირველ რიგში მინდა დიდი მადლობა მოგიხადოთ, უნიკალური პრეპარატის შექმნისათვის. მქონდა დიდი პრობლემები, მაწუხებდა ადენომა, ხშირი შარდვა, რომელიც ძილის საშუალებასაც კი არ მაძლევდა, პრომიოდი შეიძინა ჩემთვის ჩემმა მეუღლემ. 12 დღის მიღების შემდეგ უკვე ვიგრძენი მისი სასიკეთო მოქმედება, ადენომა დამიცხრა, თავს უფრო კარგად და მხნედ ვგრძნობ. **ლომიძე როლანდი.დუშეთი**

რამდენიმე თვის უკან, დედეჩემი უძლური მოხუცებულისგან იქცა დამოუკიდებელ ადამიანად, თავისთავს თვითონ უვლის და აღარ ჩივის ჯანმრთელობაზე. დედაჩემი ლოგინად იყო ჩავარდნილი, ჰქონდა **მაღალი წნევა**, რომელიც იწვევდა **თავბრუსხვევას**, აუტანელ **ტკივილებს საფეთქლებში**, **ველარ ხედავდა**, **ტკივილები ჰქონდა სახსრებში და გულის არეში**. მისი გამოჯანმრთელების იმედი გადაწურული გვქონდა. სწორედ იმ დროს ჩვენმა ნაცნობმა გვირჩია გვეცადა პრომიოდი, რომელსაც თვითონაც მოიხმარდა. მინდა აღვნიშნო, რომ მალევე პრომიოდის მიღებიდან შეეტყო შედეგი, პირველ რიგში დაურეგულირდა წნევა, გაუარა თავის ტკივილმა და არითმიამ, უკეთესად ხედავს, მთელი ჩემი ოჯახი ძალიან გახარებულია. დიდ მადლობას ვუხდით თქვენს კომპანიას! **თოდუა თამარი. სვანეთი**

19 წლის განმავლობაში ვმუშაობდი ექთნად ჰოსპიტალში. ჯანმრთელობას არ ვუჩიოდი მაგრამ ორი თვის უკან ძალზე ცუდად გავხდი, უეცრად **დამეწყო თავბრუსხვევა, დავკარგე გონება**. გამოკვლევის შედეგად დამიდგინეს **შაქრიანი დიაბეტი**. მკურნალობა გადავწყვიტე დამეწყო პრომიოდით. შედეგით ძალიან კმაყოფილი ვარ. შაქრის მაჩვენებლმა სისხლში დამიწია. ვაგრძელებ მკურნალობას თქვენი ნატურალური პრეპარატით, პრომიოდით! **წიკლაური ანა. მცხეთა**

პირველად შევიძინე ბალზამი „პრომიოდი„ დედაჩემისთვის, I ჯგუფის ინვალიდია. აქვს საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დაავადება, ხრტილოვანი ქსოვილების გაცვეთა, აგრეთვე ართროზი, ართრიტი. ძლიერი ტკივილების გამო ველარ დადიოდა, ყველაფერი შეიცვალა ბალზამ „პრომიოდის„ მიღების შემდეგ. ახლა უკვე შეუძლია სიარული, პატარა ნაბიჯებით. ასეთი პროგრესი ნამდვილი სასწაულია მთელი ჩემი ოჯახისთვის. დედაჩემის შემხედვარე, მე და მთელმა ჩემმა ოჯახმა დავიწყეთ „პრომიოდის„ მიღება ჯანმრთელობის გასაძლიერებლად. **გოგოლაძე ქეთევანი. გურჯაანი**

2011 წლის სექტემბერში გადავიტანე **ინსულტი**, რის მერეც **წამერთვა ხელ–ფეხი**. მდგომარეობა ისეთი მძიმე მქონდა, რომ ინვალიდობა მომანიჭეს. სხვა და სხვა სანატორიუმებში ვმკურნალობდი მაგრამ შედეგი ვერ მივიღე. პრომიოდის შესახებ ჩემმა მეუღლემ გაზეთში წაიკითხა. გადაწყვიტა შეეძინა ჩემთვის. ჩავიტარე მთლიანი კურსი, რის მერე გამიარა ტკივილმა კუნთებში, თითებიც ამიმოძრავდა, მეტყველება გამომიკეთდა, ორგანიზმის საერთო მდგომარეობა გამიუმჯობესდა. ახლა კი დამოუკიდებლად შემიძლია მოვიდე და შევიძინო ბალზამი. დიდი მადლობა თქვენ, ჩემი გამოჯანმრთელებისთვის! **ბერიძე გიორგი. იმერეთი**



მქონდა უამრავი ჩივილი ჯამრთელობასთან დაკავშირებით. მაწუხებდა წნევები ცვალებადი ხასიათის, ვერ ვირეგულირებდი მედიკამენტებით. მაღალი მჟავიანობის გამო პრობლემები კუჭნაწლავში, შეკრულობა და შებერილობა. მიჭირდა საკვების მონელება. გარდაამისა ექიმებმა მითხრეს რომ გულის სარქველი მქონდა ჩაკეტილი.აღარ ვიცოდი უკვე რა მექნა.თქვენი უნიკალური პროდუქტების სესახებ შემთხვევით გავიგე გაზეთებიდან. გადავწყვიტე მიმელო ბალზამი „პრომიოდი„. მე-4 კოლოფის მიღების შემდეგ შედეგი მქონდა. დამირეგულირდა წნევა, მომიწესრიგდა პრობლემები კუჭ-ნაწლავში,გული აგარ მტკივა.დიდი მადლობა თქვენს კომპანიას! **მიზანიშვილი შოთა.50 წლის. ქ. გურჯაანი.**

# გაყიდვის განრიგი

**თბილისი**

**11-დან 16 დეკემბრამდე, 24-დან 30 დეკემბრამდე, 8-დან 13 იანვრამდე, 15.00-17.00სს**

ბახტრიონის 22.

ვარკეთილი-3,2-მ/რ, სუხიშვილის ქუჩის ბოლოს, სესილია თაყაიშვილის 1, 167 მარშრუტკის ბოლო გაჩერება, ავერსის აფთიაქის თავზე

**ყოველდღე, 10.00-20.00 სს**

**რუსთავი** შარტავას გამზ.15, ქალთა კონსულტაცია.

**16, 30 დეკემბერი და 13 იანვარი, 12.00-13.00 სს**

**ბათუმი** ზუბალაშვილების 18, სასტუმრო „თიკო“

**17 დეკემბერი და 14 იანვარი, 10.00-12.00 სს**

**ქუთაისი** კოსტავას 25. სასტუმრო „ლია“

**18 დეკემბერი და 15 იანვარი, 12.00-13.00 სს**

ბალზამი “პრომიოდი” ერთი შეფუთვის ფასი: 32.80 ლარი
ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის: 29.80 ლარი
ადგილზე მიტანით ქ. თბილიში (ფასდაკლება არ მოქმედებს)
მინიმალური შეკვეთა - 2 შეფუთვა
არ წარმოადგენს მედიკამენტს.
მიღებამდე გაიარეთ ექიმის კონსულტაცია.
საქონელი სერტიფიცირებულია

**ასევე გაყიდვაში გვაქვს ზეთი „ქივიცა“**

www.apifito.net

**გამოსცადე ბალზამის სამკურნალო თვისება, ბუნების საჩუქარი**

**(+995) 571 22 98 98**

# „ძალიან ბევრ რამეს ვნანობ, მაგრამ უკან ყურება არ მიყვარს“

## მაკა ასათიანი დიდი ცვლილებების წინ



წარსულში საქართველოში ყველაზე პოპულარული დიზაინერი, ამჟამად კი ბიზნესმენი მაკა ასათიანი ცხოვრების ძირითად დროს შვეიცარიაში ატარებს. მისი დილა ფინჯანი ყავით იწყება, მერე კი კომპიუტერთან ჯდება და საქართველოში ტელეკომპანია „მაესტროს“ მართვას იწყებს, რომლის ერთ-ერთი მფლობელი და მისივე არტდირექტორია. ახლო მომავალში ამ საქმესთან დაკავშირებით გრანდიოზულ ცვლილებებს იწყებს — თებერვლიდან „მაესტრო“ აბსოლუტურად განახლებული გადაცემებით და ფორმატით გავა ეთერში.

მაკას ამ გამოწვევაში გვერდით ქმარი, ბიზნესმენი კოტე გოგელია უდგას. ის ტელეკომპანიის მართვის საკითხებში ცოლს ბევრ რჩევას აძლევს.

თავის გეგმებზე, მიზნებსა და ოჯახურ ცხოვრებაზე მაკა ასათიანი პირველად „სარკესთან“ საუბრობს.

— **მაკა, როგორც შევიტყვეთ, ტელეკომპანიაში დიდი ცვლილებები იგეგმება, მის მუშაობაში თქვენც აქტიურად აპირებთ ჩაბმას. კონკრეტულად რა მიმართულებით იმუშავებთ არხზე, პირადად თქვენ რას გააკეთებთ?**

— ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა ჩემთვის და შევეცდები, ის მოლოდინი გავამართლო, რაც ჩემ მიმართ არსებობს. ჩემს მოვალეობაში შედის ყველაფერი, რაც ვიზუალს ეხება, მაგრამ ჟურნალისტებს არ ვაცმევ. მათ სამოსზე დიზაინერი თეონა თავართქილაძე ზრუნავს და მიმაჩნია, რომ წარმატებულად.

თებერვლიდან „მაესტრო“ ახალი სახით გავა. სტუდიები უცხოეთში მზადდება. ჩვენ არხის ვიზუალის შესახებ ჩვენს კონცეფციას ვადგენთ, შემდეგ კი ეს ყველაფერი რუსეთში დამზადდება. რა თქმა უნდა, ჯერჯერობით კონკრეტულ დეტალებს ვერ გავამხელთ. მოკლედ რომ ვთქვა, არხის გაფორმებაზე ვიზრუნებ. ამავდროულად აქტიურად ვიქნები ჩართული არაპოლიტიკური გადაცემების შინაარსის შერჩევაში.

— **რა თემებზე გამახვილდება ყურადღება გადაცემებში?**

— ჩემი და „მაესტროს“ მთელი კოლექტივის აზრით, ქართულ ტელესივრცეს სოციალური თემები აკლია. ჩვენ ამგვარ თემებს წინ წამოვწევთ. ხმამაღლა უნდა ვიმსჯელოთ პრობლემებზე, რომ, როგორც ქვეყანას, წინსვლა გვქონდეს.

— **აქამდე არხის მხოლოდ დამფუძნებელი იყავით, ახლა თქვენს ფუნქციებს არტდირექტორობაც დაემატა. ეს თქვენი იდეა იყო თუ შემოგთავაზეს?**

— დღესაც დამფუძნებლად ვრჩები, ოღონდ აქამდე „მაესტროს“ საქმიანობაში აქტიურად არ ვიყავი ჩართული. ამ შემთხვევაში გადავწყვიტეთ, რომ ის რესურსი გამოვიყენოთ, რაც გამაჩნია და შემიძლია არხს მოვახმარო, ამიტომ ჩემს ცოდნას ამ ტელეკომპანიაში ვდებ. დამფუძნებელთა კრებამ გადაწყვიტა, ჩემთვის ჩაებარებინათ ეს თანამდებობა. დავთანხმდი, მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიაში ვცხოვრობ და ამის გამო ხშირად მიწევს ჩამოსვლა. რადგან მანდეს ეს საკითხი, პასუხისმგებლობაც ავიღე ჩემს თავზე.

— **უცხოეთიდან საქართველოში ტელეკომპანიის მართვა და მუშაობა რთული არ არის?**

— ეს ნამდვილად ძალიან რთულია. ძირითადად „სკაიპით“ მიწევს ამ ყველაფრის კეთება. ნამდვილად ძალიან მიჭირს, მაგრამ ვცდილობ და როგორ გამომივა, თებერვლის ეთერი გვაჩვენებს.

— **თანამშრომლებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ, როგორ შეფად გთვლიან?**

— სანამ არტდირექტორი გავხდებოდი, მანამდეც ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა თანამშრომლებთან. ალბათ ეს უფრო მათ უნდა ჰკითხოთ. მე, პირადად, ყველასთან ძალიან კარგი დამოკიდებულება მაქვს და ვაფასებ. „მაესტრო“ ერთი ოჯახი და გუნდია, სწორედ ეს არის ის აუწონავი ძალა, რაც ჩვენს არხს აქვს.

— **ტელეკომპანიაში თქვენი კაბინეტის მოწყობაზეც ალბათ თავად იზრუნეთ.**

— კაბინეტი ჯერჯერობით საერთოდ არ მაქვს. ახლა იწყება დიდი მშენებლობა — „მაესტრომ“ ახალი ტერიტორია შეისყიდა, სადაც სტუდიები თუ საკონფერენციო დარბაზები განთავსდება. ამას რამდენიმე თვე დასჭირდება და მერე კაბინეტიც მექნება.

— **ისეთი ძვირი ბიზნესისთვის, როგორიც ტელევიზიაა, ფინანსების მოზიდვას რა წყაროებით ახდენთ?**

— ეს ყველაფერი „მაესტროს“ შემოსავლებით და დამფუძნებლების პირადი სახსრებით კეთდება.

— **საქართველოში არაფერი იმალება, მით უმეტეს, ჟურნალისტურ წრეში. უკვე ცნობილია, რომ „იმედიდან“ ვახო სანაია გადმოდის თქვენთან, ამბობენ, რომ მის კვალს „ღამის შოუს სტუდიაც“ მიჰყვება. კიდევ რომელ ცნობად ტელესახეებსა და გადაცემებს უმიზნებთ?**

— ვახო სანაიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჩვენთან იყოს და ერთად დიდი გეგმები გვაქვს. „ღამის შოუს სტუდიაც“ გადმოდის. დიდი პროექტი გვაქვს მათთან დაკავშირებით — დათო გოგიჩაიშვილი ჩვენთან ძალიან საინტერესო გეგმებით მოდის. ეს ახალი სიტყვა იქნება ქართულ ტელესივრცეში. „მაესტრო 24“-ს მთლიანად დათო გოგიჩაიშვილი ჩაიბარებს თავის გუნდთან ერთად და გასართობ გადაცემებს გააკეთებს. ეს მაყურებლისთვის დიდი სიახლე იქნება. დათო გოგიჩაიშვილი ჩვენთან ორივე არხზე აქტიურად ითანამშრომლებს „მაესტროზეც“ და „მაესტრო 24“-ზეც. ამ უკანასკნელს ალბათ სახელს შევუცვლით.

— **რა პრინციპით შეარჩიეთ სახეები, რომლებიც თქვენს არხზე გადმოდიან?**

— მხოლოდ პროფესიონალიზმი და მსგავსი ხედვა გახდა ამის მიზეზი. მიმაჩნია, რომ შეიკრიბა გუნდი, რომლის წევრებსაც სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით მსგავსი დამოკიდებულება და შეხედულებები გააჩნიათ.



■ კოტე და მაკა

**„ორივეს ცხოვრების ახალი წესი გვაქვს, რომელიც დრომ მოიტანა: ჩემი ქმარი ძირითადად მოსკოვში ცხოვრობს, მე — შვეიცარიაში, ამიტომ ძალიან ბევრს ვმოგზაურობთ. ხან ერთმანეთთან ჩავდივართ, ხან რომელიმე მესამე ქვეყანაში ვხვდებით“.**

„მაესტროს“ მთავარი დამსახურება წლების განმავლობაში არის ის, რომ ხალხის ნდობა მოიპოვა. როცა სიმართლის გაგება სურთ, ჩვენს არხს უყურებენ. ეს კი ჩვენი ყველაზე დიდი კოზირია. გვინდა, ეს უფრო ხილული, აშკარა გახდეს. აქედან გამომდინარე, ვგეგმავთ, რომ არხმა თავისი პირველადი კონცეფცია შეინარჩუნოს და უფრო მეტად აქცენტირებული გახადოს. გეტყვით იმასაც, რომ გვინდა, მაყურებელმა ჩვენთან ერთად გააკეთოს ტელევიზია.

— **ამაში რას გულისხმობთ?**

— ჩვენ ყოველთვის ვითვალისწინებთ მაყურებლის ინტერესს, მაგრამ ამიერიდან, პირდაპირი მნიშვნელობით, მაყურებელი ჩართული იქნება ტელეკომპანიის განვითარებაში. რა თქმა უნდა, ზუსტად ვერ დაგიკონკრეტებთ, ამის გაკეთებას რა ხერხებით ვაპირებთ, მაგრამ მაყურებელი ტელევიზიის ფუნქციონირებაში მიიღებს მონაწილეობას. მსგავსი პრეცედენტი ქართულ ტელესივრცეში არ ყოფილა და დიდი იმედი გვაქვს, რომ ეს გაამართლებს.

— **არხზე პოლიტიკური ტოქ შოუები დარჩება?**

— უფრო სოციალურ-პოლიტიკური გადაცემები გვექნება. საინფორმაციო გამოშვებებიც ახალი ფორმატით გავა. ჩვენთან „ბიბისი“-ს წარმომადგენლები ჩამოდიან, რომლებიც ჟურნალისტებს ტრენინგებს ჩაუტარებენ და ასევე მონაწილეობას მიიღებენ გადაცემების დაგეგმვაში. დიდი იმედი გვაქვს, რომ მათი გამოცდილება ძალიან დაგვეხმარება.

დიდი ალბათობით დაიხურება გადაცემები „არგუმენტები“ და „პოლიტმეტრი“. ეთერში დარჩება „სუბიექტური აზრი“, ოღონდ მისი ფორმატიც დაიხვეწება. გადაცემების დახურვა არ ნიშნავს იმას, რომ ნინო თოლორდავა და ნინო ჟიჟილაშვილი ჩვენთან აღარ ითანამშრომლებენ. არავინ წავა. ისინი ჩვენს არხზე აქტიურად გამოჩნდებიან, ოღონდ სხვა ფორმით, მაგრამ არავის აქვს გარანტიები — როგორც იმუშავებენ, რა რეიტინგსაც დადებენ, იმის მიხედვით გაგრძელდება ყველასთან თანამშრომლობა.

**— ისეთ პოლიტიზირებულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, პოლიტიკური გადაცემების გარეშე ტელევიზია ძნელი წარმოსადგენია. სოციალურ და გასართობ თემებზე გადასვლით რეიტინგს საფრთხის ქვეშ არ დააყენებთ?**

— ჩვენი არხი ადამიანებს გასართობი გადაცემებით პრობლემებზე თვალს არ დაახუჭვინებს, პირიქით ვაპირებთ. გავაკეთებთ არა პოლიტიკურ გადაცემებს, სადაც პოლიტიკოსები ფუჭად იდავებენ, არამედ, პირველ რიგში, პრობლემას წამოვწევთ. გვინდა, ხალხის რეალურ პრობლემებზე მაქსიმალური აქცენტი გავაკეთოთ.

როგორც უკვე აღვნიშნე, „ბიბისი“-დან ჩამოდის გუნდი. ისინი ფორმატის დახვეწაში დაგვეხმარებიან. სწორედ მათი რჩევა იყო გადაცემების გაკეთება არა — პოლიტიკოსების, არამედ ხალხისთვის.

**— თურქული სერიალების ჩვენება გაგრძელდება?**

— თურქული სერიალები აუცილებლად იქნება ჩვენს არხზე, რადგან ძალიან პოპულარულია. ამ სერიალებზე არჩევანი იმიტომ შევაჩერეთ, რომ მაღალი რეიტინგი მოგვიტანეს, მაგრამ არამხოლოდ ამით

**„დაიხურება გადაცემები „არგუმენტები“ და „პოლიტმეტრი“. დარჩება „სუბიექტური აზრი“, ოღონდ ფორმატი დაიხვეწება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნინო თოლორდავა და ნინო ჟიჟილაშვილი ჩვენთან აღარ ითანამშრომლებენ, მაგრამ არავის აქვს გარანტიები — როგორც იმუშავებენ, რა რეიტინგსაც დადებენ, იმის მიხედვით გაგრძელდება თანამშრომლობა“.**

ვაპირებთ რეიტინგის შენარჩუნებას. გვინდა, ახალი სეგმენტი შევმატოთ „მაესტროს“ მაყურებლებს — ახალგაზრდები და მამაკაცები. ამას კი შემდეგნაირად ვგეგმავთ: ვიყიდეთ ნბა-ის (ამერიკული საკალათბურთო ჩემპიონატი) ლიცენზირებული ტრანსლაცია, რომელიც 15 დეკემბრიდან გავა ეთერში. მას ძალიან კარგი კომენტატორები და წამყვანები ეყოლება, მათ შორის გიორგი ზურაბიშვილი — პოლიტიკოს დავით ზურაბიშვილის შვილი. ის ძალიან ინდივიდუალურია, კარგად ფლობს ამ სფეროს და ვფიქრობ, რომ ამომავალი ვარსკვლავია.



■ მაკა შვილებთან ერთად

**— ტელევიზია და მოდა — ამ ორი სფეროდან თქვენთვის რომელი უფრო საინტერესოა?**

— ჩემთვის, როგორც პროფესიით მხატვრისთვის, დიდი განსხვავება არ არის, რადგან ორივე ერთნაირ ძალისხმევას ითხოვს. ტელევიზია ძალიან საინტერესო სფეროა და გამიხარდა, როცა ბორდმა გადაწყვიტა, ეს თანამდებობა ჩემთვის მოენდო. ვფიქრობ, რომ კარგ შედეგს დავდებ.

**— შესაძლოა ტელესახედაც გიხილოთ?**

— ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ უახლოეს გეგმებში ეს არ შედის.

**— წლებია საქართველოში ყველაზე ლამაზ ქალად ხართ აღიარებული. როგორ აღიქვამთ ამ ტიტულს?**

— ვერ გიპასუხებთ ამ კითხვაზე, ძალიან მერიდება. მსგავსი შეკითხვა ადრეც დაუსვამთ და ვერასდროს ვპასუხობ, რადგან არ მაქვს შეგრძნება, რომ ყველაზე ლამაზი ქალი ვარ. ამ ტიტულზე უარს ვამბობ!

**— როგორია თქვენი ერთი დღე შვეიცარიაში?**

— დილით ვდგები, ყავას ვსვამ, უმცროს შვილს ვისტუმრებ სკოლაში, დისშვილს, მარიანას — ინსტიტუტში, მე კი „სკაიპთან“ ვჯდები. ბაია გადაბაძე, „მაესტროს“ გენერალური დირექტორი ხაზზე მხვდება და ვიწყებთ მუშაობას. დღის განმავლობაში სხვადასხვა საქმეს ვხელმძღვანელობ. ამავდროულად აქტიურად დავდივარ იოგაზე.

**— სამი ვაჟის დედა ხართ. გვიამბეთ შვილებზე, მათ საქმიანობაზე, გატაცებებზე.**

— ისინი იმ ასაკში არიან, რომ უკვე გვერდით მიდგანან. საამაყო, დიდი ბიჭები არიან და ჩემს პრობლემებსა თუ სიხარულს იზიარებენ. კახი 19 წლის არის და ჟენევაში სწავლობს. ლევანი 17 წლის არის, ფეხბურთს თამაშობს ჰოლანდიის ერთ-ერთ გუნდში და იქვე სწავლობს (კახი და ლევან ჟორდანიები — შვილები პირველი ქორწინებიდან. ავტ.). უმცროსი, კონსტანტინე კი 9 წლისაა, სკოლაში დადის. ის ჯერ კიდევ პატარაა და მეტი ყურადღება სჭირდება.

**— უფროსი ვაჟი უკვე იმ ასაკშია, რომ შესაძლოა მალე დედამთილიც გახდეთ. ემზადებით ამ სტატუსისთვის?**

— ამაზე ჯერ ნამდვილად არ ვფიქრობ, მაგრამ გამიხარდება, რადგან დიდი ოჯახის მოყვარული ვარ.

**— თქვენი ქმარი, ბიზნესმენი კოტე გოგელია, თქვენს ტელესაქმიანობაში რაიმე ფორმით მონაწილეობს?**

— ჩემი მეუღლე მთლიანად ჩართულია ჩემს საქმიანობაში და ასევე მეც — მის საქმიანობაში. კოტე „მაესტროს“ ძალიან ეხმარება ფინანსურ თუ მართვის საკითხში და ბაიას ხშირად აძლევს რჩევებს. ორივეს ცხოვრების ახალი წესი გვაქვს, რომელიც დრომ მოიტანა: ჩემი ქმარი ძირითადად მოსკოვში ცხოვრობს, მე — შვეიცარიაში. ამიტომ ძალიან ბევრს ვმოგზაურობთ. ხან ერთმანეთთან ჩავდივართ, ხან რომელიმე მესამე ქვეყანაში ვხვდებით. ცხოვრების რიტმი ძალიან აჩქარებულია და ჩვენც სხვა გზა არ გვაქვს, ფეხდაფეხ უნდა მივყვეთ.

**— 10-15 წლის წინ ქართული შოუბიზნესის წამყვანი სახე და თბილისური ბომონდური ცხოვრების მამოძრავებელი ძალა იყავით. არ გენატრებათ ის მხიარული დრო?**

— არა, ჩემთვის ეს წარსულია და საინტერესო აღარ არის. ჩემი ცხოვრება გაგრძელდა, პროექტები თუ გეგმები შეიცვალა, ყველაფერი წინ მიდის და მეც მივყვები.

**— რა არის თქვენთვის დასვენების საუკეთესო საშუალება?**

— შვილებთან ყოფნა. როცა მთელი ოჯახი ვიკრიბებით, მნიშვნელობა არ

**„ღამის შოუს სტუდიაც“ გადმოდის. დიდი პროექტი გვაქვს მათთან დაკავშირებით — დათო გოგიჩაიშვილი ჩვენთან ძალიან საინტერესო გეგმებით მოდის. ეს ახალი სიტყვა იქნება ქართულ ტელესივრცეში. „მაესტრო 24“-ს მთლიანად დათო გოგიჩაიშვილი ჩაიბარებს თავის გუნდთან ერთად და გასართობ გადაცემებს გააკეთებს“.**

აქვს, ეს რომელ ქვეყანაში იქნება, ყველაზე კარგად და მშვიდად მაშინ ვგრძნობ თავს.

**— ერთი პერიოდი მცენარეების მოვლით, მებაღეობით იყავით გატაცებული. შვეიცარიაში პატარა ბოსტანიც გქონდათ გაკეთებული საკუთარი ხელით. რა ბედი ეწია იმ ბოსტანს?**

— ბოსტანი, რომელსაც ჩემი ხელით ვუვლიდი, სამწუხაროდ, ველარ შევინარჩუნე. მაშინ 2 წლის განმავლობაში მხოლოდ ბავშვებზე ვიყავი გადართული, ცხოვრების გარდამავალი ეტაპი მქონდა, ძირითად დროს სახლში ვატარებდი და ბოსტანიც გავაკეთე. ახლა ველარ ვახერხებ მის მოვლას, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მინდა. ეს საქმე ჩემთვის სასიამოვნო იყო.

**— წარმატებულ ადამიანად ითვლებით, მაგრამ ბევრი სიძნელე და პრობლემაც გაქვთ გადალახული. არის რაიმე, რასაც ნანობთ?**

— კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, ისე კი ძალიან ბევრ რამეს ვნანობ, მაგრამ ცხოვრება წინ მიდის და არც მე მიყვარს უკან ყურება, სულ წინ და წინ მივდივარ.

✓ **მანანა ნოდია**

ნათელმხილველი
სელინა
მკითხაობს ტაროს კარტზე და ყავაზე
აკეთებს თილისმებს და ხსნის ჯადოს
230-68-19
599-37-59-58



Cyan Magenta Yellow Black

# ელისო ჩაფიძე: „ჩემი ქმრის ქალიშვილის მიმართ დედობრივი განცდა მაქვს“

## დავით მიქაბერიძე: „ბიძინა ივანიშვილს ვეთანხმები, ჩემი ცოლი კარგ ხაჭაპურებს აცხობს“



ოთხი წლის წინ ჟურნალისტ ელისო ჩაფიძის ცხოვრებაში მკვეთრი ცვლილებების დრო დადგა. ჯერ საქმიანობის სფერო შეიცვალა — ჟურნალისტიკიდან პოლიტიკაში წავიდა. შემდეგ კი ამ ნაბიჯს შემთხვევით თუ მიზეზ-შედეგობრივად მოჰყვა ცვლილება პირად ცხოვრებაშიც. საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, ტყიბულის მაჟორიტარი ელისო ჩაფიძე ბიზნესმენ დავით მიქაბერიძეს გაჰყვა ცოლად. მათ ქორწილს თითქმის მთელი ხელისუფლება ესწრებოდა, მათ შორის — მაშინდელი პრემიერმინისტრი ბიძინა ივანიშვილიც. სწორედ მან წარუდგინა წინასაარჩევნოდ საზოგადოებას ჯერ კიდევ გასათხოვარი ელისო სასურველ საპატარძლოდ. როგორც ჩანს, ეს წარდგენა ყველაზე კარგად და სწორად დავითმა გაიგო.

მამუკა ჩარკვიანის კონცერტზე დაწყებული ნაცნობობა ძალიან სწრაფად განვითარდა. წყვილმა დაქორწინება მალე, სულ რამდენიმეთვიანი ურთიერთობის შემდეგ გადაწყვიტა.

მათი დაქორწინების ამბავს მითქმამოთქმა და განხილვა მოჰყვა. ზოგიერთი ელისოს არჩევანს უწუნდება კიდეც, ამბობდნენ, რომ დავითი ნასამართლევია, თანაც ეს მისთვის პირველი ქორწინება არ არის. ახალდაქორწინებულებისთვის კი ეს კომენტარები არაფერს ნიშნავს. მათ ერთმანეთი იპოვეს და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია. „სარკეს“ ისინი ერთად ესაუბრნენ. დავითისთვის ეს პირველი ინტერვიუა, რადგან აქამდე ყველა ჟურნალისტს უარით ისტუმრებდა. შეხვედრაზე წყვილი დავითის 15 წლის გოგონასთან, თეკლასთან ერთად მოვიდა.

**დავითი: „როცა ჩვენი ურთიერთობა დაიწყო, მივხვდი, რომ ელისოს გარეშე ჩემს ცხოვრებას აზრი არ ჰქონდა. ჩვენი ნავსაყუდელი უძვირფასესი ადგილი, საპატრიარქოს კაფე იყო, სადაც ერთმანეთს აზრებს ვუზიარებდით".**

**— მოდით, ინტერვიუ თქვენი ქორწილის თემით დავიწყოთ. ამაზე დიდხანს ლაპარაკობდნენ, რადგან ქორწილში თითქმის მთელი ხელისუფლება გყავდათ მიპატიჟებული.**

ელისო: ძალიან ლამაზი დღე გამოგვივიდა, ჯვრისწერა გვქონდა. მოკრძალებულ წრეში, დაახლოებით 50-70 ადამიანის მოპატიჟება გვქონდა დაგეგმილი, მაგრამ კურიოზული ფაქტის წინაშე დავდექით — ორჯერ მეტი სტუმარი მოვიდა. დათო, როგორც სტუმართმოყვარე ადამიანი, მეუბნებოდა, რომ ეს ძალიან დიდი ბედნიერება იყო, ესე იგი ბევრს ვუყვარვართ. ეს დღე იმანაც გაალამაზა, რომ საინტერესო და კარგი ადამიანები გვეწვივნენ. ზოგმა იმღერა, ზოგმა იცეკვა და ასე შემდეგ.

**— ქალბატონო ელისო, თქვენ, შეიძლება ითქვას, ბიძინა ივანიშვილმა დაგილოცათ გზა გათხოვებისკენ. თქვენს ქორწილში ის და მისი ცოლიც იყვნენ. მასთან ხშირი კონტაქტი გაქვთ?**

ელისო: ბოლოს ერთმანეთს პარტიის ყრილობაზე შევხვდით. ბატონი ბიძინა ჩვენი ოჯახის ერთ-ერთი ძალიან დიდი გულშემატკივარი არის და იქნება. ყველა შეხვედრაზე მეკითხება, ოჯახში თავს როგორ გრძნობ, ხომ ბედნიერი ხარო.

**— ქორწილის, ეიფორიის პერიოდმა ჩაიარა და დაიწყო ყოველდღიური ცხოვრება. ახლა როგორია თქვენი ემოციები?**

**ელისო: „ბატონი ბიძინა ჩვენი ოჯახის ძალიან დიდი გულშემატკივარი არის და იქნება. ყველა შეხვედრაზე მეკითხება, ოჯახში თავს როგორ გრძნობ, ხომ ბედნიერი ხარო".**

ელისო: სიმართლე რომ გითხრათ, იმაზე უკეთესია, ვიდრე წარმომედგინა. გარკვეულწილად, ასეთი ნაბიჯის გადადგმა, როცა ასაკში ხარ (ელისო 38 წლისაა, დავითი 42-ის. ავტ.), თან ორივე ჩამოყალიბებული პიროვნებაა, ბუნებრივია, ძალიან რთულია. ორივე მხრიდან გადაწყვეტილება ემოციის ნიადაგზე იყო მიღებული, ერთმანეთზე გათვლები არ გვქონია. ერთმანეთის მიმართ დიდი სიმპათია გვქონდა, აღფრთოვანებულები ვიყავით. გარკვეული პერიოდის შემდეგ გავაცნობიერე, რომ არანაირ ბრძოლაში მარტო აღარ ვიყავი, გვერდით ძალიან სანდო, ერთგული და ჭკვიანი პიროვნება მედგა. ეს შეგრძნება კი ადამიანს ძალიან დიდ სიძლიერეს მატებს. დავრწმუნდი, რომ ქალს ნებისმიერ სფეროში დიდ ძალას აძლევს, როცა გვერდით გონიერი და კეთილშობილი ადამიანი ჰყავს. დათო სწორედ ასეთი პიროვნებაა.

**— ბატონო დავით, რითი მოგხიბლათ პოლიტიკოსმა ქალმა?**

დავითი: ელისო მამუკა ჩარკვიანის კონცერტზე გავიცანი, რომელიც ქუთაისში, ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრში ჩატარდა და პირველივე შეხვედრაზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება დატოვა, სურვილი გამიჩნდა, ჩვენი ურთიერთობა გაგრძელებულიყო. მან თავისი განათლებით, გაწონასწორებულობით, ადამიანურობით მომხიბლა. ქართველ ქალს და პოლიტიკოსს რა თვისებებიც უნდა ჰქონდეს, ელისოს თითქმის ყველა აქვს. ალბათ უფლის ნებაც იყო, რომ ყველაფერი ასე დაგვირგვინდა და დღევანდელ დღემდე მოვედით.

ელისო: 38 წლის განმავლობაში დათოსნაირი ადამიანი არ შემხვედრია და როცა შემხვდა, სიმპათია მყისიერად გამიჩნდა. პირველ რიგში, დათომ იმით მომხიბლა, რომ ის კაცია, ამ სიტყვის სრული გაგებით. ყველა კაცი კაცი ნამდვილად არ არის. ყველა თვისება, რაც, ჩემი აზრით, ქართველ მამაკაცს უნდა ახასიათებდეს, დათოშია თავმოყრილი. ძალიან ერთგული, მოაზროვნე ადამიანია. ნებისმიერ საკითხზე, რაზეც უნდა ესაუბრო, თავისი შეხედულება აქვს. ყველა იმ ადამიანისგან განსხვავდება, ვისთანაც დღემდე მქონია ურთიერთობა. მას თავისი ცხოვრებისეული ფილოსოფია აქვს, რომელიც სწორედ ქართული ტრადიციებიდან და ასევე პირადი ხედვიდან გამომდინარეობს. 21-ე საუკუნის მასობრივი ცნობიერების მატარებელი ადამიანი არ არის. ასეთებთან ურთიერთობა მარტივი არ გახლავთ, მაგრამ საინტერესოა, გამდიდრებს. დათოსნაირი მამაკაცის გვერდით მიხვდები, რომ ქალი ხარ, პატივისცემის გრძნობა, აზრის კითხვის სურვილი გიჩნდება.

ჩემთვის დათოს ცხოვრებისეული გზა ძალიან საინტერესოა. მთელ მის განვლილ ცხოვრებაში ადამიანის მიმართ ღალატს ვერ აღმოაჩენთ. ძალიან თავდადებულია სამშობლოსთვის, ოჯახისთვის, ჩემთვის, თავისი შვილისთვის. საერთო ჯამში, ეს ყველაფერი ჩემთვის ძალიან ღირებულია.

**— ბატონო დავით, საქართველოში პოლიტიკოსი ქალები ბევრნი არ არიან, ერთ-ერთი კი თქვენი ცოლი გახდა. პოლიტიკოსი ქალის გვერდით ცხოვრებას როგორ შეაფასებთ?**

დავითი: ძალიან საინტერესოა, რადგან თავად ელისოა საინტერესო ადამიანი. მიუხედავად იმისა, რომ მთელი ცხოვრება აპოლიტიკური ვიყავი, პოლიტიკოსის მეუღლეობა საინტერესო აღმოჩნდა. შეძლებისდაგვარად, მას გვერდში ვუდგავარ. პოლიტიკურ საკითხებში ჩარევის სურვილი ნამდვილად არ მაქვს, ამის უფლებას საკუთარ თავს არც ვაძლევ, რადგან ამაში არანაირი გამოცდილება არ მაქვს. კითხვა-პასუხის რეჟიმში კი ოჯახში პოლიტიკურ თემებზე ვსაუბრობთ. ელისოს დამსახურებაა, რომ გარკვეულ პოლიტიკურ საკითხებში გაცნობიერებული ვარ.

**— თქვენი არჩევანით თუ ვიმსჯელებთ, ძლიერი, მებრძოლი ხასიათის ქალები მოგწონთ.**

დავითი: რა თქმა უნდა. მთელი ჩემი ცხოვრება ერთგულებას, ქვეყნის სიყვარულს, ტრადიციებს, ღირსებას მივუძღვენი. ელისოში ქართული ტრადიციები, ღირებულებები და პოლიტიკოსის თვისებები კარგადაა შერწყმული. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ცხოვრება ისეთ ადამიანს დავუკავშირე, რომელმაც თავი გადადო განათლებისთვის, პოლიტიკისთვის, ქვეყნის აღმშენებლობაში თავისი წვლილის შესატანად ყველაფერი გააკეთა.

**— პოლიტიკოსობამდე ის ჟურნალისტი იყო. ამ კუთხით იცოდით მის შესახებ?**

დავითი: როცა მან ჟურნალისტიკაში სერიოზული ნაბიჯები გადადგა, ჩემში გარკვეული დაინტერესება გამოიწვია, რადგან მანდილოსანი იყო და ბევრს იბრძოდა. არ მინდა, ზედმეტ რეკლამაში ჩამეთვალოს, მაგრამ მან ჟურნალისტიკაში თავისი სიტყვა თქვა. როცა ჩვენი ურთიერთობა დაიწყო, მივხვდი, რომ ელისოს გარეშე ჩემს ცხოვრებას აზრი არ ჰქონდა. ჩვენი ნავსაყუდელი უძვირფასესი ადგილი, საპატრიარქოს კაფე იყო, სადაც ერთმანეთს ვხვდებოდით, ერთმანეთს აზრებს ვუზიარებდით. ჩვენს ურთიერთობაში ძალიან დიდი წვლილი ჩარკვიანების ოჯახმა, ქალბატონმა თაკო ჩარკვიანმა, ბატონმა ჯანსულმა, მამუკამ, ჯონი გიგანმა შეიტანეს. ისინი ჩემი ოჯახის წევრები არიან, მათგანაც ელისოს მიმართ მხოლოდ დადებითი შეფასებები მოდიოდა. გარდა ჩემი შეხედულებებისა, მათი შეფასებებიც ძალიან ძვირფასი იყო ჩემთვის. ამიტომ ამ ყველაფერმა ერთად ჩემს გადაწყვეტილებაზეიმოქმედა.



Cyan Magenta Yellow Black

**— ბატონო დავით, წინა ხელისუფლების დროს პატიმრობაში იმყოფებოდით. ეს ფაქტი რამდენჯერმე გაგიხსენეს და უსიამოვნო კონტექსტში წამოგაძახეს თქვენ და ელისოს. რის გამო იხდიდით სასჯელს?**

ელისო: „მორკინალთან“ დაკავშირებული ისტორიაა, მოგეხსენებათ, მაშინ ბიზნესმენებს ატერორებდნენ. დათო პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის მუხლით დააპატიმრეს, თითქოს 6 თუ 8 სპეცრაზმელს გაუწია წინააღმდეგობა და სცემა. თუკი ეს მართლაც ასე იყო, მაშინ ძალიან მეამაყება. ეს არალიარებული საქმე იყო. ციხეში პატიმრობისას არ გატყდა. მას ამ თემაზე საუბარი არ უყვარს. ნელსონ მანდელასავით 25 წელი არ მჯდარა ციხეში, მაგრამ თავისი პრინციპების გამო საპატიმროში 3 წელი გაატარა. სხვათა შორის, როცა ჩვენი ბრძოლის შესახებ შეიტყო, მას „ქართული ოცნების“ გამარჯვებაში არანაკლები წვლილი აქვს შეტანილი იმ პოზიციიდან, სადაც იყო, ვიდრე ნებისმიერ ჩვენგანს.

დავითი: ელისოს მეგობრებს — ეკა ბესელიას, მანანა კობახიძეს, თეა წულუკიანს ძალიან დიდ პატივს ვცემ და არამხოლოდ მათ, ყველას, ვინც ამ ბრძოლაში დიდი მონაწილეობა მიიღო. იმ პერიოდში ვისაც პატიმრობა მოგვიწია, გაცილებით მეტის დანახვა შეგვეძლო, შიგნიდან ყველაფერი სხვანაირად ჩანდა. ის პერიოდი ნამდვილად რთული იყო. ამ თემაზე საუბარს ვერიდები, არ მინდა, რომ ქართველ საზოგადოებას ერთმანეთზე გული დასწყდეს. მხოლოდ მადლიერება მინდა გამოვხატო დღევანდელი ხელისუფლებისადმი, ბატონი ბიძინა ივანიშვილიდან დაწყებული ჩემი მეუღლით დამთავრებული.

**— ბატონო დავით, ბიძინა ივანიშვილმა ელისოს „რეკლამა“ გაუკეთა, კარგი ხაჭაპურების ცხობა იცისო. გაამართლა მისმა შეფასებამ?**

დავითი: ბატონ ბიძინას უკვე სრული სერიოზულობით შემიძლია დავეთანხმო. ელისომ არამხოლოდ ხაჭაპურის ცხობა იცის, ის ძალიან კარგი დიასახლისია. ჩემს ოჯახში ყოველთვის სტუმრიანობაა, ჩემთან ყოველთვის ის ადამიანები იკრიბებიან, რომელთაც ქართული ტრადიცია და ჭეშმარიტი ღირებულებები წინა პლანზე აქვთ. ელისო დიასახლისობას თავს გენიალურად ართმევს, უნიკალური კერძების გაკეთება იცის. სახლში დაგპატიჟებთ და ამაში თავად დარწმუნდებით.

ელისო: დათოს ძალიან უყვარს, როცა მეგობრები სტუმრობენ. როცა შეყვარებულები ვიყავით, ჩემს ერთ-ერთ მეგობარს ვუთხარი, ასეთი ადამიანი მიყვარს-მეთქი. ის ძალიან ჭკვიანი გოგოა და გამაფრთხილა, შენ ჟურნალისტი ხარ, თავისუფლების მოყვარული, ამდენი წელი მარტო დადიოდი, ამიტომ ტრადიციულ ოჯახში რომ შედიხარ, ცოტა გაგიჭირდებაო. აქამდე დიდი მეოჯახეობით არ გამოვირჩეოდი, მაგრამ ახლა რაღაცეებს ვსწავლობ. ჩემი დედამთილი ძალიან მეხმარება, რეცეპტებს მაწერინებს ხოლმე. ცოტა რთულია, მაგრამ სიყვარულით ყველაფერს ვართმევ თავს. სხვათა შორის, დათომ პროდუქტების ძალიან კარგი შერჩევა იცის.

დავითი: წელან ელისომ მოგახსენათ, რომ მარტივი ადამიანი არ ვარ. ქართული ტრადიციებიდან გამომდინარე, პრინციპული გახლავართ. იმ დონეზე მიყვარს ქართული ტრადიციები, ხანდახან ვხუმრობ კიდეც, წინა საუკუნეებში ხომ არ ვარ ჩარჩენილი-მეთქი. მე დღეს ბედნიერი ვარ, ეს კი, ჩემი რთული ხასიათიდან გამომდინარე, მარტივად ნამდვილად არ შეიძლება მოხდეს. ელისო იმ დონის პიროვნებაა, რომ მასთან თავს კარგად ვგრძნობ. მას ძალიან კარგი ხასიათი აქვს. დაძაბული რეჟიმის მიუხედავად, ისეთ გარემოს მიქმნის, რომ თავი ბედნიერად ვიგრძნო.

**— თქვენ თუ ეხმარებით სახელმწიფო საქმეებით დატვირთულ ცოლს, მუშაობას უმსუბუქებთ?**

დავითი: ერთად ნებივრობის დრო თითქმის არ გვრჩება, მაგრამ ყველაზე დიდ სიამოვნებას ვგრძნობ, როცა ჩემი შესაძლებლობების შესაბამისად ელისოს ვახარებ. ვცდილობ, თავი ბედნიერად იგრძნოს, ის ამას ნამდვილად იმსახურებს. დაძაბული რეჟიმი აქვს და ამიტომ მინდა, ხელი შევუწყო, გავამხნევო, რაღაცით ვასიამოვნო. ხანდახან იმის საშუალებაც გვაქვს, როგორც დღეს ვსხედვართ და ვსაუბრობთ, ასე დავსხდეთ მეგობრებთან, ნათესავებთან ერთად.



■ ელისო, დავითი და თეკლა

**ელისო: „გავაცნობიერე, რომ არანაირ ბრძოლაში მარტო აღარ ვიყავი, გვერდით ძალიან სანდო, ერთგული და ჭკვიანი პიროვნება მედგა. ქალს დიდ სიძლიერეს მატებს, როცა გვერდით გონიერი და კეთილშობილი ადამიანი ჰყავს".**

ელისო: დათო ბევრ რამეში მეხმარება. ტყიბულის რაიონის 41 სოფელი და 14 საარჩევნო უბანი ერთად შემოვიარეთ, ის არანაკლებ იცნობს ტყიბულელების პრობლემებს, ვიდრე მე. დიდი მადლობა დათოს, რომ ჩემი ცხოვრებით ცხოვრობს. ძალიან მეხმარება თავისი კონტაქტებით, რჩევებით. ხალხთან ურთიერთობის და ორატორობის დიდი ნიჭი აქვს, მე კი დიდი ორატორი არ გახლავართ. ის ადამიანებთან ძალიან თბილ ურთიერთობებს ამყარებს, მათთან საუბარი, ახსნა-განმარტება, მოფერება, დამშვიდება არ ეზარება.

**— ბატონო დავით, ერთი ქალიშვილი გყავთ?**

დავითი: დიახ, ერთი ქალიშვილი, 15 წლის თეკლა მყავს. ის ჩემთვის ყველაფერია. გარკვეული წლები, როცა მარტო აღმოვჩნდი, სანამ ელისოსთან ჩემი კონტაქტი დაიწყებოდა და ოჯახს შევქმნიდით, ჩემი შვილი მედგა გვერდში. სხვათა შორის, მაშინ ისეთ ასაკში არ იყო, რომ ეს ყველაფერი გაცნობიერებული ჰქონოდა, მაგრამ პირველივე კლასიდან ის დიდი ბავშვი აღმოჩნდა. თეკლა გულს მიხარებს. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი შვილი მყავს.

**— მამის ქორწინებას როგორ შეხვდა?**

დათო: როცა პატიმრობიდან გავთავისუფლდი, ჩემი პირველი საღამო მშობლებთან და შვილთან შეხვედრა იყო. სწორედ იმ დღეს მითხრა თეკლამ, მამიკო, თუ გინდა, რომ ბედნიერი ვიყო, სასწრაფოდ ოჯახი შექმენიო. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ თეკლა ჩემი და ელისოს ურთიერთობით ბედნიერია. მინდა, სწორად გამიგოთ, მაგრამ ელისოს მეტად თუ არა, არც ნაკლებად უყვარს თეკლა, მათ შორის დიდი კომუნიკაციაა. დიდი მადლობა მას, რომ ჩვენს გადაწყვეტილებას ასე ლამაზად შეხვდა.

**დავითი: „როცა პატიმრობიდან გავთავისუფლდი, ჩემი პირველი საღამო მშობლებთან და შვილთან შეხვედრა იყო. სწორედ იმ დღეს მითხრა თეკლამ, მამიკო, თუ გინდა, რომ ბედნიერი ვიყო, სასწრაფოდ ოჯახი შექმენიო".**

**— ელისო, თავიდან ალბათ გქონდათ გარკვეული შიში, თქვენ და თეკლა ურთიერთობას როგორააწყობდით, როგორ მიგიღებდათ ქმრის ქალიშვილი პირველი ქორწინებიდან.**

ელისო: ძალიან ვნერვიულობდი. ამაზე დათოსთანაც მქონდა საუბარი, ვუთხარი, რომ ეს მომენტი გარკვეულწილად დამაბრკოლებელიც კი იყო ჩემთვის. დათომ მაშინ მითხრა თეკლას ნათქვამი, რამაც ამ ნაბიჯის გადასადგმელად სტიმული მომცა. თეკლა ისეთი პიროვნებაა, უბრალო ნაცნობიც რომ იყოს, ამითაც ვიამაყებდი. ძალიან ნიჭიერი, ცხოვრებაზე დაფიქრებული ადამიანია. მამას ძალიან ჰგავს. სამწუხაროდ, ურთიერთობას ისე ხშირად ვერ ვახერხებთ, როგორც ამის სურვილი მაქვს. გარკვეულწილად მის მიმართ დედობრივი განცდა მეც მაქვს,მას არაჩვეულებრივი მშობლები ჰყავს, მაგრამ მის მიმართ ჩემი სითბო და დამოკიდებულება მაქვს.

პარლამენტშიც იყოს ჩემთან სტუმრად ჩამოსული, მთელი დღე ერთად დავდიოდით კომიტეტის სხდომებზე, ინტერვიუებზე. ძალიან დაიღალე, ხედავდა, რამდენი ადამიანი მირეკავდა, დავიწუწუნე, მე რომ რამე დამემართოს, ვინ მომხედავს და მიშველის-მეთქი. ნუ, გეშინია, ელისო, მე მოგხედავო, მითხრა. პატარა ასაკის მიუხედავად, ძალიან დიდი მეგობარია. შემიძლია ვთქვა, რომ არანაკლებ მიყვარს, ვიდრე ჩემი დისშვილები, რომლებიც სანახევროდ ჩემი გაზრდილები არიან.

✓ ეკა ლემონჯავა


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.




Cyan Magenta Yellow Black

# „სუსტმა ქმარმა სუსტი ყოფაქცევის ქალად მაქცია“

არ გეგონოთ, ამ წერილს ისეთი ქალი გწერდეთ, ქუჩაში რომ დგანან და სხეულით ვაჭრობენ. თუმცა ჩემნაირებს მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს უწოდებენ. სწორედ ასე დამიძახა რამდენიმე ადამიანმა. თავიდან კი ცუდად მომხვდა ეს სიტყვები, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ჩემნაირებს ეს სახელი შეეფერებათ.

კარგი ოჯახის შვილი ვარ. გაგიკვირდებათ და, სკოლაში საუკეთესო მოსწავლე ვიყავი. მხოლოდ სკოლის საგნებს კი არ ვსწავლობდი კარგად, სხვა მხრივაც განათლებული ვიყავი, მხატვრული ლიტერატურა მიყვარდა, ბევრს ვკითხულობდი. სკოლა რომ დავამთავრე, ბიჭმა მომიტაცა. ჩემი მშობლები გაგიჟდნენ, მეც არ მინდოდა მისი ცოლობა, მაგრამ ბედთან შეგუება მომიწია.



ცხოვრებას ჩავებღაუჭე, მეგონა, კარგ ოჯახს შევქმნიდი, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ჩემი ქმარი სუსტი ადამიანი აღმოჩნდა. ქალი შეიძლება წაიქცეს, თუ კაცი სუსტიაო, წერს შექსპირი და მეც ასე დამემართა. სუსტი ქმრის ხელში წავიქეცი და მას შემდეგ, მცდელობის მიუხედავად, ველარ წამოვდექი.

ოჯახში ყველას ჰქონდა უფლება, ჩემთვის შეურაცხყოფა მოეყენებინა, დედამთილი და მული მცემდნენ. მულისშვილი, პატარა ბიჭიც კი, თავში მირტყამდა. ერთხელ დავორსულდი, მაგრამ მათი გულცივობის გამო ნაყოფი დავკარგე. ცუდი ორსულობა მქონდა, ექიმმა მითხრა, თავს ძალიან გაუფრთხილდი, ეცადე, იწვეო, მაგრამ ზუსტად იმ დროს ჩემს მულს ოპერაცია გაუკეთეს, დედამისი თავზე ადგა, მულისშვილი კი მე დამიტოვეს. ბავშვს კი, მოგეხსენებათ, ათასი რამ სჭირდება. მოკლედ, მული რომ საავადმყოფოდან გამოწერეს, მერე მე გავხდი ცუდად, ნაყოფი მომწყდა და მას შემდეგ აღარც დავორსულებულვარ. ზოგჯერ ვამბობ, იმის გამო ვისჯები, რომ ღმერთისგან ნაბოძებ ბავშვს არ გავუფრთხილდი-მეთქი.

ქმრის ოჯახში უბედური ვიყავი, ნივთს უფრო კარგად ექცეოდნენ, ვიდრე მე. მერე ერთი ადამიანი შემიყვარდა, რომელთანაც თავს ქალად ვგრძნობდი. ჩვენ შორის რომანი გაჩაღდა. ახლა ვფიქრობ, რომ შეცდომა დავუშვი, ჯერ ქმრისგან უნდა წამოვსულიყავი და სასიყვარულო ურთიერთობა მერე გამება სხვასთან, მაგრამ მაშინ ამას ვერ ვაცნობიერებდი. ჩემი ერთადერთი შვება იმ პიროვნებასთან შეხვედრა იყო. საბოლოოდ ჩვენი რომანი გამჟღავნდა და ქმარმა სახლიდან გამომაგდო, ჩემებმა კი სახლში არ შემიშვეს. გამომიცხადეს, ჩვენი სახელიც არ ახსენოო.

მას შემდეგ ჩემს ცხოვრებაში ბევრი რამ მოხდა, ბევრი მამაკაციც გამოჩნდა, მაგრამ ბედნიერებას მაინც ვერ ვეღირსე. სხვის თვალში მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ვარ, რომელთან მეგობრობასაც კი გაურბიან, არადა ერთი საცოდავი, ცხოვრებისგან ჩაწიხლული ქალი ვარ. მე რომ თავიდანვე ძლიერი კაცი მყოლოდა გვერდით, ახლა ასეთი ცხოვრება არ მექნებოდა.

*თქვენი ერთგული მკითხველი*

# „საყვარელმა კაცმა თავისი საცოლისთვის საპატარძლო კაბა შემარჩევინა“



რატომ იქცევიან კაცები უცნაურად? რატომ ჰგონიათ მათ, რომ ქალებს გული არა გვაქვს? სუსტ სქესს გვეძახიან, მაგრამ ისეთი რაღაცეების ატანას გვაიძულებენ, თავად რომ ვერ შეძლებდნენ და იმის მეასედიც კი წელში რომ გაწყვეტდათ. მამაკაცი, რომელიც სიცოცხლეს მერჩივნა, ძალიან ცუდად მომექცა. რამდენი წელიც უნდა გავიდეს, ეს ტკივილი არასოდეს დამავიწყდება.

ორი წელი გვიყვარდა ერთმანეთი. ერთმანეთს ყოველდღე ვხვდებოდით. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ცალ-ცალკე თუ გავაგრძელებდით ცხოვრებას, მეუბნებოდა, ჩემი შვილების დედა შენ უნდა გახდეო. კარგი ადამიანი იყო თუ ცუდი, შემეფერებოდა თუ არა, ეს სხვა საქმეა, მაშინ თავდავიწყებით მიყვარდა და სხვა ყველაფერი წვრილმანად მიმაჩნდა.

ყოველთვის იდეალური ურთიერთობა არ გვქონდა, ზოგჯერ ვჩხუბობდით და ერთმანეთს ვებუტებოდით. დამნაშავედ გამუდმებით მე გამოვყავდი და სულ ბოდიშებს მახდევინებდა. მეუბნებოდა, რომ ფანტაზიორი ვიყავი და საეჭვიანო არაფერი მქონდა. ერთ დღესაც ძალიან ვიჩხუბეთ და ერთმანეთს დავშორდით. ნამდვილად თვითონ ტყუოდა. ველოდებოდი, რომ მოვიდოდა და ბოდიშს მომიხდიდა, მზად ვიყავი, ყველაფერი მეპატიებინა. ის კი ძალიან იგვიანებდა. ბოლოს ველარ მოვითმინე და თვითონ დავურეკე. ძალიან გაუხარდა, ბედნიერი ვარ, რომ შემეხმიანეო. შეხვედრაც დამითქვა.

მასთან კი არ მივდიოდი, მივფრინავდი. მეგონა, გულში ჩამიკრავდა და მომეფერებოდა. ეს სცენა წინასწარ მქონდა წარმოდგენილი. მართლა თბილად შემხვდა და უცებ ასეთი კითხვა დამისვა, შენს ცხოვრებაში მამაკაცი არ გამოჩნდაო. გაოგნებული ვუყურებდი. მეგონა, მცდიდა. ვუპასუხე, სხვაზე როგორ ვიფიქრებდი, როცა შენ მიყვარხარ-მეთქი. ფეხზე წამოხტა და დაბნეულმა დაიწყო ლაპარაკი, შენ რომ დამშორდი, სხვა გოგო გამოჩნდა, მასთან გულის გადაყოლება მინდოდა, მაგრამ მერე ყველაფერი სხვანაირად მოხდა, ის ასაკით პატარაა, ყველაფერს ისე ვერ გაიგებს, როგორც შენ გესმის, ამიტომ მასთან უნდა ვიყოო... კიდევ ათას სისულელეს ბოდავდა.

მივხვდი, რომ ჩემგან უნდოდა წასვლა და რაღაცას იგონებდა. მე ავდექი და უხმოდ წამოვედი. მესიჯები დამადევნა, მეგობრებად დავრჩეთ, ხომ იცი, როგორ მიყვარხარო. მისთვის პასუხი აღარ გამიცია. რა უნდა მეთქვა? ის სიყვარულს ვერ მთავაზობდა, მე კი მეგობრობის გაწევა არ შემეძლო.

ჩვენი დაშორებიდან ორი თვეც არ იყო გასული, როცა თბილისში გოგოსთან ერთად შემხვდა. თვალი შორიდანვე მოვკარი და ვიფიქრე, გზის სხვა მხარეს გადავალ-მეთქი, მაგრამ თვითონაც დამინახა და ხელების ქნევით და ჩემი სახელის ძახილით გამოიქცა. მოვიდა, გადამეხვია, დიდი მეგობარივით მომიკითხა. მერე კი თავისი თანხმლები გამაცნო, ჩემი საცოლეაო. მას კი ასე უთხრა, ეს გოგო ჩემი საუკეთესო მეგობარია, ის არის, ვისზეც გეუბნებოდიო. ის გოგო შეიშმუშნა და მკერდზე მიეხუტა. საქმრომ კი თმაზე დაუწყო ფერება. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს თავიდან ფეხებისკენ რაღაც წავიდა და ჩამოვიცალე. იმ გოგოს ისევე იკრავდა გულში, როგორც რამდენიმე თვის წინ მე მექცეოდა. ყურებში წუილისმაგვარ ხმებს ვგრძნობდი, მინდოდა გაქცევა, მაგრამ ვინ გამიშვა! მან ჩემი ტანჯვა გააგრძელა. მითხრა, საპატარძლო კაბის არჩევა გვინდა და რა კარგია, აქ რომ ხარ, ცოტა ხნით მაღაზიებში შემოგვყევიო. ჩემს პასუხს არც დაელოდა, ხელი მომკიდა და „პატარძალ“ მანეკენებთან ისე აღმოვჩნდი, ვერც კი მივხვდი. ძალა მოვიკრიბე, არ მინდოდა, იმ პატარა გოგოსთან დამცირებული და განადგურებული გამოვჩენილიყავი და საპატარძლოს რაღაც რჩევები მივეცი. ის კი, დაბნეული და გახარებული, ათას რაღაცას მეკითხებოდა. ბოლოს საქმრომ დატოვა, ამ საქმეს ქალებმა მიხედეთო და თვითონ წავიდა. საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ჩემი საყვარელი მამაკაცის საცოლეს საპატარძლო კაბა მე შევურჩიე. არადა რამდენჯერ მიოცნებია, საყვარელი კაცის გვერდით თეთრი კაბით როგორ დავდგებოდი...

იმ გოგომ გამომშვიდობებისას ქორწილშიც დამპატიჟა. იქიდან განადგურებული წამოვედი. ის სიცარიელე, რაც მაშინ ვიგრძენი, დღემდე მაწუხებს, ვერაფრით შევივსე. ჩემს ყოფილ შეყვარებულს კი ორად ორი სიტყვა გავუგზავნე: „ნაძირალა ხარ!“. სხვათა შორის, არ უკითხავს, ასე რატომ მივმართე. ალბათ ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რაც გამიკეთა. ვიცი, ამ წერილს წაიკითხავს, რადგან მისი ოჯახი თქვენი ჟურნალის მკითხველია. ამიტომ მას პირდაპირ მივმართავ: თუ ჩემი დამცირებით ბედნიერება იგრძენი, ღმერთმა შეგარგოს!

*„სარკის“ ერთგული მკითხველი*

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე**
**ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. **ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.**
2. **გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.**
**1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**
3. **ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru**

**ანონიმურობა დაცულია**



Cyan Magenta Yellow Black

# „ვნანობ, რომ ჩემი შვილის გერს ცუდად ვექცეოდი“

ამ წერილს 73 წლის ქალი გწერთ. სამი თვის წინ ფეხი მოვიტეხე, ახლაც ლოგინს ვარ მიჯაჭვული, ჩემი ერთადერთი პატრონი კი ის ადამიანია, ვისაც ბევრი ტკივილი მივაყენე. ის ჩემი შვილის გერია.



ერთი ვაჟი მყავს, რომელზეც თან ვარ გადაყოლილი. ჩემი ქმარი ახალგაზრდა დაიღუპა, ამიტომ მთელი ჩემი ცხოვრება ერთადერთ შვილს მივუძღვენი. პირადი ცხოვრების აწყობაზე არ მიფიქრია. ბევრი მთხოვდა ცოლობას, მაგრამ ჩემს გარდაცვლილ ქმარს ამას არ ვაკადრებდი, არც შვილი მემეტებოდა, რომ მამინაცვლის ხელში ჩამეგდო. ერთადერთ ვაჟს ისე ვზრდიდი, ცივ ნიავს არ ვაკარებდი. მისთვის საუკეთესო გოგოს ვეძებდი. ისეთებს ვიწუნებდი, ჩემს შვილს არ შეეფერება-მეთქი, რომ ხალხს პირი რჩებოდა ღია.

ერთ დღესაც შვილი მოვიდა და მითხრა, ცოლი უნდა მოვიყვანო, მაგრამ ვიცი, ის გოგო შენ არ მოგეწონება, წინასწარ გეუბნები, ხელს ვერ შემიშლი, ძალიან მიყვარსო. მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც საშინელების თქმას აპირებდა. ვკითხე, რა სჭირს იმ გოგოს, რატომ არ უნდა მომეწონოს-მეთქი. მითხრა, გათხოვილი იყო, ქმარს არის გაშორებულიო. პანიკაში ჩავვარდი, მოთქმა-გოდება დავიწყე, ეს რა უბედურება დამატყდა თავს, ჩემს შვილს ტვინი გადაუტრიალეს-მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ კი მითხრა, არ გაგიჟდე, იმ ქალს შვილიც ჰყავსო. ამან კი საერთოდ გონება დამიბინდა! ჯერ ლამის ლოგინად ჩავვარდი, მაგრამ მერე იმ ქალს ბრძოლა დავუწყე. მივუვარდი, ვუთხარი, რომ ჩემს შვილს ვერ გააბრიყვებდა, მაგრამ არაფერი გამომივიდა. ჩემი ბიჭი მასთან გაიქცა. მითხრა, თუ ჩემს ცოლს ვერ შეეგუები, სახლში არ მოვალო. მის გარეშე ცოტა ხანს გავძელი, მაგრამ მერე შევუთვალე, რომ სახლში მოსულიყვნენ.

ვეცადე, რძლისთვის სხვა კუთხით შემეხედა, მაგრამ ვერაფრით მოვახერხე. მისი შვილიც რომ ჩვენთან გადმოვიდა საცხოვრებლად, ამაზე სულ გადავირიე. ამას ისიც დაემატა, რომ ჩემს ვაჟს და რძალს რამდენიმე წელი ბავშვი არ უჩნდებოდათ. პირდაპირ ვამბობდი, ჩემს ნაწვალებ სახლ-კარში ვისი შვილი დადის-მეთქი. იმ ბავშვის ატანა არ მქონდა. თითქოს სულ ფეხებში მედებოდა და ამაზე ვგიჟდებოდი. ერთხელაც კი არ მიკოცნია მისთვის. ერთ დღეს ბებია დამიძახა და დავუთათხანე, რა შენი ბებია ვარ, ბებია სხვაგან გყავს და იმასთან წადი-მეთქი. ახლა ამაზე რომ ვფიქრობ, თავს ვიწყევლი, ეს როგორ ვუთხარი, მაშინ ხომ უკვე მოზრდილი ბიჭი იყო და ყველაფერს ხვდებოდა.

მერე რძალმა ორი შვილიშვილი გამიჩინა, რომლებზეც მზე და მთვარე ამომდიოდა. შვილის გერს კი ხმას თითქმის არ ვცემდი. მისთვის არასოდეს არაფერი მიჩუქებია.

წლები გავიდა. ჩემი ბიჭის გერმა სკოლა რომ დაამთავრა, მამასთან წავიდა რუსეთში. იქ ისწავლა, დაოჯახდა, საქმე წამოიწყო და ისეთი კაცი დადგა, რომ ყველა მას შენატრის. საქართველოში რომ ჩამოდის, ჩემთან მოდის და მკოცნის. მე კი სირცხვილისგან ვიწვი. კიდეც ვუთხარი, რა კეთილი ხარ, შენგან ასე კარგად მოქცევის ღირსი არ ვარ-მეთქი. მას კი ამაზე გაეცინა. მითხრა, ჩვეულებრივი ეგოისტი დედა და ბუზღუნა მოხუცი იყავიო. მაშინ მოხუცი არ ვიყავი, მაგრამ მას ალბათ ასე ვეჩვენებოდი, რადგან ქმრის სიკვდილის შემდეგ თმა არასოდეს შემიღებავს, სახეზე კრემი და პომადა არ წამისვამს.

ჩვენი ოჯახის პატრონი დღესაც ის ბიჭია. მამობილს ბიზნესი აუწყო თბილისში, სახლიც უყიდა და ჩემი შვილი რაიონიდან ქალაქში გადასახლდა. თავის ნახევარ და-ძმებს თანაა გადაყოლილი, ამბობს, შვილებივით მიყვარსო. მე ცალკე მიგზავნის ფულს, თუ რამე გჭირდება, არაფერი მოიკლოო. ფეხი რომ მოვიტეხე, მომვლელი დამიქირავა. კვირა ისე არ გავა, ტელეფონით არ დამირეკოს და არ მომიკითხოს. საკუთარი შვილიშვილები არ მომიკითხავენ, ის კი ჩემ მიმართ საოცარ სიკეთეს იჩენს. ის რომ არა, არც კი ვიცი, რა გვეშველებოდა, როგორ ვიცხოვრებდით.

ყველას მოვუწოდებ, ბავშვებს გული არ ატკინოთ. არავინ იცის, მათგან როგორი ადამიანი დადგება. მე რომ მის მიმართ ელემენტარული სითბო მაინც გამომეჩინა, ახლა სინდისი სუფთა მექნებოდა და ასე არ დავიტანჯებოდი. ვნანობ, რომ ისედაც ტრავმირებულ ბავშვს ასე ვექცეოდი. მეც ხომ დედა ვიყავი, ამას რატომ ვერ ვაცნობიერებდი?! ჩემი რძალიც კარგი ქალი დადგა, ერთხელაც არ შეუხსენებია, მის შვილს ნამდვილი დედინაცვალივით რომ ვექცეოდი. ახლა ჩემს საქციელს ვნანობ, მაგრამ იმ წლებს უკან ხომ ვერ დავიბრუნებ და ვერც პირიდან გაფრენილ სიტყვებს.

იმედია, ჩემი ამბავი ბევრისთვის მაგალითი იქნება და იმავე შეცდომას არ დაუშვებენ.

*თქვენი ერთგული მკითხველი*

✓ რუბრიკა მოამზადა ირინე მჭედლიძემ

გამოხმაურება

## „სახლში მოთამაშის ყოლას ჯობია, ნარკომანი გყავდეთ“

ჟურნალ „სარკის“ 49-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი, სადაც ქალბატონი წერს, სახლში კაზინოების მოყვარული რძალი შემომივიდაო. მინდა, ამ წერილის ავტორს გამოვეხმაურო და ვუთხრა: სწორად იქცევით, ქალბატონო, სახლში მოთამაშის ყოლას ჯობია, ნარკომანი გყავდეთ, გეცოდინება მაინც, რომ ავადმყოფია.

*„სარკის“ ერთგული მკითხველი*

## „სხვის ქმრებს თავი დაანებეთ!“



ჟურნალ „სარკის“ 49-ე ნომერში, რუბრიკაში „ქალის ტვირთი“ გამოქვეყნდა წერილი — „სად მთავრდება ქალური სიბრძნე და იწყება ქალური შეცდომა?“. მეგონა, ჩემს ამბავს ვკითხულობდი იმ განსხვავებით, რომ ქმარს ვთხოვე, სახლიდან წადი-მეთქი, მაგრამ არ წავიდა. მითხრა, შეცდომა მომივიდა და გამოვასწორებო, თუმცა სანამ თავის შეცდომას აღიარებდა, მეც მეუბნებოდა, ავადმყოფი და ეჭვიანი ხარო.

ყველა მეძავს ვთხოვ, ან იმდენი ქნან, ოჯახიდან წაიყვანონ კაცი, ან სხვის ქმრებს საერთოდ თავი დაანებონ! მოღალატე კაცი არავის სჭირდება!

*„სარკის“ ერთგული მკითხველი*

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# ვახო სანაია: „იმედიდან“ ჩემი წასვლის მიზეზი ანაზღაურება არ არის“

## „ხშირად შეუვალი და ჯიუტიც გახლავართ“



ცნობილი ტელეჟურნალისტ ვახო სანაიას კარიერაში ცვლილებაა. ტოქ შოუ „ღია ეთერის“ ავტორი და წამყვანი ახალი წლიდან ტელეკომპანია „იმედის“ მაგივრად „მაესტროზე“ გამოჩნდება. ამბობს, რომ ზოგადად ცვლილებები უყვარს და თანაც საინტერესო წინადადებამ მოხიბლა, თუმცა დროზე ადრე არ სურს დეტალებზე საუბარი.

სამსახურის გამოცვლა მისთვის უცხო არ არის, უკვე მერამდენედ ხდება. როგორც თავად ამბობს, ყველა არხიდან, სადაც უმუშავია, „გარკვეული მოსაზრებების“ გამო მიდიოდა, ხანდახან ხელმძღვანელობასთან შეუთავსებლობის გამოც. პრინციპული და ჯიუტი ხასიათი საქმეში კომპრომისებზე წასვლის უფლებას არ აძლევს. გამონაკლისი მხოლოდ შვილებთან ურთიერთობაა, სადაც თურმე საკმაოდ რბილი ლოიალურია.

**— ვახო, უკვე ცნობილია, რომ მალე შეიცვლით სამუშაო ადგილს, „იმედიდან“ „მაესტროზე“ გადადიხართ. რას გააკეთებთ ახალ სამსახურში?**

— ნამდვილად ვგეგმავ ცვლილებას და ახალ წელს სიახლეებით შევხვდები. ამ ეტაპზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. როცა საბოლოოდ მოხდება ეს ცვლილება, მერე შემეძლება დეტალურად საუბარი. არ მგონია, მართებული იყოს ჩემს მომავალ სამსახურზე ლაპარაკი, რადგან ამ წუთას ისევ „იმედში“ ვმუშაობ. „მაესტროდან“ ძალიან საინტერესო შემოთავაზება მაქვს. მხოლოდ ერთ პროექტზე არ არის საუბარი. რამდენიმე მიმართულებით ვიმუშავებ.

**— წამყვანი იქნებით, პროდიუსერი თუ?..**

— ჩემი ყველა გადაცემის როგორც წამყვანი, ისე პროდიუსერი და ავტორიც ვარ. ყოველთვის ასე იყო და მომავალშიც ასე იქნება.

**— ახალ სამსახურში უკეთესმა ანაზღაურებამ მიგიზიდათ?**

— ყველა არხზე საინტერესო იყო ჩემთვის მუშაობა, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ გავძლებდი. ანაზღაურების გამო გადაწყვეტილებას არასოდეს ვიღებ. ეს საკითხი ჩემთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, ისე როგორც ყველასთვის, ვინც თავის საქმეს აკეთებს, მაგრამ გადამწყვეტი არ არის.

**— თითქმის ყველა ტელეარხი შემოიარეთ, მუდმივ გადასვლა-გადმოსვლაში ხართ. რაღაცას ეძიებთ?**

— არა, ასე არ არის. სადაც მივდივარ, საკმაო ხანს ვჩერდები. ჩემზე ასეთი შთაბეჭდილება იმითაც არის განპირობებული, რომ ჟურნალისტური საქმიანობა 16 წლიდან დავიწყე და ამ ასაკისთვის არცთუ ცოტა სამსახური გამოვიცვალე. ვინც მთელი ცხოვრება ერთ სამსახურში მუშაობს, მათიც მესმის, მაგრამ მე ცვლილებები მიყვარს.

ერთი ტელეკომპანიიდან მეორეში გადასვლისას ყოველთვის სხვადასხვა მიზეზი მქონდა. ჩემი სატელევიზიო გამოცდილება „მზიდან“ დაიწყო, სადაც 3 წელი ვიმუშავე. შემდეგ ნიკა ტაბატაძემ „რუსთავი 2“-ში მუშაობა შემომთავაზა. 3 წელზე მეტი იქ ვიმუშავე და გარკვეული მოსაზრებების გამო წამოვედი იქიდან. ვმუშაობდი რადიო „უცნობში“. შემდეგ კი აღმოვჩნდი „იმედში“, საიდანაც ასევე გარკვეული მოსაზრებების გამო წამოვედი. ვიმუშავე „პირველ არხზე“ და იქ ხელმძღვანელობამ უკანონო გზით დახურა ჩვენი პროექტები. ამის გამო მე და ჩემმა თანამშრომლებმა სასამართლოში შევიტანეთ სარჩელი და მოვიგეთ პროცესი. ამავე დროს შემოთავაზება მქონდა „იმედიდან“, სადაც ბოლო ერთი წელი გავატარე.

**„სხვებს თუ შეეკითხებით, ალბათ გეტყვიან, რომ ამბიციური ვარ, მაგრამ, ვფიქრობ, ნორმალურია, რომ ადამიანი თავის საქმეში ამბიციური იყოს“.**

**— ვახო, თქვენ იმ დროს მუშაობდით „იმედში“ და „პირველ არხზე“, როცა მათ სრულად აკონტროლებდა ხელისუფლება, თუმცა მართვადი არხების წამყვანებისგან იმით განსხვავდებოდით, რომ ნაციონალურ მოძრაობას ხოტბას არ ასხამდით და როცა რაღაც აშკარად არ მოგწონდათ, ურეაქციოდ დუმდით.**

— ის, რაც სჭირდა მედიას, სერიოზული პრობლემა გახლდათ. ვფიქრობ, წინა ხელისუფლების მთავარი შეცდომა სწორედ მედიასთან ურთიერთობა იყო. როცა შენთვის მიუღებელია მუშაობა, ყველაზე კარგი გამოსავალი წასვლაა. როცა მივდივარ, არ მჩვევია იქაურ შიდა სამზარეულოზე საუბარი. ჩემს გადაწყვეტილებებში ყოველთვის თავისუფალი ვიყავი. სანამ არხზე ხარ, შენი პოზიციები უნდა დაიცვა. როცა ყველა რესურსი ამოწურულია, რაღაც ახალზე უნდა იფიქრო. მიმღია გადაწყვეტილება, როცა ძალიან მაღალანაზღაურებადი, პრესტიჟული სამსახურიდან დაბალანაზღაურებადში გადავსულვარ.

**„მე და ჩემს ყოფილ ცოლს ურთიერთობა გარკვეული გვაქვს და ერთმანეთის კარგი მეგობრები ვართ. ჩვენი შვილები გვაერთიანებს და მათზე ვზრუნავთ“.**

„პირველ არხს“ რაც შეეხება, ერთ გადაცემაში საზოგადოებრივ თემებზე ვმუშაობდი და მეორეში — ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროექტზე, რომელშიც არხის ხელმძღვანელობა ვერ ერეოდა. იქიდან, სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, მე არ წამოვსულვარ, უკანონოდ შეგვიწყვიტეს კონტრაქტი. არადა ჩემი ეს გადაცემა საერთაშორისო ორგანიზაციებმაც კი ყველაზე დაბალანსებულ გადაცემად აღიარეს. სხვა არხებიდან წამოსვლის გადაწყვეტილება იმის გამო მიმიღია, რომ ხელმძღვანელობა ერეოდა გადაცემის სარედაქციო პოლიტიკაში. გია ჭანტურიას შეიძლება ბევრი რამ დააბრალო, მაგრამ მასზე ამას ვერ ვიტყვი.

**— „იმედის“ ხელმძღვანელობა როგორ შეხვდა თქვენს გადაწყვეტილებას არხის დატოვების შესახებ?**

— ახლა რადიკალურად სხვა რამ ხდება. „იმედის“ ახლანდელი ხელმძღვანელობა არასოდეს ჩარეულა ჩემს სარედაქციო საქმიანობაში. ჟურნალისტს ვერ იპოვით, ვინც იმავეს არ იტყვის. სრული თავისუფლებაა, რაც ძალიან კარგია. საერთოდ მედიაგარემოა გაჯანსაღებული და ეს ეკრანიდანაც კარგად ჩანს. ახლა მეც და სხვებმაც ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ სატელევიზიო სტანდარტი. მე ვესაუბრე „იმედის“ ხელმძღვანელობას და შევეცადე, კარგად დამესაბუთებინა ჩემი წასვლის მიზეზი. ვფიქრობ, კარგად ავუხსენი.

**— სცადეს თქვენი შენარჩუნება?**

— როცა ტელევიზიის კადრი მიდის, ხელმძღვანელობა ყოველთვის ცდილობს მის შენარჩუნებას, მაგრამ ამ დეტალებზეც არ მინდა საუბარი. ვიმეორებ, იმედი მაქვს, მათ კარგად ავუხსენი ჩემი გადაწყვეტილება. მინდა, ამ არხს წარმატება ვუსურვო.

**— ბიძინა ივანიშვილთან ჟურნალისტების შეხვედრას ესწრებოდით, სადაც ახლა უკვე ყოფილი პრემიერმინისტრისგან თქვენი გადაცემის გამო შენიშვნა მიიღეთ. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ ამ შეხვედრასა და თავად ივანიშვილზე?**

— იმ გადაცემაში ლაპარაკი იყო მცოცავ ოკუპაციაზე, მავთულხლართებზე და მიხეილ სააკაშვილი ჩავრთეთ აშშ-დან. მე და ბიძინა ივანიშვილმა იმ შეხვედრაზევე გავარკვიეთ ურთიერთობა. ეს გადაცემა ნანახი არ ჰქონდა და თქვა, თუ საჭირო გახდება, ბოდიშის მოხდასაც არ მოვერიდებიო. ვფიქრობ, ეს მისი მხრიდან სწორი რეაქცია იყო.

მისი საყვედური სწორედ იმაზე იყო, რომ მავთულხლართების გადმოწევა დღეს კი არა, 2009 წლიდან დაიწყო. მთელი ჩემი გადაცემა სწორედ ამაზე იყო და ვილაცეებმა, ვინც მის გარშემო არიან, არასწორი ინფორმაცია მიაწოდეს. არ შეიძლება ქვეყნის მმართველს კონტექსტიდან ამოგლეჯილი ამონარიდები მიაწოდო. არ შეიძლება შენს ლიდერს ეს გაუკეთო! ვფიქრობ, ყველა გაიაზრებს თავის შეცდომას. არ ვიცი, რამდენად სასარგებლო იყო მისი ურთიერთობა ჟურნალისტებთან, მაგრამ ვფიქრობ, ეს არ იყო პოლიტიკოსი ივანიშვილის შეხვედრა ჟურნალისტებთან, არამედ — უკვე საზოგადოებაში გადასული ადამიანის შეხვედრა. ის არ ცდილობდა პოლიტიკური ქულების დაგროვებას. ზოგადად ეს შეხვედრა საინტერესო იყო ჩვენთვის.

**— ამ შეხვედრის დროს ივანიშვილისგან სხვა შენიშვნაც მიიღეთ. ქალს დაუთმე სიტყვის თქმაო — საკმაოდ მკაცრი ტონით გითხრათ.**

— ემოციური ადამიანები ვართ და ეს არსებითი შენიშვნა არ არის. ყველა ცდილობდა, რაღაც ეთქვა. ხომ დავაცადე მერე? მგონი, ეკა მიშველაძეზე იყო საუბარი. ჩვენ, ჟურნალისტები, ერთმანეთში მოვრიგდებით, ვინ როდის რას იტყვის. არც მახსოვდა ეს შენიშვნა, თქვენ რომ არ გეთქვათ. ცხარე კამათი იყო და ქალიც და კაციც ერთად საუბრობდა, თორემ ქალების მიმართ პატივისცემის განცდა ნამდვილად არ მაკლია.

**— გაცხარების დროს თავის კონტროლი გიჭირთ?**

— არა, თავს ყოველთვის ვაკონტროლებ. ყველანი ადამიანები ვართ და მეც ხან მეტად ემოციური ვარ, ხან — ნაკლებად, მაგრამ



Cyan Magenta Yellow Black

საჯარო სივრცეში თუ ეთერში არ მახსოვს შემთხვევა, საკუთარ თავზე კონტროლი დამეკარგა.

**— თბილისში დაბადებული და გაზრდილი არ ხართ, აფხაზეთია თქვენი მშობლიური კუთხე. ბოლო დროს დიდი ამბავი ატყდა თემაზე, თუ სადაური უნდა იყოს თბილისის მერი. თბილისის კოლორიტებად წოდებული პიროვნებები ნარმანიას კანდიდატურას აპროტესტებდნენ. ეს თემა თქვენი გადაცემის განხილვის საგანიც იყო. პირადად თქვენ რა აზრის ხართ ამ საკითხზე?**

— ამ თემაზე გადაცემამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ვფიქრობ, არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, სად დაბადებულსა და გაზრდილს ვირჩევთ. მთავარია, შეუძლია თუ არა ჩვენი პრობლემების მოგვარება. მე არ დავბადებულვარ თბილისში, აფხაზეთიდან ვარ, მაგრამ თბილისში დაბადებულ-გაზრდილიც ბევრი ფიქრობს ასე. ეგლა გვაკლია, იმის მიხედვით შევაფასოთ ადამიანი, ვინ თბილისელია და ვინ — არა. კარგია ისიც, რომ თბილისელი ხარ, კარგია, რომ ზუგდიდელი ხარ და კარგია ისიც, რომ სოხუმელი ხარ. ყველა კუთხეს და ქალაქს თავისი ხიბლი აქვს.

**„პროკურატურამ ვერ შეძლო, ჩემი ძმის მკვლელობის საქმისთვის მსვლელობა მიეცა. დღეს ხელისუფლებაში მყოფი ადამიანებიდან ბევრი ამბობდა, რომ ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა. მათი ვალია, ეს საქმე გაიხსნას. რამდენი წელიც უნდა გავიდეს, არ გავჩერდებით!".**

**— თქვენი ოჯახის ისტორია როგორია?**

— ჩვენი ოჯახი გულრიფშის რაიონიდანაა. აფხაზეთიდან რომ წამოვედით, გარკვეული პერიოდი თბილისში ვცხოვრობდით, შემდეგ — იმერეთში. ვამაყობ, რომ აფხაზეთში ცხოვრებიდან ბევრი რამ მივიღე, მერე — იმერეთში ცხოვრებიდან. თბილისი ყველასია. მე გარკვეულწილად ვარ გულრიფშელიც, სამტრედიელიც — გარკვეული პერიოდი იქაც ვცხოვრობდი, ვარ ქუთაისელიც — იქაც მაქვს ოჯახური კავშირები და ვარ თბილისელიც, რადგან ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი აქ გავატარე. ჯერ კიდევ აფხაზეთში ცხოვრების დროს ხშირად ჩამოვდიოდით თბილისში. აქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში და ასევე — იმერეთსა თუ აფხაზეთში.

**— აფხაზეთის ომის დროს ბავშვი იქნებოდით. რა გახსოვთ იმ პერიოდიდან?**

— სოხუმი რომ დაეცა, 8 წლის ვიყავი. მახსოვს ჩემი სამეზობლო, ჩემი ქუჩა, ზღვის სანაპირო, ომიც და ჩვენი იქიდან წამოსვლაც. მახსოვს ის გემი, რომლითაც წამოვედით. ომი მძაფრ შეგრძნებებს უკავშირდება და ყველაფერი გამახსოვრდება. 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა ომი. მახსოვს ჩვენს ქუჩაზე დაღუპული ადამიანების გლოვა...

აფხაზებს არ აქვთ სხვა სამშობლო და არც — ჩვენ. მეც იქ დავიბადე და გავიზარდე და ჩემი თანატოლი აფხაზიც. უნდა ვეძებოთ ერთად ცხოვრების გზები იმისთვის, რომ ჩვენ დავბრუნდეთ და იმისთვისაც, რომ აფხაზები გადარჩნენ. ყველამ დავუშვით შეცდომა და მთავარია ჩვენი საერთო მტერი, რუსეთი არ დაგვავიწყდეს, რომელმაც ყველაფერი გააკეთა, რომ დაეცალკევებინა ქართველები და აფხაზები.

**— თქვენს შვილებზე გვიამბეთ. რამხელები არიან ახლა?**

— სალომე პირველ კლასშია და, როგორც ბებიაჩემი იტყოდა, მეშვიდე წელშია. ნუცა 5 წლისაა, საბავშვო ბაღში და ცეკვაზე დადის. სალომე ახლა უნგრეთშია, საერთაშორისო ტურნირზე. საქართველოში ტანმოვარჯიშეთა შორის პირველი ადგილი აიღო და ახლა გულისფანცქალით ველოდებით, იქ რას იზამს. ვცდილობთ, ემოციურად ზედმეტად არ დავტვირთოთ, მაგრამ თავად უნდა, ყველაფერში პირველი იყოს, რაც კარგია.

**— ამ თვისებით მამას ჰგავს?**

— მე ნამდვილად მაქვს ეს თვისება. ყოველთვის ვცდილობ, კარგად გავაკეთო ის, რასაც ვაკეთებ. სხვებს თუ შეეკითხებით, ალბათ გეტყვიან, რომ ამბიციური ვარ, მაგრამ, ვფიქრობ, ნორმალურია, რომ ადამიანი თავის საქმეში ამბიციური იყოს.

**— თქვენი შვილების დედას, ჟურნალისტ მარიკა ბაკურაძეს გაშორდით, მერე ისევ შერიგდით. ახლა რა ეტაპია თქვენს ურთიერთობაში?**

— უკვე დიდი ხანია დაშორებულები ვართ. ჩვენი ურთიერთობა გარკვეული გვაქვს და ერთმანეთის კარგი მეგობრები ვართ. ჩვენი შვილები გვაერთიანებს და მათზე ვზრუნავთ.

**— ბავშვები არ განიცდიან დედ-მამის გაშორების ამბავს?**

— არა, რადგან ჩემთანაც არიან და დედასთანაც. ჩვენ შორის არანაირი კონფლიქტი არ არის და ბავშვებიც ბედნიერად გრძნობენ თავს.

**— როგორი მამა ხართ?**

— შვილები, სადაც მთხოვენ, ყველგან მიმყავს. ყველაფერს ვუსრულებ და, შეიძლება ითქვას, ძალიან ლოიალური მამა ვარ. ვერ ვუბრაზდები, მაგრამ მათ აქვთ ჩემი რიდი. არასოდეს ვეჩხუბები. არ ვიცი, ეს რამდენად კარგია, მაგრამ, ვფიქრობ, ბავშვს ყველაფერი უნდა შეუსრულო და რაც არ შეიძლება, რომ მან გააკეთოს, ის უნდა აუხსნა. მე ასე ვზრდი ჩემს შვილებს — ვუხსნი, რა არის კარგი და რა — ცუდი. დაფიქრების საშუალებას ვაძლევ. შეიძლება რაღაც არ დამიჯეროს, მაგრამ, რომ მიხვდებიან, არასწორად მოიქცნენ, თვითონვე ბრაზდებიან საკუთარ თავზე. რომ გაიზრდებიან, თვითონ უნდა გააკეთონ არჩევანი კარგსა და ცუდს შორის. მეც ასე ვიზრდებოდი.

**„სოხუმი რომ დაეცა, 8 წლის ვიყავი. მახსოვს ჩემი სამეზობლო, ჩემი ქუჩა, ზღვის სანაპირო, ომიც და ჩვენი იქიდან წამოსვლაც. მახსოვს ის გემი, რომლითაც წამოვედით. მახსოვს ჩვენს ქუჩაზე დაღუპული ადამიანების გლოვა...".**

**— ზოგადად მკაცრი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებთ.**

— რბილი ხასიათის პატრონი ნამდვილად არ ვარ. ხშირად შეუვალი და ჯიუტიც გახლავართ. ზოგადად ურთიერთობაში კი, არა მგონია, მკაცრი ვიყო. თუ ვინმეს ჰქონია ჩემთან ურთიერთობა, ყველამ იცის, რომ ხელოვნური დისტანცია, ხელოვნური სიმკაცრე არ მახასიათებს. უშუალო ადამიანი ვარ. პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით კი ვარ მკაცრი და ზოგ საკითხებში — საშინლად ჯიუტიც.

**— ოჯახშიც რთული ასატანი ხართ?**

— დიახ! რბილი ხასიათის არ ვარ.

**— ყველაფერი წესრიგში უნდა იყოს და აუცილებლად — ცხელი სადილი?**

— არა, არა! შეიძლება სადილი საერთოდ არ იყოს მომზადებული. ხან ვაქცევ ასეთ რამეს ყურადღებას, ხან — არა. სხვადასხვანაირი ვარ და, თუ დედაჩემს დავუჯერებთ, არ მაქვს მარტივი ხასიათი. ხშირად წვრილმანებზე მაქვს პრეტენზია და ადვილი მოსავლელი არ ვარ.

**— საქართველოს ახალ პრეზიდენტს, გიორგი მარგველაშვილს იმით იწუნებენ მავანნი, რომ მყარი ოჯახი ვერ შექმნა. როგორ ფიქრობთ, მამაკაცზეა დამოკიდებული მყარი ოჯახის შექმნა?**

— მარგველაშვილმა ძალიან კარგად განმარტა ეს ყველაფერი და ყველას აუხსნა. ვფიქრობ, რომ ადამიანის ცხოვრებაში დგება მომენტები, როცა ცვლილებებია საჭირო როგორც პირად, ისე სამსახურებრივ საქმიანობაში. არ მიყვარს ჩემს პირად ცხოვრებაზე საუბარი. პრესამ ამაზე ისედაც ბევრი ისაუბრა. როცა ჩვენ ერთად ვიყავით, კარგი ოჯახი გვქონდა, მაგრამ ეს უკვე წარსულია. ყველაფერს აქვს დასასრული. ადამიანის ცხოვრებაში ხდება ცვლილებები, ასე მოხდა ჩემთანაც. ზოგად რეცეპტს ვერ გეტყვით.

**— ცვლილებებში სხვის შეყვარებას გულისხმობთ?**

— ჩემს სიყვარულზე არ ვისაუბრებ.

**— ამბობენ, რომ თქვენი დაშორების მიზეზი სხვა ქალი გახდა. ჩვენი მშობლების თაობა ყოველთვის ერიდებოდა ასეთ ცვლილებებს, მათთვის მთავარი ოჯახის შენარჩუნება იყო.**

— არა მგონია, ასეთი ურთიერთობა სწორი იყოს. როცა ურთიერთობაში რაღაც ეტაპი მთავრდება, გარეგნულადაც უნდა დამთავრდეს და შინაგანადაც. ძალით რაღაცის შენარჩუნება, არა მგონია, სწორი იყოს და არც იმ ადამიანებისთვისაა ნორმალური, ვის თავსაც ეს ხდება. სიმართლე ყველაზე კარგი გამოსავალია.

**— როცა ახალი მთავრობა მოვიდა, პროკურატურას თქვენი ძმის, გიორგი სანაიას მკვლელობის თავიდან გამოძიების მოთხოვნით მიმართეთ. რაიმე ახალი არის ამ მხრივ?**

— ჩვენ მივმართეთ პროკურატურას, მაგრამ, სამწუხაროდ, პროკურატურამ ვერ შეძლო, ამ საქმისთვის მსვლელობა მიეცა და სრულიად დაუსაბუთებლად მოგვწერეს, რომ ხელახალ ძიებას ვერ დაიწყებდნენ. პროკურატურაში მოხდა ცვლილებები — ხელმძღვანელობა შეიცვალა და ჩვენ კიდევ ერთხელ მივმართავთ. ყველანაირი იურიდიული საფუძველი არსებობს, რომ გამოძიება თავიდან დაიწყოს. კვლავ მივმართავთ პროკურატურას და ზომებსაც მივიღებთ, რომ გამოძიება დაიწყოს. დღეს ხელისუფლებაში მყოფი ადამიანებიდან ბევრი ამბობდა, რომ ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა. მათი ვალია, ეს საქმე გაიხსნას. საზოგადოებამ ამ საქმეზე სიმართლე არ იცის და უნდა გაიგოს! სამ მთავრობას ჰქონდა ამ საქმესთან შეხება — შევარდნაძის, სააკაშვილის და ახლანდელს. 12 წელია გასული და საქმე გახსნილი არ არის. რამდენი წელიც უნდა გავიდეს, არ გავჩერდებით!

✓ **რუსუდან ადვაძე**


**მამაკაცების განკურნების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის განკურნება. საჭირო გამოკვლევები უფასოა! ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

ქ-ნი ქეთევანი

☎ 599-90-54-78, 234-02-38





Cyan Magenta Yellow Black

# დავით ზურაბიშვილი: „თვითმმართველობის გარეშე არ არსებობს დემოკრატია!“

## „არ ვარ დარწმუნებული, რომ პატრიარქი თვითონ გაეცნო ამ კანონპროექტს, უფრო მგონია, რომ მოუყვნენ სხვადასხვანაირად"



თვითმმართველობის რეფორმის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი იმით დამთავრდა, რომ კოდექსის პროექტში რამდენიმე ნორმა შეიცვალა. ამის შესახებ ჟურნალისტებს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა დავით ნარმანიამ განუცხადა. მისი თქმით, პარლამენტის სხდომაზე წარმოდგენილი იქნება კოდექსის უფრო მოდიფიცირებული და დახვეწილი ვარიანტი. ეს კოდექსი არსებითი საფრთხის შემცველი არასოდეს ყოფილა, მაგრამ შესაბამისი ნორმა კიდევ უფრო შევარბილეთო — განმარტა.

რესპუბლიკელ დავით ზურაბიშვილს თითიდან გამოწოვილად მიაჩნია საფრთხე, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმაში დაინახა საზოგადოებამ. საუბარია სეპარატიზმზე. საქართველოს პატრიარქი ბრძანებს, რომ ეს რეფორმა საქართველოს დაშლამდე მიიყვანს. ზურაბიშვილის აზრით, შიში უსაფუძვლოა.

**დავით ზურაბიშვილი:**

— მმართველი კოალიციის პროგრამაში ეწერა, რომ ეს რეფორმა განხორციელდებოდა და ეს არის ჩვენი პროგრამის განხორციელების პირველი ნაბიჯი. იქნება თვითმმართველი ქალაქები, სამხარეო ინსტიტუტებში შეგვაქვს დემოკრატიული ინსტიტუტები — საბჭოები, რომლებიც საკონსულტაციო ორგანო იქნება. ეს სერიოზული რეფორმაა. ვიტყოდი, რომ ამ სიდიდის რეფორმა ამ კუთხით ჯერ არ გატარებულა, არადა ამის გარეშე არ არსებობს დემოკრატია.

**— მართვა როგორ განხორციელდება შემოთავაზებული კანონპროექტით?**

— ყველა ქალაქი, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 15 ათასზე მეტია, უნდა იყოს თვითმმართველი. დღეს გვაქვს 5 თვითმმართველი ქალაქი და მათ დაემატება სამხარეო ადმინისტრაციის ქალაქები — მცხეთა, ზუგდიდი, თელავი... უნდა შეიქმნას თემებიც, მაგრამ ეს მოხდება შემდეგ ეტაპზე. ეს ეტაპობრივი რეფორმაა და უცებ არ განხორციელდება. თვითონ ევროსაბჭოს მოთხოვნა, რასაც თვითმმართველობას უყენებს, ანუ ევროპული სტანდარტი, ასეთია: მოსახლეობის რაღაც რაოდენობას უნდა აერთიანებდეს, მაგალითად, ერთი თვითმმართველი რეგიონი არ უნდა იყოს მილიონნახევრიანი და მეორე — ათიათასიანი, ანუ უნდა იყოს თანაფარდობა, ამიტომ არის, რომ დიდი ქალაქები იყოფა რამდენიმე მუნიციპალიტეტად.

**— მაღალმთიან რეგიონებზე რა წესი გავრცელდება?**

— მთიან რეგიონებზე ცალკე კანონი ვრცელდება, მათ მოწყობას სხვა კანონი არეგულირებს და ამას ცალკე მივხედავთ. იქ შეიძლება ისტორიული, ტრადიციული დეტალები გაითვალისწინო, სხვანაირად მიუდგე. მთიანი რეგიონები ამაში არ იგულისხმება.

**— ანუ ეს ბარზე გათვლილი რეფორმაა?**

— კი, თუმცა ბარშიც არის მცირემოსახლიანი სოფლები.

**— და რამდენად მისაღები იქნება გამსხვილება მცირერიცხოვანი სოფლებისთვის? ამაში მწარე გამოცდილება ნამდვილად გვაქვს.**

— ასეთი პრობლემები არის, მაგრამ იქმნება კომისია, რომელიც ამას შეისწავლის, მერე მთავრობაში მიიტანს, პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას, ანუ ეს ყველაფერი მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით. ასეა განსაზღვრული და არა — ისე, რომ ვიღაც დაჯდება თბილისში და სახაზავით მიუერთებს ერთ სოფელს მეორეს. ამ სახითხებს კომპეტენტური კომისია მოაგვარებს.

**— ამას საკმაოდ დიდი თანხა დასჭირდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტოპონიმიკაც კი შესაცვლელი გახდება.**

— თუ გავითვალისწინებთ, როგორი გაბერილია თვითმმართველობაში ფინანსები და დანახარჯები, მაგალითად, ქუთაისის მერიის კადრები და დანახარჯები ნიუ იორკის მერიის კადრებსა და დანახარჯებს ორჯერ აღემატება. თუ ხარჯების ოპტიმიზაციას მოვახდენთ, ფინანსების პრობლემა ნაკლებად შეიქმნება. არ ძვირდება, მაგრამ ცოტა რომც გაძვირდეს, ეს იმდენად მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის დემოკრატიული ინსტიტუტების მოწყობის თვალსაზრისით, რომ ღირს. მაგრამ, ილია ჭავჭავაძის ნათქვამის არ იყოს, ისე არ უნდა გამოვიდეს, თვითმმართველობის შენახვა სახელმწიფოს უჯდებოდეს უფრო ძვირი, ვიდრე ხეირი ჰქონდეს ამ თვითმმართველობისგან. ექვსკომლიან სოფელს რაში სჭირდება თვითმმართველობა? ამიტომ ხდება გამსხვილება და ხარჯების გადანაწილებაც.

> **„თუ სიღნაღში ვცხოვრობ, არ უნდა დამჭირდეს ელემენტარული რამის გამო ჩამოსვლა თბილისში. სამეურნეო საკითხები იქ უნდა გადაწყდეს და ამის ფინანსური შესაძლებლობაც ადგილზე უნდა იყოს. ეს არის თვითმმართველობა და სწორედ ეს აძლევს ადამიანებს მოქალაქეობრიობის განცდას, რომ სახელმწიფოში ცხოვრობენ".**

**— ეს რეფორმა ნარმანიას უწყებამ მოამზადა, მაგრამ მაინც თქვენთან, რესპუბლიკელებთან ასოცირდება. რატომ?**

— არ ვარ ამის წინააღმდეგი, მოგვაწერონ, მაგრამ საზოგადოება ამ შემთხვევაში შეცდომაშია შეყვანილი, ან შეიძლება იმიტომ თქვეს, რომ მინისტრის პირველი მოადგილე, შერგელაშვილი, ჩვენი პარტიის წევრია. ის არ არის ავტორი, თანაავტორია, ისევე როგორც ირაკლი მელაშვილი, არასამთავრო ორგანიზაციები. გარდა ამისა, ამ ტიპის თვითმმართველობას ჩვენ ყოველთვის ვუჭერდით მხარს და 2005 წელს რესპუბლიკურმა პარტიამ, როგორც ოპოზიციამ, პარლამენტში შევიტანეთ კანონი თვითმმართველობის შესახებ. იქ სამხარეოს მოწყობის მხრივ უფრო მეტი უფლებები იყო განსაზღვრული, მაგრამ მაშინ რატომღაც ისინი, დღეს რომ სეპარატიზმზე საუბრობენ, ამას მხარს უჭერდნენ.

**— ვის გულისხმობთ?**

— კახა კუკავას.

**— უკმაყოფილება სწორედ რეგიონული ანუ სამხარეო საკონსულტაციო საბჭოებმა გამოიწვია.**

— კარგი, არ დავარქვათ რეგიონი, მაგრამ სამხარეო დანაყოფები, სამხარეო ადმინისტრაციები, გვინდა თუ არა, არსებობს და, თუ სამეგრელოს სამეგრელოს დავარქმევთ და გურიას — გურიას, ამის გამო დავიშლებით? ჩვენ სამხარეო გუბერნატორებიც გვყავს და სამხარეო პოლიციაც. ანუ დღევანდელ რეალობაში ასეთი სტრუქტურა არსებობს. და როცა თვითმმართველ ერთეულებს აირჩევენ, რა მოხდება? დელეგირებული რომ იყოს რამდენიმე ადამიანი სხვადასხვა რაიონიდან სამხარეო ადმინისტრაციაში, რომელიც გააკონტროლებს ყველაფერს, ეს უფრო არ იქნება დემოკრატია, ვიდრე ის, რომ მმართველმა გუნდმა, როგორც უნდა, ისე მიიღოს გადაწყვეტილება?

**— დეცენტრალიზაციის ეშინიათ.**

— არ ვიცი, ვინ უფრთხის, ეს ხომ ისედაც გვაქვს? თუ თვითმმართველობის ელემენტის შეცვლის გამო ქვეყანას დაშლა ემუქრება, მაშინ დაღუპული ვყოფილვართ. ასეთი მარტივი რამ თუ დაშლის, გამოდის, რომ ის იმთავითვე არ ყოფილა ერთიანი ქვეყანა.

**— ხომ გაგიგიათ, მადა ჭამაში მოდისო და მომავალზე ფიქრობენ.**

— ეს არის ზღაპარი! რის საფუძველზე შეიძლება დაიშალოს? პირველი — ამ ერთეულს რაიმე პოლიტიკური ფუნქციები არ აქვს, ეს არ არის ფედერალური დაყოფა. ფედერალური დაყოფა — ეს არის სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები და აქ ამაზე არ არის საუბარი. ეს იქნება მხოლოდ თვითმმართველობის ორგანოები და ეს სრულიად სხვადასხვა რამ არის. მას რაიმე პოლიტიკური უფლება არ ექნება, მხოლოდ წმინდა სამეურნეო დატვირთვის იქნება. პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლება იღებს. თუ ვიღაც მივიდა, დროშა აღმართა და, სიტყვაზე, გურიამ გამოაცხადა ცალკე რესპუბლიკა, სხვა საქმეა, მაგრამ ეს კანონპროექტი საერთოდ არ ითვალიწინებს ადმინისტრაციის მიხედვით რეგიონების შეცვლას. ეს უკვე არსებობს და მასში შედის საბჭოების კუთხით დემოკრატიული ელემენტი. მხოლოდ ესაა.

**— ანუ მასზე, როგორც პოლიტიკური ნიშნის მატარებელ ერთეულზე, შიში გადამეტებულია?**

— არათუ გადამეტებული, უსაფუძვლოა! დეცენტრალიზაცია არანაირ კავშირში არაა თვითმმართველობასთან. თვითმმართველობის არარსებობა უფრო იწვევს დეცენტრალიზაციას. მაგალითად, არაქართული მოსახლეობით დასახლებულ რეგიონს თუ არ აქვს თვითმმართველობა და ვერ განაგებს თავის თავს, იქ უფრო იქნება გაუცხოება, მაგრამ, როცა ერთიან სახელმწიფოებრივ მმართველობაშია ჩართული, ის უფრო ინტეგრირებული და პატივისმცემელი ხდება თავისი სახელმწიფოსი.

**— თუ ასე მარტივადაა ყველაფერი, საქართველოს პატრიარქმა რატომ ამოიკითხა საფრთხე?**

— არ ვარ დარწმუნებული, რომ პატრიარქი თვითონ გაეცნო ამ კანონპროექტს, უფრო მგონია,რომ მოუყვნენ სხვადასხვანაირად.

**— მაგრამ ფაქტია, რომ მისი განცხადების შემდეგ ამოღებულია მეშვიდე კარი.**

— არაფერი აუკრძალავთ. მთავრობაში მეშვიდე კარის შესახებ შეთანხმება არსებობს და



Cyan Magenta Yellow Black

# ეკა ბესელია: „პატრიარქის აზრი თვითმმართველობის კანონპროექტზე ყურადსაღებია“

ას უკვე ყოფილმა მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა ერთხელ თქვა, სამართალი ურმით დადისო, მაგრამ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სამართლიანობის ლოზუნგით მოსული ხელისუფლების პირობებში ის ურმით კი არა, კუს ნაბიჯებით ივლიდა. ახლა ისიც ირკვევა, რომ ხელისუფლების მიერ დაპირებული მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნა გადაიდო. აღნიშნულ კანონპროექტზე მუშაობა 2013 წლის იანვრიდან დაიწყო და მას უკანონობის მსხვერპლი ათასობით ადამიანის ბედი უნდა გადაეწყვიტა. იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გადავადების მიზეზად ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა დაასახელა.

საზოგადოების ლეგიტიმურ მოთხოვნაზე უარის თქმა სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს დაუშვებლად მიაჩნია, თვლის, რომ ხელისუფლებას უკან დასახევი გზა არ აქვს. ის მალე თავად მიმართავს პარლამენტს საკანონმდებლო წინადადებით, მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი მექანიზმის შექმნის მოთხოვნით.

**„მე არ მისაუბრია პატრიარქთან და ვერ გეტყვით, რატომ გაუჩნდა მას ეს მოსაზრება, მაგრამ მისი აზრი არის მნიშვნელოვანი. ის საფრთხეებიც, რომლებიც შესაძლოა სხვაგვარად დაინახა პატრიარქმა, დამატებითი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ჩვენ საქართველოში არსებული მდგომარეობის მიხედვით უნდა ვიმოქმედოთ და გავითვალისწინოთ ყველა საფრთხე და ყველა შესაძლო შედეგი".**

იუსტიციის მინისტრის გადაწყვეტილებით გაოცებული დარჩა უმრავლესობის წევრი თინა ხიდაშელიც. არ ვიცი, რა ერქმევა — მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია თუ სხვა რამ, მაგრამ ეს პროცესი სასწრაფოდ დასაწყებიაო, ამბობს. სამაგიეროდ პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეს, ეკა ბესელიას, იუსტიციის მინისტრის კარგად ესმის.

საზოგადოებაში არანაკლებ ვნებათაღელვას იწვევს კანონპროექტი თვითმმართველობის შესახებ. საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ ქადაგებისას ყველას მოუწოდა, რომ ამ საკითხის მიმართ სიფრთხილე გამოიჩინონ, რომ არ მოხდეს ქვეყნის დანაწევრება და დაშლა. დიდი ცვლილებებია პარტია „ქართულ ოცნებაშიც“, რომელსაც ახალი თავმჯდომარე, ახალი გენმდივანი ჰყავს.

ამ აქტუალურ პოლიტიკურ თემებზე „სარკე“ ეკა ბესელიას ესაუბრა.

**ეკა ბესელია:**

— სახელს ახლა კი არ ვარქმევთ, მაშინ დავარქვით, როცა პოლიტიკური პატიმრები ვალიარეთ და გავათავისუფლეთ. პრაქტიკულად მაშინ გამოვიტანეთ განაჩენი და სწორედ ეს იყო ყველაზე მძიმე დარტყმა სააკაშვილის ხელისუფლებისთვის. ამას დღემდე ვერ ეგუებიან და ამიტომაც დღემდე აქვთ დემაგოგიური გამოსვლები. ასე რომ, სახელი დარქმეულია, მაგრამ ახლა საუბარია ამ პროცესის გაგრძელებაზე. პარლამენტმა დაიწყო და მერე იქნება მეორე ეტაპი. პირველი ეტაპი იყო პოლიტპატიმრების გათავისუფლება, შემდეგ იყო ამნისტიის კანონი, ამნისტია და ახლა უნდა გაგრძელდეს კონკრეტული საქმეების შესწავლით. ეს რთული პროცესია, რადგან ლაპარაკია ათეულ და ასეულობით ადამიანზე. ასეთი სამუშაოს ჩატარებას კი მომზადება სჭირდება. ჩვენ ვთქვით, რომ უარს კი არ ვამბობთ ამაზე, უბრალოდ უნდა მოვემზადოთ, გარკვეულ სისტემაში უნდა მოვიყვანოთ, ამისთვის მზად უნდა იყოს სასამართლო, გამოძიების ორგანოები. ეს არის იმ მასშტაბის სამუშაო, რომ არ იცი, როდის დასრულდება და საერთოდ დასრულდება თუ არა პროცესი. 1000 ადამიანის საქმეს რომ მიხედო, მეორე 1000 დაგრჩება.

რთული საქმეა, მაგრამ მე მაინც ვემხრობი იმ იდეას, რასაც ყოველთვის ვემხრობოდი — სამართლიანი სასამართლოს უფლებით უნდა ისარგებლონ ადამიანებმა და რადგან ვაღიარებთ, სასამართლო იყო კორუმპირებული, ეს ნიშნავს, რომ ამ სასამართლოს გამოჰქონდა უკანონო განაჩენები. ამხელა რესურსი კი, გამოიძიო ყველა საქმე, ჯერ არ არის. არც პროკურატურაში არ არის ამხელა რესურსი, ახლა მიმდინარეობს რეფორმა. სასამართლო სისტემაში კი იგივე მოსამართლეები არიან. ამ სასამართლოს პირობებში ხომ ძალიან რთულია ამის გაკეთება? ეს არ არის ერთ და ორ დღეში გადასაწყვეტი საკითხი. რაღაც ეტაპები უნდა გავიაროთ, რომ ეს მომზადდეს, ამაში საერთაშორისო ექსპერტებიც უნდა ჩაერთონ, უნდა მოხდეს კონკრეტული თემის არჩევა და რაღაცით უნდა დაიწყოს.

**— ანუ ამბობთ, რომ სანამ სასამართლო რეფორმა არ განხორციელდება, ამ კომისიის შექმნას აზრი არ აქვს?**

— საფიქრალია, დაველოდოთ თუ პარალელურ რეჟიმში მოხდეს ამის გაკეთება. აბა, როგორ წარმოგიდგენიათ, რომ იმავე მოსამართლემ განიხილოს ეს საქმე?

**— სამართლიანობის აღდგენის გადავადებას პოლიტპატიმრები და ისეც თქვენი გუნდის წევრებიც არ ეთანხმებიან. ნანა კაკაბაძე საპროტესტო აქციებზე საუბრობს. მოსახლეობაც არ იწონებს, ამბობენ, სამართლიანობის აღდგენის ლოზუნგით მოვიდნენ და რომ მოვიდნენ, მერე**

→18

კიდევ იქნება საუბრები. რა თქმა უნდა, ყველას შეუძლია თავისი განწყობები დააფიქსიროს და ვის აქვს უფლება, პატრიარქს აუკრძალოს თავისი მოსაზრებების გამოთქმა? მაგრამ გადაწყვეტილებას იღებს პარლამენტი. ეს კანონპროექტი შეთანხმებულია მთავრობაში, ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკიდან წასვლის წინ დატოვა და ითქვა, რომ აბსოლუტურად მხარს უჭერდა ყველა, დღევანდელი პრემიერმინისტრ ღარიბაშვილის ჩათვლით. პროექტი მთავრობის ინიციატივით არის პარლამენტში შესული. საკანონმდებლო ორგანოში იქნება განხილვა, შესაძლოა, რაღაც დეტალები დაზუსტდეს, მაგრამ არსებით ცვლილებებს ნამდვილად არ ველი.

**— ანუ არაფერი შეიცვლება?**

— ტექნიკური ცვლილებები ალბათ იქნება, არსობრივი — არა მგონია. რა ცვლილებები უნდა შევიდეს? გაზაფხულიდან მოყოლებული ეს კანონპროექტი განიხილება, ნარმანიამ, შერგელაშვილმა, მელაძემ, არასამთავრობოებმა დიდი შრომა ჩადეს, მოიარეს მთელი საქართველო, ყველ რეგიონში იყვნენ, ფართო განხილვის საგანი იყო. კომიტეტებში ახლაც იქნება განხილვა. ნამდვილად არ ველი, რომ დიდი ცვლილებები მოხდება.

**— არასაპარლამენტო ოპოზიცია ინტერპარტიული ჯგუფის შექმნას ითხოვს.**

— არანაირი ინტერპარტიული ჯგუფი არ შეიქმნება, ამას პირდაპირ გეტყვით. არსებობს ინტერფრაქციული ჯგუფი და მონაწილეობა მიიღონ, როგორც შესაძლებელია — საკომიტეტო მოსმენებში და ა.შ. პარლამენტის გარეთ რამდენი არასაპარლამენტო პარტიაა, ყველა რომ მოვიწვიოთ და ყველა ჩავრთოთ გადაწყვეტილების მიღების მომენტში, უბრალოდ შეუძლებელია.

**— მაგრამ მწვავე პოზიციაზე არიან.**

— მათი პრობლემაა. ისინი ცდილობენ, დაიმკვიდრონ ადგილი პოლიტიკურ სივრცეში და გადაწყვეტილებების მიღებაში იყვნენ ჩართული, მაგრამ მე, პირადად, რომ შევხედო ექსპერტის თვალით, მიმაჩნია, რომ ძალიან არასწორად იქცევიან. რა განცხადებასაც აკეთებენ, აზრი არ აქვს. ჩვენს ადგილზე რომ იყვნენ, ჩვენნაირად მოიქცევიან.

როგორ წარმოგიდგენიათ, როცა რამე კანონი იხილება, ყველა პარტია, იმის და მიუხედავად, არის თუ არა პარლამენტში, 0.5 რეიტინგი აქვს თუ 10.5, უნდა იყოს ჩართული? რაც შეეხება გახსნილობას, მას პარლამენტი უზრუნველყოფს. არავის უშლის მონაწილეობის მიღებას, არც ინტერფრაქციულში და არც საკომიტეტო მოსმენებზე, მაგრამ მათი თანხმობის გარეშე გადაწყვეტილება არ მივიღოთ? მაშინ ბარემ შემოვუშვათ პარლამენტში.

**— რა ვადაზეა გათვლილი ეს რეფორმა?**

— ძნელია თქმა, ვნახოთ, ადგილობრივი არჩევნებისთვის დაიწყება და მერე რაღაცეები კიდევ გამოჩნდება.

**— ამ რეფორმით როგორ საქართველოს ელით?**

— ერთი კანონის მიღებით რომ ქვეყანა იცვლებოდეს! მაგრამ ამ კანონის მიღება იქნება რეალური ნაბიჯი დემოკრატიული ინსტიტუტების შემოღებისთვის. თვითმმართველობის არსი რა არის? პრობლემის ერთიანი გადაწყვეტა და რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა იგრძნოს, რომ მონაწილეობს ქვეყნის და საკუთარი თავის მართვაში. თუ სიღნაღში ვცხოვრობ, არ უნდა დამჭირდეს ელემენტარული რამის გამო ჩამოსვლა თბილისში. სამეურნეო საკითხები იქ უნდა გადაწყდეს და ამის ფინანსური შესაძლებლობაც ადგილზე უნდა იყოს. ეს არის თვითმმართველობა და სწორედ ეს აძლევს ადამიანებს მოქალაქეობრიობის განცდას, რომ სახელმწიფოში ცხოვრობენ.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

დაიწყესო.

— მართლებიც არიან, მართლაც ასე მოვედით და ეს არის ჩემთვის მთავარი რამ. ამიტომაც პირველი, რაც დავიწყეთ, სწორედაც სამართლიანობის აღდგენის პროცესი იყო, მაგრამ ახლა არის შემდეგი ეტაპი, რომელიც გამოძიებამ, სასამართლომ უნდა გააკეთოს. ასე მალე ვერ გაკეთდება და ამაში პროკურატურის როლი იქნება უმნიშვნელოვანესი.

**— მოსახლეობა კითხულობს, ხელისუფლებაში მოსვლისას არ იცოდით, ასე რომ იქნებოდაო. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ლოზუნგი თავის დროზე იყო გაუაზრებელი ან ზედმეტად პოლიტიზირებული?**

— არა, არ იყო ზედმეტად პოლიტიზირებული, რადგან იმ დროს ყველაზე მეტად იყო უსამართლობის განცდა და ირღვეოდა ადამიანის უფლებები. ჩვენი ამოცანა ნამდვილად არის, რომ კანონის უზენაესობა დამკვიდრდეს, მაგრამ კონკრეტულ საკითხზე რომ გადადიხარ, ლოზუნგებით ხომ არ დავიწყებთ ამ პრობლემის მოგვარებას? პროკურატურამ უნდა დაიწყოს კონკრეტული საქმეების გამოძიება და უნდა განხორციელდეს საკადრო რეფორმები. პროკურატურა უნდა გათავისუფლდეს ადეიშვილისდროინდელი პროკურორებისგან, ვინც უკანონობას ჩადიოდნენ და დაკომპლექტდეს ახალი კადრებით, რომლებიც ამ საქმეებზე დაიწყებენ მუშაობას. პრიორიტეტული, რა თქმა უნდა, იქნებიან პატიმრობაში მყოფი პირები.

**„ჩვენი ამოცანაა, კანონის უზენაესობა დამკვიდრდეს, მაგრამ ამ პრობლემის მოგვარებას ლოზუნგებით ხომ არ დავიწყებთ? პროკურატურამ უნდა დაიწყოს კონკრეტული საქმეების გამოძიება, უნდა გათავისუფლდეს ადეიშვილისდროინდელი პროკურორებისგან და დაკომპლექტდეს ახალი კადრებით, რომლებიც ამაზე დაიწყებენ მუშაობას".**

**— დაახლოებით რამდენი საჩივარია შემოსული?**

— ჩემთან, პირადად, 13 ათასი საჩივარია შემოსული. აქედან ყველაზე დიდი ნაწილი ეხება სწორედ უკანონო მსჯავრდებულების საქმეებს. რამდენიმე ათასით მეტია პროკურატურაში.

**— საიდან დაიწყებთ, სისხლის სამართლით?**

— არ ვიცი, კონკრეტულად ვერ გეტყვით, ჯერ მუშა პროცესი უნდა დასრულდეს.

**— არანაკლებ ხმაურიანი გამოდგა მთავრობის მიერ შემოთავაზებული თვითმმართველობის რეფორმა. პირადად თქვენ რა აზრის ხართ ამ რეფორმასა და მის მოსალოდნელ შედეგებზე?**

— თვითმმართველობის რეფორმა სერიოზული რამაა და, ბუნებრივია, რომ ამაზე მსჯელობა იქნებოდა. მე ის მიკვირს, რატომაა გასაკვირი, რომ განხილვის დაწყების დროს დისკუსია შედგებოდა. გაცილებით უფრო ცუდი იქნებოდა, რომ ამაზე რეაქცია არ ყოფილიყო. ეს ნორმალური პროცესია. კანონპროექტის განხილვა ახლა იწყება, ჯერ ზოგად კონცეფციებზე მოხდება პოზიციათა შეჯერება და მერე მუხლობრივ განხილვაზე გადავალთ. მთავარი არის ის, რომ ეს რეფორმა ეტაპობრივად განხორციელდება და არა — ნაჩქარევად. ისეთ გადაწყვეტილებას მივიღებთ, რომელიც ქვეყნისთვის იქნება უკეთესი და უსაფრთხო.

**— ამ კანონს სწორედ იმის გამო აკრიტიკებენ, რომ უსაფრთხოების ნორმები არ არის გათვალისწინებული. არასაპარლამენტო ოპოზიცია აცხადებს, რომ ეს რეფორმა ქვეყნის დაშლას გამოიწვევს. საქართველოს პატრიარქმაც იგივე საფრთხე დაინახა.**

— მე არ მისაუბრია პატრიარქთან და ვერ გეტყვით, რატომ გაუჩნდა მას ეს მოსაზრება, მაგრამ უწმინდესის აზრი არის ყურადსაღები და მნიშვნელოვანი. ის საფრთხეებიც, რომლებიც შესაძლოა სხვაგვარად დაინახა პატრიარქმა, დამატებითი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ჩვენ ვსაუბრობთ გუნდის შიგნით. სანამ უწმინდესი გააკეთებდა განცხადებას, ჩვენც გვქონდა დისკუსია, კითხვები და საინტერესო დებატებიც. ზოგადად ყველა რეფორმა გარკვეული საფრთხეების შემცველია, ამიტომ საქართველოში არსებული სპეციფიკური მდგომარეობის მიხედვით უნდა ვიმოქმედოთ და გავითვალისწინოთ ყველა საფრთხე და ყველა შესაძლო შედეგი.

**— რომ არ ყოფილიყო პატრიარქის განცხადება, თუ იქნებოდა ასეთი ყურადსაღები ეს პროექტი?**

— ხომ გითხარით, შიგნითაც იყო განსხვავებული მოსაზრებები და ეს კითხვები შიგნითაც დაისვა, მაგრამ პატრიარქის განცხადებამ სხვა ელფერი, სიმაღლე, ტონალობა შესძინა. ეს პროექტი ჯერ განსჯის საგანია და ცვლილებები მოხდება.



**— დიდი ცვლილებები გაქვთ პარტია „ქართულ ოცნებაში" — ახალი თავმჯდომარე, ახალი გენმდივანი, განახლებული პოლიტსაბჭო და განაწყენებული ზაქარია ქუცნაშვილი...**

— ბუნებრივი პროცესია, რომ არჩევნების შემდეგ სახელისუფლებო პარტია შიდაპარტიულ მშენებლობაზე გადადის. საქართველოს პრემიერმინისტრის სახით პარტიას ახალი თავმჯდომარე ჰყავს და პარტიაშიც პარტიული განახლების პროცესი მიმდინარეობს. როცა პოლიტსაბჭო მცირერიცხოვანია, გადაწყვეტილების მიღების პროცესში უფრო მოქნილია და ალბათ ეს გადაწყვეტილებაც ამიტომ იქნა მიღებული. ახლა უკვე ვემზადებით ადგილობრივი არჩევნებისთვის.

**— ზაქარია ქუცნაშვილი ასე მწარედ რამ გაანაწყენა?**

— არ ვიცი, არ მინდა ამაზე საუბარი.

**— ისე, ითქვა, დავით საგანელიძესთან ქიშპობას შეეწირაო. ირკვევა, რომ საგანელიძეც ფიქრობს პოლიტიკიდან წასვლაზე.**

— საგანელიძემ ძალიან დიდი შრომა ჩადო ამ არჩევნებში. ის იყო ორი არჩევნების შტაბის უფროსი — საპარლამენტოსი და საპრეზიდენტოსი და ეს ორივე არჩევნები იყო გადამწყვეტი. ამიტომ საგანელიძის შრომა დასაფასებელია. როგორც წესი, ვინც მეტს აკეთებს, მის მიმართ მეტი კრიტიკაცაა. აბა, როცა ადამიანი არაფერს აკეთებს, შესაფასებელიც არაფერი აქვს და არც არავის უშლის ნერვებს. დათოს ხშირად უწევს დაუმსახურებელი შენიშვნების მიღება და გულწრფელად მესმის მისი, რადგან მადლიერება არის ადამიანის ძალიან მნიშვნელოვანი თვისება. დათოს როლი ძალიან მნიშვნელოვანია ქართულ პოლიტიკაში. შეიძლება იყვნენ ადამიანები, რომლებსაც მის მიმართ განსხვავებული პოზიცია აქვთ, მაგრამ მე მის მიმართ პოზიტიურად ვარ განწყობილი, მართლა ძალიან ბევრი გააკეთა.

**— ხმამაღლა საუბრობდა ხოლმე წასვლაზე?**

— რაც პარლამენტში შემოვიდა, მას მერე ამბობს, რომ ოჯახურ გარემოში სურს ყოფნა. იცით, რომ ჰყავს პატარა შვილები. ადამიანის ცხოვრებაში არის რაღაც ეტაპი, როცა პაუზის გაკეთება და სხვა ეტაპზე გადასვლა გინდება. მესმის დათოსი. ადამიანი დაიღალა და დასვენება სჭირდება. ეს განცხადება რაღაც კონფლიქტის გამო ნამდვილად არ გაუკეთებია.

**— რომ არ გკითხოთ, არასწორი იქნება. ითქვა, რომ მანანა კობახიძისა და თქვენ მიმართაც არის გარკვეული შენიშვნები და შეიძლება ეს პოლიტსაბჭოდან თქვენი გასვლით დასრულდეს.**

— ვინ თქვა ასეთი სისულელე?! მგონია, სერიოზულ ინტერვიუს გაძლევთ და ჭორებზე ნუ მალაპარაკებთ. ეს უკვე არასერიოზულია. ახლახან მოხდა პოლიტსაბჭოს არჩევა და დღეს ამაზე საუბარი არასერიოზულია.

**— რამდენად კმაყოფილი ხართ თქვენი ერთწლიანი მუშაობით?**

— ჩემი კომიტეტის მაგალითზე გეტყვით, რომელსაც ყველაზე დიდი შრომა და ჯაფა დაატყდა თავს. ამ კომიტეტში 4 წლის განმავლობაში სულ 5 ათასი განცხადება შედიოდა და ახლა კი უკვე 13 ათასია შემოსული. ჩვენმა კომიტეტმა პარლამენტში კორესპონდენციების სამუშაოების 47 პროცენტი შეასრულა, რაც დიდი ტვირთია და მართლაც ძალიან გაგვიჭირდა ამის გაკეთება იმ მცირე საკადრო რესურსით, რაც კომიტეტს აქვს. ვიმუშავეთ 24 საათიან რეჟიმში და ურთულესი საკითხები დავძლიეთ. მგონია, რომ პარლამენტის 4 წლიანი მუშაობის გვირგვინი იქნება — ამნისტიის კანონი და პოლიტპატიმრების გათავისუფლება.

**— ხელისუფლების მხრიდან გაწეული სამუშაოთი კმაყოფილი ხართ?**

— გარდამავალი ეტაპი იყო, რაც ძალიან მძიმე გახლდათ. როცა სააკაშვილი გყავს ოპოზიციაში და საბოტაჟის რეჟიმში მუშაობ, მართვა არის ურთულესი, მაგრამ ამ პირობებში გაკეთდა მაქსიმუმი. რა თქმა უნდა, უშეცდომო არავინ არის.

**„დათო საგანელიძეს ხშირად უწევს დაუმსახურებელი შენიშვნების მიღება. რაც პარლამენტში შემოვიდა, მას მერე ამბობს, რომ ოჯახურ გარემოში სურს ყოფნა. პატარა შვილები ჰყავს. მე მესმის დათოსი. ადამიანი დაიღალა და დასვენება სჭირდება. ეს განცხადება რაღაც კონფლიქტის გამო არ გაუკეთებია".**

**— რა შეცდომები დაინახეთ?**

— შეიძლება იყო საკადრო გადაწყვეტილებები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში არ აღმოჩნდა გამართლებული, შეიძლება რაღაცეები ვერ მოვასწარით... მაგრამ, რომ გითხრათ, რაიმე კატასტროფული იყო-მეთქი, ასეთი რამ არაფერი მახსენდება.

**— და ამ ახალი რეალობით რას ელოდებით?**

— ბევრი საქმის დასრულებას, რომელიც დაწყებულია და ეს არის გახმაურებული საქმეები, ველოდები კორუფციული სქემების გამომზეურებას, ანუ ძირითადად სამუშაოს მაინც ძალოვანი უწყებებიდან ველოდები. დანარჩენი — მთავრობა აქტიურად მუშაობს, რომ თვითმმართველობის არჩევნებისთვის მოემზადოს და სოციალური პროექტები განხორციელდეს. მომავალ წელს ჩვენი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა ბევრად უნდა გაუმჯობესდეს და სამართლებრივი გზების მოსაწესრიგებლად საქმეები დაიძრას.

**— პარლამენტში, უფრო სწორად, მმართველ კოალიციაში, შეიცვლება პოლიტიკური კლიმატი? ამბობენ, „ფორუმი" განზე უკვე სერიოზულად იხედებაო.**

— ჩემი კომიტეტის საქმეებში ისე ვარ ჩაფლული, რომ ასეთი დეტალები არ ვიცი.



Cyan Magenta Yellow Black

# სოსო ცისკარიშვილი მოუსვენარ საქართველოს ელოდება

## „ეს ალიაქოთი მალე არ დაწყნარდება"



2014 წელი ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც საქართველოს უახლეს ისტორიაში ყველაზე რთულ წლად ესახება. ექსპერტ სოსო ცისკარიშვილისთვის კი ეს სწორედ ის წელია, როცა საზოგადოების დაყოფა ხელისუფლებად და მოსახლეობად ყველაზე ნაკლებ წაადგება საქართველოს პერსპექტივას. მისი თქმით, უნდა გავაცნობიეროთ ქვეყნის წინაშე მოვალეობა. თუ ჩავთვლით, რომ მხოლოდ ხელისუფლებაა ის რგოლი, რომელმაც ყველა ვალდებულება უნდა შეასრულოს და დემოკრატია დაამყაროს, შანსები შეგვიმცირდება. ექსპერტი ქვეყნის გამოწვევებსა და მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობს.

**სოსო ცისკარიშვილი:**

— სირთულეებით სავსე წელიწადი გველის. რეალური და არა ფასადური სწრაფვით შევძლებთ, დავარწმუნოთ ჩვენი ევროპელი პარტნიორები, რომ ჩვენი ცნობიერება უახლოვდება ევროპულს და მივიღებთ იმ კანონებს, რომელთა შესახებაც მრავალი წლის განმავლობაში გვესაუბრებოდა ევროკავშირი. საქართველოს სჭირდება კანონი მიგრაციის შესახებ, ანტიმონოპოლიური და ანტიკორუფციული კანონები, დემოკრატიული შრომის კოდექსი, საკვების უვნებლობის კანონი...

— **ნაციონალები შრომის კოდექსს და კიდევ სხვა კანონებზე ღიად საუბარს აბრალებენ საინვესტიციო ამინდის გაუარესებას ქვეყანაში.**

— აბა, ნაციონალებმა სხვა რა უნდა თქვან? მაშინ უნდა დააყოლონ, რა ჩრდილოვანი გარიგება ახლდა მათ დროს ყველა ინვესტორთან ურთიერთობას. მარტივი მაგალითი შემიძლია მოგიყვანოთ — როგორ აშენდა თბილისის საერთაშორისო აეროპორტი. პირველი ტენდერი თურქულმა კომპანიამ მოიგო. ამ კომპანიას მოაგებინეს ტენდერი იმიტომ, რომ ჩამოტანილი პროექტის ფასი იყო 47 მილიონი და, როცა მოიგეს ტენდერი და წავიდნენ, გამოაცხადეს, რომ პროექტის ფასი იყო 62 მილიონი. სად წავიდა ეს 15 მილიონიანი სხვაობა, ადვილი წარმოსადგენია. მერე მათ ვერ მოაგროვეს ეს თანხა და უარი თქვეს ტენდერის განხორციელებაზე, სამაგიეროდ ამ მოლაპარაკების ერთ-ერთი მონაწილე თურქების მხრიდან, ლუქსემბურგული კომპანია, ყველგან ჩიოდა ევროპაში, რომ საქართველოს ხელისუფლებამ აიძულა, 15 მილიონით გაეძვირებინა ეს პროექტი.

მერე სხვა კომპანიამ, ისევ თურქულმა, ააშენა და, მიუხედავად განსხვავებული პროექტისა, მაინც 62 მილიონი დაჯდა. მე ვარ მოწმე, რომ ამ კომპანიამ ისე ასიამოვნა ხელისუფლება, დაიტოვა უფლება, აეროპორტში განთავსებული სატელევიზიო ეკრანი მუდმივად ყოფილიყო თურქული გადაცემების მიმწოდებელი. თანამშრომლებს ეკრძალებოდათ მისი ქართულ არხებზე გადართვა. უფრო მეტიც, სატელევიზიო პულტს თურქი მენეჯერი ინახავდა საკუთარი საწერი მაგიდის უჯრაში. ასე რომ, საქართველოს დედაქალაქის ცენტრალურ აეროპორტში არ იყო საშუალება, ქართულ ენაზე მოგესმინა ინფორმაცია.

ნაციონალები ბრიუსელს დიდი ხნის განმავლობაში ჰპირდებოდნენ, რომ მალე ამუშავდებოდა კანონი მიგრაციის შესახებ, მაგრამ ჯერ განხილულიც არ არის, ისევე როგორც კანონი სურსათის უვნებლობის შესახებ.

— **ანუ გარიგებულები იყვნენ დაბალი ხარისხის მწარმოებელ კომპანიებთან?**

— ეტყობა.

— **ბოლო ერთი წლის განმავლობაშიც რომ არ შეიცვალა რამე, ეს რისი ბრალია?**

— ახლა დაიხვეწა კანონი ანტიმონოპოლიური სამსახურის შესახებ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჯერ განხილვის საგანი არ გამხდარა. ამაზე მკაფიო პასუხი ყოფილ პრემიერმინისტრს არ გააჩნდა, მაგრამ, ცხადია, რომ არანაირი პარაფირებული ტექსტის ხელმოწერა არ მოხდება, თუ ნახევარი წლის განმავლობაში ყველა პირობა არ შესრულდება ჩვენი მხრიდან.

— **ფაქტია, რომ იმ კანონების მიღებას, რაც მთავრობას უნდა, არაფერი უდგას წინ. ამის მაგალითია უფლებაშეკვეცილი პრეზიდენტისთვის ხელფასის გაზრდა. რას ფიქრობთ, ეს დროული იყო?**

— ახალ პრეზიდენტს შემოსავალი ბევრად ნაკლები რომ ექნება, ვიდრე ძველს, ამაში ეჭვი არავის ეპარება. პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ წელიწადში რამდენჯერმე მაინც მცირე ქველმოქმედება გასწიოს. ქვეყანამ თავის არჩეულ პრეზიდენტს ხელფასიდან ხელფასამდე ლოდინი არ უნდა აკადროს. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ გიორგი მარგველაშვილს არავისთვის აუტალახებია კარი, ხელფასი გამიზარდეთო. ეს იყო მთავრობის გადაწყვეტილება. არა მგონია, რომელიმე ევროპელ პრეზიდენტს 4.000 ევრომდე ჰქონდეს ხელფასი, ბევრად მეტი აქვთ.

— **იქაურ მოქალაქეებსაც არ აქვთ საარსებო მინიმუმი 150 ლარი, საშუალო ხელფასი კი — 300 ლარი.**

— პრეზიდენტმა თავად მოისპო ფუფუნების შესაძლებლობა, უარი თქვა იმ სასახლეზე, რომელიც პრეზიდენტისთვის აშენდა, რაც, ჩემი აზრით, არცთუ სწორი ნაბიჯია. სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს საკმარისი სიმბოლოები, პრეზიდენტის სასახლე კი ერთ-ერთი სიმბოლოა. ის უნდა დავტოვოთ სახელმწიფო კუთვნილებად, სადაც მნიშვნელოვანი შეხვედრები გაიმართება.

— **2014 წელს რა გამოწვევები ელოდება ხელისუფლებას?**

— ეს იქნება წელი, როცა საზოგადოების დაყოფა ხელისუფლებად და მოსახლეობად ყველაზე ნაკლებ წაადგება ქვეყანას. ყველამ უნდა გავაცნობიეროთ ჩვენი ვალდებულებები. თუ ჩავთვლით, რომ მხოლოდ ხელისუფლებაა ის რგოლი, რომელმაც ყველა ვალდებულება უნდა შეასრულოს და დემოკრატია დაამყაროს, შანსები შეგვიმცირდება. დემოკრატია არ არის ლამაზი ფრაზების კორიანტელი, ეს უნდა იყოს ჩვენი ცნობიერების საყრდენი. ჩვენი დემოკრატიიდან ახლა მხოლოდ ქართული სუფრის ინსტიტუტის და თამადის ვალდებულების შეთავაზება შეგვიძლია სხვებისთვის, რომ სუფრასთან მყოფი არც ერთი სტუმარი უდღეგრძელებელი არ დარჩეს. ეს არის ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით დიდი მონაპოვარი და ამას ბევრი უცხოელი აღიარებს. ეს არის ფორმა ურთიერთობისა, სადაც თავმოყვარე ადამიანები სხედან და არ არის არანაირი მლიქვნელობა. ეს დამოკიდებულება უნდა გვახასიათებდეს ეთნიკური, რელიგიური უმცირესობების მიმართაც. ვერ ვიტყვი, რომ ყველა უმცირესობა ჩემთვის მისაღებია, მაგრამ თავს არ მივცემ უფლებას, ჩემგან განსხვავებულს სულ ჭკუა ვარიგო და ვებრძოლო.

ვერ მოხერხდა, რომ საქართველოს მოსახლეობამ ქართული ენა იცოდეს, რისთვისაც აუცილებელია ერთიანი საინფორმაციო სივრცის არსებობა. კიკეთის და პანტიანის შემდეგ ქართული მაუწყებლობა წყდება. თურქული, სომხური, აზერბაიჯანული — კი, ბატონო. ის, რომ რადიოსიგნალი არ ვრცელდება რეგიონებში, ქვეყანას საფრთხეს უქმნის.

— **ამიტომაც მთავრობა და რესპუბლიკელები ირწმუნებიან, ამ ყველაფერს თვითმმართველობის რეფორმა გამოასწორებსო, თუმცა სხვები არ ეთანხმებიან.**

— ვის შეშფოთებასაც იწვევს ეს კანონპროექტი, ისინი ისტორიულ გამოცდილებას ეყრდნობიან. ეს პრობლემა ბევრ სხვა ქვეყანასაც ჰქონდა და გაიარა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს სამეზობლოში არის მოთამაშე, რომელსაც არაერთი გეგმა აქვს დასახული საქართველოს დეზინტეგრაციისთვის.

— **ანუ სეპარატისტული საფრთხე რეალურია?**

— რეალური შეიძლება იყოს მაშინ, თუ მას ვერ გრძნობ და არ გაქვს უნარი, წინმსწრები ნაბიჯები გადადგა. ჩემი აზრით, თვითმმართველობის რეფორმა ნაადრევია, ეს არ არის უბრალო საკანონმდებლო ცვლილება. ეს სინამდვილეში არის მენტალური ცვლილებების იძულება, მენტალობა კი იძულებით არ იცვლება. მას სჭირდება დრო და არგუმენტები, ანუ მეტი სიკეთის დანახვის პერსპექტივა. უპრიანი იქნებოდა, ჯერ ორსამ რეგიონში ან თუნდაც რამდენიმე სოფელში დაენერგათ ახალი მოდელი და შემდეგ შეგვეფასებინა, რა გამოდგა სწორად გათვლილი და რა — არა. ახლა თუ ვიჩქარებთ და მაინცდამაინც მაისში დაინიშნება ადგილობრივი არჩევნები, ძალიან მსუბუქად რომ ვთქვათ, მოუსვენარ საქართველოს ვიხილავთ და მაქვს საფუძველი, ვიფიქრო, რომ ეს ალიაქოთი მალე არ დაწყნარდება.

საბჭოთა პერიოდშიც უნდოდათ იგივე, მაგრამ აწონდაწონეს და ისე დატოვეს, როგორც დღეს არის. ის, რაც მოხდა სოხუმსა და ცხინვალში, სტალინურ კონსტიტუციაში იყო ჩადებული. დღესაც მუშაობს სტალინისდროინდელი ბომბები. სწორედ ამის მაგალითია სომხეთის გადასვლა ევრაზიულ კავშირში. ანალოგიური საფრთხე ემუქრება მოლდოვასაც დნესტრისპირეთის სახით და უკრაინასაც — თუ ნატო-სკენ წავა, დიდი ალბათობით, ის ყირიმის ნახევარკუნძული გახდება.

ეს რეფორმა რომ 2014 წლისთვის მოვასწროთ, ამის ვალდებულება არ აგვილია. ჩვენ მხოლოდ უნდა ვაჩვენოთ ჩვენი სვლა დემოკრატიული გარდაქმნებისკენ. თუ მოწესრიგდება ფინანსური პრობლემები ცენტრსა და რეგიონს შორის და 1 მერის ნაცვლად აირჩევა 7 მერი, ეს სრულიად საკმარისი იქნება 2014 წლის ვადისთვის.

✓ **პოლიტიკის რუბრიკა მოამზადა მანანა გეგიამ**






Cyan Magenta Yellow Black

გახმაურებული საქმე

# „მოძღვარი იმ ბიჭს გულში ჩაეხუტა, ეხვეწებოდა, არ მომიკვდე, ბიჭოო!“

## ტრაგედია, რომლის ერთ მხარეს შვილმკვდარი დედაა, მეორე მხარეს — ხუთშვილიანი მღვდელი

დაახლოებით თვენახევრის წინ, 2 ნოემბერს, საღამოხანს, ავტოსაგზაო შემთხვევას ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე შეეწირა. ტრაგედია თბილისში, გორგასლის ქუჩაზე მოხდა. 31 წლის რევაზ მაჩხაშვილს მანქანა დაეჯახა. როგორც გაირკვა, საჭესთან მღვდელი, მამა აკაკი კუპრაშვილი იჯდა. ის იუსტიციის სამინისტროს ეზოში მდებარე წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძარში მსახურობდა. შემთხვევაც ტაძრიდან რამდენიმე მეტრში, ფინანსთა სამინისტროს შენობასთან ახლოს მოხდა. რევაზი სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მუშაობდა. სწორედ იქიდან ბრუნდებოდა სახლში, როცა ტრაგიკული შემთხვევა მოხდა.

გარდაცვლილის დედა, ქეთევან მამუკაშვილი, ერთ-ერთ ინტერვიუში სასულიერო პირს, რომელიც მის ვაჟს დაჯახა, სიმთვრალესა და გადაჭარბებულ სიჩქარეს სდებს ბრალად.

„ჩემი შვილი გზაზე გადადიოდა და ზოლზე შეჩერდა. ეკლესიიდან ჯიპით გამოსულა მამა აკაკი კუპრაშვილი, რომელიც ნასვამი იყო. ის თავის მრევლთან ერთად იმყოფებოდა მანქანაში. ჩემს შვილს დასჯახებია უგონოდ მთვრალი. ისეთი სიჩქარით მოძრაობდა, რომ ჩემი შვილი 30 მეტრზე უთრევია. ჩემი შვილი ადგილზევე დაღუპულა. ყველაფერი დაზიანებული ჰქონდა, ფეხებიდან დაწყებული თავით დამთავრებული“, — ამბობს რევაზ მაჩხაშვილის დედა.

**„ის ოჯახს თანხას იმიტომ კი არ სთავაზობდა, რომ ბრალი და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა აეცილებინა თავიდან, არამედ ამას მორალური პრინციპებიდან გამომდინარე აკეთებდა, მისი სურვილი იყო, ოჯახს დახმარებოდა“.**

მამა აკაკი კუპრაშვილის ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე განმარტავს, რომ მღვდელი არა მთვრალი, არამედ ნაზიარები იყო. ამ დროს, როგორ მორწმუნეთათვის ცნობილია, მაზიარებელი მცირე რაოდენობით ღვინოსა და პურს იღებს. ადვოკატი იმ ბრალდებასაც უარყოფს, რომ მღვდელი გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა.

რევაზ მაჩხაშვილის დედამ, მას შემდეგ, რაც რამდენიმე ინტერვიუ მისცა, პრესასთან საუბარი შეწყვიტა, როგორც ამბობს, გამოძიების დასრულებამდე. მანამდე კი განაცხადა, რომ მამა აკაკიმ მათ ოჯახს გაჩუმების სანაცვლოდ 15 000 ლარი შესთავაზა. ის ყვება, რომ მათთან ორი „მიგზავნილი მამაო“ მივიდა, „რაღაც რიტუალი ჩაატარეს“ და შემდეგ თანხა შესთავაზეს.

„ჩვენ უარი განვაცხადეთ. როგორ შეიძლება დედას ერთადერთი შვილი მოუკვდეს, ამხელა ვაჟკაცი და ფული შესთავაზო!.. მე მინდა, რომ უგონოდ მთვრალი მამაო ჩემი შვილის სიკვდილისთვის საკადრისად დაისაჯოს!.. ჯერ ჩვენს მიცვალებულს უნდა მივხედოთ და მერე რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, ჩემი შვილის საქმეს თვითონ დავადგენ“, — ამბობს გარდაცვლილის დედა, ქეთევან მამუკაშვილი.

მღვდლის ადვოკატი კი ირწმუნება, რომ დაზარალებულის ოჯახისთვის მამა აკაკის თანხა მხოლოდ დახმარების მიზნით სურდა მიეცა და სანაცვლოდ არაფერი მოუთხოვია. ადვოკატის თქმით, თანხაზე საუბარი ოჯახის მხრიდან წამოვიდა. თავდაპირველად 15 000 ლარზე შეთანხმდნენ, თუმცა მოგვიანებით ლარის ნაცვლად დოლარი მოითხოვეს, რისი გადახდის საშუალებაც მამა აკაკის, რომელსაც ხუთი შვილი ჰყავს, არ ჰქონდა. გავრცელებული ინფორმაციით, სასულიერო პირს თანხის შეგროვებაში მრევლი, მეზობლები, ახლობლები დაეხმარნენ.



■ რევაზ მაჩხაშვილი

„სარკე“ მამა აკაკი კუპრაშვილს დაუკავშირდა, თუმცა მან გამოძიების შედეგების დასრულებამდე საუბარი არ ისურვა. ის მომხდარის გამო ძალიან დამწუხრებულია. ამბობს, რომ პასუხისმგებლობას არც უფლის წინაშე გაურბის და არც — სამართლებრივად. მამა აკაკი წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძარში მისი გახსნის დღიდან, 3 წელია მსახურობს. ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ ეკლესიაში აღარ მისულა.

გარდა სამართლებრივი სასჯელისა, ჯერჯერობით დადგენილი არ არის, აღნიშნული ფაქტი როგორ აისახება მღვდლის შემდგომ სასულიერო ცხოვრებაზე, თუმცა მამა აკაკის ამ ეტაპზე ლოცვის ჩატარების უფლება შეწყვეტილი აქვს.

წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძარში მხოლოდ თვალცრემლიანი მესანთლე დაგვხვდა, რომელმაც მამა აკაკის პიროვნების შესახებ გარკვეული ცნობები მოგვაწოდა.

— შვილო, ერთ წინადადებაში და ფრაზაში რაც უნდა გადაგიხადონ, ძალიან გთხოვ, ტყუილს და არასწორ ინფორმაციას ნუ დაწერ! მაღლიდან უფალი იყურება, — ასე დაიწყო ეკლესიაში მომუშავე ქალმა ჩვენთან საუბარი და ის დღე გაიხსენა, როცა

**„იმ დღეს მამა აკაკი მთელი დღე აღფრთოვანებული იყო, ისეთი ბედნიერი არასდროს მინახავს. მგალობლებისთვის უთქვამს, ისეთი ბედნიერი ვარ, მეშინია, რამე არ დამემართოსო და ეს დაემართა!“.**

უბედური შემთხვევა მოხდა. — იმ დღეს დიდი პანაშვიდი, დიმიტრის შაბათი იყო. მოძღვარმა შეკვეთილი წირვა-ლოცვა ჩაატარა, შემდეგ პანაშვიდი გადაიხადა, მერე ნათლობაც ჩაატარა, აჭარელი ასაკოვანი ქალი მონათლა, შუადღისას კი სახლში წავიდა. საღამოს ისევ ლოცვა ჩაატარა... ეჰ, შვილო, ისეთი სიბინძურეები ითქვა, ნეტავ, არ ვიცოდე, სინამდვილეში რა მოხდა! მამაო მთვრალი იყოო — ამბობენ. არა, შვილო, მამაო ვერ სვამდა, ის ახალი ნაოპერაციევია. ადრე, 6 წლის წინ, ზედა ყბის ძვალი დაჩირქებული ჰქონია, გაზაფხულზე ოპერაცია გაუკეთეს, 6 საათის განმავლობაში უკეთებდნენ. ორ თვეში ჩირქი ისევ ჩაუდგა. თუ არ ვცდები, სექტემბერში ისევ გაუკეთეს ოპერაცია, ადამიანი ფაფებზე იყო, ექიმთან დადიოდა, წამლებს სვამდა და ნასვამი როგორ იქნებოდა?!

იმ დღეს მამა აკაკი მთელი დღე აღფრთოვანებული იყო, ისეთი ბედნიერი არასდროს მინახავს. საღამოს ყველას მოეფერა. მგალობლებისთვის უთქვამს, ისეთი ბედნიერი და გახარებული ვარ, მეშინია, რამე არ დამემართოსო და ეს დაემართა. მოძღვარს როგორც უნდა ვცემდე პატივს და როგორც უნდა მიყვარდეს, ერთ სიტყვასაც არ გეტყვით არასწორად, რადგან უფლის შიში მაქვს. მანქანაში მრევლიდან ორი ქალი ეჯდაო, რომ ამბობენ, ესეც ტყუილია, შვილო. გვერდით მხოლოდ მედავითნე ეჯდა. სხვათა შორის,

**„აჩემებული აქვთ, მოძღვარი ჯიპით დადისო. ძველი გაყიდა, მგალობლებისგან ისესხა ფული და ის მანქანა იმ ფულით იყიდა. ამბობდა, ბანკის ვალს გადავრჩი, ამას კი ნელ-ნელა გავისტუმრებო“.**

ძალიან ცუდი ადგილია იქ, ავარიები იქ ხშირად ხდება, ხალხი იღუპება. იმ ადგილას გადაჭარბებული სიჩქარით ვერ ივლი. როგორც ჩანს, იმ საწყალმა ავტობუსს რომ გადაურბინა, მანქანა ველარ დაინახა. ის ვერც მამა აკაკიმ შენიშნა და... როგორც მედავითნე ამბობს, ვერავინ შეძლებდა იქ დამუხრუჭებას.

თურმე მოძღვარი იმ ბიჭს გულში ჩაეხუტა, ეხვეწებოდა, არ მომიკვდე, ბიჭოო!

**— რამდენი წელია, რაც მამა აკაკი აქ მსახურობს?**

— გახსნის დღიდან აქ მსახურობს. მხოლოდ მე კი არ ვარ მის მიმართ ასე განწყობილი, ერთხელ მაინც თუ ვინმეს დალაპარაკებია, ყველა ატირებული მოდის. ძალიან სუფთა, საყვარელი ადამიანია. ხუთი შვილის მამაა, მეექვსეს ელოდება, უმცროსი შვილი 2 წლის ჰყავს. თვითონ დაახლოებით 42-44 წლის იქნება. აჩემებული აქვთ, ჯიპით დადისო. მას სულ ჰყავდა მანქანა. ავტომობილი კი არა, ადამიანი ბერდება, ძველი გაყიდა, მგალობლებისგან ისესხა ფული და ის მანქანა იმ ფულით იყიდა. ამბობდა, ბანკის ვალს გადავრჩი, ამათ ნელ-ნელა გავისტუმრებო.

**— ამ შემთხვევის შემდეგ მამა აკაკი ტაძარში იყო მოსული?**

— არა. მის ნაცვლად ლოცვებს მამა იოანე კითხულობს. ცოტა ხნის წინ აქედან მრევლის ერთი წევრი გავიდა, ტიროდა, გული დამდუღრული მაქვს, მამა აკაკიმ ჩემი შვილები, შვილიშვილი ტაძრისკენ მოაბრუნაო.

■

მამა აკაკი კუპრაშვილის ადვოკატი, ირ-



Cyan Magenta Yellow Black

აკლი გაბრიჭიძე, ამბობს, რომ საქმეში მოძღვრის ბრალეულობა არ იკვეთება, რადგან მას საგზაო მოძრაობის წესები არ დაურღვევია და არც გადაჭარბებული სიჩქარით უმოძრავია:

— მამა აკაკი საღამოს ლოცვის შემდეგ, დაახლოებით 8 საათისთვის, თავისი მანქანით დასაშვები სიჩქარით მოძრაობდა, როცა რევაზ მაჩხაშვილმა გზაზე გადაურბინა. მამა აკაკიმ დამუხრუჭებაც ვერ მოასწრო, რადგან ეს ადამიანი ვერც დაინახა. ამ შემთხვევის თავიდან აცილება შეუძლებელი იყო. ამ ფაქტის გამო მამა აკაკი ძალიან შეწუხებული და შეშფოთებულია.

**— ამ სამწუხარო ფაქტის გარშემო ბევრი უარყოფითი ინფორმაცია ვრცელდებოდა. ერთ-ერთის მიხედვით, მამა აკაკი კუპრაშვილმა გარდაცვლილის ოჯახს სიჩუმის სანაცვლოდ 15 000 ლარი შესთავაზა. ეს სინამდვილეა?**

— არა, რეალურად სულ სხვა რაღაც იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში მამა აკაკის ბრალეულობა არ იკვეთებოდა, მორალური პრინციპიდან გამომდინარე, მან გადაწყვიტა, გარდაცვლილის ოჯახს დახმარებოდა. იფიქრა, მანქანას გავყიდი და დავეხმარებიო. ხუთი შვილის მამაა, ძალიან კარგი მოძღვარია. როცა მოძღვარმა ამ კონკრეტული თანხის, 15 000 ლარის შეგროვება შეძლო, ოჯახს დაუკავშირდა. თანხის გადაცემისას თქვეს, რომ საუბარი ლარზე კი არა, დოლარზე იყოო.

**„მამა აკაკის ამ ფაქტის თავიდან აცილება არ შეეძლო, მას საგზაო მოძრაობის წესები არ დაურღვევია, გადაჭარბებული სიჩქარით არ უმოძრავია".**

**— თანხის გადახდის ინიციატივა ვისგან წამოვიდა?**

— ეს ინიციატივა მათგან იყო. როცა თანხის გადასაცემად მივიდნენ, თქვეს, რომ 15 000 ლარზე კი არა, დოლარზე იყო შეთანხმებაო. ამ თანხის გადახდა მამა აკაკისთვის შეუძლებელი იყო. ის ოჯახს თანხას იმიტომ კი არ სთავაზობდა, რომ ბრალი და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა აეცილებინა თავიდან, არამედ ამას მორალური პრინციპებიდან გამომდინარე აკეთებდა, მისი სურვილი იყო, ოჯახს დახმარებოდა. რეალურად ამ საქმეში მამა აკაკის ბრალეულობა არ იკვეთება.

**— რის საფუძველზე ამბობთ ამას?**

— როცა ავტოსაგზაო შემთხვევა ხდება, ის ყველა შემთხვევაში მძღოლის ბრალი არ არის. თუ მძღოლს ამ შემთხვევის თავიდან არიდება არ შეეძლო, მას საგზაო მოძრაობის წესები არ დაურღვევია, მის ბრალეულობაზე საუბარი ზედმეტია. ის გარემოებები და ის გარემო, სადაც ეს შემთხვევა მოხდა, მაძლევს წინასწარ თქმის საშუალებას, რომ მამა აკაკის ამ ფაქტის თავიდან აცილება არ შეეძლო, მას საგზაო მოძრაობის წესები არ დაურღვევია, გადაჭარბებული სიჩქარით არ უმოძრავია, შესაბამისად, მისი ბრალეულობის საკითხი არ იკვეთება.

**„დეზინფორმაცია, რაც ამ დღეების განმავლობაში ვრცელდებოდა, შესაძლოა ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ნაწილიც იყოს. სხვა შემთხვევაში როგორ შეიძლება ასეთ ფაქტს ასეთი ინტერპრეტაცია მიეცეს?".**

**— ამბობენ, რომ მოძღვარს ალკოჰოლი ჰქონდა მიღებული.**

— არა! ეს აბსოლუტური ტყუილია! ადამიანმა ზიარებისას რომ მიიღოს სასმელი, შეიძლება მის სისხლში ალკოჰოლი აღმოჩნდეს.

**— რა სასჯელი ელოდება მოძღვარს?**

— არაფერი, ის აუცილებლად გამართლდება. დეზინფორმაცია, რაც ამ დღეების განმავლობაში ვრცელდებოდა, შესაძლოა ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ნაწილიც იყოს. სხვა შემთხვევაში როგორ შეიძლება ასეთ ფაქტს ასეთი ინტერპრეტაცია მიეცეს? ნებისმიერი ადამიანი, რომელიც მანქანით გადაადგილდება, ეს იქნება მღვდელი თუ უბრალო მოქალაქე, მსგავსი შემთხვევისგან არ არის დაზღვეული. ეს ხომ განზრახ ჩადენილი დანაშაული არ არის?

**— და კიდევ, საუბრობდნენ, რომ სანამ ეს ამბავი არ გახმაურდა, საქმე წარმოებაში არ იყო მიცემული.**

— არა, ესეც სიცრუეა! გამოძიება პირველივე დღეს, 2 ნოემბერს დაიწყო.

■

რევაზ მაჩხაშვილი საგარეჯოში, სოფელ პატარა ჩაილურში დაკრძალეს. მას 5 წლის გოგონა დარჩა.

■

მომხდარზე გამოძიება დაწყებულია. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსის, ნინო გიორგობიანის თქმით, ძიება სისხლის სამართლის 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს. „მღვდელიც და ერთი მგზავრიც, რომელიც მანქანაში იმყოფებოდა, დაკითხული არიან. ექსპერტიზის პასუხებს ველოდებით“, — აღნიშნა „სარკესთან“ ნინო გიორგობიანმა.

✓ ეკა ლემონჯავა

# „გიგი წერეთლის შვილს რომ ნელა ევლო, ჩემი შვილი დღეს ცოცხალი იქნებოდა“

## დაღუპული ბაიკერის მამა ექსპერტიზის დასკვნას კატეგორიულად არ ეთანხმება

„ჩვენი ცხოვრება ცხოვრებაა?! ადრე ახალ წელს ოთხნი ვხვდებოდით, ახლა კი სამნი უნდა შევხვდეთ... ახალი წლის ღამეს ბექას საფლავთან შევხვდებით“, — გვითხრა დაღუპული ბაიკერის, 20 წლის ბექა სეხნიაშვილის მამამ, მერაბ სეხნიაშვილმა.



■ ბექა სეხნიაშვილი

ტრაგედია ამ ზაფხულს, 27 ივლისს დატრიალდა. იმ ღამეს ბექა მეგობარ ბაიკერებთან ერთად თბილისიდან კოჯორში მიდიოდა მოტოციკლით, როცა საპირისპირო მხრიდან მომავალ „ემელის“ ჯიპს შეეჯახა. ჯიპის საჭესთან საქართველოს პარლამენტის დეპუტატის, გიგი წერეთლის ვაჟი, 23 წლის ნუგზარი იჯდა. ბექა ადგილზევე გარდაიცვალა.

**„ნუგზარ წერეთელს დანაშაულის განზრახ ჩადენაში არ ვადანაშაულებ. არ ვამბობ, რომ ჩემი შვილი განზრახ მოკლა, ეს უბედური შემთხვევა იყო, მაგრამ რატომ ცდილობენ, ეს ყველაფერი მიჩქმალონ?".**

ცოტა ხნის წინ ტექნიკური ექსპერტიზის პასუხები გახდა ცნობილი, რომლის მიხედვითაც, შემთხვევის დროს ნუგზარ წერეთელს საშუალო ხარისხის თრობა ჰქონდა და ის გადაჭარბებული სიჩქარით არ მოძრაობდა. ამ დასკვნას კატეგორიულად არ ეთანხმება სეხნიაშვილების ოჯახი. დაღუპული ბიჭის მამა აცხადებს, რომ ექსპერტიზის პასუხები გაყალბებულია და ამაში გიგი წერეთლის ხელს ხედავს. მერაბ სეხნიაშვილი გამომძიებელსაც ადანაშაულებს სიცრუეში.

„სარკე“ შეეცადა, გიგი წერეთელს დაკავშირებოდა, თუმცა მან ჩვენს სატელეფონო ზარებს არ უპასუხა. ბატონმა გიგიმ ამ თემასთან დაკავშირებით „სარკეს“ ტრაგედიის დღეებშივე მისცა ინტერვიუ, სადაც აღნიშნა, რომ ამ საკითხზე მედიაში აღარ ისაუბრებდა. „სარკემ“ გამომძიებელ როსტომ მოდებაძესთანაც სცადა ამ საქმეზე გასაუბრება, მაგრამ სატელეფონო ზარს არც მან უპასუხა.

მერაბ სეხნიაშვილი „სარკესთან“ ექსპერტიზის დასკვნას აფასებს და იმის შესახებ საუბრობს, როგორ აპირებს სიმართლის დადგენას მომავალში:

— ექსპერტიზა, რომელიც ორთვენახევარი გრძელდებოდა, დასრულდა, არადა ამისთვის ერთი თვე იყო საჭირო. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, გიგი წერეთლის შვილს იმ ღამეს საშუალო ხარისხის თრობა ჰქონდა. როგორც აღმოჩნდა და როგორც ამას გამომძიებელი როსტომ მოდებაძე მეუბნება, გიგი წერეთლის შვილს სიჩქარისთვისაც არ გადაუჭარბებია და იგი საათში 64 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობდა. ასე წერია ექსპერტიზის დასკვნაში.

შემთხვევის ადგილზე ტრაგედიის მეორე დღესვე ავედი. მახსოვდა, რომ იქ სიჩქარის მაჩვენებელი 40 კილომეტრი →22

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

იყო, ეს გამომძიებელსაც ვუთხარი. მან კი მიპასუხა, ეს მაჩვენებელი ცოტა ზემოთ არის, იმის შემდეგ გზა იკვეთება და ეს ნიშანი აღარ მოქმედებსო. ამას წინათ სპეციალურად ისევ ავედი შემთხვევის ადგილზე, ეს ყველაფერი გადავამოწმე და აღმოჩნდა, რომ იქ გზა არ იკვეთება, დაშვებული სიჩქარის მაქსიმალური მანიშნებელი კი 40 კილომეტრია, როგორც ზემოდან, მთაწმინდიდან ჩამოსვლისას, ასევე მთაწმინდისკენ ასვლისას. აქედან გამომდინარე, გამომძიებელმა ან ტყუილი იკადრა, ან შემთხვევის ადგილზე არ გასულა და ეს ყველაფერი არ უნახავს. ამიტომ ვასკვნი, რომ დეპუტატი გიგი წერეთელი ყველა ღონეს ხმარობს, გამოძიებაზე ზემოქმედება მოახდინოს და თავის შვილს პასუხისმგებლობა ააცილოს თავიდან.



■ მერაბ სეხნიაშვილი

**„მას ალბათ მხოლოდ სიმთვრალეზე აგებინებენ პასუხს, სიჩქარის გადაჭარბებაზე საუბარი არც არის... დასკვნაში მითითებული სისწრაფე სიმართლეს არ შეესაბამება. ნუგზარ წერეთელს რომ ნელა ევლო ან დაემუხრუჭებინა, ჩემი შვილი შეიძლებოდა დაინვალიდებულიყო, მაგრამ გადარჩებოდა".**

**— იმის თქმა გინდათ, რომ გიგი წერეთელმა ექსპერტიზის შედეგები გააყალბებინა?**

— დიახ, მე ვფიქრობ, რომ ექსპერტიზის პასუხები გაყალბებულია. როცა ბექას მოტოციკლეტი და „ემელის" ჯიპი ერთმანეთს შეეჯახა, მანქანის მარჯვენა წინა ბორბალი ირიბად დადგა და ინერციით გზა განაგრძო. როგორც მაშინ გადავთვალე, დაახლოებით 60 მეტრზე იყო მანქანის საბურავის ნაკვალევი. ავტომობილი ისეთი ინერციით მიდიოდა, ფაქტობრივად ასფალტს თხრიდა. ექსპერტიზის დასკვნაში კი წერია, რომ ეს განვლილი მანძილი 60 მეტრი კი არა, 45 მეტრი იყო. შესაძლოა ადამიანი 2-3 მეტრში შეცდეს, მაგრამ 15 მეტრი სხვაობა დიდია. აქედან გამომდინარე, საფუძველი მაქვს ვთქვა, რომ ექსპერტიზის პასუხები გაყალბებულია! ამიტომაც მინდა, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმსაც გავეცნო.

ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ წერეთელი საათში 64 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობდა, მაგრამ ასე არ არის. ის უფრო დიდი სიჩქარით მოძრაობდა და საჭეს ძალიან მთვრალი მართავდა. თუნდაც ასე არ ყოფილიყო და მართლა საშუალო ხარისხის თრობა ჰქონოდა, შეიძლებოდა ორიენტაციის უნარი მაინც დაკარგვოდა, გააჩნია, ვის როგორი ჯანმრთელობა აქვს და ვინ როგორ იტანს ამ ხარისხის თრობას. წერეთელს ან შეეშინდა, ან ისეთი მთვრალი იყო, ვეღარ ფიქრობდა, რას აკეთებდა. მან „გაზს" მიაჭირა ფეხი. ის ან გაქცევას ცდილობდა, ან რას აკეთებდა, თავადაც ვერ აკონტროლებდა. ფაქტია, რომ საათში 70-80 კილომეტრი სიჩქარით მაინც მოძრაობდა. მეტ სიჩქარეს ვერ განავითარებდა, რადგან იქ მოსახვევია. მან წესები დაარღვია.

**— ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, თქვენი შვილის ბრალეულობა გამოიკვეთა — ბექა საპირისპირო მხარეს გადავიდა, ნუგზარ წერეთელს კი მხოლოდ თრობაზე აგებინებენ პასუხს?**

— დიახ, მას ალბათ მხოლოდ სიმთვრალეზე აგებინებენ პასუხს, სიჩქარის გადაჭარბებაზე საუბარი არც არის. ჩემი მოთხოვნაა, საქმის მასალები გაგვაცნონ — შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმიდან და ბაიკერების ჩვენებებიდან დაწყებული, ექსპერტიზის დასკვნით დამთავრებული. ექსპერტიზის შედეგებს მე და ჩემი ადვოკატი ზედაპირულად გავეცანით, დასკვნის ასლის გაკეთება გვსურდა, რაზეც გამომძიებელმა როსტომ მოდებაძემ უარი გვითხრა. მან ასეთი პასუხი გამცა — კანონით ამის უფლება არ მაქვს, თუ ზედამხედველ პროკურორს მიმართავთ და მისგან ნებართვას აიღებთ, მაშინ შემიძლია საქმიდან ნებისმიერი მასალის ასლის გაკეთებაო.

ამის შემდეგ პროკურორის სახელზე განცხადება დავწერე, 29 ნოემბერს ქალაქის პროკურატურაში შევიტანე, მაგრამ იქიდან არანაირი პასუხი არ მიმიღია — არც უარი და არც თანხმობა. საჭიროების შემთხვევაში ალტერნატიულ ექსპერტიზას ჩავატარებ, ვინაიდან ეჭვი მაქვს, რომ ძლევამოსილი მამის გამო წერეთლის ვაჟის საქმეზე ექსპერტიზამ კანონიერი დასკვნა ვერ დადო. ამის თქმის საფუძველს ექსპერტიზის დასკვნა მაძლევს, სადაც საეჭვო რაღაცეები აღმოვაჩინე.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს შემთხვევა მოხდა, გიგი წერეთელმა ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში რამდენიმე ტყუილი იკადრა. ერთ ინტერვიუში ამბობდა, რომ მისი შვილი ლუდით ოდნავ იყო ნასვამი. როცა ექსპერტიზის დასკვნას გავეცანი, აღმოჩნდა, რომ ის საშუალო ხარისხის ნასვამი იყო. ეს კი მსუბუქი თრობა ნამდვილად არ არის. წერეთლის თქმით, ბექა მოტოციკლით საპირისპირო მიმართულებით მაღალი სიჩქარით მოძრაობდა და მანქანას ის დაეჯახა და არა — მანქანა მას. რა გამოდის, რომ მისმა შვილმა მანქანა გააჩერა, დაამუხრუჭა? საფუძველი მაქვს, ვთქვა, რომ ეს ადამიანი ყველაფერს იკადრებს და მან ექსპერტიზის პასუხებიც გააყალბა.

**„გამომძიებელმა ან ტყუილი იკადრა, ან შემთხვევის ადგილზე არ გასულა და ეს ყველაფერი არ უნახავს".**

მაინტერესებს, რამ გამოიწვია ავტოსატრანსპორტო შემთხვევა და ვისი ბრალეულობით არის ჩემი შვილი გარდაცვლილი. ვფიქრობ, რომ დასკვნაში მითითებული სისწრაფე სიმართლეს არ შეესაბამება. ნუგზარ წერეთელს რომ ნელა ევლო ან დაემუხრუჭებინა, ჩემი შვილი შეიძლებოდა დაინვალიდებულიყო, მაგრამ გადარჩებოდა.

ნუგზარ წერეთელს დანაშაულის განზრახ ჩადენაში არ ვადანაშაულებ. არ ვამბობ, რომ ჩემი შვილი განზრახ მოკლა, ეს უბედური შემთხვევა იყო, მაგრამ რატომ ცდილობენ, ეს ყველაფერი მიჩქმალონ? ეჭვის საფუძველს ისიც მიმტკიცებს, რომ მეორე მხარეს გავლენიანი პიროვნება დგას. რომ არა ასეთი ადამიანი, მე ცოტა წყნარად ვიქნებოდი. ეს რომ ჩვეულებრივი ოჯახი ყოფილიყო, გავჩერდებოდი, მაგრამ, როცა ამდენ ტყუილს ვუყურებ ჯერ გიგი წერეთლის მხრიდან, შემდეგ — გამომძიებლის, ექსპერტიზის მხრიდან, ნდობის საფუძველი არ მაქვს. ამიტომ ვითხოვ, მასალები გადმომცენ, რათა ალტერნატიული ექსპერტიზა ჩავატარო.



■ ჯიპი, რომელსაც ბექა სეხნიაშვილი მოტოციკლით დაეჯახა

ვინც ძვირფასი მყავდა, დავკარგე, დასაკარგი აღარაფერი მაქვს, ამიტომ ამ საქმეს აუცილებლად ბოლომდე მივყვები, არ გავჩერდები! სხვა ინსტანციებში გავასაჩივრებ და ბოლომდე ვივლი! იმის საშუალებასაც არ მაძლევენ, რომ ექსპერტიზის დასკვნებს ადვოკატი ნორმალურად გაეცნოს.

**— გიგი წერეთელი არ შეგხმიანებიათ?**

— არა, ჩვენ ერთმანეთთან არანაირი ურთიერთობა არ გვქონია და არც არის საჭირო. ეს ადამიანი ჩვენნაირ ხალხს ზემოდან უყურებს. გამოდის, რომ ასეთებს და ასეთი ოჯახის შვილებს ყველაფრის უფლება აქვთ, ჩვენნაირებს კი — თითქმის არაფრის. კიდევ ერთხელ გეუბნებით: იმას არ ვამბობ, რომ წერეთელმა შვილი განზრახ მომიკლა. ექსპერტიზის შედეგები დამისაბუთონ, სიმართლეში დამარწმუნონ და გავჩერდები. მაინცდამაინც იმ ადამიანის პასუხისმგებლობაში მიცემა კი არ მინდა, ვითხოვ, სიმართლე დადგინდეს.

ეს ყველაფერი ბურუსით რომ არის მოცული და ახლოს რომ არ მიშვებენ, ეს რას ნიშნავს? შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ გამომძიებელს დავუკავშირდი. თავდაპირველად ჩემს სატელეფონო ზარს არ უპასუხა, შემდეგ კი ტელეფონი საერთოდ გამორთო.

✓ ეკა ლემონჯავა




● ვირუსული რესპირატორული ინფექციების პროფილაქტიკა.
● ქრონიკული გადაღლის სინდრომი.
● გამოჯანმრთელების პერიოდი გადატანილი დაავადებების შემდეგ.
UNIPHARM, INC
New York, USA
ინფორმაციისათვის დარეკეთ:
291 09 50; 223 00 82
599 20 11 44; 595 38 08 80
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს




Cyan Magenta Yellow Black

# გიორგი გურგულია: „მესამე სართულიდან რომ ვვარდებოდი, ანგელოზის ფრთა დავინახე...“

მსახიობ გიორგი გურგულიას ცხოვრება სავსეა ფათერაკებით. ბევრჯერ მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა და რაღაც აუხსნელი ძალით, თითქოს უხილავი ხელის დახმარებით გადარჩენილა. მისი ამქვეყნად მოვლინებაც უცნაურად გადაწყდა. დედამისი მეორე შვილის გაჩენას არ აპირებდა, ნაყოფის მოსაშორებლად მივიდა ექიმთან, მაგრამ უარით გამოისტუმრეს. მაშინ ქაშუეთის ტაძარში წმინდა გიორგის ხატს შესთხოვა, მისთვის ბიჭი ებოძებინა და მის სახელს დაარქმევდა. მსახიობის ბებიამ, რომელიც მორწმუნე და ღვთიური ხილვებით დაჯილდოებული ადამიანი გახლდათ, ღრუბლებში წმინდა გიორგი იხილა და მიხვდა, რომ შვილიშვილი ეყოლა, გიორგი მართლაც იმ დღეს გაჩნდა.

შემთხვევები, რომლებმაც სიცოცხლის აზრზე დააფიქრა და სამყარო სხვა თვალით დაანახა, გიორგი გურგულიამ „სარკესთან“ გაიხსენა:

— მთელი ჩემი ცხოვრება თან მდევდა ფათერაკი, მაგრამ ყოველთვის მმფარველობდა წმინდა გიორგი, რადგან წმინდა გიორგის ხატზე ვარ დაბადებული.

**— ეს რას ნიშნავს?**

— როდესაც დედაჩემმა გაიგო, რომ ფეხმძიმედ იყო, ნაყოფის მოშორება გადაწყვიტა, რადგან იმ პერიოდში ჩემი მშობლები სამუშაოდ საზღვარგარეთ მიდიოდნენ და ორ ბავშვს ვერ წაიყვანდნენ. დედამ გადაწყვიტა, ჩემი უფროსი და, ნინო თან წაეყვანა, ნაყოფზე კი უარი ეთქვა. აბორტის გასაკეთებლად ექიმთან რომ მივიდა, ის ქალი ბებიაჩემის მეგობარი აღმოჩნდა და ნაყოფის მოცილებაზე სასტიკი უარი უთხრა. ექიმისგან წამოსული დედა ქაშუეთის ეკლესიაში შევიდა, წმინდა გიორგის ხატთან სანთელი დაანთო და ბიჭის დაბადება შესთხოვა, რომელსაც გიორგის დაარქმევდა. მერე დეიდაჩემს დაესიზმრა წმინდა გიორგი და ყველა მიხვდა, რომ ბიჭი დაიბადებოდა. მოკლედ, დაბადებული არ ვიყავი, რომ გიორგი მერქვა.

ბებიაჩემის დედას (ნადეჟდა ერქვა) ხილვები ჰქონდა, სანამ რამეს ეტყოდი, უკვე იცოდა, რა უნდა გეთქვა და თავად გეუბნებოდა. პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის მარჯვენა ხელი იყო. კალისტრატე ცინცაძემ ნადეჟდას თავისი ზიარების კოვზი აჩუქა და დალოცა, იმდენი წელი იცოცხლე, რამდენიც მე ვიცოცხლეო. მე რომ გავჩნდი, ნადეჟდა ბებიამ ღრუბლებში წმინდა გიორგი დაინახა და ხმამაღლა თქვა, მარიმ (დედაჩემს მარიამი ჰქვია) იმშობიარაო.

**— წმინდა გიორგის შეწევნა განსაკუთრებით როდის იგრძენით?**

— 15 წლის ვიყავი, როდესაც დანით დამჭრეს. მე და ჩემი მეგობარი, ნიკუშა ჩანტლაძე, შევესწარით, რომ ვიღაც ბიჭს ურტყამდნენ, შეგვეცოდა და ის ბიჭი ჩხუბიდან გამოვიყვანეთ. ის გაიქცა, მოჩხუბრებს კი მე და ჩემი მეგობარი შევრჩით. დაგვჭრეს. დანა ორი მილიმეტრით ასცდა ზურგის ტვინს, სასწაულად გადავრჩი, თორემ წელქვემოთ მოვწყდებოდი. მეორე შემთხვევა 23-24 წლის ასაკში მომივიდა, მაშინ სამი ტყვია მესროლეს. ორი — ფეხში მომხვდა, ერთი კი — ზურგში, მაშინაც გადავრჩი.

**— რატომ გესროლეს?**

— ათი სკოლა გამოვიცვალე და, წარმოიდგინეთ, რამდენი მეგობარი მეყოლებოდა. ჩხუბი რომ იყო, სულ შუაში ვიდექი, ამიტომ მტრებიც ბლომად მყავდა. იმის შიშით, რომ ახალგაზრდა არ მოვმკვდარიყავი, ვჩქარობდი, შვილი დამეტოვებინა ამქვეყნად, ამიტომ მალე დავოჯახდი. უფლის ნებით ისე გამოვიდა, რომ შვილიშვილსაც მოვესწარი, შვილიშვილის მერე — შვილსაც.

**— როგორც ვიცი, ერთ-ერთ ფილმზე მუშაობისას სიკვდილს სასწაულად გადაურჩით. ამ შემთხვევაზეც გვიამბეთ.**

— ფილმ „ორმაგ სახეს“ ვიღებდით. ერთ დღეს უამინდობის გამო გადაღებები ჩაიშალა. უნდა გადაგველო, შვილთან ერთად ეკლესიაში რომ ავდივარ და მთელი სახე დასისხლიანებული მაქვს. გადაღება რომ ჩაიშალა, მთელი გადამღები ჯგუფი კინოსტუდიაში მივბრუნდით. ოთახის კარი დაკეტილი დაგვხვდა, მე ვუთხარი, აივნიდან გადავალ და კარს შიგნიდან გაგიღებთ-მეთქი. მესამე სართულზე უნდა ავსულიყავი. რომ ავდიოდი, უცებ კედელს მილი მოსწყდა და გადმოვვარდი.



**„პირველად 15 წლის ასაკში გავსინჯე ნარკოტიკი. ჩემი თაობა ჰიპების თაობა იყო. „ბარიგებმა“ ნარკოტიკი პირველად ყველაზე პოპულარულ ბიჭებს შესთავაზეს, რომლებსაც ყველა ბაძავდა და ამით მთელი თაობა ჩაითრიეს. ეს იყო პროპაგანდა, რომელმაც თაობები შეიწირა“.**

მთელი ჯგუფი შენობაში იყო და ვერავინ დამინახა. ჩემს ღრიალზე ყველამ გარეთ გამოიხედა, გასისხლიანებული რომ დამინახეს, ეგონათ, სისხლი დავისხი და ვხუმრობდი. ბოლოს მიხვდნენ, რომ მართლა ცუდად იყო ჩემი საქმე და საავადმყოფოში წამიყვანეს.

მაღლიდან რომ გადმოვვარდი, კეფით წავედი მიწისკენ. კეფით რომ დავცემულიყავი, თავის ქალა გამისკდებოდა. სწორედ მაშინ მოხდა სასწაული: ვარდნისას აშკარად დავინახე ანგელოზის ფრთა, რომელმაც ვარდნის სიჩქარე შეანელა, ანუ ანგელოზის ფრთამ გაიელვა თუ არა, ვარდნის სიჩქარე შენელდა და ამოტრიალება მოვასწარი. ეს ყველაფერი წამის მეასედში მოხდა. დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ ეს იყო ჩემი მფარველი წმინდა გიორგის ფრთა, მან გადამარჩინა.

**— მართლა სასწაულია, რომ ამდენ ხიფათს გადაურჩით.**

— ორჯერ კლინიკური სიკვდილიც მქონდა. პირველად დაახლოებით 3 წლის ასაკში მომივიდა. ჩემი მშობლები საზღვარგარეთ იყვნენ, მე კი ბაბუასთან აგარაკზე ვიყავი. თამაშის დროს ფეხი შუშაზე გამეჭრა. ბაბუამ ექიმი რომ მოიყვანა, მან არ შეამოწმა, ალერგიული ვიყავი თუ არა და შრატი გამიკეთა. არ ვიცი, შრატი იყო ძველი თუ რა მოხდა, მაგრამ კრუნჩხვები დამემართა და გავშავდი. მერე ბაბუამ სამხედრო ექიმი მოიყვანა და იმ ქალმა გადამარჩინა. დაახლოებით 40 წუთი მქონდა კლინიკური სიკვდილი.

მეორე კლინიკური სიკვდილი ესპანეთში ყოფნის დროს გადავიტანე. გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩვენს ფეხბურთელებს ესპანეთში გავყევი, ჩემთან ერთად ბავშვობის მეგობარი გოგი კვერნაძეც იყო. იქაურმა ქართველებმა საღამოს სუფრასთან მიგვიწვიეს. ცოტა რომ დავლიეთ, რაღაც ნარკოტიკი მოგვაწევინეს. იმ წამსვე ცუდად გავხდი, უფრო სწორად, სამი ქართველი გავხდით ცუდად და ყველანი რეანიმაციაში მოვხვდით. მაშინ მქონდა ხილვა. გვირაბში ვიყავი, სინათლის წერტილი ვარსკვლავივით შორს, მიუწვდომელზე მოჩანდა. რატომღაც სიბნელის შიში დამეუფლა. ალბათ იმიტომ, რომ ნარკოტიკი მქონდა მიღებული, ეს კი სუიციდის, ანუ თვითმკვლელობის ტოლფასია (ეს მერე გავაცნობიერე, გონზე რომ მოვედი). მე ვერ გავედი გვირაბის ბოლოს და შეშინებული სიბნელეში დავრჩი, მაგრამ ხელებით და ფეხებით სინათლისკენ მივისწრაფოდი. უცებ ვიგრძენი, რომ ვიღაცის ხმამ კითხვა დამისვა. ასეთ დროს არ გესაუბრებიან, უბრალოდ შენ გონებით ხვდები და გონებითვე პასუხობ, ტელეპატიურად ხდება ყველაფერი. შეკითხვაზე სამი პასუხი უნდა გამეცა და სამივეზე ვუპასუხე.

**— რა შეკითხვები იყო?**

— კითხვა იყო ასეთი: „რატომ გინდა სინათლისკენ წასვლა და სიცოცხლის შენარჩუნება?“. სამი მიზეზი ჩამოვუთვალე: პირველი შვილი იყო (მაშინ უფროსი ვაჟიშვილი ლუკა მყავდა), მეორე — ქალი, რომელიც მიყვარდა, ხოლო მესამე — ჩემი საყვარელი საქმე, რომელიც ბოლომდე უნდა მიმეყვანა. სამივე პასუხი სწორი აღმოჩნდა, რადგან სამივე ფასეული იყო და მაშინვე სინათლისკენ წამოვედი. სინათლეში რომ გამოვედი, თვალები გავახილე და დავინახე, ექიმები თავზე მეხვეოდნენ.

**— დაახლოებით რამდენი ხანი გაგრძელდა თქვენი კლინიკური სიკვდილი?**

— ნახევარი საათი. ამ მდგომარეობიდან რომ გამოვედი, დეპრესია დამემართა, მთელი სხეული მტკიოდა.

**— მაშინ პირველად გასინჯეთ ნარკოტიკი?**

— პირველად 15 წლის ასაკში გავსინჯე. მაშინ ნარკოტიკი ძალიან ადვილი მისაწვდომი იყო, ახლაც ასეა. უბრალოდ ახლა ქიმიური შემოდის, მაშინ კი ნატურალური იყო. საბჭოთა კავშირში ჰიპური მოძრაობა რომ შემოვიდა, ნარკოტიკიც შემოვიდა. „ბარიგებმა“ ნარკოტიკი პირველად ყველაზე პოპულარულ ბიჭებს შესთავაზეს, რომლებსაც ყველა ბაძავდა და ამით მთელი თაობა ჩაითრიეს. ეს იყო პროპაგანდა, რომელმაც თაობები შეიწირა.

**— იმ კლინიკური სიკვდილის შემდეგ ცხოვრების წესი, ფასეულობები არ შეიცვალეთ?**

— სხვანაირად დავიწყე სამყაროს აღქმა. როგორც პატარა ბავშვი იწყებს სამყაროს შეცნობას, მეც იმ მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ეს არის უფლის მიერ ბოძებული ახალი ცხოვრების შანსი, რომელიც ადამიანმა უნდა გამოიყენოს. პიროვნებამ უნდა შეძლოს ჩადენილი შეცდომების გამოსწორება და ყოველდღიურად უკეთესი გახდეს. დღეს უფრო კარგი იყოს, ვიდრე გუშინ იყო, მაგრამ ყველა ვერ იყენებს მეორე შანსს.

ერთ ანეკდოტს მოგიყვებით: ნარკომანი მეასე სართულიდან გადმოვარდა და ღმერთს სთხოვა, ოღონდ ახლა გადამარჩინე და ცხოვრებაში ნარკოტიკს არ გავეკარები, სიგარეტს გადავაგდებ, არ დავლევ, ქალებშიც არ გავივლი, აღქმას დავდებ და ბერად აღვიკვეცებიო. ღმერთმა იფიქრა, გამოსწორდაო და გადაარჩინა. ნარკომანი რომ დავარდა, ადგა, შარვალი გაიფერთხა და თავისთვის ჩაილაპარაკა, ჰაერში რა სულელური აზრები მომდიოდაო. ასეთია ადამიანის ბუნება, როცა უჭირს, ღმერთი მხოლოდ მაშინ ახსენდება.

✓ ლია ოსაძე


**გახდომა 5-დან 20 კგ-მდე თვეში**
**გასუქება 2-დან 5 კგ-მდე თვეში**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე, შეინარჩუნებთ სტაბილურად შედეგს და საბოლოოდ დაივიწყებთ ამ პრობლემას.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი პროგრამები:**

სწრაფი და ეფექტიური ზრდა 2-დან 25 წლამდე, კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ინდივიდუალურად შედგენილი პროგრამა-დანიშნულებით. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. შედეგები 100%-იანია.

ქ-ნი ქეთევანი

☎ 577-29-37-41, 247-58-83




Cyan Magenta Yellow Black

# ნინი შერმადინმა ამერიკაში იპოვა მამაკაცი, რომელიც ოცნებებს აუხდენს



## „მაიკლი არაფერს მიკრძალავს"

მომღერალი ნინი შერმადინი ამერიკული ოცნების ახდენის მოლოდინშია. ერთი წლის წინ წავიდა ამერიკაში და მისი ემიგრანტული ცხოვრება ტიპური სცენარით მიმდინარეობს — რამდენიმე იმედგაცრუების შემდეგ იპოვა ადამიანი, რომელიც ვარსკვლავურ მომავალს უსახავს. ეს პიროვნება მისი მენეჯერი მაიკლ ბოსონეა. მათი შეხვედრა ქართულ რესტორანში მოხდა — ნინი სცენაზე მღეროდა, გემრიელი კერძების დასაგემოვნებლად მისული მაიკლი კი ახალგაზრდა მომღერლის მონაცემებით მოიხიბლა. მათ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს და აქტიურად თანამშრომლობენ — სიმღერები, კლიპები, სინგლი, ალბომი... ნინი შერმადინი ძმასთან და მენეჯერთან ერთად თბილისში ხმისჩამწერი სტუდიის გახსნასაც აპირებს.

ამ და სხვა საინტერესო სიახლეებზე ცოტა ხნის წინ საქართველოში ნინი თავად გვესაუბრა.

**— ნინი, სამშობლოში ჩამოსვლა ამჯერად რას უკავშირდება?**

— ამჯერად საქმიანი ვიზიტით ჩამოვედი, ჩემს ძმასთან და ჩემს მენეჯერთან ერთად ხმისჩამწერ სტუდიას ვხსნი. სტუდია-აკადემია „საუნდ სითიში" მსურველები ისწავლიან როგორც სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრას, ასევე სიმღერების წერას და პულტის მართვას. ჩვენ ძლიერი, მსოფლიო სტანდარტის აპარატურა შევიძინეთ, ძალიან კარგი რეჟისორი გვყავს. ყოველთვის მინდოდა ჩემი ქვეყნისთვის კარგი გამეკეთებინა და მიხარია, რომ ამის საშუალება მომეცა.

**— სანამ სურვილების ასრულების საშუალება მოგეცემოდათ, ამერიკაში სიძნელეებით სავსე გზას გაივლიდით. როგორი იყო თავის დამკვიდრების პირველი წელი ნიუ იორკში?**

— ათას რაღაცას მოვედე, კასტინგებს არ ვტოვებდი, არანაირ სამსახურს არ ვთაკილობდი, რომ თავი მერჩინა. თუ ვინმეს ძიძა, მოხუცის მომვლელი, მიმტანი სჭირდებოდა, ყველგან ვრეკავდი, მაგრამ არსად მიმიღეს. ბოლოს გამოჩნდა ნათელი წერტილი, ნიუ ჯერსიში ქართული რესტორანი „მიმინო" იხსნებოდა. მის ხელმძღვანელ გიორგი ოძელაშვილს დავურეკე და სამსახური ვთხოვე. ესეც რომ არ გამომსვლოდა, აუცილებლად საქართველოში დავბრუნდებოდი.

მერე მოხდა სასწაული, რასაც ღმერთი ცხოვრების ყველა ეტაპზე მომივლენს ხოლმე. „მიმინოში" ძირითადად ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდან წასული ემიგრანტები დადიან. ერთ სამუშაო დღეს კი რესტორანში მაიკლ ბოსონე შემოვიდა. თურმე დედამისს ქართველიქალი უვლიდა, რომელმაც მაიკლს ქართველ ხალხზე, ჩვენს კულტურაზე, ისტორიაზე ბევრი რამ უამბო. „მიმინოში" ქართულ და რუსულ სიმღერებს ვასრულებდი. როცა რესტორნიდან ხალხი მიდიოდა, ჩემი ჭიის გასახარებლად იმ ინგლისურენოვან სიმღერებს ვღეროდი, რომლებიც ძალიან მიყვარს. ასე მოხდა იმ დღესაც. ის ბოლომდე იჯდა და მისმენდა. შემდეგ დამიძახა და ერთმანეთი გავიცანით. მაიკლმა იმ დღესვე შემომთავაზა, რომ ჩემი მენეჯერი გახდებოდა.

**— და ეს არ აღმოჩნდა ცრუ დაპირება.**

— თავიდან ვერც მე დავიჯერე, მაგრამ, როგორც ხედავთ, ჩვენი თანამშრომლობა შედგა, სამწლიანი კონტრაქტი გავაფორმე, ორი სიმღერა ჩავწერე, ძალიან მალე ჩემი სინგლიც გამოვა. მაიკლი მწერალი, მუსიკათმცოდნეა, სიმღერის ტექსტებს წერს. რამდენიმე სიმღერა, რომლებიც უკვე მზად გვაქვს, ჩვენს ახალ სტუდიაში ჩაიწერება. უკვე ვწერთ სიმღერას, რომლის მელოდია მე მეკუთვნის, ტექსტი — მაიკლს. მან საოცრად კარგი ტექსტი დაწერა, ჩემი ცხოვრების ისტორია პოეტურად გადმოსცა.

**მაიკლი: „ჩემი პროფესიაა, რომ „წავიკითხო" ადამიანები. ნინიში კი ის პოტენციალი დავინახე, რაც სხვებს არ აქვთ. მივხვდი, რომ მას უნდოდა ყოფილიყო ძალიან მაგარი მომღერალი. მე კი მინდა, ამ ყველაფერში ხელი შევუწყო".**

**— როგორ დაითანხმეთ, რომ მაიკლი თქვენს სამშობლოში ჩამოსულიყო?**

— იმდენი ვილაპარაკე ქართველებსა და საქართველოზე, რომ დაინტერესდა, სად დავიბადე და გავიზარდე.

**— თქვენამდე თანამშრომლობდა რომელიმე მომღერალთან?**

— აქამდე მომღერლებთან არ უთანამშრომლია. ფილმებისთვის სცენარებს წერს, მსახიობების მენეჯერიც ხშირად ყოფილა, სტუდენტებს ეხმარებოდა ფილმების გადაღებაში. მაიკლი ამერიკაში პოპულარული მენეჯერი არ არის და არც მე ვარ ბიონსე.

**— იმ სამწლიანი კონტრაქტის მიხედვით რა გეკრძალებათ, მაგალითად, თუ შეგიძლიათ გათხოვება, საქართველოში სიმღერა და ა.შ.**

— არაფერი მეკრძალება, უბრალოდ მასთან შეუთანხმებლად არაფრის გაკეთება შემიძლია. მაიკლმა გათხოვება რომც არ ამიკრძალოს, ოჯახის მეორედ შექმნას ისედაც არ ვაპირებ. ჩემთვის მთავარია შვილი და მისი უკეთესი ხვალინდელი დღე.

**— მას შემდეგ, რაც მენეჯერი გყავთ, დიდ ჰონორარებს ითხოვთ?**

— მაიკლისთვის არც მიკითხავს, ძვირადღირებული მომღერალი გავხდი თუ არა. მე მხოლოდ სიმღერა და საკუთარ თავზე მუშაობა მევალება.

**— ამერიკელი და ქართველი მენეჯერები რითი განსხვავდებიან ერთმანეთისგან?**

— პროდიუსერი ან მენეჯერი არასდროს მყოლია, თუ არ ჩავთვლი ჩემს ძმას, რომელსაც ეს მოვალეობა თავის თავზე ჰქონდა აღებული. ჩემი ძმა, დათო, უფრო მომთხოვნი იყო, ვიდრე მაიკლი. მაიკლი ხშირად მაქებს, დათო კი — არასდროს.

**— ახალ წელს საქართველოში ოჯახთან ერთად შეხვდებით?**

— არა, 26 დეკემბერს ამერიკაში მივფრინავ. 29-30 დეკემბერს მანჰეტენზე ერთ-ერთი ახალი სიმღერის კლიპის გადაღებაა დაგეგმილი. ჩემს გეგმებზე ჯერ არ ვსაუბრობ, აჯობებს, საზოგადოებამ შედეგი ნახოს.

11 დეკემბერი ჩემი დაბადების დღეა, 26 წლის გავხდი და ამ დღეს სიმღერა ჩავწერე, მერე მაიკლი ამერიკაში გაემგზავრება და ჩემს იქ ჩასვლას დაელოდება. ამერიკაში ჯერ არაფერს წარმოვადგენ, არავინ მცნობს, ამიტომ გასაკეთებელი ბევრი მაქვს. ერთგან წავიკითხე, ჩარლი ჩაპლინს ეკითხებიან, რა არის თქვენი წარმატების საიდუმლოო. ის კი პასუხობს, მაშინაც კი, როცა ქუჩაში მეძინა, მჯეროდა, რომ პლანეტის საუკეთესო მსახიობი ვიქნებოდიო. მისი სიტყვები ჩემს გონებაში ჩაიბეჭდა, მჯერა, რომ ერთ დღეს მეც გამიცნობს ყველა.

**— როგორია თქვენი ამერიკული ერთი დღე?**

— დილიდან საღამომდე ვმუშაობ, მაიკლი არიზონას შტატში ცხოვრობს, მე — ნიუ იორკში, ამიტომ ყოველდღე „სკაიპით" მიტარებს გაკვეთილებს. მასწავლის, თუ როგორ უნდა ვილაპარაკო უაქცენტოდ. ჯერჯერობით მის იმედებს ვამართლებ.

თქვენი ჟურნალით ვისარგებლებ და ქართველ ემიგრანტებს მადლობას გადავუხდი. სრულიად უცხო ადამიანები მეხმარებოდნენ და ხელს მიმართავდნენ. გიორგი ოძელაშვილის ოჯახი კი ჩემთვის მეორე ოჯახად იქცა. მინდა, მადლობა გადავუხადო გურამ შაუტაშვილს, სოსო თოლორაიას, ფატუნა ბუშიჰედს. ჩემს თითოეულ წარმატებას მათ მივუძღვნი.

❖

ნინი შერმადინის მენეჯერი მაიკლ ბოსონე ძალიან კომუნიკაბელური ადამიანი აღმოჩნდა. ის გულღიად შეგვეგება და ჩვენს კითხვებსაც უპასუხა.

**— მაიკლ, რატომ დაინტერესდით ქართველი მომღერლით?**

— ჩემი პროფესიაა, რომ „წავიკითხო" ადამიანები, ძალიან სწრაფად შემიძლია მათი ამოცნობა. ნინიში კი ის პოტენციალი და შესაძლებლობები დავინახე, რაც სხვებს არ აქვთ. როცა პირველად გავესაუბრე, მივხვდი, რომ მას უნდოდა ყოფილიყო ძალიან მაგარი მომღერალი. მე კი მინდა, ამ ყველაფერში ხელი შევუწყო.

**— რას ჰპირდებით ნინი შერმადინს, რა გეგმები გაქვთ?**

— გეგმებზე საუბრისგან თავს შევიკავებ, ერთს კი გეტყვით, რომ ნინი საქართველოს ვარსკვლავობიდან უფრო დიდი ვარსკვლავობისკენ მიიწევს.

**— მუსიკით როდის დაინტერესდით?**

— ფილოსოფიისა და თეოლოგიის ფაკულტეტებზე ჩავაბარე, შემდეგ ყველაზე კარგ სამართლის სკოლაში ვისწავლე. ყოველთვის მინდოდა, შემეცვალა მსოფლიო. ჩემი ოჯახი მუსიკალურად განათლებული არ ყოფილა, მე კი მუსიკისადმი ყოველთვის დიდი ინტერესი მქონდა და ეს სფეროც შევისწავლე.

**— აპირებთ, ნინის იმიჯი შეცვალოთ? რა კუთხით წარმოაჩენთ მას?**

— ადამიანები მსოფლიოს გარშემო ეძებენ საუკეთესოს, რომ იპოვნიან, მერე ცდილობენ, რომ კარგად შეფუთონ და მისი საუკეთესო მხარეები წარმოაჩინონ. ნინის შეცვლა კი იმას ნიშნავს, რომ დაუკარგო ის თვისებები, რაც მას აქვს და რომლითაც მთელი მსოფლიოს მოხიბლვას შეძლებს. მე უბრალოდ მივეხმარები, რომ ეს ყველაფერი ყველამ დაინახოს.

✓ ლანა კიკნაძე


## ნათელმხილველი ნელი ბიჩიკაშვილი



სამწუხაროდ, დღევანდელ ყოფაში პრობლემები ჩვენი ყოველდღიური თანამგზავრი გახდა. თუ ბევრი გასაჭირი დაგატყდათ თავს, როგორიცაა უბარაქობა, ბედის ჩაკეტვა, უშვილობა, ჯადოს ზემოქმედება, ნარკომანია, ლოთობა, კაზინოდამოკიდებულება და სხვ. მიმართეთ ნათელმხილველ ნელი ბიჩიკაშვილს! ქ-ნი ნელი იმ ერთეულთა შორისაა, ვისაც შეუძლია უზუსტესად იწინასწარმეტყველოს თქვენს თავს დატეხილი უბედურების მიზეზი და ამ მიზეზის განეიტრალება მოახდინოს... ქ-მა ნელიმ ბევრ უშვილო წყვილს აჩუქა შვილის ყოლის ბედნიერება.

მერწმუნეთ, ქ-ნი ნელის წინასწარმეტყველება ბევრ სიურპრიზს გპირდებათ...

**ჩაწერა ხდება წინასწარ.**

☎ 214-20-65 (ბინა), 593-30-65-51, 599-20-37-64, 597-10-23-37.




Cyan Magenta Yellow Black

# ქართველი მომღერლების გამო პრაღის კონკურსზე გრან პრი გააუქმეს?

## აჩიკო ნიჟარაძე: „საქართველოს დროშა ვაფრიალეთ და 3000 ევროთი დავბრუნდით საქართველოში"



მომღერალმა აჩიკო ნიჟარაძემ ზედიზედ სამ საერთაშორისო კონკურსში მიიღო მონაწილეობა. ესტონეთიდან გრან პრით დაბრუნდა, „სლავიანსკი ბაზარზე“ მეორე ადგილი ერგო, ახლახან კი პრაღაში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე გაიმარჯვა, პირველი ადგილი აიღო და ჯილდოდ 3000 ევრო გადასცეს. რაღაც გაურკვეველი მიზეზით კონკურსზე გრან პრი გააუქმეს, რომელიც, წესით, ქართველ მომღერალს უნდა რგებოდა. აჩიკო ხვდება, რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი ჩეხეთში, თუმცა მისთვის დღემდე გაურკვეველია, რატომ უკეთებდა იგნორირებას საკუთარ ქვეყანაში კულტურის სამინისტრო წინა ხელისუფლების დროს. ამ თემებზე აჩიკო „სარკეს“ ესაუბრება.

— **აჩიკო, წარმატებას გილოცავთ! გვიამბეთ ჩეხეთის კონკურსზე, როგორი კონკურენცია იყო, რამდენი ქვეყანა მონაწილეობდა.**

— პრაღაში გამართულ საერთაშორისო კონკურსზე 10 ქვეყანა მონაწილეობდა, მაგრამ 15 მონაწილე იყო. საქართველოს წარმოვადგენდი მე და პატარა ასაკობრივ ჯგუფში — 11 წლის ლიზი შავგულიძე. ორივემ პირველი ადგილები ავიღეთ. სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებულები გვყავდა კონკურენტებად. წინა წელს „სლავიანსკი ბაზარის“ პირველი ადგილის მფლობელი ამ კონკურსში მეორე ადგილზე მოვიტოვეთ.

> **„ეჭვი გაგვიჩნდა, რომ კონკურსის ხელმძღვანელობას ორი გამარჯვებული ქართველი არ აწყობდა. თუ გრან პრი გათამაშდებოდა, საქართველოში მეც და ლიზი შავგულიძესაც 5.000-5.000 ევრო უნდა წამოგვეღო, მაგრამ გრან პრი საერთოდ არ გათამაშდა".**

— **რა რეპერტუარით წარდექით კონკურსზე?**

— კონკურსი სამ ტურად ჩატარდა. პირველ ტურში ფრანგული სიმღერა შევასრულე, მეორეში — „ქართველების ერთად ყოფნა დაგვილოცე, ღმერთო“, მესამეში კი — იტალიური. მეორე ტურში შესრულებული ქართული სიმღერა ჩემთვის ყველაზე საყვარელია. ამ სიმღერით ესტონეთში გრან პრი ავიღე, სადაც ჟიურიში არც ქართველი მჯდარა და არც ჩვენი მეზობელი ქვეყნის წარმომადგენელი. ასე რომ, ჩემში ეჭვს ვერავინ შეიტანს. პრაღაში ჩატარებული კონკურსის ჟიურიში ბატონი ჯემალ სეფიაშვილი 7 ქვეყნის წარმომადგენელ მუსიკოსებთან ერთად იჯდა.

— **შეფასებები ქულებით ხდებოდა?**

— კი, მაგრამ ქულების რაოდენობა ფინალის წინ გამოცხადდა. ორი ტურის მერე გახდა ცნობილი, რომ ფინალში მოვხვდი. ფინალში ჟიურის 8 წევრიდან 6-მა 10 ქულა მომცა, 2-მა — 9. ჟიურის რომელმა წევრმა დამიწერა 9 ქულა, ეს ჩემთვის ცნობილი არ არის, რადგან, როგორც გითხრით, ქულების რაოდენობა ფინალის წინ გავიგეთ. როგორც მივხვდი, იტალიელმა დამიწერა 10 ქულა, რადგან ძალიან შემაქო, მითხრა, შენი სიმღერა მომეწონაო.

— **ელოდით ამ გამარჯვებას?**

— ყველა კონკურსისთვის მაქსიმალურად ვემზადები და გამარჯვებისთვის მივდივარ. თუ მე-7 ან მე-8 ადგილისთვის საბრძოლველად მიდიხარ, მაშინ საერთოდ არ უნდა მიიღო მონაწილეობა. სცენაზე ისე უნდა დადგე, შიში არ გქონდეს, თუმცა კონკურსებს ნერვიულობა ყოველთვის თან სდევს.

— **როგორც ვიცი, ჯილდოდ გრან პრიც უნდა ყოფილიყო.**

— კი, უნდა ყოფილიყო, მაგრამ კონკურსის ხელმძღვანელობამ ბოლო წუთს მიიღო გადაწყვეტილება და გრან პრი მოხსნეს. ვერაფრით გავიგეთ, ეს რატომ მოხდა. ეჭვი გაგვიჩნდა, რომ კონკურსის ხელმძღვანელობას ორი გამარჯვებული ქართველი არ აწყობდა. თუ გრან პრი გათამაშდებოდა, საქართველოში მეც და ლიზი შავგულიძესაც 5.000-5.000 ევრო უნდა წამოგვეღო, მაგრამ გრან პრი საერთოდ არ გათამაშდა. საქართველოს დროშა ვაფრიალეთ და 3000 ევროთი დავბრუნდით საქართველოში.

— **ჯემალ სეფიაშვილი კმაყოფილი დარჩა თქვენი გამოსვლით?**

— ეს ალბათ მას უნდა ჰკითხოთ. ფაქტია, რომ გავიმარჯვეთ, მაგრამ ალბათ იყო პატარა ნიუანსები, რაც არ მომეწონა და სადაც მე მივხვდი, ამას ბატონი ჯემალიც შეამჩნევდა. სიმღერის დროს ხანდახან არის სიტუაცია, როცა ან არანჟირება არ გესმის, ან — ხმა. ამ ყველაფერს კი ის დაემატა, რომ სიცივე იყო. ისეთი ლამაზია პრაღა, მე და ჩემს ცოლს, ნუცას გვიჭირდა, რომ არ გავსულიყავით და არ დაგვეთვალიერებინა. ჩვენი ელჩი ჩეხეთში, ბატონი ზაზა გოქსაძე, თან გადაგვყვა, ერთი დღე არ გაუცდენია, დიდ ყურადღებას გვაქცევდა, თავს ისე ვგრძნობდით, როგორც საქართველოში.

— **კიდევ ვინ იყო თქვენი გულშემატკივარი პრაღაში?**

— ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი ნუცაა. ძალიან მნიშვნელოვანია, როცა გქომაგობს ადამიანი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარხარ. თბილისიდან ჩემთან ერთად წამოსულ რამდენიმე გულშემატკივარს პრაღაში მცხოვრები ქართველებიც დაემატნენ. ამ ფესტივალზე ყველაზე ბევრნი ჩვენ, ქართველები ვიყავით.

— **თქვენი პირველი ადგილი ეჭვს ხომ არ გამოიწვევს, რადგან ჟიურიში ჯემალ სეფიაშვილი იჯდა?**

— არანაირად! როგორც გითხარით, ბატონი ჯემალის გარდა, იქ ჟიურის 7 წევრი იჯდა. ერთ კაცს ნამდვილად არ შეუძლია, რომ მონაწილე პირველ ადგილზე გაიყვანოს. იურმალას ჟიურიში ორი ქართველი ზის, მაგრამ ვერაფერს აკეთებენ.

— **ბოლო პერიოდში კონკურსებზე სიარულს მოუხშირეთ? ადრე რატომ არ აქტიურობდით ამ მხრივ?**

— წლების განმავლობაში ვერც ერთ კონკურსზე გავედი, ამის საშუალება არ მეძლეოდა, ფინანსური პრობლემების გამოც და კიდევ იმიტომ, რომ კულტურის სამინისტრო არ მაფინანსებდა. მართლა არ ვიცი, ამ უყურადღებობის მიზეზი რა იყო. ალბათ მათ უნდა ვკითხოთ. „ჯეოსტარში“ გამარჯვების შემდეგ ვერც ერთ კონკურსში მივიღე მონაწილეობა. იურმალაზე გასვლაც ჩემი ძალებით ვცადე, მაგრამ ბოლოს მოისურვეს, რომ სოფო ხალვაშთან დუეტში მემღერა. ამაზე უარი ვთქვი, რადგან დუეტად ჩამოყალიბება ასეთ მცირე დროში შეუძლებელი იყო. ვერაფრით მივაღწიე იმას, რომ იურმალაზე საქართველოს წარვედგინე. მთავრობის შეცვლის შემდეგ კი კულტურის სამინისტრომ ჩემი სამივე კონკურსი დააფინანსა.

— **ახლა კონცერტებზეც ხშირად გიწვევენ?**

— საქართველოში დიდი „კონცერტიანობა“ არც იგრძნობა, რაც ალბათ იმით აიხსნება, რომ ჯერჯერობით ამის დრო არ არის. ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის შესაცვლელი. ვფიქრობ, რომ კულტურა ქვეყნის სახეა და საზღვარგარეთ რაც უფრო ბევრ გამარჯვებას მოვიპოვებთ საქართველოს სახელით, ისევ ჩვენი ქვეყნის წარმატება იქნება. სამწუხარო ის არის, რომ კონკურსებში ჩემს წარმატებას ძალიან მცირე გამოხმაურება მოჰყვა ჟურნალისტების მხრიდან. არადა ზუსტად ვიცი, რომ ეს საკითხი ხალხს ძალიან აინტერესებს, ამას „ფეისბუქის“ ჩემი გვერდიც მოწმობს. ალბათ კონკურსებში მონაწილეობა ისეთ პერიოდში მომიწია, როცა ჩვენს ქვეყანას გარდამავალი პერიოდი ჰქონდა, ერთი მთავრობა მეორემ შეცვალა და ამ ეტაპზე პოლიტიკას უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე კულტურას. მინდა, ისეთ ქვეყანაში ვიცხოვრო, სადაც პოლიტიკა საერთოდ არ დამაინტერესებს.

— **მომავალში რას აპირებთ, რა სიახლეებს გეგმავთ შემოქმედებაში?**

— იტალიაში საერთაშორისო კონკურსზე ვარ მიწვეული, ოღონდ ჯერ არ ვიცი, წავალ თუ არა, რადგან ახალ პროექტზე ვიწყებ მუშაობას და გადაწყვეტილებას იმის მიხედვით მივიღებთ, თუ როგორ გამოვა ეს საქმე. წინასწარ არაფერზე მინდა ლაპარაკი. ამ პროექტის მერე ცოტა ავხმაურდებით და ვფიქრობ, ჟურნალისტები ამის მერე მაინც დაინტერესდებიან ჩემით. თუ არ დაინტერესდებიან, არც ესაა ჩემი პრობლემა. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნის წარმოჩენა. „სლავიანსკი ბაზარს“, საქართველოს გარდა, დაახლოებით 20 ქვეყანა პირდაპირ ეთერში გადასცემდა. ეს ჩემი მინუსია თუ ჩვენი ტელევიზიის?

— **პრაღაში ჯილდოდ მიღებულ თანხას რაში გამოიყენებთ?**

— ახალი კონკურსებისთვის მოვემზადები და ამ ფულს ისევ სიმღერებში დავაბანდებ.

✓ სოფიო ბოჭორიძე






Cyan Magenta Yellow Black

# რა მსხვერპლი გაიღო ლატავრა ფოჩიანმა სიყვარულისთვის

## „მართალია, ცეკვა შეწყვიტა, მაგრამ მისი დედოფლობა ამით არ დასრულებულა“



ცეკვის დედოფალი — ასე უწოდებდნენ სუხიშვილების ანსამბლის სოლისტ ლატავრა ფოჩიანს. მისი ცეკვის მანერა განუმეორებელი იყო და ასეთად დარჩა. ქართულ ცეკვაში მისი ტახტი ველარავინ დაიკავა. ის ხშირად გამხდარა ქართველი მწერლებისა თუ მხატვრების მუზა. ასე შეიქმნა ცნობილი ტილოები: „ცისფერი ლატავრა“, „ლატავრა დაირით“, „ტრიპტიქი შოთა რუსთაველი“... მას ეძღვნება იოსებ ნონეშვილის ლექსი „ვენის ტყეში ქართველები ცეკვავენ“, თენგიზ ურთმელიძის სტრიქონები: „დედოფლურ ეშხით ცეკვავს ლატავრა, ქართული გენი, ქართული სული, მსოფლიოს გზებზე კდემით ატარა...“.

ცეკვის დედოფალს მთელი ცხოვრება ერთგულად მოჰყვებოდა მისი საყვარელი მამაკაცი — მეუღლე, ცნობილი მეცნიერი, რადიოლოგი კიაზო ნადარეიშვილი. მათი სიყვარული და ყურადღება ერთი ბიჭისკენ იყო მიმართული, ეს იყო კიაზოს ვაჟი დავითი. ის თავის დედობილს „სარკესთან“ იხსენებს.

**— ბატონო დავით, გვიამბეთ, როგორი იყო ცეკვის დედოფალი სცენის მიღმა, ოჯახში, ადამიანებთან ურთიერთობაში.**

— ჩემს დედობილთან დაკავშირებით ბევრი მოგონება მაქვს. საზოგადოება მას მხოლოდ სცენიდან იცნობდა, ის მხოლოდ გამორჩეული მოცეკვავე კი არა, ძალიან განათლებული ადამიანი და კარგი მეცნიერიც იყო. სამედიცინო განათლება ჰქონდა მიღებული და ამ პროფესიით მუშაობდა კიდეც. აინტერესებდა თანამედროვე ცხოვრება, თანამედროვე მედიცინა და ამ კუთხით სულ ახალ-ახალ ინფორმაციებს იღებდა. ძალიან ერუდირებული პიროვნება გახლდათ და, რაც მთავარია, საკუთარი თავის მიმართ ზედმეტად მომთხოვნი იყო. მედიცინა და ხელოვნება — ეს იყო ის სფეროები, რომელთა მიმართაც უდიდესი სიყვარული ჰქონდა.

ლატავრა სცენაზე ხომ დედოფალი იყო, მაგრამ არანაკლები დედოფალი იყო ოჯახში. ყოველდღიურობაშიც მიხვდებოდი, რა დიდებულ ქალთან გქონდა საქმე. ჩაის დასხმა და ადამიანისთვის ხელის გაწოდებაც კი ისეთი იცოდა, როგორც დედოფალს ეკადრება. მართალია, ცეკვა შეწყვიტა, მაგრამ მისი დედოფლობა ამით არ დასრულებულა. მისი გული და მისი ცხოვრება მუდამ ამ დარგით არსებობდა. გარშემომყოფებს ხელოვნება და ცეკვა შეაყვარა, მათ შორის — მეც. სულ სხვა საქმიანობას ვეწევი, მაგრამ ცეკვა ძალიან მიყვარს. როცა დედაშენი ცეკვავს, ამას სხვანაირად აფასებ. ასე ვიყავი მეც. ძალიან მომწონდა მისი პროფესია.



**„ყოველდღიურობაშიც მიხვდებოდი, რა დიდებულ ქალთან გქონდა საქმე. ჩაის დასხმა და ადამიანისთვის ხელის გაწოდებაც კი ისეთი იცოდა, როგორიც დედოფალს ეკადრება“.**

**— ის კრიტიკასაც არ ერიდებოდა, როცა საქმე ქართულ ცეკვებს ეხებოდა, ამ სფეროს მიმართ განსაკუთრებულად მგრძნობიარე იყო.**

— სიცოცხლის ბოლო დღემდე ქართული ცეკვის დიდი გულშემატკივარი იყო და ამ საკითხში მკაცრიც გახლდათ. ადამიანი გამორჩეული მოცეკვავე უნდა ყოფილიყო, რომ მას მოსწონებოდა. თავად კი მოსწავლეები არასდროს ჰყოლია. თავისი ცხოვრების ბოლო წლები ლატავრამ ძირითადად სახლში გაატარა, ამის მიუხედავად, ერთი წუთითაც არ ჩერდებოდა. საკუთარ თავზე მუშაობდა, ჩანაწერებს აკეთებდა. თითქმის მთელი თავისი ცხოვრება ფურცლებზე ჰქონდა გადატანილი. ბოლო წლები ამ ყველაფრის დალაგებასა და რედაქტირებას მოანდომა. ქალბატონმა ლატავრამ მთხოვა, ამ საქმეში დავხმარებოდი. მის მოგონებებს მეც დიდი სიამოვნებით ვუკეთებდი რედაქტირებას.

ძალიან საინტერესო ჩანაწერებია. ყველა საკითხთან დაკავშირებით წერდა თავის მოსაზრებებს. ძალიან მინდა, მის ამ ჩანაწერებს რაღაც ფორმატი მოვუძებნო და წიგნად გამოვცე. გარდაცვალებამდე ამ თემაზე ხშირად მესაუბრებოდა. იუბილეს გადახდას და წიგნის გამოცემას აპირებდა, სამწუხაროდ, არ დასცალდა. ლატავრამ თავისი საუკეთესო ფოტოები შეაგროვა, ჩარჩოებში ჩასვა და ძალიან ლამაზი კოლექცია დაგვიტოვა.

ლატავრასგან რაღაცეები ანდერძივით მაქვს მიღებული. თუნდაც ის, როგორი ურთიერთობა მქონოდა იმ ადამიანებთან, ვისაც მის ცხოვრებაზე მოვუყვებოდი. ის სურათებიც არჩეული ჰქონდა, რომელიც საჯარო უნდა გამხდარიყო. ეს ფოტოები და მოგონებები ერთად აკინძა.

**— როდის და როგორ დაიწყო თქვენი, შვილობილისა და დედობილის ურთიერთობა?**

— დედაჩემი ძალიან ადრე გარდაიცვალა. ჩემი პატრონი ლატავრა იყო. ყველანაირად მეხმარებოდა. მშობლის სითბო და სიყვარული მან მაგრძნობინა, რაც ძალიან დასაფასებელია. ლატავრა რომ გავიცანი, უკვე მოზრდილი ბიჭი ვიყავი. თავიდანვე მოვიხიბლე ამ ქალით და კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. ბოლო წლებში კი კიდევ უფრო დავუახლოვდით ერთმანეთს და მისი მესაიდუმლე გავხდი. ჩვენი ერთობლივი მუშაობა ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის. ჩანაწერებს რომ ვკითხულობდით და ვასწორებდით, კიდევ რაღაც ამბავი გაახსენდებოდა და მომიყვებოდა ხოლმე, მათ შორის ისეთ დეტალებზე მესაუბრებოდა, რაზეც არ წერდა. ამით მან კიდევ მეტად ჩამახედა თავის ცხოვრებაში, პიროვნებაში და ა.შ. როგორც შვილს, ისე მენდობოდა და დედასავით მექცეოდა. მას საკუთარი შვილი არ ჰყოლია და დედობრივ ინსტინქტს მთლიანად ჩემ მიმართ ავლენდა. მეტსაც გეტყვით, ჩემთვის ფულს აგროვებდა. მეტყოდა, ახალგაზრდა ხარ და რამეში გამოიყენებო.

ჩემთვის ოჯახი ძალიან მგრძნობიარე საკითხია, რადგან დედისერთა ვარ. მადლობელი ვარ მამაჩემის და ჩემი დედობილის, რომ უდედმამიშვილობას და უდედობას ნაკლებად მაგრძნობინებდნენ. არასდროს დამავიწყდება ლატავრას დიდი სიკეთე და სისპეტაკე ჩემ მიმართ. მინდა, რომ ეს სიკეთე არ დავუვიწყო და ასევე დანაბარები შევუსრულო — დიდი სურვილი მაქვს, მისი ფოტოების და ნივთების გამოფენა მოვაწყო. საინტერესო ნივთები მაქვს, მათ შორის — ის ტანსაცმელი, რომლითაც ლატავრა ვარჯიშობდა.

**— როგორი გახსოვთ ოჯახის გარეთ, ადამიანებთან ურთიერთობაში? რა თვისებებით გამოირჩეოდა?**

— სულ სხვების დახმარებაზე ფიქრობდა. იცოდა, რომ ადამიანებთან ოქროს შუალედი უნდა დაეცვა. ურთიერთობაც ლამაზი იცოდა. მისგან სცენაზე ხომ უდი-








Cyan Magenta Yellow Black





დესი ემოციები მოდიოდა, მაგრამ იყო კიდევ რაღაც ემოციები, რასაც ცეკვის მიღმა ამჟღავნებდა. მის თავაზიანობაში, ბუნებრივ სილამაზეში, დახვეწილ ჟესტებში ჩანდა პიროვნება და მისი გრძნობები. ჩემი აზრით, ლატავრამ თავისი სულიერი სილამაზე იმ ადამიანებსაც აჩუქა, ვისთანაც ურთიერთობდა.

**„მამას და ლატავრას არაჩვეულებრივი ცოლქმრობა ჰქონდათ. ერთმანეთის გაგება შეეძლოთ და ეს იყო მათი მყარი ოჯახის მთავარი საფუძველი. ლატავრას სილამაზე და მისი პიროვნება ძალიან ბევრ მამაკაცს იზიდავდა, მათ შორის — მამაჩემსაც".**

2008 წელს ის სისხლიანი დღეები რომ იყო, ძალიან განიცდიდა. საერთოდ, ყოველთვის პოლიტიკურად აქტიური გახლდათ და როდესაც ქვეყანას უჭირდა, მასაც უჭირდა. აგვისტოს ომის დროს უამრავი საჭირო ნივთი შეაგროვა და ომისგან დაზარალებულ, უსახლკარო ოჯახებს წაუღო. გაჭირვებულებს ეხმარებოდა, ქუჩაში გასულს ვინმე ხელს რომ გაუწვდიდა, გულგრილი არ ჩაუვლიდა. ვერ გეტყვით, რომ ჩვენი ოჯახი მდიდარი იყო და ბევრი რამის შესაძლებლობა ჰქონდა, მიუხედავად ამისა, ლატავრაც და მამაჩემიც სხვებს უწვდიდნენ დახმარების ხელს.

**— მამათქვენზე, კიაზო ნადარეიშვილზე გვიამბეთ. სცენაზე შეყვარებულ ცოლს ქმარი როგორ უგებდა, როგორი ცოლქმრობა ჰქონდათ?**

— მამა აკადემიკოსი, რადიობიოლოგი იყო. საქართველოს რადიობიოლოგიის და რადიაციული ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი გახლდათ. მამაჩემი რომ თავის საქმეში წარმატებული იყო, მეუღლის დამსახურება გახლდათ.

არაჩვეულებრივი ცოლქმრობა ჰქონდათ. ერთმანეთის გაგება შეეძლოთ და ეს იყო მათი მყარი ოჯახის მთავარი საფუძველი. ლატავრას სილამაზე და მისი პიროვნება ძალიან ბევრ მამაკაცს იზიდავდა, მათ შორის — მამაჩემსაც.

ჩემთვის ლატავრას და კიაზოს გაცნობის ამბავი განსაკუთრებულია თუნდაც იმიტომ, რომ ეს მოხდა ფიზიოლოგიის ინსტიტუტში, რომლის სამართალმემკვიდრის, დღევანდელი ივანე ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ხელმძღვანელი მე გახლავართ. დღეს ამ ცენტრში გაერთიანებულია კიაზო ნადარეიშვილის მთელი სამეცნიერო ცხოვრების ნაყოფი — რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის ცენტრი. ალბათ ეს ბედისწერაა ჩემთვისაც.

ლატავრა ასე იხსენებდა მისი და კიაზოს გაცნობის ისტორიას: „ერთმანეთი გავიცანით მაშინ, როდესაც სუხიშვილებთან ორწლიანი მუშაობის შემდეგ გადავწყვიტე, თავი მეცნიერებაში მომესინჯა. კიაზომ ცოლად მოყვანამდე მიიღო ჩემგან მტკიცე პასუხი, რომ სცენას აღარასოდეს დავუბრუნდებოდი, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ სუხიშვილებთან ერთად ავსტრალიაში საგასტროლოდ გავემგზავრე, ვთვლიდი, რომ უიმედოდ... რადგან კიაზოსთან ველარ დავბრუნდებოდი. სამთვიანი გასტროლის ბოლოს კიაზოსგან მომივიდა ბარათი, სახლში მოუთმენლად გელოდებიო... ამ ბარათის შინაარსი და სიტყვები ნამდვილად არაჩვეულებრივი იყო. ბარათი ამ სიტყვებით იწყებოდა: „მეუფეო ჩვენო, ხელოვნების ტყვეობაში წამებულო და შორეულ კუნძულსა ზედა გადახვეწილო, ნესტან და დარეჯან, ორივე ერთად!..“ და ასე გაგრძელდა 10 წელი. დილიდან 2 საათამდე ინსტიტუტში, 2 საათიდან 7 საათამდე რეპეტიცია, შემდეგ ოჯახში საქმიანობა, ღამე გადაღებები, გასვლითი კონცერტები, ისევ გასტროლები, კვლავ ჩხუბი, შერიგება... 1982 წელს შემოქმედებით ზენიტში მყოფმა ცეკვას თავი გავანებე. ეს იყო ჩემგან დიდი მსხვერპლის გაღება, მაგრამ კიაზოს სიყვარული ამად ღირდა. თანაც თავს იმით ვიმშვიდებ, რომ მოცეკვავემ თავი სცენას მაშინ უნდა გაანებოს, როცა ჯერ კიდევ პროფესიული მაყურებლის აღტაცებას იწვევს...“.

**— როგორი იყო მისი სიცოცხლის ბოლო დღეები?**

— ლატავრას გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე მამაჩემი წავიდა ამქვეყნიდან. თავად კი ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ავადმყოფობდა. დაეცა, მენჯ-ბარძაყის მოტეხილობა ჰქონდა, გაურთულდა და ამან ძალიან დააუძლურა. გარდაცვალების მიზეზიც ეს გახდა. მასთან ხშირი ურთიერთობა მქონდა და ვხედავდი, რომ ცუდად ყოფნას არ უშინდებოდა. ყველაფერს გმირულად იტანდა და ცდილობდა, ოჯახის წევრებისთვის არანაირი დაბრკოლება არ შეექმნა.

ერთი ვაჟიშვილი მყავს, რომელსაც მამაჩემის პატივსაცემად კიაზო დავარქვი. ლატავრა და მამაჩემი შვილიშვილის დაბადებამ ძალიან გაახარა. შეიძლება ითქვას, რომ იმ დღიდან მათი ცხოვრება შეიცვალა. ახალი საზრუნავი გაუჩნდათ და უკვე იმას ფიქრობდნენ, პატარასთვის რა გაეკეთებინათ. ერთხელ კიაზო და ლატავრა მოვიდნენ და მითხრეს, ხომ არსებობს საბანკო ანგარიშები, რომელსაც ბავშვებს უხსნიან, გვინდა, კიაზოს ასეთი ანაბარი გავუხსნათო.

ლატავრას ბავშვი უზომოდ უყვარდა, ბევრს ეთამაშებოდა. პატარა კიაზო მხოლოდ 3 წლის გახლდათ, როდესაც ქალბატონი ლატავრა გარდაიცვალა, მაგრამ მან შეძლო და ამ სამ წელში ბავშვს თავი შეაყვარა, დაამახსოვრა. ჩემი შვილი ახლა 5 წლის არის და ლატავრა ბებოზე ხშირად ლაპარაკობს, თუ ვინ იყო მისთვის და როგორ უყვარდა. სხვათა შორის, მისი გარდაცვალების შემდეგ საჩუქარი აღმოვაჩინეთ, რომელიც პატარა კიაზოსთვის ჰქონდა გამზადებული. სიცოცხლეში მისი გადაცემა ვერ მოასწრო.



■ დავით ნადარეიშვილი

**„მშობლის სითბო და სიყვარული მან მაგრძნობინა. საკუთარი შვილი არ ჰყოლია და დედობრივ ინსტინქტს მთლიანად ჩემ მიმართ ავლენდა".**

დაბოლოს, მინდა ჩემი მოგონება ლატავრას სიტყვებით დავასრულო: „ხშირად მეკითხებიან, რა არის ჩემთვის ბედნიერება. მე ვპასუხობ: თქვენ ალბათ მოელით, რომ ვიტყვი — ცეკვა, მაგრამ არა. ბედნიერებაა, რომ არსებობს ღმერთი, რომელმაც სულიერი მდგომარეობიდან ადამიანი ამ მატერიალურ სამყაროში დაუშვა „მე“ ცნობიერების გასავითარებლად და მოგვცა სრული თავისუფლება არჩევანში ბარაბასა და ქრისტეს შორის. ჭეშმარიტების, სიყვარულის არჩევაში, რის შედეგადაც მოგვეცემა უფლება სამუდამო სასუფეველში დამკვიდრებისა. ესაა დედამიწაზე ადამიანის მოსვლის მისია და მისი ბედნიერებაც!“.

✓ თეონა კენჭიაშვილი


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.





Cyan Magenta Yellow Black

# „ორსულად ვარ, დედა კი სახლში არ მიშვებს“



ერთი ჩვეულებრივი გოგო ვარ, მტკივნეული ცხოვრებითა და საინტერესო ისტორიით. მეგონა, ჩემი ბავშვობის ბედნიერი დღეები გაგრძელდებოდა და სულ ასეთი გახარებული ვიქნებოდი, მაგრამ შევცდი. გავიცანი ადამიანი, რომელმაც ყველაფერი შეცვალა, უზომოდ შემიყვარდა. ის იყო ჩემი ცხოვრების აზრი და სუნთქვის მიზეზი, მასთან ყოფნისას თავს უბედნიერესად ვთვლიდი. თანდათან ძლიერდებოდა გრძნობა და ვნება ერთმანეთისადმი.

ერთხელ მანქანით გასეირნება გადავწყვიტეთ. ვერ გავიგე, დრო ისე უცებ გავიდა, ამიტომ დედასთან დავრეკე და მოვატყუე, დაქალთან ვრჩები-მეთქი. გამთენიისას მანქანაში ჩამეძინა, შემდეგ მისმა კოცნამ გამომაღვიძა, მეც თავი ვერ შევიკავე და... მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. ასეთი შემთხვევა რამდენჯერმე განმეორდა და დავრჩი კიდეც ფეხმძიმედ. როცა შეყვარებულს ვუთხარი, გადაირია, მითხრა, რომ ოჯახის რჩენას ვერ შეძლებდა და ვერც ცოლად მომიყვანდა.

ისტერიკა დამემართა, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ამ ამბის შემდეგ ჩემთან სიახლოვეს გაურბოდა, ბოლოს კი კიევში წავიდა ბიძასთან, მე კი განადგურებული დამტოვა.

დედას სიმართლე რომ ვუთხარი, გადაირია, დღემდე ხმას არ მცემს. მე კი არ ვიცი, როდემდე ვიცხოვრებ დაქალის სახლში. ვხვდები, რომ გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი, მაგრამ ამას იმით ვამართლებ, რომ მიყვარდა. ან იქნებ გატაცება იყო, უკვე არ ვიცი. ახლა რასაც ვგრძნობ, სიძულვილია და მეტი არაფერი. სამ თვეში დედა გავხდები, მე კი ვერაფერს ვგრძნობ, უემოციოდ ვარ. მხოლოდ ის მინდა, რომ ჩემი შვილი უმამოდ არ გაიზარდოს... არ მინდა, იმის შვილს ვატარებდე მუცლით, ვინც არაფრად ჩამაგდო და დამტოვა. ის აუცილებლად დაისჯება.

გოგოებო, ასჯერ გაზომეთ და ის ნაბიჯი არ გადადგათ, რაც ცხოვრებას გაგიმწარებთ. როგორც უნდა გიყვარდეთ, ვნებას, გრძნობას მოერიეთ, რომ ჩემს მდგომარეობაში არ აღმოჩნდეთ.

*მკითხველი*

# „მეზობლის გოგომ იცრუა, თითქოს მე გავაგებინე, რომ ნაშვილებია“

ჩვენი მეზობლის გოგო ნაშვილებია. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ეს 13 წლის ასაკში გაიგო და გამზრდელ მშობლებს უთხრა, ვითომ ეს ამბავი ჩემგან შეიტყო. მერწმუნეთ, ასე არ არის და არც ვიცი, რაში დასჭირდა ამ ყველაფრის ჩემზე გადმობრალება, მაგრამ მის გამზრდელ მშობლებს ეს ვერაფრით დავაჯერე. ისეთი გაბრაზებულები მოგვიცვივდნენ სახლში და ისე მისაყვედურეს, რომ იმის შიში გამიჩნდა, არ დამწყევლონ-მეთქი. ადრე ამ გოგოსთან კარგი ურთიერთობა მქონდა, თანატოლები ვართ, ეზოში ერთად ვთამაშობდით, სახლშიც ამყავდა და რაც მოეწონებოდა, უყოყმანოდ ვჩუქნიდი. ისიც მეტყოდა ხოლმე, რა კეთილი ხარო.

მიუხედავად იმისა, რომ ამხელა ბოროტება დამაბრალა, ჩემი წყენა სიბრალულმა შეცვალა, რადგან ძალიან გულჩათხრობილი გახდა და აღარავის ელაპარაკება. ვერც მე გამიბედავს მასთან მისვლა და კითხვა, თუ რატომ მადანაშაულებს უსაფუძვლოდ. ალბათ იმ ადამიანმა, ვისგანაც სიმართლე გაიგო, დააშინა, რომ მისი სახელი არ ახსენოს. გთხოვთ, გამომეხმაურეთ და მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.

*„სარკის“ მკითხველი*

**გამოხმაურების მსურველები დაგვიკავშირდნენ ტელეფონებზე:**
**296-75-43 ან 5 (99) 30-93-89. იკითხეთ ირინე მჭედლიძე ან იზა ბარბაქაძე, 11-დან 16.30 სთ-მდე, ყოველდღე.**
**თქვენი ისტორიების გამოგზავნა შეგიძლიათ სამი გზით:**
1. ეწვიეთ საიტ sana.ge-ს, დააწკაპუნეთ ღილაკს „მოგვწერეთ“ და დაბეჭდეთ თქვენი ისტორია.
2. გამოგზავნეთ სმს-ით ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან.
1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.
3. ელფოსტაზე: irmchedlidze@mail.ru

**ანონიმურობა დაცულია**

*გამოხმაურება*

# „შეყვარებულმა ცოლად გაყოლა დამაძალა, მერე კი მიმაგდო“

ჟურნალ „სარკის“ 49-ე ნომერში დაიბეჭდა წერილი — „შეყვარებული გაპარვას მაძალებს“. არ შემეძლო, ამ გოგონას არ გამოვხმაურებოდი, რადგან რამდენიმე წლის წინ ზუსტად ასეთი არჩევანის წინაშე ვიდექი. ჩემს ისტორიას მოვყვები და ამ წერილის ავტორმა თავად გადაწყვიტოს, როგორ მოიქცეს.

ახლა 22 წლის ვარ, ერთი შვილის დედა. შენი ტოლი სწორედ ანალოგიურ სიტუაციაში ვიყავი. შეყვარებული მყავდა, რომელიც არავის მოსწონდა, არც ჩემს ოჯახს, არც ჩემს მეგობრებს, არც ნათესავებს. ყველა მეუბნებოდა, რომ არ შემეფერებოდა. მე კი თავდავიწყებით მიყვარდა და ყველა, ვინც მასზე ცუდს მეუბნებოდა, ჩემი მტერი მეგონა.

ჩემი შეყვარებული მაძალებდა, ცოლად გავყოლოდი. ვეუბნებოდი, რომ ჯერ ამისთვის ძალიან პატარა ვიყავი, მაგრამ თავისას არ იშლიდა. ბოლოს ულტიმატუმი წამომიყენა, ან დამშორდები, ან ცოლად გამომყვებიო. წავიდა და ორი კვირა არ გამოჩნდა. ის დღეები ნამდვილი სატანჯველი იყო ჩემთვის, ტელეფონზე არ მპასუხობდა, არ მეკონტაქტებოდა. ორი კვირის მერე კი შემხვდა და პასუხი მომთხოვა. მე უკვე აღარ შემეძლო მის გარეშე და დავთანხმდი. გრძნობას ვერ მოვერიე და მისი ცოლი გავხდი.

ჩემი მშობლები გაგიჟდნენ, ცოტა ხანს ხმასაც არ მცემდნენ, მაგრამ მერე შემირიგდნენ. ჩემი აღტაცება კი ძალიან ცოტა ხანს გაგრძელდა. ქმარს სიყვარულმა მალე გადაურია და გარე-გარე დაიწყო სიარული. გოგოებს ეპრანჭებოდა, ზოგს იმასაც ატყუებდა, რომ ცოლი არ ჰყავდა, ამ დროს კი სახლში ფეხმძიმე მეუღლე ელოდებოდა. მე ყველანაირად ვცდილობდი, გონზე მომეყვანა, თავს ვიმცირებდი და მის „შეყვარებულებს“ უკან დავდევდი, მაგრამ არაფერმა გაჭრა. დღითიდღე ვგრძნობდი, რომ აღარ ვუყვარდი.

ჩემი მშველელი არავინ იყო, ჩემ გვერდით არავინ დადგა. დედამთილი მეუბნებოდა, ჩემი შვილი ჯერ პატარაა, წინ ბევრი რამ აქვს, შენ კი აეკიდე და ცოლად გამოჰყევიო. ჩემი გულის გასახეთქად ამბობდა, პატარა ბიჭია და გოგოებს გაეპრანჭება, აბა, რას იზამს, რა დროს ამის ცოლი და შვილიაო. ორსული ქალი მთელ დღეებს ტირილში ვატარებდი. ზოგჯერ საჭმელსაც კი არ ვჭამდი, მაგრამ ეს არავის ანაღვლებდა. ჩემი ერთადერთი იმედი შვილი იყო. ვფიქრობდი, ბავშვს რომ დაინახავდა, ჩემ მიმართ სიყვარული თავიდან გაუღვივდებოდა და კარგ ქმრად და მამად იქცეოდა, მაგრამ შევცდი.

ბავშვის დანახვამ უფრო გააგიჟა. საერთოდ ვერ გრძნობდა, რომ მამა იყო. შვილს ისე უყურებდა, როგორც უცხო ბავშვს. შვილისთვის რომ რაღაცეებს ვთხოვდი, ეს უფრო მეტად აცოფებდა. ვერ იგებდა, რომ ბავშვს ბევრი რამ სჭირდებოდა. დედამთილი კი ისევ ჩამსისინებდა, ჩემი შვილი თვითონ არის ბავშვი და შენს შვილს როგორ მიხედავს, პრეტენზიები ნუ გაქვსო. მისთვის შვილიშვილი „ჩემი შვილი“ იყო. ბავშვი მამას გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა, მაგრამ ვერ წამოვაცდენინე, რომ ასე იყო. ამბობდა, სულ შენ გგავსო, არადა ერთი ნაკვთიც არ ჰქონდა ჩემი.

მოკლედ, ოჯახითვის მიუღებელი ვიყავი. ჩემებმა კარგა ხანს უყურეს ჩემს ტანჯვას და ერთხელაც მათი სახლიდან წამომიყვანეს. მშობლებს ამ სიკეთეს არ დავუვიწყებ. მათ ვერასოდეს გავუბედავდი, აქედან წამიყვანეთ-მეთქი. არადა იქ გაჩერება უკვე აღარ შემეძლო. ბევრჯერ საჭმელიც კი არ მქონდა, მაგრამ ეს ოჯახში არავის ადარდებდა.

ახლა შვილს მარტო ვზრდი, უფრო სწორად, ჩემები მეხმარებიან. ჩემი დედ-მამა შვილიშვილს თან ჰყვებიან, ჩემი შვილით სუნთქავენ და არსებობენ. მის ბებიას და მამას კი საერთოდ არ ანაღვლებთ, ბავშვი რას აკეთებს, რას ჭამს, რას სვამს. ისიც კი არ აინტერესებთ, როგორია. ჩემი ქმარი ისევ გოგოებს დასდევს, ისევ უმწიფარი, პატარა ბიჭია.

ასე რომ, ყველა გოგო კარგად უნდა დაფიქრდეს, სანამ ასეთ ნაბიჯს გადადგამს. მომავალს ნუ გაიმწარებთ, ჯერ საკუთარ თავზე იფიქრეთ და იმაშიც დარწმუნდით, რომ იმ ბიჭს ნამდვილად უყვარხართ, თორემ შეიძლება ქმრის ნაცვლად უმწიფარი ბიჭი შეგრჩეთ ხელში და ჩემსავით მიგაგდოთ.

*„სარკის“ ერთგული მკითხველი*



Cyan Magenta Yellow Black

გამოხმაურება

# „სიკეთე უმადურობით გადამიხადეს“

ჟურნალ „სარკის“ 49-ე ნომერში გამოქვეყნდა წერილი, სათაურით „დედამ ოთახში ნათესავი შემომისახლა“. მე 60 წელს მიღწეული ქალი ვარ და არ შემეძლო, ამ წერილის ავტორს არ გამოვხმაურებოდი. ეს გოგონა აბსოლუტურად მართალია. დედამისმაც უნდა იცოდეს, რომ მისი ამაგი შეიძლება არავინ დააფასოს. უფრო მეტიც, სიკეთე ბოროტებით და უმადურობით გადაუხადონ. მე სწორედ ასე დამემართა.



მთელი ცხოვრება გაჭირვებულ ადამიანებს ვეხმარებოდი. მე და ჩემი ქმარი მუდამ მათ გვერდით ვიდექით, მაგრამ ამაგი არავინ დაგვიფასა. ერთმა ნათესავმა, რომელსაც მართლა თან გადავყევით და დიდი ხნის განმავლობაში ჩვენს ოჯახში ცხოვრობდა, იცით, სიკეთე რა სიტყვებით გადაგვიხადა? ერთ დღეს ჩემმა ქმარმა სადღეგრძელოში უთხრა, მიხარია, ჩემი ამაგი რომ დააფასეო, მან კი უპასუხა, ვეცდები, ის მოწყალება მოწყალებითვე დაგიბრუნოთო.

20 წლის განმავლობაში ჩვენს ოჯახში ერთი ქალი დადიოდა, რომელიც მეხმარებოდა. რა თქმა უნდა, ამას უანგაროდ არ აკეთებდა, ფულს ვუხდიდი, მაგრამ მას ისე ვუყურებდი, როგორც ნათესავს. მისი გოგონა თითქმის მე გავზარდე, ჩემს ოჯახში ცხოვრობდა, ჩემი სახლიდან გავათხოვე. ამას წინათ ამ ქალის შვილს დავურეკე და ვუთხარი, სახლი მაქვს დასალაგებელი და იქნებ დედაშენს უთხრა, მომეხმაროს-მეთქი. რა თქმა უნდა, შესაფერის ანაზღაურებასაც მივცემდი. იმ გოგომ კი, რომელზეც ძალიან დიდი ამაგი მქონდა, ასეთი პასუხი გამცა, ის დრო მოკვდა, ახლა დედაჩემი სახლებს აღარ ალაგებს, ახლა ჩვენ ვირჩევთ მეგობრებს და ოჯახებსო.

კარგი დიასახლისი ვარ, მაგრამ ხაჭაპურის ცხობა არ მეხერხებოდა, ამიტომ ერთ ქალს ვუგზავნიდი პროდუქტებს, რომ ხაჭაპური გამოეცხო. რა თქმა უნდა, არც ამას ვაკეთებდი გასამრჯელოს გარეშე. პროდუქტსაც იმდენს ვუგზავნიდი, რომ მათაც დარჩენოდათ ოჯახში. იმ ქალის შვილსაც ვპატრონობდი და იმ გოგომაც გული მატკინა. ერთ დღეს მითხრა, ვეცდები, ისე ვიცხოვრო, რომ დედაჩემს შენ დაუცხო ხაჭაპურებიო. ისიც კი მითხრა, შენს გოგოს კარგ სუნამოებს უდგამდი საძინებელშიო. მე ვუთხარი, შენც ხომ გაძლევდი-მეთქი. მაძლევდი, მაგრამ ისე კარგს არაო.

თუ ვინმეს დახმარება გვინდა, ისეთებს დავეხმაროთ, ვისაც ეს მართლა სჭირდება, მაგალითად, უნარშეზღუდულ ადამიანებს, თუმცა არ მინდა, ისე გამიგოთ, რომ სიკეთის გაკეთება არ ღირს. პირადად მე რაიონიდან ჩამოვედი თბილისში და დიდი ხნის განმავლობაში ახლობლის ოჯახში ვცხოვრობდი. მათ დიდი ამაგი დამდეს, მიპატრონეს. მათი სიკეთე დღემდე მახსოვს, მათ საფლავებზე დავდივარ და ყოველთვის თბილად ვიხსენებ.

*„სარკის“ ერთგული მკითხველი*

✓ მოამზადა ირინე მჭედლიძე


www.abdiibrahim.com.tr

უეფუთნეთ „ზამთრის ინფექციები“ თქვენი ოჯახის ერთგული მეგობრების დახმარებით

ბენეტი
ორალური სპრეი

ბენეტი პლიუსი
ორალური სპრეი



ყელის ტკივილისა და პირ-ხახის ინფექციურ-ანთებითი დაავადებების ეფექტური, სწრაფი და უსაფრთხო მკურნალობა

- სწრაფად ხსნის ტკივილსა და დისკომფორტს
- უზრუნველყოფს ხანგრძლივ გაუტკივარებას
- აუმჯობესებს ღეჭვისა და ყლაპვის ფუნქციებს
- გამოიყენება ყველა ასაკობრივ ჯგუფში: ბავშვებში, მოზრდილებსა და ხანდაზმულებში
- აქვს სასიამოვნო გემო

ბენეტი სპრეის გამოყენება შეიძლება 6 წლამდე ასაკის ბავშვებში, ხოლო ბენეტი პლიუსი ბავშვებში ინიშნება 6 წლის ასაკიდან.

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას. გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

საქართველო, თბილისი 0112,
დ. აღმაშენებლის გამზ. 148/III

PSP №1

ABDİİBRAHİM



ბენეტი
ბენზიდამინი

ბენეტი პლიუსი
ბენზიდამინი/ქლორჰექსიდინი

# მიშა ანდღულაძე: „რეალური მარეხ თოდუა მემუქრება, რომ გამწეწავს“



იუმორისტი მიშა ანდღულაძე ქუჩაში სრულიად უცნობ ქალებს და კაცებს დაჟინებით უცქერს ხოლმე. არ გეგონოთ, რომ ისინი „სხვანაირად“ აინტერესებს. მათ ქცევებს, მანერებს სწავლობს, რომ მერე სკეტჩებში გამოიყენოს. მიშა გვარწმუნებს, რომ მისი ყველა გმირი რეალური ცხოვრებიდან არის აღებული, მათ შორის, მარეხ თოდუაც, რომელიც იმდენად პოპულარულია, რომ ამ პერსონაჟის მონაწილეობით სკეტჩებმა სოციალურ ქსელებში ვიზიტორთა რაოდენობით რეკორდი მოხსნა. მიშას „ქალებს“ უკვე „დაქალიც“ ჰყავთ გიგა ტაბიძის შესრულებით. ქალის ტანსაცმელში გამოწყობილ ქუთაისელ გიგას მშობლიურ ქალაქში თავიდან ვერ გაუგეს, რაღაცეები შეუთვალეს... თუმცა გიგას ეს არ აკომპლექსებს, მისთვის მთავარია სკეტჩი სასაცილო გამოვიდეს.

**— მიშა, სკეტჩებში სხვადასხვა ტიპის ქალები უკვე თქვენი ამპლუა გახდა. როგორი იყო პირველი ემოცია, როცა საწინააღმდეგო სქესის როლი მოირგეთ?**

**მიშა**: ახლა უკვე ქალებში დახვეწილი ვარ. პირველი კი ნანული იყო. რეკვიზიტები სახლში მქონდა — დედაჩემის რაღაცნაირი, დაწნული ჩალის შლაპა, რომელსაც ბაზარში იხურავდა და კიდევ რაღაც ჩანთა. ნანული ასე შეიქმნა. საზოგადოების პირველი რეაქცია კარგი იყო და ნანულიც ასე ნელ-ნელა ავაგორეთ. სხვათა შორის, დაახლოებით 10 წლის წინ, როცა კონცერტების კეთება დავიწყეთ, ხალხს „დამუღამებული“ არ ჰქონდა, კაცი ქალის პაროდიას რატომ აკეთებდა. ფაქტობრივად, მაშინ ეს ნომერი ჩავარდა, მაგრამ მეორე წელს ზუსტად იგივე გავაკეთე და ხალხი სიცილით კვდებოდა. ადამიანს ხუმრობა საჭირო ფორმით უნდა მიაწოდო.

**— გიგა, ქალის როლში ახლობლებმა პირველად როგორ მიგიღეს?**

**გიგა**: ახლობლების რეაქცია ასეთი იყო — რა გაგიჭირდაო.

**მიშა**: და ასეთიც: „შენ, ბიჭო, ქუთაისში ჩამოსვლა არ გინდა?!“

**გიგა**: ჰო, ასეთი რეპლიკაც იყო, ქალის ეგ პარიკი მანდ დატოვე და ქუთაისში ისე ჩამოდიო. სხვათა შორის, ქალის განსახიერებისას არანაირი დისკომფორტი არ შემქმნია. ვიცი, რომ ეს სკეტჩს სჭირდება და ვაკეთებ.

ერთი შემთხვევა გამახსენდა: ერთ-ერთ სკეტჩში პიტალოს მეძახიან. მოკლედ, გადასასვლელზე გადავდიოდი, უკან სამი ბიჭი მოდიოდა, დაახლოებით 12 წლის იქნებოდნენ. პიტალოო, მომაძახეს. თავიდან გამელიმა, სკეტჩი ნანახი აქვთ-მეთქი, ვიფიქრე. მეორედაც მომაძახეს, მესამედაც, მეოთხედაც და აი, მაშინ ჩემში ქუთაისმა გაიღვიძა! წითელზე იყვნენ გაჩერებული, მივუბრუნდი, კიდევ ერთხელ იტყვით მაგ სახელს და მწვანის ანთებას აზრი აღარ ექნება, ისედაც ვეღარ გადახვალთ-მეთქი. თვალებზეც მეტყობოდა, რომ შინაგანად კარგად არ ვიყავი.

**— მიშა, თქვენც მოგმართავენ პერსონაჟების სახელებით?**

**მიშა**: კი, როგორ არა! როცა ადამიანი თავხედურად არ მოგმართავს, ეს სასიამოვნოცაა. ამას წინათ ერთმა ქალმა მითხრა,

> **გიგა: „ასეთი რეპლიკაც იყო, ქალის ეგ პარიკი მანდ დატოვე და ქუთაისში ისე ჩამოდიო...“.**

უფრო სერიოზული როლებიც გაქვს და ქალს ნუ თამაშობო. რატომ-მეთქი, დავინტერესდი. პირველ რიგში, ქართველი ხარო. ანუ, ბელგიელი რომ ვიყო, მაშინ ეს როლი მისაღები იქნებოდა? თურმე ეს რატომღაც ქართულ ტრადიციაში არ ჯდება. ტრადიცია რა შუაშია აქ საერთოდ?! ბოლომდე ჩავეძიე და უკან დავახევინე. საქმე იმაზე მიდგა, რომ თურმე ეს პროპაგანდაა, რადგან ბავშვებიც უყურებენ და მერე ამას იმეორებენ. მაშინ ნებისმიერი სხვა როლიც პროპაგანდაა. ეს იუმორისტული სკეტჩია და არა — სერიოზული გადაცემა. ჩვენ ხომ არ ვამბობთ, რომ ძველბიჭობა კარგია ან კაცს ქალის ფორმა რომ აცვია, ესეც კარგია.




**— თქვენი „ქალთა სახეები“ როგორ იქმნება, ვინ იგონებს ასეთ ტიპაჟებს?**

**მიშა**: ჩემი ყველა პერსონაჟი რეალურია, გამოგონილი არავინაა, მხოლოდ ჯული არის ასეთი, რომელიც ვანო ჯავახიშვილმა დაიწყო. რეალურად ჯულისნაირი ქალებიც არიან, მაგრამ ეს პერსონაჟი მაინც რამდენიმე ადამიანის ნაზავია. ნანული ქართლელია, შესაბამისად მასში დედაჩემის დიდი წვლილიცაა, მისი ფრაზებიც გამოვიყენე და დიდი მადლობა მას!

**— მიხვდა დედათქვენი ამას, ნანული ეცნო?**

**მიშა**: ადამიანი თავის თავს გარედან ვერ უყურებს, სანამ კონკრეტულად არ ეტყვი.

> **მიშა: „მარეხი ერთ-ერთ ჟურნალში მუშაობს. მისი თანამშრომელი მიხვდა, ვისაც ვასახიერებდი. დავაბარე, მის ფრაზებზე ყური გეჭიროს, მასალად მჭირდება-მეთქი და ისიც პერიოდულად მესიჯად მიგზავნიდა“.**

დედაჩემი მაინც ხვდებოდა, რადგან მის ფრაზებს ვიყენებდი.

**— მარეხ თოდუას პროტოტიპი ვინ არის?**

**მიშა**: ეს ადამიანი რეალურად არსებობს, ჩვენთან მუშაობდა. ფაქტობრივად, ძალიან ბევრი ხუმრობა, რაც გამომიყენებია, მას პირდაპირ აქვს ნათქვამი. სხვათა შორის, უნიჭიერესი ადამიანია, მაგრამ თვითონაც ვერ ხვდებოდა, ხუმრობას რომ ამბობდა. სადმე რომ შემხვდება, ალბათ გამწეწავს. მემუქრება კიდეც.

**— ანუ საკუთარი თავი ამოიცნო?**

**მიშა**: მარტო ეგ კი არ მიხვდა, ვინც მას იცნობს, ყველა მიხვდა. ძალიან კარგი გოგოა, მასთან ვმეგობრობ, მიყვარს, მაგრამ რა ვქნათ, ყველა რაღაცის მსხვერპლი ვართ ხოლმე. მარეხის პერსონაჟთან კიდევ ერთი გოგონაა შეჯერებული, ის „მაკდონალდსში“ მუშაობს. უფრო სწორად, არ ვიცი, კიდევ მუშაობს თუ არა. მოკლედ, იმისგანაც მაქვს რაღაცეები აღებული.

**გიგა**: მე რომ მოვედი „კომედი გრუპში“, ის გოგო აქ აღარ მუშაობდა, მაგრამ რამდენჯერმე მოვიდა. ეს სრულიად საკმარისი იყო იმის მისახვედრად, თუ ვის განასახიერებდა მიშა. საუბრის მანერით, ქცევით ერთი ერთში ჰგავს.

**მიშა**: მარეხი როგორი გოგოა, იცით? სულელი სულაც არ არის, ინგლისურიც იცის, უბრალოდ სადღაც პრობლემა აქვს, მაგრამ ამოუხსნელი პრობლემა. ვერ დავადგინე, რა სინდრომია.

**გიგა**: სადღაც ერთი წერტილი აქვს გაფუჭებული.

**მიშა**: ჩემი აზრით, ის ნიჭიერია. როგორ შეიძლება, ადამიანმა ჩვეულებრივად ისეთი გამართული ხუმრობა თქვა, რომლის მოფიქრებასაც მე თავი უნდა დავაკლა? ის კი უბრალოდ ამბობს. მაგალითად, სკეტჩში ასეთ ფრაზას ვამბობ: „კუჭი მტკივა“. „რატომ გტკივა?“ — მეკითხებიან. გუშინ ბიჭი მომეწონა და ვინერვიულე-მეთქი, ვპასუხობ. ეს იმ ადამიანს რეალურად აქვს ნათქვამი. რეალურია ასევე კედელზე დადგომაც, რაც სკეტჩში გამოვიყენე. ეს ჩვენ საკუთარი თვალით გვაქვს ნანახი — ორმა ჭიქა შამპანურმა გამოიწვია.



Cyan Magenta Yellow Black

— **გიგა, მარეხი თქვენს გმირზე აშკარად უიმედოდაა შეყვარებული.**

**გიგა**: ჰო, უიმედოდაა. მე იმ სკეტჩში ჩვეულებრივი ტიპი ვარ, უბრალოდ მარეხს ზოგადად ბიჭებზე აქვს გართულება, მე ვესიმპათიურე.

**მიშა**: ამ გოგოს ბიჭებთან ურთიერთობაში აქვს პრობლემები, სწორ გზას ვერასდროს პოულობს.

**გიგა**: ჩემი ნახვით კუჭი ასტკივდა.

**მიშა**: მარეხი ერთ-ერთ ჟურნალში მუშაობს. მისი თანამშრომელი მიხვდა, ვისაც ვასახიერებდი. დავაბარე, მის ფრაზებზე ყური გეჭიროს, მასალად მჭირდება-მეთქი და ისიც პერიოდულად მესიჯად მიგზავნიდა, დღეს ეს თქვა, ხომ არ გამოგადგებაო. ამ ბოლო დროს ცოტა მოიკოჭლებს.

— **გიგა, რეალურ ცხოვრებაში თუ მოგეწონებოდათ მომხიბვლელი გარეგნობის გოგონა, მაგრამ მარეხისნაირი ჭკუის?**

**გიგა**: ვერა! სადღაც ველარ გავუძლებ, სადღაც ამომასხამს. მოკლედ, მარეხი სკეტჩშიც უიმედოდაა შეყვარებული ჩემზე და ცხოვრებაშიც ასე იქნებოდა.

**მიშა**: ეგეთი კაცებიც არსებობენ. მაგალითად, ერთი მეგობარი მყავს, რომელსაც ბედნიერს ვეძახით. მუდმივად ბედნიერია. როგორ შეიძლება, ადამიანი ყველაფრით ბედნიერი იყოს?! ჩემთან რომ მოდის, მნახულობს, სულ უხარია. ერთხელ სადღაც მივდიოდით, იცოდა, რომ იქ დავსხდებოდით, დავლევდით, დავუკრავდით და მთელი გზა გიჟივით იყო. უბედური არასდროს მინახავს. „ფეისბუქზე“ სურათი რომ უდევს, იქაც ბედნიერია. როცა თვრება, ბედნიერებით გაწუხებს. ასეთ ტიპაჟს მარეხი მოეწონებოდა, რადგან მარეხი ზოგადად ფსიქიკურადაა ბედნიერი.

— **მიშა, ქალის ტანსაცმელში თავს როგორ გრძნობთ?**

**მიშა**: მიჩვეული ვარ. დისკომფორტი მხოლოდ მაშინ მაქვს, როცა ჩაწერას ხალხი ესწრება, თამაშს იწყებ და არ ეცინებათ. ყველაზე საშინელი შეგრძნება — „მიწა გამისკდეს და

**მიშა: „ნანული ქართველია, შესაბამისად მასში დედაჩემის დიდი წვლილიცაა, მისი ფრაზებიც გამოვიყენე და დიდი მადლობა მას!“.**

ჩავვარდე!“ — მაშინ მემართება.

— **ამდენი ქალური როლებით ზოგადად ქალებზე რაიმე დასკვნები გააკეთეთ?**

**მიშა**: ქალებზე რა დავასკვენი? მადლობა, რომ არსებობენ! ზოგადად, ჩემთვის ქალის პერსონაჟი უფრო საინტერესოა, ვიდრე კაცის. ქალების პერსონაჟები უფრო კარგად გამომდის, კარგად ვითავისებ.

— **ანუ ქალის ბუნებას კარგად იცნობთ?**

**მიშა**: ქალის ბუნებას დედამიწაზე ვერავინ გამოიცნობს, მაგრამ, ვისაც განვასახიერებ, მათ გამოცნობას ვცდილობ. ადამიანებს ისე ვაკვირდები, ამაზე მეუღლის მხრიდან ხშირად უხერხულობაც კი შემქმნია. მაგალითად, ქუჩაში შეიძლება ადამიანს ისე ვუყურო, იფიქრო, რას მისშტერებიაო. ამიხსნია ხოლმე, რომ ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ეს მჭირდება. კაცებსაც ასე ვუყურებ.

**გიგა**: დაკვირვების ჩვევა იუმორისტებს ძალიან აქვთ განვითარებული. მეც ვაკვირდები, მაგრამ მთავარია, შემდეგში ამ ყველაფერს როგორ გადმოსცემ. შეიძლება დააკვირდე, რაღაც დეტალები დააფიქსირო, იცინო, მაგრამ ისე ვერ გადმოსცე, როგორც ამას მიშა აკეთებს.

**მიშა**: თუ დაკვირვების უნარი გაქვს, გადმოცემის უნარის შესწავლა შეიძლება. იმუშავე, იარე ჩემთან!

✓ ეკა ლემონჯავა



# დიმა კობეშავიძეს მამისგან კრიტიკა აბრაზებს

## ზურაბ კობეშავიძე: „დათო ფორჩხიძეს ვუთხარი, დიმა ახლა შენი შვილია და თუ გინდა, მათრახი ურტყი-მეთქი“

წლების წინ, როცა მომღერალი ზურაბ კობეშავიძე სცენაზე გამოდიოდა, მისი პატარა ბიჭი კულისებიდან ხშირად უყურებდა მამას. ახლა კი როლები შეიცვალა — დიმა კობეშავიძე მღერის და მამა გულშემატკივრობს. ზურაბის ნაბოლარა ბიჭი „ახალი ხმის“ კონკურსანტი და ყველა მწვრთნელის ფავორიტია.



თავის დროზე მშობლებმა დიმას მუსიკა თანდათან „შეაპარეს“, მამა გიტარაზე დაკვრას ასწავლიდა, სიმღერებს უწერდა, დედა, რუსუდან ლალიაშვილი — ვოკალის პედაგოგი, ამეცადინებდა. მის მომავალს ხელოვნებაში ხედავდნენ, მაგრამ დიმამ აბსოლუტურად სხვა, როგორც თვითონ ამბობს, უფრო შემოსავლიანი სფერო აირჩია — მედიცინა. 21 წლისაა და სამედიცინო უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტი გახლავთ. მამისთვის მისი გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო, მაგრამ ხელი არ შეუშლია, რადგან ერთ დროს თავადაც ექიმობაზე ოცნებობდა. საბოლოოდ გენებმა თავისი ქნა, დიმამ სიმღერის გარეშე ვერ გაძლო და ასე აღმოჩნდა კონკურსში.

**დიმა: „რასაც მამაჩემი მღერის, ჩემი რეპერტუარისგან რადიკალურად განსხვავდება, მაგრამ გემოვნება ერთნაირი გვაქვს. მისი რეპერტუარი მასაზეა მორგებული“.**

— **ბატონო ზურაბ, დიმა საბოლოოდ მაინც აღმოჩნდა სცენაზე. ელოდით, რომ ასე მოხდებოდა?**

**ზურაბი**: ბავშვობაში მუსიკით დიდად დაინტერესებული არ ჩანდა. ჩემს კონცერტებზე სიარული კი ძალიან უყვარდა, კულისებიდან მგულშემატკივრობდა. მერე უფრო მოინდომა სიმღერა, მაგრამ სამედიცინოზე ჩააბარა. ამ სფეროში რატომღაც ვერ წარმომედგინა.

— **რა სფეროში ხედავდით თქვენს შვილს?**

**ზურაბი**: რატომღაც კაზინოების და სასტუმროების ბიზნესში უფრო წარმომედგინა. ვფიქრობ, ეს საქმე ძალიან მოუხდებოდა, ოღონდ თან უნდა ემღერა. მედიცინა ურთულესი დარგია, მაგრამ რადგან თავად მოინდომა, აღარ შევეწინააღმდეგე. ექიმობა ჩემი ოცნება იყო, მაგრამ მაშინ სამედიცინო ინსტიტუტში მოხვედრა ძალიან რთული გახლდათ, ან ცკ-ის მდივნის შვილი უნდა ყოფილიყავი, ან ოქროს მედალოსანი.

— **დიმა, ასეთ მუსიკალურ ოჯახში გაზრდილმა ექიმობა რატომ გადაწყვიტეთ?**

**დიმა**: პირველ რიგში, იმიტომ, რომ შემოსავლიანი საქმეა. ორი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულ პროფესიას შორის ვორჭოფობდი. ან თეატრალურ უნივერსიტეტში უნდა ჩამებარებინა, ან სამედიცინოზე. ბოლოს მედიცინა ვარჩიე. მეხუთე კურსის სტუდენტი ვარ, ალბათ პლასტიკურ ქირურგიას ავირჩევ.

**ზურაბი**: მთელი ჩემი საგვარეულო ხელოვანია. მამაჩემი სახალხო არტისტი იყო. წლების განმავლობაში შსს-სთან არსებული ცეკვის ანსამბლ „მხედრულის“ სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ. ჩემი ძმებიც ამ სფეროში ტრიალებდნენ. ასე რომ, ხელოვნებას ნაზიარები ხალხი ვართ და ვფიქრობ, დიმამაც სწორი გზა აირჩია. დღეს რომ მღერის, ჩემი ცოლის, რუსიკოს დიდი დამსახურებაცაა. ის ვოკალის პედაგოგია და ისიც ხელოვანების ოჯახიდანაა.

— **დიმა, დედასთან დამჯერი მოსწავლე იყავით?**

**დიმა**: პატარა რომ ვიყავი, არ ვუჯერებდი. როცა დედაა პედაგოგი, თავს უფრო მეტის უფლებას აძლევ და ზარმაცობ. ამ ბოლო დროს კი, როცა მე თვითონ ძალიან დამჭირდა, უკვე იქით დავდევ, →32

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



მამეცადინე-მეთქი.

**— ბატონო ზურაბ, ვინ უბიძგა დიმას კონკურსისკენ, ვინ ურჩია მონაწილეობა?**

**ზურაბი**: დიმა „ჯეოსტარის“ შესარჩევ ტურშიც გავიდა, რამდენიმე ეტაპი გადალახა კიდეც, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო მზად და პროექტში ვერ მოხვდა. მარინა ბერიძე ჩემი ოჯახის უახლოესი ადამიანია. მან თვითონ მითხრა, ცოტა ხანს ვაცადოთო და სწორი გადაწყვეტილებაც იყო. თუ კონკურსზე გადიხარ, სათქმელიც უნდა თქვა. დიმას გული რომ არ დასწყვეტოდა, ვუთხარი, რამდენიმე წელი კიდევ კარგად მოვემზადოთ და მერე ვცადოთ-მეთქი. ასეთი პატარა მარცხი დიმასთვის დიდი სტიმულისმომცემი აღმოჩნდა. მას ძალიან კარგი ვოკალური მონაცემები აქვს, დიდი დიაპაზონის პატრონია, ბევრს შრომობს. ოთახში ჩაიკეტება და საათობით მღერის.

**— ყოველთვის კმაყოფილი ხართ მისი ნამღერით?**

**ზურაბი**: დიმას ყველაზე დიდი კრიტიკოსი მე ვარ და ძალიანაც არ ვუყვარვარ. რა ვქნა, ვერ გავათამამებ! რაც არ მომწონს, არ მომწონს და ყოველთვის ვეუბნები. ხანდახან ჩემზე ბრაზდება კიდეც.

**დიმა**: ვინც უნდა მითხრას, ეს სიმღერა ძალიან კარგად გამოგდისო, ბოლოს მაინც მამას ვასმენინებ და რაღაცას აუცილებლად გამომიძებნის ხოლმე. მამა ყოველთვის მართალია, არაფერს მიკარგავს.

**ზურაბი: „დიმა ძალიან დამჯერი და თბილი ბიჭია. მე ფიცხი ვარ, დიმა — არა. ხანდახან თუ გაბრაზდება, მომწონს კიდეც“.**

**— ბატონო ზურაბ, რა აზრის ხართ მუსიკალურ პროექტებზე და ზოგადად „ახალ ხმაზე“?**

**ზურაბი**: ძალიან სერიოზული პროექტია. მხოლოდ ამ კონკურსმა კი არა, სხვა პროექტებმაც ბევრი კარგი მომღერალი გამოაჩინა. საკმაოდ რთულად შესასრულებელ უცხოურ სიმღერებს მღერიან, ცდილობენ, ტექნიკა ბოლომდე აჩვენონ. ძალიან მინდა, საქართველოში ქართული სიმღერის კონკურსებიც ჩატარდეს, ოღონდ ისეთი შეფუთვით, როგორიც სხვა წარმატებული პროექტებია. არ ვეთანხმები იმას, რომ ესტრადა მხოლოდ ინგლისურად მღერაა. ძალიან გამიხარდა, რომ ბრმა კასტინგზე დიმას ლამაზი ნამღერი ყველა მწვრთნელმა ალალად აღნიშნა. არ დაგიმალავთ და, მწვრთნელებიდან ყველა ჩემი მეგობარია. ყველა ერთად რომ შემოტრიალდა და დიმას გაბრწყინებული სახე დავინახე, მისი ღიმილი ყველაფრად მიღირდა.

**ზურაბი: „მამაჩემი კონცერტზე რომ მომყვებოდა, ყველაფერი ცუდი მაშინ მემართებოდა, ან გიტარის სიმი მიწყდებოდა, ან რაღაც საოცრება მემართებოდა. ამიტომ არც მე დავყვები დიმას“.**

**— ალბათ ბევრი იმასაც იტყვის, რომ დიმა პროექტში მამის დამსახურებითაა.**

**დიმა**: ამ შეკითხვაზე მე გიპასუხებთ. ბრმა კასტინგამდე რამდენიმე ეტაპი გავიარე. შიდა კასტინგზე ჩემი გვარი რომ გაიგეს, მკითხეს, ზურა კობეშავიძის ვინ ხარო და ვუთხარი, რომ ზურა მამაჩემია. არ მინდა, ვინმემ იფიქროს, რომ პროექტში ზურას გამო ვარ. მგონი, არც ერთ მწვრთნელს უნდა საკუთარ გუნდში ცუდი მომღერალი. მე რომ ყრუ ვიყო და ვერ ვმღეროდე, მაშინ უნდა ეფიქრა ხალხს, რომ პროექტში ჩემი მოხვედრა ჩაწყობილი იყო, მაგრამ ნამდვილად არ მიმღერია ცუდად. გულწრფელად გეტყვით, ოთხივე მწვრთნელის შემობრუნებას არ ველოდი, რადგან ბრმა კასტინგზე ძალიან ვნერვიულობდი. ალბათ ყველას ახსოვს, დათო ფორჩხიძე რომ ავირჩიე მწვრთნელად, მას რა რეაქცია ჰქონდა — ძირს გაწვა. ამ ფაქტმა ჩემზე ძალიან იმოქმედა, შოკში ჩამაგდო!

**ზურაბი**: მერაბ სეფაშვილი დიმას ნათლიაა. ბრმა კასტინგს რომ უყურა, ეგრევე დამირეკა. ეს რა ქნა დიმამ, რა კარგად იმღერაო. ბრმა კასტინგის ჩაწერაზე მე არ ვყოფილვარ. მამაჩემი კონცერტზე რომ მომყვებოდა, ყველაფერი ცუდი მაშინ მემართებოდა, ან გიტარის სიმი მიწყდებოდა, ან რაღაც საოცრება მემართებოდა. ამიტომ არც მე დავყვები დიმას. ეს უნდა იყოს სუფთა ბრძოლა. შეიძლება უმაღლეს მათემატიკაში ჩააწყო საქმე, მაგრამ მუსიკალურ კონკურსში ჩაწყობა როგორ შეიძლება?! ვიღაც თუ მღერის, რატომ უნდა დაიჩაგროს?!

**დიმა**: მამასთვის რომ მეთხოვა, აუცილებლად წამომყვებოდა, მაგრამ ვიცი, რომ ძალიან ინერვიულებდა, ისევე როგორც დედა. მშობლებს ყველაფერი გამზადებული ვაჩვენე.

**— ბატონო ზურაბ, დათო ფორჩხიძესთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

**ზურაბი**: ეს ადამიანი წლების წინ გავიცანი. როკანსამბლში მერაბ სეფაშვილთან, თემურ ნიკოლაიშვილთან და გია მაჭარაშვილთან ერთად ვმღეროდი. მერაბმა ახალბედა ჯგუფი „სახე“ ჩვენს კონცერტზე ამღერა. მე და დათო პირველად მაშინ შევხვდით ერთმანეთს. ახლა დათოს არ ვეკონტაქტები. როცა დიმამ მწვრთნელად აირჩია, მაშინ ვუთხარი, დიმა უკვე შენი შვილია, რაც გინდა, ის უქენი, თუ გინდა, მათრახი ურტყი-მეთქი.

**— დიმა, მოგწონთ პოპულარობა?**

**დიმა**: პოპულარობა ჩემთვის ახალი ხილია, თითქმის ყველგან მცნობენ.

**ზურა**: მგონი, უკვე ჩვენც ველარ გვცნობს.

**— დიმა, თმა პროექტისთვის გაიზარდეთ?**

**დიმა**: ბავშვობიდან გრძელი თმა მაქვს.

**— მამას მოსწონხართ გრძელ თმაში?**

**დიმა**: მთელი ახალგაზრდობა თვითონაც გრძელი თმა ჰქონდა და მე რა უნდა მითხრას? თუ თმაზე რამეს მეტყვის, ეგრევე თავის ახალგაზრდობას ვახსენებ ხოლმე.

**ზურაბი**: ერთი პერიოდი კი ვთხოვდი, ცოტა დაიმოკლე-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერა.

**დიმა**: თაყვანისმცემლებისგან დიდ მხარდაჭერას ვგრძნობ. ქუჩაშიც მაჩერებენ და წარმატებებს მისურვებენ. „ფეისბუქზე“ ყველას წერილს ვპასუხობ.

**ზურაბი**: დიმა მალე 22 წლის გახდება. მისთვის ყველაფერი ახლა იწყება, სტარტი ნამდვილად კარგი აქვს და ვნახოთ, რას იზამს.

**— მამა-შვილი სხვადასხვა ჟანრის მუსიკას მღერით. ერთმანეთის რეპერტუარი მოგწონთ თუ არა?**

**დიმა**: რასაც მამაჩემი მღერის, ჩემი რეპერტუარისგან რადიკალურად განსხვავდება, მაგრამ გემოვნება ერთნაირი გვაქვს. მამა ადრე რასაც მღეროდა, ის უფრო მისი იყო და უფრო მეტადაც მომწონდა. ახლა კი მისი რეპერტუარი მასაზეა მორგებული.

**ზურაბი**: ახლა დიმას გემოვნებაზე უფრო გადავდივარ. გამოსაშვებ საღამოებზე სიმღერა ხშირად მიხდება და დიმას ვეკითხები ხოლმე, რა შევასრულო, რომ მის თაობას მოეწონოს. მუსიკალურ-გასართობ რესტორანთან ვთანამშრომლობ და შოუპროგრამებში ვმონაწილეობ. ამ საქმიანობას ბევრი პროფესიონალი მომღერალი ეწევა. საესტრადო ცხოვრება ისეთი აღარ არის, როგორიც რამდენიმე წლის წინ იყო. ეს ალბათ იმის ბრალია, რომ ყველა არხი პოლიტიკასა და სერიალებშია ჩართული.

**— ბატონო ზურაბ, უმცროს ვაჟს როგორ ზრდიდით, დამოუკიდებლობას აჩვევდით თუ კონტროლის ქვეშ გყავდათ?**

**ზურაბი**: დიმას გარდა ორი ბიჭი მყავს — 33 წლის აკაკი და 31 წლის გიორგი. დიმა ნაბოლარაა, მაგრამ განსხვავებულად არ ვზრდიდი. 8 წლის იყო, როცა მოსკოვში გადავედით საცხოვრებლად.

**დიმა: „ვინც უნდა მითხრას, ეს სიმღერა ძალიან კარგად გამოგდისო, ბოლოს მაინც მამას ვასმენინებ და რაღაცას აუცილებლად გამომიძებნის ხოლმე“.**

ქართული სკოლა ძალიან შორს იყო. რამდენჯერმე კი გავყევი, მაგრამ მერე მარტოსაც ვუშვებდი. ერთხელ დაიკარგა კიდეც და გაყინული მოვიდა სახლში. ახლა ვფიქრობ, ამხელა მოსკოვში ამ თითისტოლა ბავშვს მარტოს როგორ ვუშვებდი. დიმა ძალიან დამჯერი და თბილი ბიჭია. მე ფიცხი ვარ, დიმა — არა. ხანდახან თუ გაბრაზდება, მომწონს კიდეც.

**დიმა**: ხშირად არ ვფიცხდები. იცით, როდის ვბრაზდები? სიმღერას რომ ვსწავლობ და მამაჩემი შემიჩნდება, არ ვარგა, არ გამოგდისო, მერე უკვე ნერვები მეშლება. ალბათ ამაში რაღაც სიამოვნებას იჭერს.

**— მამა-შვილს ერთად გიმღერიათ?**

**დიმა**: ნუგზარ ერგემლიძის დაბადების დღისადმი მიძღვნილ საღამოზე ვიმღერეთ დუეტში და ზურას სამეგობროშიც ხშირად ვმღერით ერთად.

**ზურაბი**: ნუგზარ ერგემლიძის საიუბილეო საღამოზე დიმამ, ნუგზარ ერგემლიძის ბიჭმა გიორგიმ და მერაბ სეფაშვილის ბიჭმა სანდრომ ჩვენი ძველი სიმღერა შეასრულეს.

✓ სოფიო ბოჭორიძე



Cyan Magenta Yellow Black

შეჭირვებულები

# 6 წლის მარიამს თვალისჩინის დასაბრუნებლად ჩვენი დახმარება სჭირდება

## „ვისაც ფინანსური საშუალება არ გაქვთ, ლოცვით შეგვეწიეთ"



6 წლის მარიამ მარკოზიას თვალისჩინის გადარჩენა ახლა თითოეული ადამიანის ხელშია. მას უცხოეთში სასწრაფო ოპერაცია სჭირდება, რისთვისაც 20.000 ევროა საჭირო. მის ანგარიშზე კი ჯერჯერობით მხოლოდ 7.400 ლარი დევს.

მარიამი 3 წლის იყო, როცა ცალ თვალში სინათლე დაკარგა. ექიმებმა დაუსვეს დიაგნოზი — მხედველობის ნერვის დისპლაზია. 3 წლის განმავლობაში მშობლებმა უამრავი კლინიკა მოატარეს, მაგრამ მისი განკურნება ვერსად შეძლეს. სტამბულის ჰარვარდის საუნივერსიტეტო კლინიკიდან კი მშობლებმა დამაიმედებელი პასუხი მიიღეს, თუ იქ გაუკეთებენ ოპერაციას, გოგონას მხედველობა დაუბრუნდება, წინააღმდეგ შემთხვევაში კი თვალისჩინს სამუდამოდ დაკარგავს.

მარიამის მამამ, ლევან მარკოზიამ თავის გულისტკივილზე „სარკეს“ უამბო:

— ჩემს შვილს, 6 წლის მარიამ მარკოზიას, 3 წლის ასაკში დაუდგინეს დიაგნოზი — მხედველობის ნერვის დისპლაზია, რაც ნიშნავს, რომ ნერვი თანდათან კვდება. თვეების რომ იყო, სიელმე შევამჩნიეთ. ექიმთან რომ მივიყვანეთ, გვითხრა, ბავშვებმა თვალის დაელმება იციან, 3 წლის მერე, ვარჯიშებს რომ გავუკეთებთ, თვალს გაასწორებსო. მარიამმა მხედველობა რა იყო, 3 წლის ასაკში გააცნობიერა. ბავშვებთან ერთად თამაშობდა, როცა დედამისს უთხრა, ამ თვალში შავად ვხედავო.

პირველად „ავერსის“ კლინიკაში მივიყვანეთ. ექიმმა იმ დღესვე გვითხრა, საქართველოში მკურნალობას ნამდვილად არ გირჩევთო. ოფთალმოლოგი, ვინც ეს გვითხრა, ახალგაზრდა ქალი იყო და ვერ ვენდეთ. ამის მერე სად არ წავიყვანეთ, დიაგნოზი კი ყველგან იგივე გვითხრეს და ბოლოს „ნიუ ჰოსპიტალში“ შემოგვთავაზეს მკურნალობის დაწყება. 3 წლის ასაკიდან დღემდე ვმკურნალობდით, მაგრამ უშედეგოდ. პირიქით, ცალ თვალში მხედველობა საერთოდ დაკარგა და მეორე თვალზეც 0,2 %-იანი მხედველობა აქვს. იმ თვალს ვერც ამოძრავებს და სიელმეც ეტყობა. მარიამის მკურნალობა ძალიან ძვირი დაგვიჯდა.

**— შესაძლებლობა გქონდათ?**

— მარიამი პატარა რომ იყო, ბენზინგასამართ სადგურზე ვმუშაობდი, შემდეგ სამსახურის გარეშე დავრჩი. ჩემს შვილს ეს დიაგნოზი რომ დაუსვეს, მანქანა გავყიდე და სახლი, რომელიც სოფელში მაქვს, ბანკში ჩავდე. ახლა უკვე ბანკის პროცენტებსაც ველარ ვიხდი. ოჯახში მხოლოდ ჩემი ცოლი მუშაობს. მისი ხელფასი მარტო საჭმელზე გვყოფნის. მამაჩემიც ხანშიშესულია, დედა კი გარდაცვლილი მყავს. თბილისში ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობთ. არც ისეთი შეძლებული ნათესავები მყავს, ვინმემ დახმარების ხელი გამომიწოდოს. ერთადერთი გამოსავალი საზოგადოებისთვის დახმარების თხოვნაა, რომ მარიამი როგორმე სტამბულში სამკურნალოდ წავიყვანოთ. ჯანდაცვის სამინისტროში 3 წლის წინაც შევიტანე განცხადება, მაგრამ მაშინ პასუხიც არ მიგვიღია.

**— მარიამის საზღვარგარეთ წაყვანა თქვენი გადაწყვეტილებაა?**

— არა, „ნიუ ჰოსპიტალმა“ შემოგვთავაზა, მარიამის მონაცემები საზღვარგარეთ გადაგვეგზავნა. გვითხრეს, ჩვენც ვიცით, რა ტიპის ოპერაცია სჭირდება მარიამს, მაგრამ, სამწუხაროდ, აპარატურა, რომელიც თვალის ნერვს ხედავს, არ გვაქვსო. მარიამის მონაცემები ისრაელსა და სტამბულში გადავგზავნეთ. ისრაელმა 50.000 ევრო მოითხოვა, სტამბულმა კი — 20.000 ევრო, თანაც სტამბულმა ამ თანხაში მკურნალობის სრული პაკეტი შემოგვთავაზა. თანხაში ბავშვის ტრანსპორტირებაც კი შედის და ოპერაციის წარმატებულად დასრულების გარანტიასაც გვაძლევენ. ზუსტად ვიცით, რომ მეტის გადახდა არ მოგვიწევს. შეიძლება ცოტა ნაკლებიც დაგვჭირდეს, მაგრამ თანხის ზუსტი რაოდენობა მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც მარიამს ჰარვარდის საუნივერსიტეტო კლინიკაში გამოკვლევები ჩაუტარდება. ეს ყოველივე კი 10.000 ევრო ჯდება. ამ თანხას ჯანდაცვის სამინისტრო იმ შემთხვევაში დააფინანსებს, თუ სტამბულის კლინიკა სრულ კალკულაციას გადმოგვიგზავნის, მაგრამ ეს არ მოხდება, სანამ მარიამს გამოკვლევები არ ჩაუტარდება. იმ კლინიკაში ანალიზების გაკეთება 500-700 ევრომდე ღირს.

**— გადაადგილება არ უჭირს?**

— არა, რადგან მეორე თვალით სილუეტებს ჯერ კიდევ ხედავს. ოთახში რამე ან ვინმე თუ დგას, იმას დაინახავს და ისე გაივლის, არ დაეჯახება. იმ მონაცემების მიხედვით, რაც სტამბულში გავაგზავნეთ, ორივე თვალის ნერვი ცოცხალია და ამ ოპერაციის შემდეგ მარიამს აბსოლუტური მხედველობა აღუდგება. ოპერაციის მერე 3 თვის განმავლობაში მხოლოდ სათვალე დასჭირდება, ისიც იმიტომ, რომ ახალნაოპერაციევ თვალს სიმშვიდე უნდა.

**— მარიამი სკოლაში დადის?**

— ექიმმა გვითხრა, თუ ბავშვს სკოლაში წასვლის სურვილი აქვს, არ გაალიზიანოთ და ხელი შეუწყვეთო. მისი ნერვიულობა არ შეიძლება. მარიამმა დაიჩემა, სკოლაში წამიყვანეთო. ბაღის ჯგუფელები რომ დაინახა, სკოლაში მიდიოდნენ, უფრო მეტად მოუნდა სწავლა. უარს რომ ვეუბნებოდით, ამაზე ღიზიანდებოდა. მასწავლებლებიც ხელს გვიწყობენ. მარიამი ვერ წერს და ვერ კითხულობს, ჩვენ ვუკითხავთ და ასე ვასწავლით. იმდენად ნიჭიერია, ერთხელ რომ წავუკითხავთ, უკვე იმახსოვრებს. პირველი კლასის მოსწავლემ 100-ის ფარგლებში შეკრება-გამოკლება იცის. ეკონომიკის ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული და მათემატიკაში მე ვამეცადინებ ხოლმე. იმდენადაა სწავლას მოწყურებული, მეცადინეობით არ იღლება. ამბობს, როცა გავიზრდები, ექიმი უნდა გამოვიდე და ყველა ბავშვს დავეხმაროო.

**— როგორ უმსუბუქებთ იმ სულიერ ტკივილს, რასაც პატარა თავისი ავადმყოფობის გამო გრძნობს?**

— მისი კლასელები სახლში ხშირად მოგვყავს, არ გვინდა, მოიწყინოს და დეპრესიაში ჩავარდეს. პატარა და ან ძმა ძალიან უნდა და ხშირად გვეუბნება, მეც მინდა პატარა და ან ძმა მყავდეს, როგორც ჩემს კლასელებს ჰყავთო, მაგრამ მე და ჩემს ცოლს ჯერ მარიამის პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი. ძალიან თბილი ბავშვია. თუკი ერთხელ წაეთამაშებით, ჩათვალეთ, რომ მთელი ცხოვრება თქვენი მეგობარი იქნება. ჩემი ცოლი რომ ტირის ხოლმე, დედამისს ამშვიდებს, ნუ გეშინია, მალე დავინახავო. ისიც არ შეუძლია, რამე მოგვთხოვოს, რადგან მაღაზიაში რომ შევდივართ, არც იცის, რა იყიდება, მხოლოდ შოკოლადს თუ ისურვებს.

> **„ყოველ დილით ჰგონია, რომ ყველაფერს დაინახავს და თვალებს რამდენჯერმე ჩამოიბანს ხოლმე. მაინც რომ ვერ ხედავს, ხანდახან ისტერიკაშიც ვარდება... სახეზე ხელებით მეფერება და მეკითხება, ხომ არ დამიბერდიო".**

მარიამი მხიარულია, მაგრამ რომ ვერ ხედავს, ამაზე საშინლად წუხს. ყოველ დილით ჰგონია, რომ ყველაფერს დაინახავს და თვალებს რამდენჯერმე ჩამოიბანს ხოლმე და მაინც რომ ვერ ხედავს, ხანდახან ისტერიკაშიც ვარდება. იმდენად უნდა, რომ დაინახოს, დღის განმავლობაში თვალებს ძალიან ძაბავს, საღამოს უწითლდება და საშინელ წვას გრძნობს, რის გამოც ყოფილა შემთხვევა, მისი ტირილი მთელ კორპუსს გაუგია. თვალის წვეთები კი დღეში მხოლოდ ორჯერ შეიძლება. სახეზე ხელებით მეფერება და მეკითხება, ხომ არ დამიბერდიო. 3 წლამდე ძალიან პრანჭია იყო, ახლა კი ამის ხალისი აღარ აქვს. ფოტოებს დიდი წვალებით ვუღებთ. თვალი ლამაზად რომ გამოუჩნდეს, ათასნაირად ვასწორებთ და ამაში თვითონაც გვეხმარება. „გასწორდა, მამა, თვალი?“ — მეკითხება ხოლმე.

**— მარიამის სტამბულში წაყვანა როდის იგეგმება?**

— მარიამის პრობლემა რამდენიმე ტელევიზიამ გააშუქა და უკვე მეკითხება, როდის წავალთ საოპერაციოდო. სტამბულში წასვლას ახალ წლამდე ვფიქრობდით, მაგრამ, არ ვიცი, რა იქნება. ტელევიზიებში გასული სიუჟეტების მერე ანგარიშზე 7.400 ლარია შემოსული. ყველას დიდ მადლობას ვუხდი და საზოგადოებას მივმართავ, ვისაც საშუალება აქვს, თუნდაც ერთი ლარით დაეხმარონ ჩემს გოგოს. ვისაც ის ერთი ლარიც არ აქვს, მარიამისთვის ილოცოს, რომ 20.000 ევრო შეგროვდეს და ვუშველოთ. ჩვენი ოჯახი ეკლესიურად ცხოვრობს. მარი ტაძარში ხშირად დაგვყავს. ჩვენმა მოძღვარმა ბუკლეტები დაგვაბეჭდვინა და ეკლესიაში არიგებს. მჯერა, რომ ხალხი ჩემი შვილის ტკივილს გულთან ახლოს მიიტანს. თუ მარიამს ოპერაცია დროულად არ ჩაუტარდება, მეორე თვალშიც დაკარგავს მხედველობას და ამ შემთხვევაში უკვე ოპერაციასაც არანაირი აზრი აღარ ექნება. თუ თვალის ნერვები მოკვდება, ამას უკვე მილიონიც ველარ უშველის.

❖

მარიამის სახელზე ანგარიშიTBC ბანკშია გახსნილია, რომლის ნომერია: GE52TB7067545063600045; მიმღები: მედეა თოლორდავა (მარიამის დედა).

„მაგთის“, „ჯეოსელისა“ და „ბილაინის“ აბონენტებმა კი შეგიძლიათ დარეკოთ ნომერზე: 0 901 200 250, ზარის ღირებულება 1 ლარია, ან დაუკავშირდით მარიამის მამას — ტელეფონზე 597 39 32 41.

✓ სოფიო ბოჭორიძე


**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65. ქალბატონი ქეთათო




Cyan Magenta Yellow Black

# ნინო სურგულაძე: „კარგი გარეგნობისთვის ბედნიერებაა საჭირო“

## „ადამიანი თუ შინაგანად არ ანათებს, მას მაკიაჟი ვერ უშველის“



ოპერის მომღერალი, მეცო სოპრანო ნინო სურგულაძე, იმ ასაკშია, როცა სარკე მისთვის მხოლოდ და მხოლოდ კარგი მეგობარია და მასში ჩახედვა კარგ განწყობაზე აყენებს. იტალიაში, სადაც ქართველი მომღერალი წლებია ცხოვრობს და მუშაობს, ქალები განსაკუთრებით ზრუნავენ გარეგნობაზე, პლასტიკურ ქირურგიას ახალგაზრდობიდანვე იყენებენ. მათ მაგალითზე ნინოს ბევრი სასარგებლო ინფორმაცია აქვს მიღებული, თუმცა, როგორც ქართველი ქალებისთვისაა დამახასიათებელი, უპირატესობას მიანც ბუნებრიობას ანიჭებს და ამაში გენეტიკაც ეხმარება. ქართველი მომღერლისთვის სილამაზის ფაქტორებში პირველ ადგილზე დგას შინაგანი სამყარო, ჯანსაღი ცხოვრება და სიცოცხლის ხალისი.

მან ჩვენი ჟურნალის საშუალებით ქართველ ქალებს საინტერესო რჩევები მისცა.

**„თეთრი თითქოს წონას გვმატებს, შესაბამისად, თუ ამ ფერის სამოსი გვაცვია და საკუთარი თავი მოგვწონს, ესე იგი კარგ ფორმაში ვართ. თეთრი ფერი ჩემთვის კარგი საზომია“.**

**— ნინო, სცენურ იმიჯს თავად იქმნით თუ დიზაინერი გეხმარებათ?**

— არის შემთხვევები, როცა სპექტაკლს დიზაინერი ჰყავს და ის წყვეტს, არტისტს რა უნდა ეცვას, მაგრამ, თუ სოლო კონცერტი მაქვს, ან სხვა საჯარო გამოსვლა, იმიჯზე თავად ვზრუნავ.

**— რა დრესკოდი უნდა დაიცვას სცენაზე კლასიკური მუსიკის შემსრულებელმა?**

— კლასიკურ მუსიკას თავისი დოგმები აქვს, მაგალითად, კაბა ძირითადად გრძელი უნდა იყოს. ასევე, გაგიკვირდებათ და, არსებობს ფერები, რომლებიც თეატრში მიღებული არ არის. მაგალითად, იასამნისფერი იტალიაში სცენაზე სრულიად მიუღებელია. გარკვეული ცრურწმენაც კი არსებობს ამ ფერთან დაკავშირებით, რომ ის უიღბლო ფერია. მე ამ სტერეოტიპს ვებრძვი. შემიძლია ვთქვა, რომ ჩემი ერთ-ერთი წარმატებული კონცერტი იასამნისფერი კაბით ჩავატარე. ვაღიარებ, თავიდან ცოტა გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ ამ კონცერტისთვის იასამნისფერ კაბას მიკერავდნენ და შევწუხდი კიდეც. საბოლოოდ დიდი წარმატება მოვიპოვე და მივხვდი, რომ საკუთარ თავში უნდა ვებრძოლოთ სტერეოტიპებს თუ ცრურწმენებს.

**— რა ფერებში გრძნობთ თავს კარგად?**

— მიყვარს შავი ფერი, რომელიც ჩემს გარდეროზში დომინირებს. ასევე ძალიან მიყვარს ცისფერი და თეთრი. ცისფერი პოზიტიურია, თეთრი — ნეიტრალურია და იმ დროს მაცვია, როცა განსაკუთრებულად კარგ ხასიათზე ვარ, მაგრამ თეთრი თითქოს წონას გვმატებს, შესაბამისად, თუ ამ ფერის სამოსი გვაცვია და საკუთარი თავი მოგვწონს, ესე იგი კარგ ფორმაში ვართ. თეთრი ფერი ჩემთვის კარგი საზომია.

**— ამბობენ, რომ ოპერის მომღერლებისთვის საჭიროც კი არის ზედმეტი წონა. ეს სიმართლეა თუ მითი?**

— ჩვენი საქმე მსოფლიოში მეორე პროფესიად ითვლება თავისი სირთულით. ამიტომ მაქსიმალურად უნდა შევუწყოთ ხელი ჩვენს ფიზიკურ სიჯანსაღეს. დღეს სტერეოტიპები შეიცვალა, სხვა მოთხოვნებია სცენაზე და არ არის აუცილებელი, ოპერის მომღერალი ძალიან მსუქანი იყოს. ჭარბი წონა კარგი არავისთვის არის. ჩემი გამოცდილებით ვამბობ, რომ ფორმის შენარჩუნება სრულიად შესაძლებელია, თუ ნებისყოფა გეყოფა.

**— ოპერის მომღერლებს რაციონიც განსხვავებული აქვთ. თქვენი კვების რეჟიმი როგორია?**

— ჩვენ აუცილებლად გვჭირდება საკვები, რომელიც ენერგიის წყაროა — ცილები და ვიტამინები. დამტკიცებულია, რომ მძლეოსნის და საოპერო შემსრულებლის გული ერთსა და იმავე დატვირთვას განიცდის, მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს, რომ სპექტაკლიდან სახლში მივიდეთ და მაცივარი გამოვაცარიელოთ. ჩვენთვის სწორი კვებაა აუცილებელი, რომელიც დროში უნდა იყოს განაწილებული. ფიზიკური ფორმის შენარჩუნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ერთსა და იმავე დროს კვება. იტალიელებს ეს გათვალისწინებული აქვთ. იქ ყველამ იცის, როდის არის კვების საათები და ამ დროს არავინ არავის ურეკავს.

**„ფიზიკური ფორმის შენარჩუნებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ერთსა და იმავე დროს კვება. იტალიელებს ეს გათვალისწინებული აქვთ. იქ ყველამ იცის, როდის არის კვების საათები და ამ დროს არავინ არავის ურეკავს“.**

**— პროექტში „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მაყურებელმა რამდენჯერმე გიხილათ განსხვავებული და საინტერესო მაკიაჟით. თავად შეგიძლიათ მისი გაკეთება თუ მხოლოდ ვიზაჟისტებს ანდობთ სახეს?**

— წლების განმავლობაში, რაც სცენაზე ვდგავარ, ხშირად მიწევს მაკიაჟის გამოყენება, ამიტომ ჩემი სახე ძალიან გადაღლილია. სხვადასხვა ვიზაჟისტებთან მუშაობის შედეგად უკვე ზუსტად ვიცი, თუ რა უხდება ჩემს სახეს. რა თქმა უნდა, მომწონს, როცა პროფესიონალი ვიზაჟისტი მიკეთებს მაკიაჟს, რადგან ერთია, რას ხედავ შენ და მეორე, რას ხედავს სხვა. ამიტომ ვიზაჟისტი უფრო კარგად აკეთებს მაკიაჟს. მაგრამ მითითებებს მათ ყოველთვის ვაძლევ.

მომხრე ვარ, რომ ყოველდღიურობაში ადამიანი მაქსიმალურად ბუნებრივად გამოიყურებოდეს. როცა სადმე მივდივარ, ვცდილობ, თვალებს მეტად გავუსვა ხაზი. მიყვარს ისეთი მაკიაჟი, რომელიც თითქმის არ ჩანს. ასევე მნიშვნელოვანია შანელის სიტყვები, რომელიც ამბობდა, ქალს, რომელიც საერთოდ არ იყენებს მაკიაჟს, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვსო. არის ასაკი, როცა ქალმა მაკიაჟზე ფიქრი უნდა დაიწყოს. სასურველია, თინეიჯერმა მაკიაჟი არ გამოიყენოს, თუმცა დღეს პირიქით ხდება — მცირე ასაკში უფრო ბევრ მაკიაჟს იკეთებენ. გემოვნებით და ზომიერად გაკეთებული მაკიაჟი ყოველთვის მისასალმებელია.

**— აქსესუარები და სუნამო — ამ ქალური სისუსტეების მიმართ რა დამოკიდებულება გაქვთ?**

— აქსესუარებს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ. მიმაჩნია, რომ სამკაულები სცენაზე აუცილებელია. აქსესუარები გამოხატავს გემოვნებას და ის სიტუაციის შესაბამისი უნდა იყოს. რაც შეეხება სუნამოს, ჰოროსკოპით სასწორი ვარ და ჩემი ნიშნისთვის სუნამო ნამდვილი სისუსტეა. როგორც ბევრს, მეც მაღიზიანებს დიდი რაოდენობით სუნამოს გამოყენება. ვთვლი, რომ სურნელი იდუმალი უნდა იყოს. სუნამოს კოლექცია მაქვს. წლის განმავლობაში შეიძლება მხოლოდ ერთი სურნელი გამოვიყენო, მაგრამ კოლექციას ახალ-ახალ სუნამოს ძალიან ხშირად ვამატებ.

**— ასაკის მატებასთან ერთად ქალი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობას ანიჭებს კანის მოვლას. რა არის საჭირო კანის სიჯანსაღისთვის, თქვენი გამოცდილებიდან რას გაგვიზიარებთ?**

— მივესალმები, როცა ქალები თავიანთ თავს უვლიან და ამისთვის ესთეტიკურ მედიცინას მიმართავენ — ვთქვათ, ბოტოქსს იყენებენ ან, რადიკალურ შემთხვევაში, კანის გადაჭიმვას. გასაგებია იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელიც სარკეში ყურებისას სახეზე წლების კვალს ხედავს და მდგომარეობის გაუმჯობესება სურს. მიმაჩნია, რომ პლასტიკური ქირურგის ჩარევა მაქსიმალურად შორს უნდა გადაიდოს. არსებობს ბევრი სხვა საშუალება კანის მოვლისთვის, მათ შორის — მეზოთერაპია თუ კანის საცხები, რომლებიც საკმაოდ ეფექტურია. პირველ რიგში კი, საჭიროა ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვა — უარი ნიკოტინს და მზის სხივებს, რომლებიც კანისთვის საზიანოა. აუცილებელია წყლის ხშირად დალევა, ანუ ბუნებრივი საშუალებებით სრულიად შესაძლებელია ადამიანმა დიდ შედეგს მიაღწიოს.

**— თქვენ თუ მიგიმართავთ ესთეტიკური მედიცინისთვის და თუნდაც ბოტოქსი გამოგიყენებიათ?**

— ბოტოქსი არასდროს გამიკეთებია, კიდევ ერთხელ ვამბობ, ბუნებრიობის მომხრე






Cyan Magenta Yellow Black

ვარ. ვცდილობ, კანს საცხებით მოვუარო. არ ვიცი, ჩემი კანისთვის ეს როდემდე იქნება საკმარისი, მაგრამ სანამ ის ამის საშუალებას მომცემს, ამ ხერხს გამოვიყენებ. კანისთვის გენეტიკური ფაქტორიც ძალიან მნიშვნელოვანია. არიან ადამიანები, რომლებიც საერთოდ არაფერს იკეთებენ, მაგრამ არაჩვეულებრივად გამოიყურებიან. ასე რომ, გენეტიკას პლუს თავის მოვლა კარგ შედეგს გვაძლევს. ჯანსაღი



PHOTO BY GIORGI TSAAVA

ცხოვრების წესი დაბერებას ხელს უშლის.

— **არსებობს გამოთქმა, რომ გარკვეულ ასაკამდე სარკე ქალის მეგობარია, შემდეგ კი მტერი ხდება. გულწრფელად რომ გვითხრათ, სარკის წინ მდგომს გიფიქრიათ ასაკის მატებასა და მისგან გამოწვეულ არასასიამოვნო ცვლილებებზე?**

— გეტყვით, რომ ასევე არსებობს თეორია, რომლის მიხედვითაც, სარკეში ყოველი ჩახედვა ადამიანისთვის გარკვეული შოკია. პროფესიიდან გამომდინარე, ჩემთვის სარკესთან მუდმივი კონტაქტი აუცილებელია. ამავდროულად, სარკეში ჩახედვა ჩემთვის აუტოტრენინგია — ის თავდაჯერებულობას მმატებს, უფრო კონცენტრირებული ვხდები. განსაკუთრებით ძნელია ასაკობრივი ცვლილებების შემჩნევა იმ ადამიანებისთვის, ვისაც კარგი გარეგნობა აქვთ, მაგრამ ყველა უნდა შეეგუოს, რომ ეს ბუნებრივი პროცესია. იმედი მაქვს, რომ ერთ დღეს ექიმები მიაგნებენ მეთოდს, რომელიც უჯრედების დაბერებას ხელს შეუშლის. მანამდე კი უნდა შევეგუოთ, რომ სიბერე ბუნებრივი პროცესია.

ქალს შეუძლია ყველა ასაკი მოიხდინოს. ვთვლი, რომ შეუხედავი ქალი არ არსებობს, მთავარია, თავისი გარეგნობა სწორად წარმოაჩინოს. სარკე კი ყოველთვის ჩვენი მეგობარია, რადგან ის გვაძლევს ობიექტურ ინფორმაციას ჩვენ შესახებ.

— **უფროსი თაობისგან რა გახსოვთ, როგორ უვლიდნენ თავს თქვენს ოჯახში?**

— ჩემს ოჯახში ვუყურებდი, რომ დედა თავის მოვლაზე კი არა, შვილების აღზრდაზე იყო გადართული. მიუხედავად ამისა, დედა ახლაც, თავის ასაკში, ჩემზე უკეთესად გამოიყურება. ალბათ ეს გენეტიკის გამოა. მისგან მახსოვს, რომ მზის სხივების მიმართ სიფრთხილე უნდა გამომეჩინა და მეც მზეს ყოველთვის ვერიდები. სოლარიუმში სულ ორჯერ ვარ ნამყოფი. მზის სხივები კანს ძალიან აბერებს. რაც შეეხება ბებიას, ისიც მხოლოდ საპონს და წყალს იყენებდა, მაგრამ ხანდაზმულ ასაკშიც კი საოცარი კანი ჰქონდა.

ახლა მეტი საშუალება არსებობს თავის მოვლისთვის და შედეგიც უფრო ეფექტურია, მაგრამ კარგ გარეგნობას ყველაზე მეტად განწყობა და ბედნიერება უზრუნველყოფს. ამიტომ მთავარია, განწყობაზე ვიზრუნოთ.

**„იტალიაში მალე ბერდებიან. იქ პლასტიკური ქირურგიის თუ ბოტოქსის გამოყენება ძალიან ჩვეულებრივი მოვლენაა. სამაგიეროდ იტალიაში ასაკოვანი ქალები ძალიან სასიამოვნოდ გამოიყურებიან".**

— **იტალიაში ცხოვრობთ და სხვადასხვა ქვეყანაში გასტროლებზე ხშირად დადიხართ. შეადარეთ ქართველი და უცხოელი ქალების გარეგნობა, სტილი.**

— ახალი თაობა თბილისში უფრო კარგად გამოიყურება, ვიდრე თუნდაც იტალიაში. ეს ალბათ ისევ და ისევ გენეტიკის დამსახურებაა. იტალიაში მალე ბერდებიან. იქ პლასტიკური ქირურგიის თუ ბოტოქსის გამოყენება ძალიან ჩვეულებრივი მოვლენაა. სამაგიეროდ იტალიაში ასაკოვანი ქალები ძალიან სასიამოვნოდ გამოიყურებიან. იქ იმდენად უვლიან თავს, რომ მათი შეხედვა გესიამოვნება. საქართველოში კი ასაკის მატებასთან ერთად ეშვებიან. დასაფასებელია, რომ საზღვარგარეთ ქალები გვიან ასაკამდე დადიან სილამაზის სალონებში, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამის მოტივაციას მათი ცხოვრების მაღალი დონე იძლევა. თუმცა, თუ ადამიანი შინაგანად არ ანათებს, მას ვერანაირი მაიკაჟი და სილამაზის სალონი ვერ უშველის. ამიტომ, მიუხედავად ყველა პრობლემისა, უნდა ვეცადოთ, შინაგანი წონასწორობა დავიცვათ და პოზიტიური განწყობა შევინარჩუნოთ.

✓ **მანანა ნოდია**

# ნუკი კოშკელიშვილი: „მე და ანდრო ბარნოვს რომანი არ გვაქვს“

## „მინდა, ახალ წელს ჩემს პრინცთან ერთად შევხვდე!"

ცელესახე ნუკი კოშკელიშვილი ზუსტად ერთი წლის წინ, დეკემბერში დაშორდა თავის შეყვარებულს და ახალი სიყვარულის მოლოდინშია. მის სურვილს წინასაახალწლო განწყობა უფრო ამძაფრებს. რომანტიკული დღესასწაულის მოლოდინმა გულახდილად საუბრის სურვილი გაუჩინა და „სარკე“ თავის, მისივე თქმით, ზღაპრულ სამყაროში შეახედა.

— **ნუკი, გატყობთ, განსაკუთრებული განწყობა გაქვთ. თუ საიდუმლო არ არის, რითია ეს გამოწვეული?**

— ძალიან „ცუდ“ პერიოდში გამომიჭირეთ. წინასაახალწლო პერიოდი ჩემთვის განსაკუთრებით რომანტიკულია. ქუჩაში რომ გავდივარ და საახალწლო ნათურებს ვხედავ, ჩემთვის ეს არაამქვეყნიურად რომანტიკულია! რატომღაც მგონია, რომ სადღაც პრინცი დადის, რომელიც ჩემი მეორე ნახევარია, ახალ წლამდე კი მე მას ვნახავ და ახალ წელს ნაძვის ხის ქვეშ ერთად შევხვდებით. შეიძლება ჩემი სიყვარული სულაც პუერტო რიკოშია, დავკრა ფეხი და იქ წავიდე! ამ ეტაპზე, აი, ასეთ განწყობაზე ვარ. ადამიანთან შეხვედრა და ბარში დაჯდომა ჩემთვის საკმარისი არ არის, ახლა მე ზღაპარი, ფეიერვერკები, სიმღერები და თოვლი მინდა!

**„ისევე, როგორც ნებისმიერი ქალის ცხოვრებაში, ჩემთვისაც დგება ხოლმე ცუდი მომენტები, მაგრამ ეს, მაქსიმუმი, 20 წუთი გრძელდება".**

რამდენიმე დღის წინ პირველი თოვლი მოვიდა, თოვლჭყაპი უფრო იყო, მაგრამ ეს ჩემთვის მაინც თოვლი იყო! გავჩერდი ქუჩაში, მანქანაში საახალწლო სიმღერა ჩავრთე და ვფიქრობდი, ნუთუ, სადღაც არსებობს ადამიანი, რომელიც ჩემსავით მარტოა და ჩემთან ყოფნა უნდა-მეთქი. ამ დროს მომწერა ბიჭმა, ვისთანაც იმ დროს ურთიერთობა მქონდა. მწერდა: „რას შვრები, მიხვედი სახლში?“. არაფრისმთქმელი მესიჯი იყო და იმ ადამიანის ნომერი წავშალე. ველოდები პიროვნებას, რომელიც ჩემსავით გაგიჟდება! მინდა, ჩვენს სიყვარულს ლამაზი ისტორია ჰქონდეს!

— **გავრცელდა ხმა, რომ ცნობილ პოლიტიკურ სახესთან — ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის ყოფილ უფროს ანდრო ბარნოვთან რომანი გაქვთ. ამ ინფორმაციას რაიმე საფუძველი აქვს?**

— წარმოდგენა არ მაქვს, ეს ჭორი საიდან გაჩნდა. მსგავსი შემთხვევა ერთხელაც მქონდა. იმ ადამიანის სახელსა და გვარსაც ვერ ვიხსენებ, ვისზეც ნახევარი წელი მაინც ლაპარაკობდნენ. არადა იმ ბიჭს მართლა არ ვიცნობდი. ვიღაც ბიზნესმენი ყოფილა. ჩემი ახლობლებიც კი მეუბნებოდნენ, რატომ მალავო. ბოლოს ვხუმრობდი, თუ მართლა ასეთი კარგი ბიჭია, გამაცანით-მეთქი. ეს თემა ჩაქრა და ახლა ანდრო ბარნოვი არ გამოჩნდა?!

ამ ჭორებს სერიოზულად არ აღვიქვამ. მართალი რომ იყოს, დავფიქრდებოდი, მეთქვა თუ თავი შემეკავებინა.

— **ანდრო ბარნოვს საერთოდ არ იცნობთ?**

— კი, როგორ არ ვიცნობ, მაგრამ მხოლოდ კარგი სალმით. ერთად არასოდეს არსად ვყოფილვართ. ერთადერთი, რაც მახსენდება, „რუსთავი 2“-ის დერეფანში შევხვდით ერთმანეთს, მგონი, ეს ჩვენი ერთადერთი მისალმება იყო. სიმართლე გითხრათ, ასეთ მითქმამოთქმაზე არც ვბრაზდები. სინამდვილის შესაბამისი ჭორი ჩემზე არასოდეს გავრცელებულა და რატომ უნდა გავბრაზდე?!

— **თქვენ შესახებ ყველაზე ცუდი ჭორი რა გსმენიათ?**

— ჩემს დაზე რომ ამბობენ, ნუკის შვილია და მალავსო, ეს მართლა არ მსიამოვნებს. ჩემი ბუბუ 10 წლის არის. ჩვენ შორის 13 წელია ასაკობრივი სხვაობა.

— **თქვენს პირად ცხოვრებაში სიახლე არაფერია?**

— ახლანდელი ჩემი ცხოვრება შეიძლება უტოპიად ჩაითვალოს. საინტერესო არაფერი ხდება, ვიღაც ხან მომ-

→36

**მამაკაცებისთვის!**

სქესობრივი სისუსტის, პროსტატის დაავადებების: პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (ხშირი შარდვა, შეკავება,შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი), ვირუსული და მიკრობული დაინფიცირების მკურნალობა. ასევე, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, დეპრესიის, შიშების, უძილობის მკურნალობა; ორგანიზმის გაწმენდა უჯრედულ დონეზე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებისა და გვერდითი მოვლენების გარეშე. შედეგი და ანონიმურობა 100%-იანია. ყველა საჭირო გამოკვლევით.

ექიმი — ქალბატონი მზია

☎ 514-246-446, 218-48-99

მის.: აღმაშენებლის 154.

# სალომე ბაკურაძე: „სიყვარულის გარეშე არსებობა გამიჭირდება“

მომღერალმა სალომე ბაკურაძემ ყველა ცნობისმოყვარეს ცხვირწინ მიუხურა კარი და თავის პირად ცხოვრებაზე კრინტს აღარავისთან ძრავს. რამდენიმე ხნის წინ სოციალურ ქსელებში გამოჩნდა ფოტოები, სადაც უცხო მამაკაცის გვერდით პოზირებს, მაგრამ მომღერალი მის ვინაობასაც საგულდაგულოდ მალავს. ამ ეტაპზე მარტოხელობა მოსწონს. ერთი წელია, რაც თავისი დანაზოგით ბინა მოიწყო და საკუთარ ჭერქვეშ ცხოვრებას გემო გაუგო. სოლო ალბომი და სოლო კონცერტი მისი ოცნებაა და იმედი აქვს, რომ ამ სურვილს მომავალ წელს აიხდენს.

**— სალომე, რა ხდება ქართულ შოუბიზნესში, სასიკეთო ცვლილებებს ამჩნევთ?**

— ჩვენს ქვეყანაში ყურადღება სხვა საკითხებზე იყო გადატანილი, ამიტომ შოუბიზნესი წინ არ წასულა. პირადად მე საწუწუნო არასდროს არაფერი მაქვს, ყოველთვის ვმუშაობდი და ახლაც ვმუშაობ. ახალი წლიდან კი უკეთესის მოლოდინში ვარ. წელს ჩემი სტაბილური სამსახური რადიო „იმედი“ იყო, სადაც დილის გადაცემის წამყვანად ვმუშაობ, ასევე სტუდია „თავდაყირაში“ პედაგოგი გახლავართ. კვირაში ორჯერ სხვადასხვა კლუბში ვმღერი. ამ წელს რამდენიმე კომპოზიტორის საავტორო საღამოზეც გამოვედი. სხვა მნიშვნელოვანი არაფერი მქონია, არც სოლო ალბომი ჩამიწერია და არც სოლო კონცერტი გამიმართავს.

**— წელს თქვენი ბინა მოიწყვეთ და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყეთ. რა ხიბლი აქვს ამას?**

— მიუხედავად იმისა, რომ შებოჭილი არც დეიდასთან ვყოფილვარ და არც ბიძასთან, მათთან კომფორტულად ვცხოვრობდი, საკუთარ სახლში ცხოვრებას სულ სხვა გემო აქვს. ახლა ბოლომდე დამოუკიდებელი ვარ და ეს ძალიან კარგია.

**— დედათქვენი ისევ საზღვარგარეთ ცხოვრობს?**

— კი, 15 წელია, რაც დედა მოსკოვში ცხოვრობს. 8 თვით იყო ჩამოსული, ვიფიქრე, აღარ გავუშვებდი, მაგრამ ვერ მოხერხდა. ამ თემით მანიპულირება არ



**„გავჩერდი ქუჩაში, მანქანაში საახალწლო სიმღერა ჩავრთე და ვფიქრობდი, ნეტავ, სადღაც არსებობს ადამიანი, რომელიც ჩემსავით მარტოა და ჩემთან ყოფნა უნდა-მეთქი".**

წონს, ხან — არა, ვიღაცას იმედის თვალით ვუყურებ... ჯერჯერობით იმ ეტაპზე ვარ, როცა იმ ადამიანს ვეძებ, რომელიც ერთადერთი იქნება ჩემთვის.

ერთი წელია, რაც ჩემს შეყვარებულს, ოთოს დავშორდი. ამ ადამიანის მიმართ უდიდესი პატივისცემა დამრჩა. მასზე ცუდს ვერასოდეს ვიტყვი. წლების განმავლობაში ჩემთვის საუკეთესო მეგობარი იყო. უბრალოდ ჩვენი ურთიერთობა ამოიწურა. ალბათ ჩვენი სიყვარული ნამდვილი არ იყო და ამიტომაც გაქრა. ერთმანეთს 10 დეკემბერს დავშორდით. მახსოვს, იმ დღეს მანქანაში მარტო ვიჯექი და ძლივს ვსუნთქავდი. ორადორი დაქალი მყავს და ამ დროს ისინიც პარიზში იყვნენ, ჩემი ოჯახიც საზღვარგარეთ იყო წასული. სახლში დამლაპარაკებელი არავინ მყავდა და მივხვდი, რომ უბედური ვიყავი. ოთო ახლაც მწერს ხოლმე, მეკითხება, ხომ კარგად ხარო. ყოველთვის მზრუნველი ადამიანი იყო და ახლაც ასეთია.

**— ამ სიყვარულის შემდეგ სტაბილური ურთიერთობა ვერავისთან ააწყვეთ?**

— სერიოზული ურთიერთობის გამოცდილება ოთოსთან მივიღე. მას შემდეგ უფრო დაკვირვებული გავხდი. ვერ გეტყვით, რომ მამაკაცების მიმართ მეტი მოთხოვნები გამიჩნდა, მაგრამ არ ვიცი, ურთიერთობას რატომ ვერ ვაწყობ. შეიძლება ეს იმიტომაც ხდება, რომ სამსახურს უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობ.

**— „კომედი არხზე“ ახალი გადაცემით „ფეისნუკით“ გამოჩნდით. კმაყოფილი ხართ ამ სამუშაოთი და თქვენი თავით?**

— ვფიქრობ, ჩემი გადაცემა ნელ-ნელა წინ მიიწევს, რეიტინგი გაიზარდა. ჩვენთან მოდიან სტუმრები, რომლებსაც გადაცემის თემასთან არანაირი კავშირი არ აქვთ. ვერ გეტყვით, ეს რა სახალისო პროცესია. პოლიტიკოსიდან დაწყებული მეეზოვით დამთავრებული, ნებისმიერი შეიძლება აღმოჩნდეს ჩემი გადაცემის სტუმარი. პოლიტიკოსებიდან კობა ხაბაზი მყავდა სტუმრად. თემა მუსიკა და სიმღერა იყო და კობას ბოლოს „სექსბომბი“ ვამღერე. ძალიან სახალისო გამოვიდა.

ერთადერთი პრობლემა, რაც მაქვს, ის არის, რომ ჩემ ირგვლივ ყველა ბიჭია. ნელ-ნელა ფეხბურთიც ვისწავლე და სხვადასხვა სპორტითაც დავინტერესდი. ბიჭებს უკვე ბიჭურად ველაპარაკები. აქამდე სულ ქალ პროდიუსერებთან მიწევდა მუშაობა. ეს კი პირველი შემთხვევაა, როცა ჩემ ირგვლივ ყველა კაცია. თითოეულ მათგანთან ძალიან მეგობრული ურთიერთობა მაქვს, მაგრამ, მგონი, ამდენი კაცის ფონზე მეც უკვე კაცებში ვითვლები.

**— მერე როგორია მამაკაცურ გარემოში მუშაობა?**

— არაფერს მითმობენ! ყველას თავისნაირი, ჩვეულებრივი ბიჭი ვგონივარ. უკვე სკეტჩური ხუმრობებიც დამიწყეს. კომედიურ ჟანრს რომ „მივაწექი“, ეს ჩემთვის ძალიან დიდი ექსპერიმენტი იყო. ეს ჟანრი ყველაზე რთულია. სულ უნდა იხუმრო და „ილადავო“. გამუდმებით კარგ ხასიათზე არიან და ეს ხომ საერთოდ მკლავს! ლამისაა, ქუჩაშიც სკეტჩები დავდგა. ადრე თუ გოგოსავით ვხუმრობდი, ახლა საოცარი ხუმრობები მაქვს.

**— დუტა სხირტლაძის ფილმში „გივი“ უკრაინელ გოგოს თამაშობთ. გვიამბეთ ამ სიახლეზე, რა როლია, როგორ შეასრულეთ, როგორი იყო მუშაობის პროცესი.**

— „გივი“ დუტა სხირტლაძის პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმია, სადაც მონაწილეობენ — რუსკა მაყაშვილი, დუტა, ზურა პაპუაშვილი და სხვა პროფესიონალი მსახიობები. მიუხედავად იმისა, რომ მათ ფონზე ვერ გამოვჩნდებოდი, ჩემი როლი იმდენად მომეწონა, ეგრევე დავთანხმდი. ჯერ ერთი, როცა დუტასგანაა შემოთავაზება, უარს არასოდეს ვამბობ, რადგან ეს ადამიანი ცუდს არასოდეს მთავაზობს. ამ ფილმში ჩემგან სრულიად განსხვავებულ ტიპაჟს, უკრაინელ სოფლელს, დამლაგებელს ვთამაშობ. ეკრანზე სულ სხვა ნუკი დავინახე. დიდად არ მგონია, ჩემგან მსახიობი დადგეს, თუმცა გულით მინდა, ეს საქმე გავაგრძელო.

**— დუტას თქვენთან ბევრი მუშაობა დასჭირდა?**

— ჩემთან მუშაობა, როგორც არაპროფესიონალ მსახიობთან, ალბათ ყველაზე მეტად გაუჭირდა, მაგრამ თვითონ ამბობს, არა გიშავსო. უკრაინელის იმიჯი ცოტა მოვიპარე კიდეც სხვისგან, პაროდია გავაკეთე და სასაცილო გამოვიდა.

**— ფილმ „მისტერ ძიძაში“ რა როლი გერგოთ?**

— იქ ეპიზოდური როლი მაქვს. ერთ-ერთი ძიძა ვარ, რომელიც მიდის კასტინგზე და უარს ეუბნებიან. შავპომადიან საშინელებას ვთამაშობ.

**— რომელიმე როლზე თუ გითქვამთ უარი?**

— კი, როგორ არა! დაახლოებით 4 წლის წინ შემომთავაზეს როლი, სადაც შილიფად ჩაცმული, სექსუალური ქალი უნდა მეთამაშა, უნდა გამეხადა კიდეც, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან ასეთ როლს არასოდეს ვითამაშებ. ბიჭის როლის თამაშს უფრო სიამოვნებით დავთანხმდები, ვიდრე გახდას! ვის რაში აინტერესებს ჩემი სიშიშვლე?!

**— როგორ ფიქრობთ, ყველა შანსი გამოიყენეთ, რაც აქამდე ცხოვრებამ შემოგთავაზათ?**

— ერთი შანსიც კი არ გამიშვია ხელიდან და, თუ გავუშვი, ესე იგი გასაშვები იყო. ისევე, როგორც ნებისმიერი ქალის ცხოვრებაში, ჩემთვისაც დგება ხოლმე ცუდი მომენტები, მაგრამ ეს, მაქსიმუმი, 20 წუთი გრძელდება.

**„რატომღაც მგონია, რომ სადღაც პრინცი დადის, რომელიც ჩემი მეორე ნახევარია, ახალ წლამდე კი მე მას ვნახავ და ახალ წელს ნაძვის ხის ქვეშ ერთად შევხვდებით".**

თუ ვატყობ, რომ ცუდი განწყობა მეუფლება, უცებ ისეთ რაღაცას მოვიფიქრებ, რაც სტიმულს მაძლევს და ცხოვრებას ისევ ბედნიერად ვაგრძელებ. ამ დროს მუდმივად ვიჩენ სახალისო „პრობლემას“. აი, მაგალითად, უცბათ გადავწყვეტ, რომ მეორე დღეს პარიზში წავიდე. ბილეთს ვიყიდი და მერე დავფიქრდები, ხვალ იქნებ სამსახური მაქვს, ასე რატომ ვიქცევი, მაგრამ როცა იცი, მეორე დღეს უნდა გაფრინდე, ეს სახალისო პრობლემაა.

ბოლო პერიოდში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში. უამრავი გეგმა და ძალიან დადებითი განწყობა მაქვს, რაც შეიძლება ახალი წლის მოლოდინმა გამოიწვია.

**— ამ ახალი წლისთვის რა „პრობლემას“ გაიჩენთ?**

— წინასაახალწლოდ, 15 დეკემბრიდან, რაღაც სიგიჟეს აუცილებლად ჩავდივარ. მალე მაღაზიებს დავივლი, სათამაშოებს ვიყიდი და ჩემს ნაძვის ხეს მოვრთავ. ამ ახალ წელს ჩემს ორ მეგობართან ერთად გუდაურში ვიქნები, სადაც კორპორატიულ საღამოს წავიყვან.

✓ სოფიო ბოჭორიძე

ვყიდით მაკულატურას
☎ 599 95 54 83

მსურს, ნახევარი საქართველო ასეა, შვილებთან ვერ ატარებენ დროს.

— **ამ განშორებამ ალბათ ბევრი ტკივილი მოგიტანათ.**

— ვერ ვიტყვი, რომ ჩემს თავს რაღაც საშინელება დატრიალდა, რადგან იმ დროს ქვეყნიდან ყველა მიდიოდა და დედაჩემიც წავიდა. ეს ყველასთვის ბუნებრივი მოვლენა იყო. ასე რომ, დედაჩემის უცხოეთში წასვლა ტრაგედიად არ აღმიქვამს. მამას ისეთი სამსახური ჰქონდა, რომ ხშირად უწევდა მივლინებაში წასვლა, ამიტომ მისგანაც მიჩვეული ვიყავი განშორებას. 9 წლის ვიყავი, როცა მამა გარდამეცვალა. დედა საზღვარგარეთ წავიდა და ჩემზე 8 წლით უფროსმა დამ გამზარდა.

**„ოჯახის წევრებს უნდათ, რომ გავთხოვდე, მაგრამ ჩემზე ზეწოლას არ ახდენენ. ეს ის თემაა, რომელზეც ჩემ ირგვლივ სხვები უფრო მეტ გეგმას აწყობდნენ, ვიდრე მე“.**



— **ამ წელს პირად ცხოვრებაში რა გარდატეხები მოხდა?**

— 15 წლის გოგო აღარ ვარ, სხვა მოთხოვნილებები, ღირებულებები გამიჩნდა და პირად საკითხებზე შეხედულებები შემეცვალა, თუმცა ეს ის თემაა, რომელზეც ლაპარაკი ნაკლებად მხიბლავს. გადავწყვიტე, ამაზე აღარ ვისაუბრო, იმიტომ კი არა, რომ ვინმეზე ვარ გაბრაზებული, უბრალოდ ლაპარაკი არ მინდა.

— **ჭორებმა ხომ არ გაგანაწყენათ?**

— ჭორებზე არ ვბრაზდები, ხალხი ლაპარაკობს იმას, რაც უნდა და ეს არ არის პრობლემა. მეგობრებმა რომ იჭორაონ ჩემზე, მტკივნეული ნამდვილად იქნება. ჩემზე ძალიან ბევრი დაიწერა. მეგობრები მეჩხუბებოდნენ, საჭირო არ არის, შენს პირად ცხოვრებაზე ასე დაწვრილებით ისაუბროო. მართლები აღმოჩნდნენ. თვალი რომ გადავავლე ჩემს ინტერვიუებს, მივხვდი, რომ ჩემსავით გულწრფელად არავინყვებოდა თავის პირად ცხოვრებაზე, ამიტომ ამაზე ლაპარაკი შევწყვიტე. მგონია, რომ, პირადი ცხოვრების გარდა, სხვა ბევრი საინტერესო რამ მაქვს მოსაყოლი.

**„თვალი რომ გადავავლე ჩემს ინტერვიუებს, მივხვდი, რომ ჩემსავით გულწრფელად არავინ ყვებოდა თავის პირად ცხოვრებაზე, ამიტომ ამაზე ლაპარაკი შევწყვიტე“.**

— **თქვენი და ვასიკო გეგელიას სიყვარული დასრულდა, მაგრამ ამბობენ, ქალს ამ ლამაზი გრძნობისთვის ყოველთვის უნდა ეცალოსო.**

— ჩემთვის სიყვარული არ არის ის ერთადერთი მოვლენა, რომელიც ერთ კონკრეტულ ვიღაცას უნდა უკავშირდებოდეს, სიყვარული სიყვარულია, რომელსაც თავად არქმევ სახელს — ეს იქნება დედის, მუსიკის თუ ბიჭის მიმართ გამოხატული გრძნობა. საერთოდ, თუ სიყვარულით არ ცხოვრობ და თუ სიყვარულს არ ატარებ, გაგიჭირდება არსებობა.

— **სოციალურ ქსელში გამოჩნდა ფოტოები, სადაც მამაკაცთან ერთად პოზირებთ. ვინ არის ის, თქვენი შეყვარებული, საქმრო თუ უბრალოდ მეგობარი?**

— ვისაც რა უნდა, ის იფიქროს! წარმოდგენა არ მაქვს, ამ ფოტოების გამო რატომ ატყდა ასეთი ამბავი.

— **ეს ინტრიგა იყო?**

— არა, ეს ინტრიგა არ არის! ჟურნალისტებმა დამირეკეს და ამ თემის გარკვევას შეეცადნენ, მაგრამ უშედეგოდ. ამ ფოტოებში ჩემთვის განსაკუთრებული არაფერია. თუ ვინმეს უნდა, ბუზი სპილოდ აქციოს, კი, ბატონო! კიდევ ერთხელ ვამბობ, ვისაც როგორ უნდა, ისე გაიგოს! ამასთან დაკავშირებით კომენტარს არ გავაკეთებ და არავის ავუხსნი, რა როგორ არის.

— **ახალი რომანი არ დაწყებულა?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არ მინდა პირად თემებზე საუბარი!

— **ისეთ ასაკში ხართ, რომ, წესით, ოჯახის შექმნაზე უნდა ფიქრობდეთ...**

— ვინმეს ჰქონია ქორწილი და ეს არავის გაუგია? თუ ჩემს ცხოვრებაში ასეთი მნიშვნელოვანი დღე დადგება, ამას ყველა გაიგებს.

— **ოჯახის წევრები არ გეუბნებიან, რომ დროა გათხოვდეთ?**

— ყველა დედას აქვს ამის სურვილი, მაგრამ ამას ვერავინ მოგთხოვს. ოჯახის წევრებს, რასაკვირველია, უნდათ, რომ გავთხოვდე, მაგრამ ჩემზე ზეწოლას არ ახდენენ... (იცინის). ეს ის თემაა, რომელზეც ჩემ ირგვლივ სხვები უფრო მეტს საუბრობდნენ და მეტ გეგმას აწყობდნენ, ვიდრე მე.

— **ახალ წელს რა სურვილებით და ოცნებებით შეხვდებით?**

— სანტას უკვე გავუგზავნე წერილი და ვთხოვე, ახალი წლის ღამეს ერთი აბი მომიტანოს, რომელსაც 31 დეკემბერს გადავყლაპავ და პირველ იანვარს მინუს 10-15 კილოგრამით ნაკლებს გავიღვიძებ. ჩემს წონაზე ნერვებს უკვე აღარ ვიშლი, რადგან ეს ჩემი ცხოვრების რეჟიმის ბრალია.

**„სანტას უკვე გავუგზავნე წერილი და ვთხოვე, ახალი წლის ღამეს ერთი აბი მომიტანოს, რომელსაც 31 დეკემბერს გადავყლაპავ და პირველ იანვარს მინუს 10-15 კილოგრამით ნაკლებს გავიღვიძებ“.**

— **საახალწლოდ კონცერტები იგეგმება?**

— მომღერლებისთვის ყველაზე დატვირთული დღე 31 დეკემბერია, დაიგეგმა ქუჩის გალა კონცერტი, რომელშიც ჩართული ვარ. ჯერჯერობით მხოლოდ რეპერტუარი ვიციით, თუ რას ვიმღერებთ, ამ რამდენიმე დღეში კი რეპეტიციები დაიწყება. ამ კონცერტისთვის განსაკუთრებულად ვემზადები, რადგან შარშან ქუჩის კონცერტი არ გვქონია. ასევე — რამდენიმე შემოთავაზება მივიღე სხვადასხვა კლუბიდან თუ რესტორნიდან. თითქმის ყველა სატელევიზიო შოუდან დამიძახეს და უკვე დაწყებულია გადაღებები. 19 დეკემბერს რადიო „იმედის“ დაბადების დღეა, რომელსაც ყოველ წელს პომპეზურად აღვნიშნავთ და ამ დღისთვისაც განსაკუთრებულად ვემზადები. ეს არის ჩემი საახალწლო გეგმები.

რამდენიმე დღის წინ დავბრუნდი ამერიკიდან, უკვე მეორედ ვეწვიე ამ ქვეყანას და იქიდან ისევ დიდი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი.

— **რას უკავშირდებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში თქვენი მოგზაურობა, სხვა მომღერლებივით კარიერის იქ აწყობას ხომ არ გეგმავთ?**

— ამერიკა დავათვალიერე, ვიშოპინგე, ეს არის და ეს. რაც შეეხება იქ გზის გაკვალვას, ეს რთული საკითხია. შრომა არასდროს მეზარება, ეს ჩემი საუკეთესო თვისებაა, მაგრამ ფსიქოლოგიურად მზად არ ვარ, ვეშაპივით დიდ იმპერიაში ყველაფერი თავიდან დავიწყო. ჩემს ასაკში თუ ამხელა ნაბიჯს გადადგამ, მერე უკან დახევის უფლება არ მექნება. იქ რაღაცის მიღწევა უდიდეს სირთულესთან არის დაკავშირებული. მართალია, ეს არის ქვეყანა, რომელიც ყველანაირ შანსს გაძლევს, მაგრამ აქედან ერთი ზურგჩანთით ჩასულ ტურისტს იქ წარმატების მიღწევა გაუჭირდება.

✓ ლანა კოკაძე

გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.



Cyan Magenta Yellow Black

# კოტე ტუღუში: „ყველა საშინელ მანევრს ღიმილით ვპასუხობ“



საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი კოტე ტუღუში ერთ დროს მანქანის მართვით დიდ სიამოვნებას იღებდა. ახლა კი თბილისში მოძრაობა მისთვის დამღლელი გახდა. შვებით ამოისუნთქა, როცა ცოლს, იანას, სიყვარულის დღეს „მერსედესი“ აჩუქა, ამით ბევრი საოჯახო საქმეც მას გადააბარა.

ახალგაზრდობაში სისწრაფის სიყვარული თავისი პირველი მანქანით, „ბეემვე“-თი დაიკმაყოფილა, მერე კი დადინჯდა, „მერსედესს“ გაუგო გემო და ახლა შეუძლია თქვას, რომ რეკორდსმენი მძღოლია — 9 წლის განმავლობაში არც ერთი ჯარიმა მიუღია.

**— კოტე, ბიჭების მსგავსად, თქვენი ბავშვობის ოცნებაც მანქანა იყო?**

— კი, ბავშვობიდან მინდოდა, ავტომობილი მყოლოდა. როგორც კი 18 წლის გავხდი, მართვის მოწმობა ავიღე. 1999 წლიდან ვზივარ საჭესთან. სულ მინდოდა, მანქანით მევლო, ახლა კი პირიქითაა, საჭესთან ჯდომა დიდად აღარ მიხარია. თავდაპირველად მამაჩემის „09“-ზე ვიჯექი. ჩემი პირველი მანქანა კი „ბეემვე 525“ იყო, რომელიც საკუთარი ფულით შევიძინე. ახალგაზრდული ვნებები ჩემმა პირველმა ავტომობილმა დამიკმაყოფილა, მაშინ სწრაფი მანქანები მომწონდა.

**— ურჩი მძღოლი იყავით?**

— არანაირად! არც სწრაფად სიარული მიყვარდა, ამის ყოველთვის მეშინოდა. ვერ გეტყვით, რომ ახალბედა მძღოლს რაიმე გამიჭირდა. ყველა დაბრკოლებას ინტერესით ვხვდებოდი და მანქანას რამე პრობლემა რომ გაუჩნდებოდა, ამაშიც ჩართული ვიყავი. „ბეემვე“ დაახლოებით 3 წელი მყავდა. ცოლი რომ მოვიყვანე და ბავშვები გვეყოლა, უფრო მოზრდილი და კომფორტული „ბეემვე“ შევიძინე, რომელიც ამავდროულად ძალიან ხარჯიანიც იყო.

საერთოდ მანქანასთან განშორება ძალიან მიჭირს, ამიტომ ყოველთვის ისეთს ვყიდულობ, რომ მისი გაყიდვა მალე არ მომიწიოს. ეს თვისება მხოლოდ მანქანების მიმართ არ მაქვს, ზოგადად ნივთებთან განშორება მიჭირს.

**— ხარჯიან „ბეემვესთან“ განშორებაც გაგიჭირდათ?**

— კი, სხვათა შორის. ამის მერე ა კლასის „მერსედესი“ შევიძინე, მამაკაცისთვის პატარაა. 14 თებერვალს, სიყვარულის დღეს, ჩემს ცოლს ვუყიდე და ორივე ვსარგებლობდით, სანამ 2006 წელს გამოშვებულ „ემელის“ ჯიპს შევიძენდი. „მერსედესის“ გემო გავიგე თუ არა, ვთქვი, რომ მთელი ცხოვრება „მერსედესის“ მძღოლი ვიქნებოდი.

**— ზოგადად მანქანას რა კრიტერიუმებით აფასებთ?**

— ამ ეტაპზე ჩემთვის მანქანის შერჩევის ორი ძირითადი კრიტერიუმი არსებობს. პირველი ის, რომ კომფორტული იყოს და მეორე — ოჯახისთვის გამოსადეგი, ეკონომიური. ჩემი ჯიპი საკმაოდ ეკონომიურია, მით უმეტეს, გაზის ბალონები ჩავაყენე. სამ შვილს ორი მანქანით კარგად ვუმკლავდებით, თუმცა მათი წაყვანა-მოყვანა უმეტესად ჩემს ცოლს ევალება.

**— ენდობით ცოლს საჭესთან?**

— კი, საკმაოდ. ჩემი ინიციატივა იყო, რომ იანა საჭესთან დამჯდარიყო. ვფიქრობ, რომ მამაკაცისთვის დიდი შვებაა ქალი საჭესთან. ჩემმა ცოლმა მანქანასთან ერთად ბევრი საოჯახო საქმე გადაიბარა და ბევრი საზრუნავიც მომიხსნა. იანა საკმაოდ კარგად მართავს. არ ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ ქალი საჭესთან არ უნდა იჯდეს. ცუდი მძღოლი მამაკაცებშიც არის. ჩემს ცოლს საჭესთან შენიშვნას არასოდეს ვაძლევ, არ იმსახურებს და რა უნდა ვუთხრა? როცა მის გვერდით ვზივარ, მის კომპეტენციაში არ ვერევი და მშვიდად ვმგზავრობ.

**„მამაკაცისთვის დიდი შვებაა ქალი საჭესთან. ჩემმა ცოლმა მანქანასთან ერთად ბევრი საოჯახო საქმე გადაიბარა და ბევრი საზრუნავიც მომიხსნა“.**

**— არც თვითონ გაძლევთ შენიშვნებს, როცა გვერდით გიზით?**

— თვითონ სულ შენიშვნებს მაძლევს, რის გამოც ხშირად კამათიც მოგვდის. ჩვენს ქალაქში შეუძლებელია ჩქარა მართო მანქანა, მაგრამ, ჩემი განრიგიდან გამომდინარე, სულ სადღაც მეჩქარება და ყოველთვის სადღაც მაგვიანდება. ცხოვრების აჩქარებულ რიტმს ისე ვარ აყოლილი, შეიძლება ჩემდაუნებურად ავჩქარდე და ამის გამო იანა შენიშვნებს მაძლევს.

**— ანუ მოძრაობის წესების დარღვევაც გიწევთ.**

— არა, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ კანონმორჩილი მძღოლი ვარ. ამას წინათ ტელეფონი მეჭირა ხელში, ოღონდ არ ვსაუბრობდი, საათს დავხედე. ამ დროს პატრულმა დამინახა და გამაჩერა. ავუხსენი, რომ არც ვლაპარაკობდი და არც მესიჯს ვწერდი, მაგრამ ტელეფონის მოხმარებაში ჩამითვალეს და 10 ლარიან ჯარიმას მიწერდნენ. მეც აღარ შევეწინააღმდეგე. რამდენიმე წუთში კი მითხრეს, თქვენს სახელზე არც ერთი ჯარიმა ირიცხებაო და გაფრთხილება მომცეს. მაშინ დავაფიქსირე, რომ ჯარიმები საერთოდ არ მაქვს. მახოვს, ერთხელ ძალიან მეჩქარებოდა და აკრძალულ ადგილას მოვუხვიე თუ არა, პატრულიც დამადგა, მაგრამ მიცნეს და აღარ დამაჯარიმეს, რამაც ძალიან გამახარა.

საპატრულო პოლიციას მივესალმები, მაგრამ კომპანია „სითი პარკის“ ქმედებებს ნამდვილად ვერ შევაფასებ დადებითად. გასაგებია, რომ ვინც არასწორად გააჩერებს, უნდა დაჯარიმდეს, მაგრამ ვაგზლის ტერიტორიაზე ბევრი მინახავს, ბაზრიდან უამრავი ჩანთით ხელში რომ გამოსულა და მანქანა ადგილზე არ დახვედრია. ეს არ შეიძლება!

**— თბილისური მოძრაობა კიდევ ცალკე თემაა. ამ პრობლემას როგორ უყურებთ?**

— თბილისში მართლა სასწაული მოძრაობაა. სამსახურიდან ან ოჯახიდან გამოსული ნერვებმოშლილი კაცი ამ საშინელ მოძრაობაში რომ მოყვება, მართლა გამაღიზიანებელია, მაგრამ ყოველთვის ვცდილობ, ყველა მძღოლს გავუგო და აგრესიული არ ვიყო, მით უმეტეს, რომ აგრესიული ისედაც არ ვარ. საჭესთან არასოდეს ვიგინები. სიმართლე გითხრათ, ყველა საშინელ მანევრს ღიმილით ვპასუხობ. ჩემი აზრით, უაზრო მანევრები მძღოლების ნერვული და ფსიქიკური პრობლემებითაა გამოწვეული.

**— და მაინც, რამ შეიძლება გაგაბრაზოთ?**

— თუ სადმე მაგვიანდება, ამ დროს მართლა ვბრაზდები, მაგრამ ეს არავის ბრალი არ არის და ვცდილობ, მალე დავმშვიდდე. თბილისში ახალი ხიდები და ესტაკადები ძალიან მომწონს, მოძრაობა ასე თუ ისე განიტვირთა. საცობები მაინც არის, მაგრამ ისეთი არა, რომ 2 საათი იდგე, როგორც ეს სხვა ქალაქებში ხდება. სხვა ქვეყნის საცობებში არაერთხელ ვმდგარვარ და მინდა გითხრათ, რომ ჩვენზე გიჟი მძღოლებიც არსებობენ. არ იცით, ირანში რა ხდება! ნამდვილი კატასტროფაა! გზას არავინ არავის არ უთმობს! საჭესთან ერთი დღით დავჯექი და როცა მივხვდი, რაც ხდებოდა, საქართველოში დაბრუნებამდე მანქანას არ გავეკარე.

ევროპული მოძრაობის წესები კი ძალიან მომწონს. ამას წინათ დილომში ვიყავი. ჩემ წინ უცხოელები გადადიოდნენ, მე გზა დავუთმე, ჩემ გვერდით მიმავალმა მანქანამ კი — არა. ამ დროს უცხოელმა იმ მანქანას ისეთი პანჩური ამოარტყა, გამეცინა. ძალიან კარგად გავუგე მას, რადგან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ფეხით მოსიარულეს დიდ პატივს სცემენ. საქართველოში ფეხით მოსიარულეებს უპირატესობა რომ არ ენიჭებათ, ეს ყველაზე მეტად არ მომწონს.

**— საავარიო სიტუაციაში თუ აღმოჩენილხართ?**

— ერთხელ ჩემი „ბეემვე“-თი ბაკურიანში წავედით, ოჯახი იქ დავტოვე. რომ გამოვბრუნდი, დაღლილობა ვიგრძენი, ამიტომ საჭესთან ჩემი მეგობარი დავსვი. გზაში გაგვითოვდა, საშინელი ქარი ამოვარდა. ხაშურთან ახლოს მანქანა მოგვისრიალდა და გზიდან გადავცვივდით. მხოლოდ მსუბუქად დავშავდით, მაგრამ ჩემმა „ბეემვე“-მ პროფილაქტიკაში დიდი დრო გაატარა.

**— გიყვართ ავტომობილის მოვლა?**

— მანქანის მოვლა ნებისმიერი მძღოლის ინტერესებში უნდა შედიოდეს. ერთი მეგობარი მყავს, რომელიც დიდი ავტომოყვარულია. ის არამხოლოდ თავის მანქანას უვლის, მეგობრის მანქანებზეც თან არის გადაყოლილი. მეგობარი მათამამებს. საავტომობილო სფეროში უამრავი ნაცნობი ჰყავს და მთელ სამეგობროს არაფერს გვიჭირვებს.

**— თქვენი საოცნებო მანქანა რა არის?**

— „მერსედესის“ ახალი მოდელი, თუნდაც ჯიპი იყოს. მაგრამ ეს მანქანა მაინც არ მეთმობა.

✓ **სოფიო ბოჭორიძე**








Cyan Magenta Yellow Black

ვარსკვლავური ამბები

# მადონა 25 წლის ბოიფრენდს დაშორდა



■ მადონა



■ კეტრინ პატშეტი და ბრახიმ ზაიბატი

პოპის დედოფალი სამწლიანი რომანის შემდეგ თავის ბოიფრენდს, მოცეკვავე ზაიბატს დაშორდა. 55 წლის მადონას 25 წლის საყვარელი მამაკაცი მობეზრდა. წყვილი აგვისტოს პარიზული მოგზაურობის შემდეგ სულ უფრო იშვიათად ჩნდება ერთად. ამბობენ, რომ მადონას ახალგაზრდა საყვარელი ძალიან ანერვიულებდა. მოცეკვავე ბოლო პერიოდში დიდ დროს ატარებდა პროექტ „ცეკვავენ ვარსკვლავების“ პარტნიორთან, მსახიობ კატრინ პატშეტთან. ამის გამო ერთხელ მადონამ საჯაროდ ეჭვიანობის სცენაც კი მოუწყო. სოციალური ქსელი სავსეა ბრახიმ ზაიბატისა და მისი ქერთამიანი პარტნიორის სურათებით.

მადონასათვის ბრახიმი უკვე წარსულია. პოპის დედოფალი დროს უქმად არ კარგავს. ბოლო დროს ის ძალიან დაუახლოვდა თავის ყოფილ ქმარს, მსახიობ შონ პენს. მადონა და შონი ერთად გაფრინდნენ ჰაიტიში საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის. ყოფილმა ცოლ-ქმარმა რამდენიმე დღე ძალიან მხიარულად გაატარეს. ვერავინ იტყოდა, რომ მათ შორის სიყვარულის მუხტი არ არსებობს.

# ბრიტნი სპირსი ქორწილისათვის ემზადება



■ დევიდი და ბრიტნი

32 წლის ბრიტნი სპირსის ცხოვრებაში ბედნიერი ეტაპია. პოპვარსკვლავი საქორწილო სამზადისშია. მისმა შეყვარებულმა ადვოკატმა დევიდ ლუკადომ ცოლობა შესთავაზა. ბრიტნიმაც ცხოვრებაში უკვე მესამედ განაცხადა, რომ მზადაა გახდეს ერთგული ცოლი.

საქორწილო ცერემონიალი ახალი წლის შემდეგ ჰავაის კუნძულებზე ჩატარდება. ცერემონიალს ვიწრო წრეში აღნიშნავენ, სხვა დეტალები კი მკაცრად გასაიდუმლოებულია. დევიდმა საცოლე თავის ოჯახს უკვე გააცნო. ბრიტნი საქმროს 93 წლის ბებიამაც დალოცა.

ბრიტნის ახალი რომანის შესახებ ინფორმაცია თებერვალში გახდა ცნობილი. „მე შეყვარებული ქალი ვარ. დევიდი ძალიან ჯიუტი მამაკაცია, მაგრამ მე ის თავდავიწყებით მიყვარს. ის ძალიან სასაცილო და არანორმალურად ვნებიანია“, — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში მომღერალმა.

ბრიტნის არჩევანი მამაც მოუწონა. მომღერალი აცხადებს, რომ ის დევიდისგან შვილების გაჩენასაც აპირებს. ეს ბრიტნისათვის მესამე ქორწინება იქნება. პირველად 2004 წელს გათხოვდა ბავშვობის მეგობარ ჯეისონ ალექსანდრზე, თუმცა 55 საათის შემდეგ გაყრაზე შეიტანა განაცხადი. ნახევარი წლის შემდეგ ის ცოლად მოცეკვავე კევინ ფედერლაინს გაჰყვა. ორი წლის შემდეგ ეს ქორწინებაც ხმაურიანი განქორწინებით დასრულდა. ბრიტნი ორი შვილის დედაა.


ტერაფლექსი

გაიხანგრძლივეთ სახსრების ახალგაზრდობა!

BAYER

150 Years
Science For A Better Life

- ამცირებს ტკივილს და ანთებას სახსრებსა და ხერხემალში
- ახდენს ხრტილოვანი ქსოვილის აღდგენის სტიმულირებას
- ზრდის სახსრების მოქნილობას
- ამცირებს მოთხოვნილებას ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდულ პრეპარატებზე
- აუმჯობესებს პაციენტთა სიცოცხლის ხარისხს






ტერაფლექსი ადვანსი

დაავადებების გამწვავებისას




ტერაფლექსი

დაავადებების ბაზისური თერაპიისათვის

სავაჭრო ლიცენზიის მფლობელი: Bayer Consumer Care AG (Switzerland)

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.




## „ჯადოსნური“ ტორტი



*იცით თუ არა, რომ მაიონეზი სლობოდათი შესაძლებელია უგემრიელესი ტორტის მომზადება. თუ არა, მაშინ მოუმზადეთ საახალწლოდ თქვენს ოჯახს „ჯადოსნური“ ტორტი და ერთად ისიამოვნეთ!*

**ინგრედიენტები:**

*ცომი:*

- 6 კვერცხი
- 200 გრ შაქარი
- 250 გრ მაიონეზი სლობოდა „პროვანსალი“
- 1 ქილა შედედებული რძე
- 500-550 გრ ფქვილი
- 2 ჩაის კოვზი გამაფხვიერებელი

*კრემი:*

- 700-800 გრ არაჟანი
- 200 გრ შაქარი

**მომზადების წესი:**

- შეურიეთ შაქარი კვერცხს
- დაამატეთ მაიონეზი სლობოდა და აურიეთ
- დაამატეთ შედედებული რძე, აურიეთ
- დაუმატეთ გამაფხვიერებელი და ფქვილი, მოზილეთ ცომი
- კარაქმოსმულ ფორმაში გადმოიტანეთ ცომი 1სმ-ზე, შედეთ 180 გრადუსამდე გაცხელებულ ღუმელში, გამოაცხვეთ 20-25 წუთი 3-4 ცალი ნამცხვარი
- *მოამზადეთ კრემი:* არაჟანი ათქვიფეთ შაქართან
- გამომცხვარი ნამცხვრები გაჭერით ჰორიზონტალურად
- თითოეულ ნაჭერ ნამცხვარს კრემი წაუსვით კარგად
- გამზადებულიტორტი გააფორმეთ გემოვნებით (შეგიძლიათ ტორტს წაუსვათ არაჟნის კრემი და მოაყაროთ გახეხილი შოკოლადი)

*მიირთვით გემრიელად!*

## კვერცხი ფარშირებული ორაგულით



**ინგრედიენტები:**

- 5 კვერცხი
- 150 გრ ოდნავ მარილიანი ორაგული
- მაიონეზი სლობოდა
- ოხრახუში (ან ნებისმიერი სხვა მწვანილი გემოვნებით)

**მომზადების წესი:**

- მოხარშული კვერცხი გაჭერით ორ ნაწილად
- გამოაცალეთ გული
- კვერცხის გული დაანაწევრეთ
- მწვანილი დაჭერით წვრილად
- შეურიეთ კვერცხის გული და მწვანილი
- დაუმატეთ მაიონეზი სლობოდა, აურიეთ
- მიღებული მასა განათავსეთ ნახევრად გაჭრილ კვერცხში;
- ორაგული დაჭერით თხელ ზოლებად
- ზოლები დაახვიეთ რულეტებად
- რულეტები ჩადეს გაჭრილ კვერცხში.
- გააფორმეთ მწვანილით

*მიირთვით გემრიელად!*

## პომიდორი ყველთან და ნიორთან ერთად



**ინგრედიენტები:**

- 350 გრ პომიდორი
- 100 გრ ყველი
- 2-3 კბილი ნიორი
- მაიონეზი სლობოდა
- მწვანილი გემოვნებით

**მომზადების წესი:**

- ყველი გახეხეთ წვრილ სახეხზე
- დაამატეთ დაჭყლეტილი ნიორი
- დაამატეთ მაიონეზი სლობოდა და აურიეთ
- პომიდორი დაჭერით მრგვალად (სისქე დაახლოებით 6-8 მმ)
- პომიდორზე განათავსეთ ყველის მასა
- გააფორმეთ მწვანილით

*მიირთვით გემრიელად!*



სლობოდა®
განახლებული მაიონეზი მხოლოდ
ნატურალური შემადგენლობით
უკვე ახალი შეფუთვით
ცოცხალი საკვები®
«Слобода» приготовлен из
СЛОБОДА®
Живая еда®
ОЛИВКОВЫЙ
ОРГАНИК • КОНТРОЛЬ
Предложение по сервировке
ГОСТ
НАТУРАЛЬНЫЙ ПРОДУКТ
СЛОБОДА®
Живая еда®
ПОСТНЫЙ
соус майонезный
СЛОБОДА®
Живая еда®
ОРГАНИК • КОНТРОЛЬ
СЛОБОДА
МАЙОНЕЗ 67%
ОЛИВКОВЫЙ
ЖИВАЯ ЕДА
СОУС МАЙОНЕЗНЫЙ 56%
ПОСТНЫЙ
ЖИВАЯ ЕДА
МАЙОНЕЗ 67%
ПРОВАНСАЛЬ
ЖИВАЯ ЕДА
სლობოდა® სლობოდა® სლობოდა® სლობოდა® სლობოდა®

მოდა

# სონია რაკელი – ქალი ზამთარში



სონია რაკელის მოდის სახლის მთავარი შტრიხი ყოველთვის ტრიკოტაჟი იყო, თუმცა 2014 წლის ზამთრისათვის კომფორტულ ტრიკოტაჟს მონოქრომული ტყავი, სქელი აბრეშუმი და ორიგინალური პიჯაკები დაემატა. კოლექციის ძირითადი ფერები შავი, ვარდისფერი და ცისფერია. აქსესუარებიდან მთავარი აქცენტი დიდი ზომის ღილებზე გაკეთდა. დიზაინერმა ძალიან ცივი ზამთრისათვის მოცულობითი ქურქები და პალტოები წარმოადგინა.






















დისბაქტერიოზის სიმპტომებს:
ფაღარათი, შეკრულობა, შებერილობა
პრობიოლოგი®
მოგიხსნით




შეფუთვაში 30 კაფსულა
საკვები დანამატი

სასწრაფო დახმარება
Lactobacillus acidophilus (La-5®) + Bifidobacterium lactis (Bb-12®)
ნაწლავის ფლორის დარღვევისას

ბავშვები 7 წლის ასაკიდან: 1 კაფსულა დღეში. კაფსულის გახსნისას ბაქტერიები რჩებიან დაცულნი
მოზრდილები: 2 კაფსულა დღეში.

იკითხეთ "ჯი პი სი"-ს აფთიაქებში

"ფიკ მედიკალი"-ს წარმომადგენლობა საქართველოში
ტელ/ფაქსი: (+995 32) 255 20 59
ელ-ფოსტა: ficmedical_georgia@yahoo.com

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

MAYOLY SPINDLER
(საფრანგეთი)

# ასმათ ტყაბლაძეს საფრანგეთში ცოლობა სთხოვეს



მსახიობმა ასმათ ტყაბლაძემ ახალგაზრდობაში საბჭოთა რკინის ფარდის იქით რამდენჯერმე მოახერხა გაღწევა და კაპიტალისტური სამყაროს ხილვა. იქ საბჭოთა მოქალაქისთვის არატიპურად იქცეოდა, ურჩობას იჩენდა და ამიტომაც დაიმსახურა საბჭოთა ხელისუფლების თვალში არაკეთილსაიმედო იმიჯი. საზღვარგარეთ კარგახანს აღარ უშვებდნენ.

თეატრის დასთან ერთად გასტროლებით ბევრი ქვეყანა აქვს მოვლილი და იქიდან საოცარი, მხიარული მოგონებები აქვს „ჩამოტანილი". საზღვარგარეთ მსახიობების ყოველი გასვლა, როგორც ქალბატონი ასმათი ამბობს, ერთი დიდი კონცერტი იყო, რომლის შესახებაც „სარკის" მკითხველებსაც დიდი იუმორით უყვება.

— **ქალბატონო ასმათ, გიყვართ მოგზაურობა?**

— მოგზაურობა ყოველთვის მიყვარდა. საკუთარი ინიციატივითაც ვმოგზაურობდი და თეატრთან ერთადაც. ყოფილი საბჭოთა კავშირის პერიოდში ევროპის რამდენიმე ქალაქი მაქვს მოვლილი. 1977 წელს საფრანგეთში ცეკვის ანსამბლს გავყევი. სხვათა შორის, საფრანგეთში ერთ კაცს ისე მოვეწონე, ცოლობაც მთხოვა. საკმაოდ ძლიერი ოჯახი იყო, მაგრამ ერთი წამითაც არ მიფიქრია იქ დარჩენა. მით უმეტეს, როცა ადამიანი არ გიყვარს, მხოლოდ იმისთვის ვერ გაჰყვები ცოლად, რომ საზღვარგარეთ იცხოვრო. ასე რომ მოვქცეულიყავი, ვერც საქართველოში დავბრუნდებოდი და ჩემს ოჯახსაც შეავიწროებდნენ.

საფრანგეთში რომ წავედი, ამ ქვეყნის შესახებ ბევრი რამ ვიცოდი. ჩემს დას უცხო ენათა ინსტიტუტი აქვს დამთავრებული ფრანგული ენის განხრით. მისი ოცნება მე ავისრულე და საფრანგეთში მოვხვდი.

— **როგორი იყო პირველი შთაბეჭდილებები?**

— პარიზი ულამაზესი ქალაქია. გეგმურადაა გაშენებული. ყველა მუზეუმი მოვიარე. ლუვრი იმხელაა, ორი დღე ვიარე და ისეთი დაღლილი

**„დოსიეში ჩამიწერეს, რომ პარიზის ქუჩებში თვითნებურად დავსეირნობდი, რის გამოც საზღვარგარეთ წასვლის პრობლემები შემექმნა".**

ვიყავი, აღარაფრის ნახვის თავი მქონდა. მადონასთან დიდხანს ვიყავი გაშეშებული, საოცრებაა!

საფრანგეთში მეორედ ჯგუფთან ერთად გახლდით. ჩემთან ერთად გურამ ფანჯიკიძე, ელგუჯა მაღრაძე, მედეა კუჭუხიძე და არაჩვეულებრივი ქალბატონი ნინა ჟვანია იყვნენ. ჩვენ შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო, მაგრამ ძალიან დავმეგობრდით.

— **იმ პერიოდში საზღვარგარეთ წასულ ჯგუფს აუცილებლად მიჰყვებოდა უშიშროების თანამშრომელი. შეგექმნათ მათ გამო პრობლემები?**

— ჩვენს ყველა მოგზაურობას სუკ-ის თანამშრომელი ახლდა თან, ოღონდ მისი ვინაობა არ ვიცოდით. პირველად საფრანგეთში რომ წავედი, პარიზში ერთ-ერთ სომეხ ოჯახთან წერილი გამატანეს. ჯგუფის ხელმძღვანელი არ მიშვებდა, რომ მათ შევხვედროდი და პარიზი კარგად დამეთვალიერებინა. ეს ყველაფერი იუმორში გადამქონდა. გაზეთს ჭუჭრუტანას ვუკეთებდი და ჯგუფის ხელმძღვანელს ვეკითხებოდი, აქედან დავათვალიერო პარიზი-მეთქი. მას არ დავუჯერე, მაინც წავედი პარიზის დასათვალიერებლად და ჯგუფის ერთ-ერთი წევრიც წავიყვანე. სამშობლოში რომ ვბრუნდებოდით, გზაში მივხვდი, ვინ იყო სუკ-ის თანამშრომელი. ვიხუმრე, ვიცი, ვინც არის ის ადამიანი-მეთქი და თვითონვე წამოსცდა, მე არ მინდოდა ასე მოქცევა, ჩემი დავალება იყოო. ამის გამო დოსიეში ჩამიწერეს, რომ

**„იქ რომ გავთხოვილიყავი, საქართველოში ჩემს ოჯახს შეავიწროებდნენ"**

პარიზის ქუჩებში თვითნებურად დავსეირნობდი, რის გამოც საზღვარგარეთ წასვლის პრობლემები შემექმნა. ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ალბათ პარიზსაც ვერ დავათვალიერებდი.

— **კონკრეტულად რომელ ქვეყანაში გაგიჭირდათ გასვლა?**

— მე და სოფიკო ჭიაურელი თავის ვაჟთან და მეგობართან ერთად ჩეხოსლოვაკიაში მივდიოდით. კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარის მიწვევით კარლოვი ვარიში უნდა ჩავსულიყავით დასასვენებლად. სოფიკომ მითხრა, შენზე უარია და პარიზში რა გააკეთე ასეთიო. არაფერი, ვისეირნე-მეთქი. ბოლოს იმდენი ქნა, მაინც თანხმობა მივიღე და წავედით.

ჩეხოსლოვაკიაში ერთი თვე ვიყავით. ეს პერიოდი ჩემთვის არაჩვეულებრივი მოსაგონარია. სოფიკოს გვერდით ყოფნა ყოველთვის დიდი დღესასწაული იყო. მაშინდელ ლენინგრადში, პარიზში და კიდევ სად აღარ ვყოფილვართ ერთად. სადაც უნდა ჩავსულიყავით, ყველაფერს საუკეთესოს გვაჩვენებდა.

კარლოვი ვარი პატარა, ულამაზესი კურორტია. თერმული წყლები და შესანიშნავი გარემოა. სოფიკოს ცურვა უყვარდა და სულ აუზში იჯდა. მე ერთხელ, ბავშვობაში, ვიხრჩობოდი და მას შემდეგ წყლის შიში მაქვს, ამიტომ მე სოფიკოს ვაჟთან ერთად კაფეში ვიჯექი ხოლმე, სოფიკო კი ცურავდა. სხვათა შორის, ჩემი პირველი მოგზაურობაც ჩეხოსლოვაკიას უკავშირდება.

— **მაშინ როგორ მოხვდით იქ?**

— მესამე კურსის სტუდენტი ვიყავი და ჩეხოსლოვაკიაში გაცვლითი პროგრამით მოვხვდი. პირველად საზღვარგარეთ ძალიან სასაცილოები ვიყავით. საბჭოთა კავშირის პერიოდში საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის დიდი კედელი იყო. ვისიამოვნე იმით, რომ უცხოეთში უამრავი სპექტაკლი ვნახე. პრაღა დაგვათვალიერებინეს. ძველი პრაღა ულამაზესია, საოცარი სანახაობაა. იქ მანქანები არ მოძრაობენ, ეტლებით დადიან. ყველა ქვეყანაში ძველი რაიონები უფრო მომწონს და ვათვალიერებ. ახალ უბნებში კი თითქმის ყველგან ერთნაირი სახლები დგას.

1968 წელს პრაღაში გახლდით, 1973-ში — გერმანიაში, 1977-ში — საფრანგეთში, 1975-ში — პოლონეთში და 1978 წელს — ისევ გერმანიაში.

— **გერმანია მოგეწონათ?**

— ძალიან. იქ ტურისტული ვიზით ვიყავი, ოღონდ აღმოსავლეთ გერმანიაში. ბერლინის კედელი დანგრევამდე მაქვს ნანახი. დრეზდენიც დავათვალიერე. უამრავი მუზეუმი ვნახე. ახლა რომ წავიდე გერმანიაში, მუზეუმებში ველარ შევალ. უკვე იმდენი რამ ვნახე, იმდენი ემოცია და შთაბეჭდილება დამიგროვდა... ახლა ისეთ ასაკში ვარ, ხალხთან ურთიერთობა და სეირნობა უფრო მიტაცებს, ვიდრე მუზეუმების თვალიერება და წარსულის ნახვა.

— **თეატრთან ერთად გასტროლებზე სად ხართ ნამყოფი?**

— თეატრთან ერთად პირველად 1980 წელს იტალიაში გახლდით. „მე ვხედავ მზეს" და „ოიდიპოს მეფე" წავიღეთ. მაშინ საზღვარგარეთ გასასვლელად საქმე უნდა ჩაგეწყო. ეს გასტროლიც რეზო თაბუკაშვილმა მოგვიხერხა. რომში ჩავფრინდით, მერე კი ბოლონია და ვენეცია მოვიარეთ. თეატრთან ერთად გასტროლი არაჩვეულებრივია. თბილისიდან მოსკოვამდე მატარებლით წავედით. სამი დღე მატარებელში გავატარეთ. ეს დღეები ერთი დიდი კონცერტი იყო. იმ ადამიანებიდან დღეს ბევრი ცოცხალი აღარ არის. საქართველოში რომ დავბრუნდით და დანარჩენ მსახიობებს მოვუყევით ამ გასტროლის ამბები, ერთი ზღაპრული კონცერტი მაშინაც ჩავატარეთ.

იტალიაში გასამგზავრებლად აეროპორტში ვისხედით. მანამდე კულტურის სამინისტროში

**„შებოლილი, გამოყვანილი ძეხვი და რუსული შავი პური „რჟანოის" კი მიგვქონდა ხოლმე. მე ბაჟესთვის ყველაფერი მოვამზადე, ქილაში ჩავყარე და ისე წავიღე იტალიაში. იქ ცხელ წყალს ვასხამდი და მთელი თეატრი ჩემთან იჯდა ბაჟეს საჭმელად".**

დაგვარიგეს, იტალიაში ამჟამად საშიში მდგომარეობაა, შეიძლება ტერაქტიც მოგიწყონო. ბევრი დაიძაბა, მე კი ისე მინდოდა წასვლა, აფეთქებაზე არც კი ვფიქრობდი. მაშინ ბეირუთშიც დიდი არეულობა იყო. რამდენჯერმე გამოაცხადეს, ბეირუთში წამსვლელები რეგისტრატურასთან გამოცხადდითო. რატომღაც ზურაბ ლაფერაძე ბეირუთში წამსვლელს მიამსგავსეს და ხელით რეგისტრატურისკენ ანიშნეს. ისე ეშინოდა, რუსულად უთხრა, იტალიაც არ მინდა და ბეირუთში მიშვებთო. როცა ჯგუფი ერთად მიდის, რაღაც სახალისო ყოველთვის ხდება.

— **საბჭოთა მოქალაქეებს კაპიტალისტურ ქვეყანაში უცხოური ვალუტა თუ გქონდათ?**

— მაშინ გასტროლზე ფულს არ გვატანდნენ. 30 მანეთს გადაგვიხურდავებდნენ და მთელი ჩვენი ფული ეს იყო. ოღონდ

→44


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.




Cyan Magenta Yellow Black

წავსულიყავით და უფულობას ვინ ჩიოდა!

**— უცხო ქვეყანაში უფულოდ როგორ იყავით, თავი რითი გაგქონდათ?**

— უფრო სახალისო იყო ეს პრობლემები. იტალიაში ტუალეტშიც ფული მოგვთხოვეს. ბოლოს ავტობუსი გავაჩერეთ და მამაპაპურად ყველანი ყანაში გადავედით. წყალი რომ გვეყიდა, ამასაც ხომ ფული უნდოდა? ქუჩაში ონკანი დავინახეთ. ჩვენი ერთ-ერთი მსახიობი დაეწაფა და უცებ გაჩერდა, ახლა გამახსენდა, ტუალეტში რომ მომინდეს, ფული არ გვაქვსო...

ამ უფულობის გამო ყველას რაღაც მოჰქონდა გასაყიდად. ეს ყველაზე სასაცილო მომენტი იყო. მერე ერთმანეთს რომ ვუყვებოდით, ვის რა ჰქონდა წამოღებული, ვიხოცებოდით სიცილით. ერთ-ერთ მსახიობს უთო მოჰქონდა. საბჭოთა უთო კი, როგორც დიდი ურო, ისეთი იყო. ბოლოს ისე დაამძიმა, ნაგვის ურნაში მოისროლა. ხიზილალაც კი ჰქონდათ წამოღებული. ერთ-ერთ ბარში შევიტანეთ, ვერ ავუხსენით, რომ გაყიდვა გვინდოდა, ბოლოს ოფიციანტმა გაგვიხსნა და მოგვიტანა. დავსხედით და ვჭამეთ.

მეც მიმქონდა ხოლმე რაღაც გასაყიდად. ბევრი ერთმანეთს უმალავდა კიდეც, მაგრამ ბოლოს მაინც ვიგებდით და ერთი დიდი კონცერტი იყო.

ეს ყველა თეატრში ხდებოდა, თავს ნურავინ გამოიდებს. ოჯახში ხელცარიელები ხომ არ ჩამოვიდოდით? ასე მოვიარეთ იტალია. რეზო თაბუკაშვილმა იტალიელებს უთხრა, ფული, რომელიც იტალიის კულტურის სამინისტრომ მსახიობების კვებისთვის გამოყო, ფულად გაუნაწილეთ, რადგან ერთად საჭმელად არ სცალიათო. ძალიან გაგვიხარდა. აქედან საჭმელი ყველას მიგვქონდა და იმ ფულით ოჯახის წევრებისთვის საჩუქრები ვიყიდეთ. შებოლილი, გამოყვანილი ძეხვი და რუსული შავი პური „რჟანოიც" კი მიგვქონდა ხოლმე. მე ბაჟესთვის ყველაფერი მოვამზადე, ქილაში ჩავყარე და ისე წავიღე იტალიაში. იქ ცხელ წყალს ვასხამდი და მთელი თეატრი ჩემთან იჯდა ბაჟეს საჭმელად. ახლა კი საზღვარგარეთ საჭმლის წაღება უკვე სასაცილოა. შეხვალ სადმე და გემრიელად მიირთმევ.

**— გაინტერესებთ უცხოური სამზარეულო?**

— ძალიან მაინტერესებს. უცხოური სამზარეულოდან ბევრი რამის მომზადება ვიცი. გემოთიც კი ვხვდები, რა რითია მომზადებული. საფრანგეთში უგემრიელესი სამზარეულოა. ფრანგული კერძები ჩემს ბარშიც მაქვს. ზღვის პროდუქტებსაც საინტერესოდ ამზადებენ. მახსოვს, მოლუსკების წვნიანი მოგვიტანეს. არასოდეს მიჭამია და ვერ შევჭამ-მეთქი, ვუთხარი. ერთი ჭიქა დავლიე და გემრიელადაც მივირთვი. ისე მომეწონა!.. მაშინ გადავწყვიტე, რომ ყველაფერი გამესინჯა. მხოლოდ ბაყაყი ვერ



„იტალიაში ტუალეტშიც ფული მოგვთხოვეს. ბოლოს ავტობუსი გავაჩერეთ და მამაპაპურად ყველანი ყანაში გადავედით".

ვჭამე, მაგრამ ამბობენ, რომ ძალიან გემრიელია.

**— კიდევ რომელი ქვეყნიდან გამოგყვათ მკვეთრი შთაბეჭდილებები?**

— იაპონიაზე გიამბობთ, სადაც თეატრთან ერთად გახლდით. მათი პიესა დავდგით და მიგვიწვიეს. იაპონელები საოცარი პატრიოტები არიან. არაჩვეულებრივი მასპინძლობა იციან. არ დავიტრაბახოთ, რომ ჩვენ უკეთესი მასპინძლობა ვიცით. უბრალო მაყურებელიც კი არანორმალურ პატივს გვცემდა. ყველა თავის ოჯახში გვეპატიჟებოდა, საკუთარ სახლებში ჯგუფ-ჯგუფად სადილად გვიწვევდნენ. ეს მოგზაურობაც განსაკუთრებულად მახსოვს.

**— უცხოეთში საყიდლებზე სიარული გიყვართ?**

— საზღვარგარეთ სპეციალურად საყიდლებისთვის ნამდვილად არ დავდივარ, მაგრამ აუცილებლად ვშოპინგობ. ლამაზი ტანსაცმელი ძალიან მიყვარს და, როცა საშუალება მაქვს, ვყიდულობ. ოჯახის წევრებისთვის საჩუქრებიც მომაქვს.

**— ბოლო პერიოდში სად იმოგზაურეთ?**

— ბოლოს ინგლისსა და პარიზში გახლდით. 2007 წელს საფრანგეთში სოფიკოსთან (ჭიაურელი. ავტ.) ერთად ვიყავი, მეორე წელს კი გარდაიცვალა. მაშინ უკვე ვერ იყო კარგად. საქართველოში რომ ვბრუნდებოდით, გზაში ვსაუბრობდით. ვთხოვდი, ახლა მაინც მიხედე შენს თავს-მეთქი. ისიც ნანობდა, რატომ ადრე არ მივხედე თავსო. პარიზში სერგო ფარაჯანოვის საღამოები იყო. სოფიკო კი ფარაჯანოვის მუზა გახლდათ და იქ წასვლას ვერ გამოაკლდებოდა.

**— აეროპორტებსა და თვითმფრინავში როგორ გრძნობთ თავს?**

— თვითმფრინავთან ჩვეულებრივი დამოკიდებულება მაქვს. უბრალოდ, ბოლო დროს ბევრი ავიაკატასტროფა მოხდა და, ცოტა არ იყოს, ამის მერე მეშინია. მახსოვს, მე და ერთი ნაცნობი კაცი საქმიანი ვიზიტით ბუდაპეშტში მივფრინავდით. რომ შეგეხედათ, უშიშარ კაცს ჰგავდა. ვიფიქრე, დამამშვიდებელ აბს დავლევ და მთელი გზა მშვიდად ვიქნები-მეთქი. ამოვიღე წამალი, ბორტგამცილებელს წყალი ვთხოვე და ამ დროს თვითმფრინავმა გუგუნი დაიწყო. ამ კაცმა უცებ მომკიდა ხელი, „პამაგიტე"-ო, საშინლად მეშინია და რაღაც მითხარითო. როგორ გეკადრებათ, სადაც მე ვარ, იქ შიში და ცუდი რამე გამორიცხულია-მეთქი. ეს წამალი უკან ჩავდე. რაღა დროს ჩემზე ფიქრი იყო, ისეთი მშიშარა კაცი მეჯდა გვერდით, იმისთვის უნდა მიმეხედა. მთელი გზა რაღაცეებს ვუყვებოდი. ისეთი ფერი ჰქონდა, მკვდარს ჰგავდა. შევძელი და მდგომარეობიდან გამოვიყვანე.

ერთხელ მე და ჩემი ამხანაგი შვილებით პარიზიდან მოვფრინავდით. თბილისში საშინელი ქარი იყო. იმ პერიოდზე გიყვებით, აეროპორტს ქარმა სახურავი რომ გადახადა. კავკასიონს რომ გადმოვუფრინეთ, თვითმფრინავი ისე ქანაობდა, ყველა შეშინდა. ღმერთო, ოღონდ ახლა ბავშვები გადაარჩინე და მე თუნდაც ჩასვლისთანავე მოვკვდე-მეთქი, ვფიქრობდი. როცა მივხვდი, რომ ხალხი პანიკაში ჩავარდა, გაზეთს დავწვდი, სადაც ზურა ნოლაიდელზე ეწერა. დავიწყე ვითომ კითხვა, არადა ამ დროს

„კავკასიონს რომ გადმოვუფრინეთ, თვითმფრინავი ისე ქანაობდა, ყველა შეშინდა. როცა მივხვდი, რომ ხალხი პანიკაში ჩავარდა, გაზეთს დავწვდი, სადაც ზურა ნოლაიდელზე ეწერა. დავიწყე ვითომ კითხვა, არადა ამ დროს გამწარებული ვლოცულობდი. ხალხი მეუბნებოდა, რა დროს გაზეთის კითხვაა, როგორ არ გეშინიათ...".

გამწარებული ვლოცულობდი. ხალხი მეუბნებოდაა, რა დროს გაზეთის კითხვაა, როგორ არ გეშინიაო. რა არის საშიში, ძალიან საინტერესო სტატიას ვკითხულობ-მეთქი. თვითმფრინავი ქარს მიჰქონდა და რას წავიკითხავდი?! ქართველებს არაჩვეულებრივი მფრინავები გვყავს. ამხელა ქარში მფრინავმა ისე დაგვსვა, შვებით ამოვისუნთქეთ. არადა მახსოვს, ერთხელ საფრანგეთიდან ბარსელონაში გადავფრინდით და იმ მფრინავმა კი არ დაგვსვა, მიწაზე დაგვანარცხა.

თვითმფრინავში რომ ვზივარ, იცით, რაზე ვლოცულობ? ღმერთო, ოღონდ სხვა ქვეყნის თავზე არაფერი დამემართოს და ჩემს ქვეყანაში, რაც გინდა, ის მომივიდეს-მეთქი!

✓ *სოფიო ბოჭორიძე*

# ბერგენი — ჩრდილოეთის ზღაპარი

ბერგენი ნორვეგიის სიდიდით მეორე ქალაქია, ხოლო ფიულკე ჰორდალანის მხარის ანუ ნორვეგიის სამეფოსთვის — დედაქალაქი გახლავთ. ის ქვეყნის დასავლეთით, ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე მდებარეობს ბერგენის ნახევარკუნძულზე. ესაზღვრება კუნძულები ასკეითი, ჰოლსნეითი და სუტრი.

ლურჯი, კამკამა წყლები, წლის ნაპირას მწვანე მთები, ნისლში შეფენილი ლამაზი წითელი სახურავები — ეს ბერგენია. როგორც კი ქალაქში ფეხს დადგამთ, მიხვდებით, რომ ჯადოსნურ სამყაროში მოხვდით.

## მცირე რამ ისტორიიდან

ბერგენი 1299 წლამდე ნორვეგიის დედაქალაქი იყო, ხოლო 1830 წლამდე ქვეყნის უდიდეს ქალაქად ითვლებოდა. დღეს ის უმსხვილესი საპორტო და ნავთობსამრეწველო ცენტრია. ქალაქში არის უნივერსიტეტი. ბერგენის შუასაუკუნეების დროინდელი სანაპირო ზოლი კი იუნესკო-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ფონდის სიაშია.

2000 წელს ბერგენი ევროპის ერთ-ერთ კულტურულ დედაქალაქად დასახელდა.

## კლიმატი

მთებით გარშემორტყმულ ბერგენში მუდმივად წვიმს. წლიური საშუალო ტემპერატურა 7 გრადუსია. ივლისში ტემპერატურა 16 გრადუსზე ადის, შემოდგომის დადგომისთანავე კი მკვეთრად ეცემა. ზამთარში ხშირია ყინვები. ივნისში პოლარული სარტყლის მიღმა მზე 24 საათის განმავლობაში ანათებს, ხოლო ზამთარში პოლარული ღამეები დგება.

მაისიდან სექტემბრამდე ბერგენში ტურისტული სეზონი იწყება და ამ პერიოდში ქალაქი თითქმის 2 მილიონ ტურისტს მასპინძლობს. მათ უმეტესობას ქვეყნის ლამაზი ბუნება იტაცებს, გარკვეული ნაწილი კი მდინარეებსა და ტბებს სათევზაოდ სტუმრობს. იქაურობა ხომ განთქმულია თევზის იშვიათი ჯიშებით.

## ენა

ბერგენის ოფიციალური ენა ნორვეგიულია, რომლის ორი ფორმა არსებობს — ბუკმოლი (წიგნის ენა) და ნიუ ნორსკი (ახალი ნორვეგიული). მოსახლეობის უმეტესობამ კარგად იცის ინგლისური.

## ფული

ბერგენის ოფიციალური ვალუტა ნორვეგიული კრონაა. 1 ამერიკული დოლარი 9 ნორვეგიული კრონის ტოლფასია. ქალაქში უცხოური ვალუტის გადახურდავების პრობლემა არ არის, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ



Cyan Magenta Yellow Black

ბერგენი, განსაკუთრებით კი ტურისტულ სეზონზე, საკმაოდ ძვირი ქალაქია. ყოველდღიურად თავის გასატანად 100 ნორვეგიული კრონა მაინც დაგჭირდებათ.

მაღალი დონის დაწესებულებებში ამერიკული დოლარის გარდა ევროთი სარგებლობაც შეგიძლიათ. რაც შეეხება ხელის ქირას, მისი დატოვება დაუწერელი კანონია.

## რელიგია

ბერგენის მოსახლეობის უმეტესობა ათეისტია. სხვადასხვა გამოკითხვით, მათი წილი 70%-მდეა.

სახელმწიფო რელიგიად ევანგელისტური ლუთერანობაა გამოცხადებული. კონსტიტუციის მიხედვით, ლუთერანული ეკლესიის წარმომადგენელი უნდა იყოს ნორვეგიის მეფე და მინისტრთა კაბინეტის ნახევარი მაინც.

## გადაადგილება

ბერგენში მოსახვედრად თუ მის შიდა ტერიტორიაზე გადასაადგილებლად უამრავი სატრანსპორტო საშუალება ფუნქციონირებს. ქალაქში ჩასვლა შეგიძლიათ თვითმფრინავით, მატარებლით, ავტობუსით, გემით ან თუნდაც მანქანით.

ბერგენის აეროპორტი ქალაქიდან 19 კილომეტრში მდებარეობს. აეროპორტს ემსახურება ავტობუსი, რომელიც ყოველ 15 წუთში ერთხელ გადის ქალაქის ცენტრის მიმართულებით. ყოველდღიურად მუშაობს ბორანი, რომელიც ოსლოს მიმართულებით მიცურავს. ასეთივე გრაფიკით დაცურავენ ბორნები ნორვეგიის სხვა ქალაქებისა თუ კუნძულების მიმართულებით.

შიდა გადაადგილებისათვის ავტობუსით, ტრამვაით ან სულაც ბორნით შეგიძლიათ ისარგებლოთ. ერთჯერადი ბილეთი 27 ნორვეგიული კრონი ღირს. გაითვალისწინეთ, რომ სამგზავრო ბილეთის გამოყენება ნებისმიერი სახის ტრანსპორტში შეიძლება.

სხვა გამოსავალია ტაქსი ან მანქანა. მანქანას იმ შემთხვევაში მოგაქირავებენ, თუ 21 წელი უკვე შეგისრულდათ და 70 წელზე ნაკლების ბრძანდებით. გაითვალისწინეთ, რომ მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევაში საკმაოდ დიდი ჯარიმის გადახდა მოგიწევთ.

## სამზარეულო

ნორვეგიული სამზარეულო ეფუძნება ქაშაყს, კარტოფილს, ფქვილს და რძეს, დამატებულია ბოსტნეული და ხილი. ბერგენში ზღვის დელიკატესებიდან პირველი ადგილი უკავია ორაგულს, თუმცა იქ ძალზე ბევრია ისეთი სახეობის თევზი, რომელიც ყურადღებას იმსახურებს: ქაშაყი, ვირთევზა, კალმახი, პალტუსი, ლოქო. წარმოუდგენელია, ზაფხულში არ დააგემოვნოთ კრევეტები. ნორვეგიელებს ძალიან უყვართ თევზეულის პირდაპირ ზღვიდან დაბრუნებულ თევზმჭერ გემებზე ყიდვა.

მიუხედავად იმისა, რომ ვეშაპებზე ნადირობა ნორვეგიაში დღეს მკაცრად შეზღუდულია, საკმაოდ რეალურია ვეშაპის ხორცით გამასპინძლება რესტორანში ან მისი ყიდვა თევზის ბაზარზე. მას ბევრნაირად ამზადებენ, მაგალითად, წყალში დაკეპვით ან ჩალბობით. სუფრასთან მიაქვთ მდოგვთან და კარაქთან ერთად.

ადგილობრივების საუზმეა ყავა და ბუტერბროდი ქაშაყით. ნორვეგიული დელიკატესია აგრეთვე ღორის შემწვარი ნეკნები და ცხვრის ან ციკნის დაკონსერვებული თავი. როგორც წესი, ამ კერძებს შობის დღესასწაულზე მიირთმევენ.

ნაციონალური კერძია კომბოსტოსთან და წიწაკის მარცვლებთან ერთად ჩაშუშული ციკანი, რომელიც შეკმაზულია სპეციალური სქელი, ყავისფერი სოუსით. ამ კერძს ფორიკოლის უწოდებენ და ტრადიციულად შემოდგომაზე მზადდება.

ტურისტებს ქალაქში დელიკატესის სახით სთავაზობენ ირმის ხორცს. არ შეიძლება ყურადღების გარეშე დატოვოთ თხის ყავისფერი ყველი, რომელსაც მხოლოდ ნორვეგიაში ამზადებენ. ტურისტები მას ისე ყიდულობენ, როგორც სუვენირს.

ნორვეგიელები ძირითადად სვამენ რძეს და ყავას. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ერთ



სულ მოსახლეზე იმდენი რძე არ ისმება, რამდენიც ნორვეგიაში. სპირტიანი სასმელებიდან აბსოლუტური ლიდერია „აკევიტი“. ის მზადდება კარტოფილისგან, რომელსაც კვლიავს უმატებენ. ნორვეგიულ ლუდს საკმაოდ ღირსეული ადგილი უჭირავს.

## ღირსშესანიშნაობები

ბერგენი ნორვეგიის კულტურული ცენტრია და მას სამართლიანად აქვს პრეტენზია, იყოს ნორვეგიის ყველაზე ლამაზი და ძველი ქალაქი.

ბერგენი არაჩვეულებრივი ბუნებითა და ზღაპრული ფიორდებით (ვიწრო ყურე) დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველებზე. გაზაფხულსა და ზაფხულში ველები ხასხასა ფერის მცენარეული საფარით იმოსება. ბუნების უდიდესი ნაწილი ხელუხლებელია და ტურისტებს ხეტიალისთვის იზიდავს.

ქალაქსა თუ მის შემოგარენში ასობით ღირსშესანიშნავი ადგილია. ხელოვნების მუზეუმი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მუზეუმია ნორვეგიაში. აქ განთავსებულია რენესანსის ეპოქიდან მოყოლებული ხელოვნების ნიმუშების უზარმაზარი კოლექცია. მუზეუმში დაცულია ცნობილი ნორვეგიელი მხატვრის ედვარდ მუნკის ნამუშევრები.

ქალაქის ცენტრში ზღვის პროდუქტებითა და სუვენირებით ვაჭრობენ. ბერგენის აკვარიუმს თუ ესტუმრებით, ტიპურ ნორვეგიულ წყალქვეშა სამყაროს საფუძვლიანად გაეცნობით.

წმინდა მარიამის სახელობის ტაძარი ბერგენში შემორჩენილი უძველესი შენობებიდან ერთ-ერთია. ტაძრის მშენებლობა 1130 წელს დაიწყო და 1180 წელს დასრულდა. ის ორი უზარმაზარი კოშკისაგან შედგება.

უძველესი ნორვეგიული არქიტექტურის ბრწყინვალე ნიმუშია მე-13 საუკუნის ბერგენის ციხესიმაგრე. ყოფილი სამეფო რეზიდენცია ქვეყნის მასშტაბით ყველაზე კარგად შემონახული ციხეა. მისი დარბაზი დღესაც გამოიყენება სამეფო დღესასწაულების აღსანიშნავად. ციხესიმაგრის დათვალიერება ნებისმიერ მსურველს შეუძლია სულ რაღაც 60 კრონად.

ქალაქ ბერგენიდან წლის ნებისმიერ დროს ჩრდილოეთის მიმართულებით გადის გემი, რომელიც 11 დღიან კრუიზს ასრულებს და, საერთო ჯამში, 4 500 კილომეტრს ფარავს. გემი ათასობით კუნძულსა და ფიორდს შორის მიიკვლევს გზას. ჩერდება ქალაქებსა და სოფლებში, რომლებიც ნორვეგიის თვალწარმტაც სანაპირო ზოლზეა ჩამწკრივებული. ამით მგზავრებს საშუალება ეძლევათ, მთელი 11 დღე დატკბნენ ნორვეგიის ჯადოსნური ხედებით.

ბერგენი თავისი არსებობის განმავლობაში არაერთხელ გამხდარა ხანძრის მსხვერპლი, რადგან ქალაქში ტრადიციულად სახლების უმეტესობა ხის იყო. ხისგან იყო დამზადებული ნავმისადგომიც. მოგვიანებით მის ადგილას ბრიუგენის მუზეუმი ააშენეს, რომელიც არქეოლოგიური ძეგლებისა და ძველისძველი ხის სახლებისგან შედგება. დღეს ამ ნავმისადგომზე სუვენირების უამრავი მაღაზიაა გახსნილი. გარდა ამისა, აქ თავმოყრილია რესტორნები, კაფეები და მუზეუმები. 1955 წლის ხანძარს გადარჩენილი 58 შენობიდან უმეტესობა დღეს მხატვართა სახელოსნოებადაა ქცეული.

## უსაფრთხოების წესები

კრიმინალი ბერგენის მთავარი პრობლემა არ არის, მაგრამ სიფრთხილის გამოჩენა მაინც გმართებთ, განსაკუთრებით ღამის საათებში.

ბერგენში ონკანის წყალი შეგიძლიათ უშიშრად დალიოთ, რადგან იქაური წყალი, შეიძლება ითქვას, მსოფლიოში ყველაზე სუფთაა. ადგილობრივები ძალიან თბილი და მოსიყვარულე ხალხია და სასტიკად სძულთ უზრდელები, ამიტომ ეცადეთ, მაქსიმალური ზრდილობით გამოირჩეოდეთ.

საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ხმამაღალი ლაპარაკიც კი მიუღებელია, რომ არაფერი ვთქვათ მოწევაზე. გაითვალისწინეთ, თამბაქოს მოწევა ზოგიერთ ლუდხანაშიც კი აკრძალულია.

## უბის წიგნაკი

**ქვეყანა — ნორვეგია;**
**ქალაქი — ბერგენი;**
**ფართობი — 465 კვ.კმ;**
**მოსახლეობა — 261.300;**
**ოფიციალური ენა — ნორვეგიული;**
**ოფიციალური ვალუტა — ნორვეგიული კრონი.**

✓ მოამზადა თათია ბოჭორიძემ





# „ცოლს გავექეცი და ნამდვილი აფთრის გვერდით აღმოვჩნდი“

## როცა გვავიწყდება, რომ ერთ დროს მეუღლეს ვაღმერთებდით...

მამაკაცებს ხშირად ასე ემართებათ — თუ ცოლთან ურთიერთობაში პრობლემები აქვთ, მათ მოგვარებას ურჩევნიათ, განერიდონ და სხვაგან იპოვონ შვება და სიმყუდროვე. ზოგჯერ ცოლებიც შეცდომას უშვებენ — დაუკვირვებელი ქცევებით თუ სიტყვებით თავად უბიძგებენ ქმრებს წასვლისკენ. არადა, ნათქვამია, ჭკვიანი ქალი გაქცეულ კაცს მოაბრუნებს, არათუ გააქცევსო.

ჩვენი რესპონდენტი, საშუალო ასაკის მამაკაცი, რომელსაც, მისივე თხოვნით, ანონიმურობისთვის შალვად მოვიხსენიებთ, შეიძლება ითქვას, იმ გარემოების მსხვერპლია, რომელიც მის გარშემო შეიქმნა და რომელშიც მასაც მიუძღვის თავისი წილი „დამსახურება“. როცა ცოლთან ურთიერთობა აერია, მისი დალაგება არც უცდია, გაიქცა, მაგრამ უარესი დაემართა — „მგლის ხახაში“ ამოყო თავი.

**შალვა:**

— ჩემს თავს ვერ ვპატიობ, რაც დამემართა. ჩემნაირებზეა ნათქვამი, რაც მოგივა დავითაო... ალბათ იფიქრებთ, პირადულ საკითხებზე ლაპარაკი კაცისგან რა საკადრისიაო, მაგრამ იქნებ ამ მონანიებით დარდი შემიმსუბუქდეს ან იქნებ სხვა მამაკაცებმა გაითვალისწინონ ჩემი გამოცდილება და საბედისწერო შეცდომას თავი აარიდონ. მე კი თავის დროზე არავის აზრი გავიზიარე, რის გამოც ცხვირი წავიმტვრიე.

**— მოდით, თავიდან დავიწყოთ. რა მოხდა თქვენს ოჯახში?**

— ქალი შემიყვარდა, მისი გულისთვის ანგელოზივით ცოლ-შვილი დავთმე, ყველა მეგობარი და გულშემატკივარი მოვიმდურე, ცხოვრება თავიდან დავიწყე... ის კი ისეთი ანჩხლი და წურბელა გამოდგა, ისე სულთამხუთავივით ჩამებღაუჭა, ვერაფრით ვიშორებ. თავის დაღწევა მინდა და არაფერი გამომდის. უარყოფითი თვისებები, რაც ჩემს ცოლში არ მომწონდა, მასში უფრო მკვეთრად არის გამოხატული, შეიძლება ითქვას, კვადრატში და კუბშია აყვანილი!

**— კონკრეტულად ქალის რომელ თვისებებს გულისხმობთ?**

— ვერ ფლობენ მამაკაცთან ურთიერთობის ხელოვნებას, ანუ არ იციან, კაცს როგორ ელაპარაკონ, რა ფორმით მისცენ შენიშვნა, როგორ დაავალონ ან სთხოვონ რამე, რომ კაცის თავმოყვარეობა არ შეურაცხყონ. ცინიზმს იჩენენ, თუ კაცმა რაღაც ისე ვერ გააკეთა, როგორც მათ უნდათ. ამცირებენ შვილების თანდასწრებით, აბუჩად იგდებენ კაცის საქმიანობას, თუ მათ ინტერესებს არ ესადაგება და ა.შ.

**— თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, ორივე შემთხვევაში „კარგ“ დღეში ყოფილხართ. ჯერ თქვენს პირველ ქორწინებაზე გვიამბეთ.**

— ლელა დისკოთეკაზე გავიცანი, მის მიმართ განსაკუთრებული სიმპათია ვიგრძენი. რამდენჯერმე მეგობრულად გავისეირნეთ, მე ჩემი მეგობრები გავაცანი, მან — თავისი. მასთან იოლად ვიხსნებოდი, თავს თავისუფლად და მსუბუქად ვგრძნობდი. საერთო ინტერესები და ერთნაირი ხედვა გვქონდა. ერთ მშვენიერ დღეს კი აღმოვაჩინეთ, რომ ერთმანეთის გარეშე არ შეგვეძლო, ერთმანეთი გვიყვარდა. ეს ძალიან რომანტიკულ გარემოში მოხდა:

**„შენიშვნები, საყვედურები, წუწუნი სხვადასხვა ყოფით საკითხზე ყოველდღიურობად გვექცა. მას დაავიწყდა, რომ ვიყავი ადამიანი, ვისაც ერთ დროს აღმერთებდა, მე დამავიწყდა, რომ ოდესღაც ვეთაყვანებოდი. ის გაგება და ჰარმონია, რამაც ჩვენში სიყვარული აღძრა, ისე მიილია და დაიკარგა, თითქოს არც არსებობდა".**

ერთხელ ქალაქგარეთ გავედით და კოკისპირულ წვიმაში მოვყევით. ისე დავსველდით, გასაწურები გავხდით. არ ვიცი, როგორ გამოვიყურებოდი, მაგრამ ლელა განსაკუთრებით მიმზიდველი გამოჩნდა. სველმა კაბამ სხეულის ნაკვთები ისე ლამაზად გამოუკვეთა, მოქანდაკე რომ ვყოფილიყავი, ამ სურათს გამოვძერწავდი... ერთი სიტყვით, ვიგრძენით, რომ ერთმანეთისთვის ვიყავით დაბადებულები. მალე დავქორწინდით.

**— ოჯახური ურთიერთობაც ისევე ლამაზად გაგრძელდა თუ რუტინამ რომანტიკა გააუფერულა?**

— თავიდან ერთმანეთში პრობლემა არ გვქონია. პირველი შვილი თეა რომ შეგვეძინა, ძალიან ბედნიერები ვიყავით. დედა არ მყავს და ბავშვის გაზრდაში სიდედრი გვეხმარებოდა. ლელას დედა ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ლამაზი, ენერგიული და, ცოტა არ იყოს, ქარაფშუტა ქალი იყო. მაშინ სასტუმროში მუშაობდა. ერთ მშვენიერ დღეს დაკრა ფეხი და ვიღაც უცხოელ კაცს გაეკიდა საზღვარგარეთ, გათხოვდა.

**— ქმარი არ ჰყავდა?**

— საქმეც მაგაშია. ლელა რომ გავიცანი, მისი მშობლები გაყრილები იყვნენ, დედამისი მეორედ გახლდათ გათხოვილი. მამინაცვალი ლელას ღვიძლი შვილივით პატრონობდა. არაჩვეულებრივი კაცი იყო — დინჯი, მშრომელი, კეთილშობილი, ჰუმანური. ლელას ის ძალიან უყვარდა, მაგრამ როდესაც დედამისი უზნეოდ მოიქცა და ქმარს უღალატა, მაინც დედის მხარე დაიკავა, მისი საქციელის გასამართლებლად რას აღარ ამბობდა — ქმართან თავს ბედნიერად არ გრძნობდა, სხვადასხვა ნატურები იყვნენ, ქმარი ასაკოვანი ჰყავდა, ერთმანეთს მაინც ვერ შერჩებოდნენო და ა.შ. ერთი მხრივ, დედამისის ქარაფშუტობა და, მეორე მხრივ, ლელას ამგვარი დამოკიდებულება ძალიან მაბრაზებდა. ამ თემაზე ბევრს ვკამათობდით. ლელას არ უნდოდა, ეღიარებინა, რომ დედამისი უღირსად მოიქცა. მეუბნებოდა, არავინ იცის, ვის რა ელისო.

**— ალბათ უნდოდა, დედისთვის ნამუსი მოეწმინდა, ამ თემას რატომ უმახვილებდით?**

— ლელას ვუკრძალავდი სიდედრზე საუბარს, მისი სახელის ხსენებაც არ მინდოდა, ის კი თითქოს განგებ, სულ დედას ახსენებდა, ლამის კულტადაც გაიხადა. ჩემს ცოლში ზოგჯერ სიდედრთან მსგავსებას ვხედავდი, რაც მასთან კედელს მიქმნიდა. ამან ჩვენს ურთიერთობაში ბზარი გააჩინა.

**— როგორც ამბობენ, მეორე შვილის გაჩენა ოჯახს კრავს. თქვენს შემთხვევაში ასე არ მოხდა?**

— მეორე შვილის გაჩენამ ოჯახური გარემო თითქოს უფრო გაამყარა, მაგრამ ჩემი და ლელას ურთიერთობა მაინც ვერ აღადგინა. ლელა შეყვარებული ქალიდან ტიპურ ცოლად გადაიქცა, მე — ტიპურ ქმრად. შენიშვნები, საყვედურები, წუწუნი სხვადასხვა ყოფით საკითხზე ყოველდღიურობად გვექცა. მას დაავიწყდა, რომ ვიყავი ადამიანი, ვისაც ერთ დროს აღმერთებდა, მე დამავიწყდა, რომ ოდესღაც ვეთაყვანებოდი. ის გაგება და ჰარმონია, რამაც ჩვენში სიყვარული აღძრა, ისე მიილია და დაიკარგა, თითქოს არც არსებობდა, მხოლოდ ილუზია იყო და სხვა არაფერი.

**— როცა საქმეში გონება ერთვება, ურთიერთობის მოწესრიგებაც შეიძლება. არ ეცადეთ?**

— მართალი გითხრათ, არ გვიცდია. ცხოვრებას დავნებდით, დინებას მივყვებოდით. ამ გადმოსახედიდან მოვლენებს სხვაგვარად აღვიქვამ, ალბათ — უფრო საღად. მაშინ ასე ვერ ვსაზღვრავდი. ცოლში ბევრი რამ მაღიზიანებდა, თუნდაც ის, რომ ყველაფერში მეჯიბრებოდა და ისე არ იქცეოდა, როგორც მე მინდოდა.

**— ისეთს რას აკეთებდა, რაც არ მოგწონდათ?**

— წვრილმანებია, მაგრამ ამ წვრილმანებზე იგება ყოველდღიური ურთიერთობა. მაგალითად, არ მომწონდა, როცა ბავშვებს მისაღებ ოთახში ამეცადინებდა მაშინ, როცა საამისოდ ცალკე კაბინეტი გვქონდა. სამსახურიდან შინ მისული ვახშმის გამზადებას ვითხოვდი, მას კი მაშინ აუტყდებოდა ხან ბანაობა, ხანაც ტელეფონზე ჭორაობა.

თითქოს ოჯახში მეათეხარისხოვანი ვიყავი, არ მაფასებდა. ხშირად განგებ მეჯიბრებოდა, ანგარიშს არ მიწევდა — შენ სამსახურის მეტი არაფერი გაბარია, მე კი ამხელა ჯაფა მაწევს და, კეთილი ინებე, თავს მიხედე, უჩემოდ ივახშმეო.

**— ოჯახში შემომტანი თქვენ იყავით? ცოლ-შვილს მატერიალურად უზრუნველყოფდით თუ მხოლოდ პირადი სიამოვნებისთვის ან თუნდაც თვითრეალიზებისთვის მუშაობდით?**

— მაშინ მწირი ანაზღაურება მქონდა, მაგრამ ვიცოდი, რომ თავდაუზოგავი შრომით მიზანს მივაღწევდი, ცხოვრებას ავაწყობდი, მატერიალურად უზრუნველ ყოფას შევიქმნიდი. ასეც მოხდა, ახლა მატერიალურად კარგად ვარ, მაგრამ, სამწუხაროდ, ლელას ნაცვლად ამ სიკეთეს სხვა ქალი იმკის.

**— მაშინ ოჯახს რა სახსრებით არჩენდით?**

— ლელას დედა უგზავნიდა დოლარებს უცხოეთიდან.

**— ალბათ ეს ფაქტორიც განაპირობებდა, რომ ცოლი დედამისზე ძვირს არ გათქმევინებდათ.**

— მოდი, ასე ვთქვათ, რომ მათ ოჯახში კაცის პატივისცემა არ იყო. ძნელი ასატანია, როცა ცოლი გამუდმებით აზიატს გიწოდებს და თავს გამეტებს, ჰგონია, რომ აზროვნებით და თანამედროვეობის შეგრძნებით წინ გისწრებს და „ყანად“ გთვლის. ქალი რომ ყოველმხრივ გიცნობს, ყველა შენი სისუსტე იცის, ლამის სიყმაწვილიდან გიცნობს, იმას არ ნიშნავს, ეს ყველაფერი შენ წინააღმდეგ იარაღად გამოიყენოს.

**— ასეთი დამცირების პირობებში ალბათ გულდასაწყვეტიც არ უნდა იყოს, ცოლს თუ გაშორდით, თქვენ კი ნანობთ. რატომ?**

— უარეს პირობებში ჩავვარდი. ლელასთან ურთიერთობა რომ გამიფუჭდა, სიტუაციის განსამუხტავად დაძაბულობას თავს ვარიდებდი. სამსახურიდან ხან სად შევივლიდი, ხან სად, ქვეცნობიერად თავგადასავლებს ვეძებდი. მერე შინ დაბრუნებულს ყველაფერი მარტივად მეჩვენებოდა. რაც ადრე მაღიზიანებდა და კონფლიქტს იწვევდა, იმას ყურადღებას აღარ ვაქცევდი.

**— ცოლი არ გსაყვედურობდათ, შინ გვიან დაბრუნება რომ გექცათ წესად?**

— ალბათ ისიც ისვენებდა დაძაბულობისგან, თავის გემოზე იყო, მასაც ასე ერჩივნა.

**— ამგვარი გულგრილობა ყველაზე მეტად ვნებს ურთიერთობებს.**

— სწორედ ასე მოხდა. ამ გარე-გარე სიარულში ხან ვის გადავეყარე, ხან ვის და ბოლოს არჩევანი ერთ ქალზე შევაჩერე. ესმა საკმაოდ წარმოსადეგი, მაღალი წრის ქალი იყო. თავისებურად რთული ხასიათის გამო გაუთხოვარი გახლდათ. არ ვიცი, რა თვალით შემომხედა, რა მოეწონა ჩემში, ყურადღების ღირსად ჩამთვალა და დამიახლოვდა. თანდათან ეს სიახლოვე სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზარდა.

**— ზოგჯერ კაცები ახალი ურთიერთობების გაბმისას მალავენ, რომ ცოლ-შვილი ჰყავთ. ესმასთან გულწრფელი იყავით?**

— ესმასთან შემეძლო ყველა თემაზე გულახდილად მესაუბრა. ის კი თითქოს მიგებდა და რჩევებს მაძლევდა. ამით უფრო მიმიზიდა. არ ვიცი, რა იყო ეს, ვნება, ჯადო თუ სიყვარული, მაგრამ ფაქტია, ამ ქალმა დამატყვევა.

**„ახლა მატერიალურად კარგად ვარ, მაგრამ, სამწუხაროდ, ლელას ნაცვლად ამ სიკეთეს სხვა ქალი იმკის".**

**— ცოლმა ამის შესახებ შეიტყო?**

— ვიღაცამ უთხრა, შენს ქმარს სხვა ქალთან ერთად ხედავენო. ამის შემდეგ ძიება დაიწყო და რაღაცეები გაარკვია. შეურაცხყოფილი ქალის ბუნება მოგეხსენებათ, მზადაა, ყოველმხრივ დაგამციროს და გადაგიაროს, რომ ამით შელახული თავმოყვარეობა აღიდგინოს.

**— ლელა ასე მოიქცა?**

— ლელამ შეცდომა შეცდომაზე დაუშვა.

**— სამაგიერო ხომ არ გადაგიხადათ? ღალატს ვგულისხმობ.**

— არა, რას ბრძანებთ! დამემუქრა, მაგრამ ამის გამკეთებელი არ არის. როცა გაიგო, რომ ესმასთან დავდიოდი, მითხრა, ახლა მის კისერზე ზიხარო. მაშინ, როცა ურთიერთობა დაძაბულია და მძიმე რეალობის წინაშე დგახარ, შეცდომების დაშვებას უნდა ერიდო.

**— უცნაურია, ფაქტობრივად თქვენ დააშავეთ და მაინც ცოლის შეცდომებზე ლაპარაკობთ.**

— სხვაგვარად რომ მოქცეულიყო, შეიძლებოდა ოჯახი შეგვენარჩუნებინა.

**— ამისთვის რა უნდა გაეკეთებინა?**

— უნდა გაეანალიზებინა მომხდარის მიზეზ-შედეგები და სხვაგვარად მომდგომოდა. ასე აჯობებდა ორივესთვის.

**— ასე რომ ვერ გააკეთა, თქვენც მარტივი გზა მონახეთ, ადექით და არჩევანი ესმას სასარგებლოდ გააკეთეთ?**

— რას ვიზამთ, ასეთია კაცის ბუნება. ესმასთან გადავედი საცხოვრებლად. მერე შემოსავალიც გამიჩნდა და ცალკე ბინა ვიყიდე. ესმასთან ერთად ცხოვრების ხელახლა აწყობას შევეცადე.

**— ფინანსურად რომ გაძლიერდით, ცოლ-შვილს თუ ეხმარებოდით?**

— თავიდან ლელა მეუბნებოდა, შენი არაფერი გვინდაო და მეც თავს ვიკავებდი. მერე ბავშვების სკოლაში მონახულება დავიწყე და მათ ვაძლევდი ფულს, რომ საჭიროებისამებრ მოეხმარათ. რამდენჯერმე გავბედე და სახლშიც ავედი.

**— ცოლი როგორ შეგხვდათ?**

— ისეთი გასაცოდავებული მომეჩვენა, ძალიან შემებრალა. თითქოს ისევ ისეთი ლელა იყო, თავიდან რომ გავიცანი — დამთმობი, ყურადღებიანი, საყვარელი. სადღა იყო ის ირონია და სარკაზმი.

**— და თქვენი ღალატიც ინანეთ, არა?**

— სამწუხაროდ, მას შემდეგ ვინანე, როცა დავრწმუნდი, რომ ესმას სახით ნამდვილი აფთარი შემრჩა.

**— ესმა თქვენგან რას მოითხოვს?**

— ყველაფერს! არ აკმაყოფილებს ის, რაც აქვს. ალბათ მე გავანებივრე, სურვილებს ვუსრულებდი, მასთან მონასავით ვიყავი. წარმოიდგინა, რომ დედოფალია და ყველაფრის უფლება აქვს.

**— ისიც თავს გამეტებთ?**

— მისმა „გონორმა“ და ამბიციებმა შემჭამა! წუწუნში ნუ ჩამითვლით, ეს რეალობაა.

**— არ ცდილობთ, თავი გაითავისუფლოთ?**

— ჯერჯერობით არაფერი გამომდის. პროვოკაციებს მიწყობს, მსხვერპლის როლს თამაშობს, ერთ ამბავშია.

**— თუ მის გვერდით ყოფნა არ გსურთ, ანგარიშს რატომ უწევთ? ელოდებით, შვილს როდის გაგიჩენთ, რომ საბოლოოდ მიგიჯაჭვოთ?**

— კაცები ყველაზე მეტად უფრთხიან ხმაურს და სკანდალს. ალბათ შესაფერი დროც მოვა და მისგან წამოვალ. ძალიან ვნანობ, რომ ასე მივქარე. ცოლთან ურთიერთობის დალაგების ნაცვლად სხვასთან გავიქეცი და უარესი დამემართა.

✓ ნანა კობახიძე

## ეს იცოდით?

❖ ღვინო მუქი ფერის ბოთლებით იმიტომ იყიდება, რომ სინათლეზე არ გაფუჭდეს.

❖ ჩაი პაკეტებში პირველად 1908 წელს გამოუშვეს.

❖ მსოფლიოში უძველეს ასოდ „ო“ მიიჩნევა. ის გამოიყენებოდა ანბანში, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1300 წლით თარიღდება.

❖ მსოფლიოს უძველეს გაზეთად 1470 წელს კიოლნში გამოცემული გაზეთი მიიჩნევა. მისი ერთი ეგზემპლარი დღემდეა შემონახული.

❖ მსოფლიოს უძველესი ჟურნალი 1645 წლისაა. ის შვედეთის ლიტერატურის აკადემიის გამოცემა გახლავთ.

❖ ამერიკელებს ხილიდან ყველაზე მეტად ბანანი უყვართ. ყოველწლიურად ისინი დაახლოებით 11 მილიარდ ბანანს მოიხმარენ.

❖ ერთ ჯერზე 10 კილოგრამი შოკოლადის ჭამა სასიკვდილოა.


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# ჭაღარას ვებრძვით

ადრე თუ გვიან თმა ბუნებრივ ფერს კარგავს, ჭაღარავდება. ამის მიზეზი სხვადასხვაა. ნაადრევად გაჭაღარავება კი ხშირად მემკვიდრეობითი ხასიათისაა.

ფაქტორები, რომლებიც ჭაღარის გაჩენაზე გავლენას ახდენენ, შემდეგია: ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დარღვევა, არასწორი კვება, სტრესები, ასაკობრივი ცვლილებები. თუმცა თმის გაჭაღარავების მექანიზმი ყველა შემთხვევაში ერთნაირია — მელანინის უკმარისობა.



ორგანიზმში მელანინის გააქტიურების კარგი საშუალებაა კვება. სახელდობრ, დიეტები. ისინი მოქმედია ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, არასწორი კვების დროს, ვინაიდან წონის დაკლებას ეხმარება და ორგანიზმს აიძულებს, მელანინი უფრო ინტენსიურად გამოიმუშაოს. რაც შეეხება ადრეულ ჭაღარას, ამ შემთხვევაში საჭიროა ყურადღება მიექცეს ენდოკრინულ სისტემას. გამოიყენება ჰორმონული პრეპარატები.

იმ შემთხვევაში, როდესაც ჭაღარა გამოწვეულია სტრესებით, ნერვულ სისტემაზე დატვირთვით, კარგად ეხმარება მომადუნებელი მასაჟი, არომათერაპიის სეანსები დამამშვიდებელი ზეთებით.

გთავაზობთ ჭაღარის საწინააღმდეგო ნიღბებს, ლოსიონებსა და შამპუნებს.

### ნიღაბი აბუსალათინის ზეთის ფუძეზე

ბუნებრივად მშრალ და მტვრევად თმას ეს ნიღაბი კარგად კვებავს. 3 სუფრის კოვზ თბილ ზეთს ნახევარი სუფრის კოვზი ნატურალური თაფლი და ცოტა ლიმონის წვენი დაუმატეთ. მიღებული ნარევი თმასა და კანზე თანაბრად წაისვით. შემდეგ თავზე აუცილებლად დაიფარეთ ჯერ პერგამენტის ქაღალდი, შემდეგ თბილი პირსახოცი. 20-25 წუთის შემდეგ ნიღაბი თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

### ნიღაბი ლიმონითა და სტაფილოს წვენით

ლიმონისა და სტაფილოს წვენი თანაბარი რაოდენობით აურიეთ და კვირაში 2-3-ჯერ, თმის ძირებში 10-15 წუთი შეიზილეთ. შემდეგ შამპუნით თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

თმაზე გადასავლებად შესანიშნავია ოხრახუშის ნახარში. 50 გრამ დაქუცმაცებულ ოხრახუშს 0,5 ლიტრი წყალი დაასხით, ადუღებამდე მიიყვანეთ და გაწურეთ.

### ოროვანდის ლოსიონი

2 სუფრის კოვზ ოროვანდის დაქუცმაცებულ ძირებს 0,5 ლიტრი წყალი დაასხით, დაბალ ცეცხლზე მოხარშეთ. როდესაც სითხის რაოდენობა ორჯერ შემცირდება, 2 სუფრის კოვზი კამის თესლები დაუმატეთ და თერმოსში 3 საათი გააჩერეთ. შემდეგ გაწურეთ. ლოსიონი თავის სასარგებლო თვისებებს 10 დღე ინარჩუნებს მაცივარში შენახვისას.

### ჭინჭრის ლოსიონი

იდეალურია ცხიმიანი თმისთვის. 5 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ჭინჭრის ფოთლებს 0,5 ლიტრი წყალი დაასხით და ადუღებამდე მიიყვანეთ. 0,5 ლიტრი ვაშლის ძმარი დაუმატეთ და ისევ აადუღეთ. ამის შემდეგ ხსნარი გაწურეთ და მაცივარში არაუმეტეს 3 კვირისა შეინახეთ.

ჭაღარის საწინააღმდეგო ნებისმიერი ლოსიონი გამოიყენება შემდეგნაირად: თმის ძირებში დღეში 2-ჯერ, 2-3 თვის განმავლობაში შეიზილეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ

# როგორ გავხადოთ თმა ხშირი



ხშირი თმა ყოველ დროში სილამაზის, ჯანმრთელობისა და ჭეშმარიტი ქალურობის ნიშნად ითვლებოდა, მაგრამ როგორ მოიქცეთ, თუ ბუნებამ გრუზა თმით არ დაგაჯილდოვათ? გთავაზობთ მარტივ, მაგრამ მეტად ეფექტურ საშუალებებს, რომლებიც თმას ღირსეულ შესახედაობას მისცემენ.

### სიხბილით სამზარეულოში!

**კვერცხი.** მასში დიდი რაოდენობითააB ჯგუფის ვიტამინები და ცილები, რომლებიც თმის საშენი მასალაა. კვერცხის ნიღაბი რამდენიმე წუთი თმაზე დაიდეთ და თბილი (არა ცხელი) წყლით ჩამოიბანეთ. თმის ბრწყინვალებისა და კვებისთვის შეგიძლიათ კვერცხი სხვადასხვა თანაფარდობით კეფირთან, იოგურტთან, მცენარეულ ზეთთან და თაფლთან აურიოთ.

**თავიანი ხახვი.** ხახვის ნიღაბი თმის ზრდის, გამაგრებისა და მკურნალობის შესანიშნავი საშუალებაა. ეს ბოსტნეული ვიტამინებისა და მინერალების დიდ რაოდენობას შეიცავს. გაიკეთეთ ხახვის ნიღაბი, მაგრამ თუ სპეციფიკური სუნი გაწუხებთ, ხახვის ფუჩეჩის ნაყენი გამოიყენეთ. ხახვის ფაფა ან ფუჩეჩის ნაყენი თავის კანში რამდენიმე წუთი შეიზილეთ, შემდეგ თმა შამპუნით ჩამოიბანეთ.

**ჭვავის პური.** მასში ბევრია E და B ჯგუფის ვიტამინები, მინერალები. ჭვავის პურის ფუძეზე მომზადებული ნიღბები თმას აბრეშუმივით რბილს ხდის და აჯანსაღებს. დაქუცმაცებულ პურს ცოტა წყალი დაასხით და დადგით. პურის ფაფა თავის კანზე და თმის მთელ სიგრძეზე დაიდეთ. ჯერ პოლიეთილენი დაიფარეთ, შემდეგ პირსახოცი. ნახევარი საათის შემდეგ თავი შამპუნით დაიბანეთ.

**მდოგვის ფხვნილი.** შესამჩნევად აჩქარებს თმის ზრდას იმის ხარჯზე, რომ თავის კანს მსუბუქად აღიზიანებს, სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს და შედეგად, თმის ბოლქვში მეტი მკვებავი ნივთიერება შედის. ამავდროულად მდოგვი საკმაოდ აგრესიული საშუალებაა, ამიტომ მისი გამოყენებისას სიფრთხილე დაიცავით. დაიწყეთ მცირე რაოდენობით. 1 ჩაის კოვზი მდოგვის ფხვნილი თბილი წყლით გააზავეთ, მხოლოდ თმის ძირებზე დაიდეთ და რამდენიმე წუთი დაიტოვეთ. აუცილებლად თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

### ბალახები

ბევრი ბალახი ცნობილია თმის ზრდის მასტიმულირებელი თვისებებით. შეგიძლიათ ერთმანეთს იმის მიხედვით შეურიოთ, როგორი ეფექტი გესაჭიროებათ.

**ჭინჭარი** თმას უფრო ძლიერსა და ბრწყინვალეს ხდის, ვარცხნილობას — მოცულობითს.

**ოროვანდი** თმის ბოლქვს აძლიერებს, თმის ცვენას ებრძვის, ასევე ქერტლისგან იცავს.

**არყის ხის კვირტები და ფოთლები** თავის კანში სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს, თმას არბილებს და მოცულობითს ხდის. 2-3 სუფრის კოვზ ნედლეულს ოთახის ტემპერატურის წყალი დაასხით, რამდენიმე საათი დადგით. შემდეგ გაწურეთ და მასაჟის მოძრაობებით თავის კანში შეიზილეთ. არ ჩამოიბანოთ. ეს პროცედურები კურსობით ჩაიტარეთ თავის ყოველი დაბანის შემდეგ ან პერიოდულად, კვირაში 1-2-ჯერ.

### შესანიშნავი არომატები

ხშირი თმისთვის კიდევ ერთი შესანიშნავი საშუალებაა ეთერზეთების ნიღბები. ფუძე ზეთში 2-3 წვეთი ეთერზეთი ჩაუმატეთ და შესანიშნავ შედეგს მიიღებთ. ეთერზეთები შეგიძლიათ ერთმანეთში აურიოთ სასურველი ეფექტის მიხედვით, მთავარია, დაიცვათ საერთო დოზა (არაუმეტეს 5 წვეთისა).

ყველაზე ეფექტური ეთერზეთებია: როზმარინის (თმის ზრდას აჩქარებს, ქერტლს აქრობს), მიხაკის (სისხლის მიმოქცევას ასტიმულირებს, თმის ზრდას აჩქარებს), დარიჩინის (ათბობს, თმის ბოლქვების კვებას აძლიერებს).

ნიღბისთვის ფუძედ გამოიყენება აბუსალათინის ან ზეითუნის ზეთი.

ყურადღება! ზოგიერთი ეთერზეთი უკუნაჩვენებია ფეხმძიმობის დროს. რისკზე წასვლა არ ღირს. გამოიყენეთ მხოლოდ ბალახებზე დამზადებული რეცეპტები.



Cyan Magenta Yellow Black

# თქვენს პატარას კიჭები ამოსდის? დაეხმარეთ მას!

კბილების ამოჭრა საკმაოდ მტკივნეული პროცესია პატარებისთვის. ეს პერიოდი ბევრ უსიამოვნებას უჩენს დედიკოსაც. როგორ შევუმსუბუქოთ ჩვილს კბილების ამოჭრით გამოწვეული დისკომფორტი, რა უნდა ვიცოდეთ სარძევე კბილებთან მიმართებაში, როდის უნდა ამოუვიდეს პატარას პირველი კიჭი, რა შემთხვევაში გვიანდება კბილების ამოსვლა და როგორ მოვიქცეთ ამ დროს?

ამ აქტუალურ კითხვებზე კვალიფიციური პედიატრების პასუხს და საინტერესო ინფორმაციას ქვემოთ გთავაზობთ.



## როგორ მივხვდეთ, რომ ჩვილს კბილები ამოსდის

სანამ პატარას პირველი კბილი ამოეჭრება, ის ჯერ ლორწოვან ქსოვილს ჭრის, რომელიც მას გარს აკრავს და შემდეგ ჩნდება ღრძილს ზემოთ პატარა თეთრი ხაზის სახით. ეს გზა მარტივი არ არის — კბილის ამოჭრის პროცესი საკმაოდ უსიამოვნო და მტკივნეულია. ამ დროს ბავშვს ღრძილები უსივდება, სტკივა, იცვლება ჩვილის ქცევაც, ხდება ნერვული, ხშირად ამბობს უარს საკვებზე და თითქოს უმიზეზოდ ტირის.

**ტკივილი** — სასურველია, თუ ამ პერიოდში პატარას გვერდით დედიკო მეტ დროს გაატარებს. ბავშვი აღგზნებულია და სიმშვიდისათვის დედის თანადგომა სჭირდება.

ტკივილის გასაყუჩებლად, პედიატრთან შეთანხმებით, შეგიძლიათ შეიძინოთ სპეციალური გელები, რომლებიც მტკივნეულ ღრძილებზე უნდა წაუსვათ. მათი გამოყენებისას აუცილებლად მკაცრად დაიცავით დოზა და ყურადღებით გაეცანით ანოტაციას.

**ღრძილების ქავილი** — კბილის ამოჭრას თან ახლავს ღრძილების აუტანელი ქავილიც, რომელსაც შეუმსუბუქებთ, თუ ბავშვს თითით დღეში რამდენჯერმე ღრძილებზე მასაჟს გაუკეთებთ. ასევე კარგია სპეციალური საბავშვო სათამაშო, რომელიც მკვრივი მასალისგანაა დამზადებული.

ღრძილების ტკივილისა და ქავილის გარდა, შესაძლებელია კბილების ამოსვლის პერიოდში ბავშვი ყურის ტკივილსაც უჩიოდეს. მსუბუქად დააჭირეთ ხელი ბავშვს ყურზე. თუ ტირილს იწყებს, ე.ი. სტკივა და აუცილებლად მიმართეთ ოტოლარინგოლოგს.

**მომატებული ნერწყვდენა** — ეს კბილის ამოჭრის ერთ-ერთი სიმპტომია. ყბის იმ მხარეს, სადაც კბილი ამოსდის, ღრძილზე შესაძლოა აღინიშნებოდეს წვრილი გამონაყარი და ღრძილიც შესიებული იყოს. ეს გაძლიერებულ ნერწყვდენას იწვევს. დღეში რამდენჯერმე გამოუცვალეთ ბავშვს წინსაფარი, ხშირად მოუწმინდეთ პირი სპეციალური საბავშვო ხელსახოცით. თუ ნერწყვდენა საკმაოდ ძლიერია, ღამით ბალიშზე ხელსახოცი დაუფინეთ, რომელიც შესაძლოა, რამდენჯერმე გახდეს გამოსაცვლელი.

**უმადობა** — კვებაზე უარის თქმა და ჭირვეულობა კიჭების ამოსვლის დროს უცხო არ არის. თითქმის ყველა ბავშვი ამ პერიოდში უარს ამბობს ჭამაზე. შესაძლოა შიოდეს, მაგრამ საკვების დასიებულ ღრძილზე შეხება მას ტკივილს აყენებს და ამის გამო არ ჭამს. ასეთ დროს პატარას არ მისცეთ უხეში საკვები. მისთვის განკუთვნილი კერძი თხევადი და ადვილად გადასაყლაპი უნდა იყოს.

**დიარეა** — კბილების ამოსვლის ფონზე შესაძლოა თავი იჩინოს დიარეამაც. მისი არსებობის მიზეზი ჭარბი ნერწყვდენაა. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად იცვლება ნაწლავების პერისტალტიკაც. როგორც წესი, ამ სახის დიარეა 2-3 დღეზე მეტს არ გრძელდება. კუჭის მოქმედების სიხშირე ბევრი არ არის (დღეში 3-4), მაგრამ თუ უფრო ხშირია, აუცილებელია ბავშვის დაუყოვნებლივ ექიმთან მიყვანა.

**სურდო** — კიჭების ამოჭრის პერიოდში არც სურდო წარმოადგენს იშვიათობას. მის პროვოცირებას ახდენს ცხვირის ლორწოვანი, რომელიც მომატებული რაოდენობით გამომუშავდება. ამგვარი სურდო 2-3 დღე გრძელდება და, როგორც წესი, არ საჭიროებს მკურნალობას, მაგრამ თუ ცხვირიდან გამონადენი მომწვანო ფერისაა და ჩირქოვანი, თანაც ცხვირით სუნთქვა საკმაოდ გართულებულია, აუცილებლად გაასინჯეთ შვილი პედიატრს.

**ტემპერატურა** — არის შემთხვევები, როდესაც პატარებს კბილების ამოსვლის დროს სიცხე უწევთ. როგორც წესი, ტემპერატურა 37,8-38 გრადუსამდე მერყეობს. თუ ამაზე მაღალია, აუცილებელია ექიმის გამოძახება, რადგან შესაძლოა სიცხე არამარტო კბილის ამოსვლაზე რეაქცია იყოს, არამედ რაიმე ინფექციით გამოწვეული.

## როდიდან უნდა ამოუვიდეს ბავშვს სარძევე კბილები

სარძევე კბილების ამოჭრის პერიოდი 6 თვის ასაკიდან იწყება და უკვე 1 წლის ბავშვს ზედა და ქვედა 4 კბილი უნდა ჰქონდეს. სარძევე კბილების ფორმირება დაახლოებით 3 წლისათვის სრულდება. ამ ასაკში ბავშვს, ჯამში, 20 კბილი უნდა ჰქონდეს.

არცთუ იშვიათად კბილების ამოსვლის პროცესი ფერხდება და შესაძლოა 6 თვის ასაკში არც ერთი კბილი არ იყოს ამოჭრილი. ასეთი რამ უფრო ხშირია ბიჭებში. იმის თქმა, როდის ამოვა დაგვიანებული კბილები, რთულია, რადგან ყველა ბავშვი ინდივიდუალურია. ასეთი დაგვიანება პათოლოგიად არ ითვლება, უბრალოდ ის გარკვეულ პრობლემებს ქმნის.

თუ პირველი კიჭის ამოსვლა გვიანდება, შესაბამისად გვიანდება შემდეგი კბილების ამოჭრაც. ხშირია თანმიმდევრობის დარღვევაც. არის შემთხვევები, როდესაც ბავშვს ერთდროულად რამდენიმე, მაგალითად, სამი კბილი ეჭრება. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან მტკივნეულია პატარასთვის. ამის გამო შესაძლოა დაერღვეს ძილის პროცესი, უარი თქვას საკვებზე, ჭირვეულობდეს და სხვა.

## როგორ მოვიქცეთ, თუ კბილები დროულად არ ამოუვიდა

იმ ვადის დარღვევა, რომელშიც ბავშვს კბილები უნდა ამოსდიოდეს, შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა დაავადებით. სამწუხაროდ, მშობელთა დიდი ნაწილი თვითნებურად იღებს გადაწყვეტილებას და შვილს კალციუმის შემცველ პრეპარატებს აძლევს, რაც ექიმთან შეთანხმების გარეშე დაუშვებელია.

იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, რომ წლის ასაკში პატარას არც ერთი კბილი არ აქვს. ამ დროს უნდა მიმართოთ ექიმ-სტომატოლოგს, რათა რენტგენის საშუალებით გაირკვეს, არის თუ არა კბილების ჩანასახი.

## როგორ დავიცვათ შვილი კარიესისგან

არ დაუმატოთ შაქარი უკვე გამზადებულ საკვებში, მაგალითად, წვენებში, ფაფებსა და პიურეში. სასურველია, თუ კერძებსაც ნაკლებად ტკბილს მოუმზადებთ. პირის ღრუში მცხოვრები ბაქტერიები ქმნიან კბილის ნადებს, ტკბილთან ურთიერთობისას კი წარმოქმნება მჟავა, რომელიც აზიანებს კბილის მინანქარს. ეს კარიესის საწინდარია.

დაბოლოს, ნუ დაიზარებთ და დაივიწყებთ შვილების სტომატოლოგთან რეგუარულად მიყვანას. ეს თქვენი პატარების კბილებისთვის ერთგვარი პროფილაქტიკაა.

✓ მოამზადა ნათია ტოტიკაშვილმა






Cyan Magenta Yellow Black

## დიეტა გაციების წინააღმდეგ

როგორ დავიცვათ თავი წლის ცივ სეზონში ვირუსული ინფექციებისგან? პირველ რიგში, საჭიროა იმუნიტეტის გაძლიერება. ამისთვის სულაც არ არის აუცილებელი აბების მიღება. საკმარისია რაციონის სწორად კორექტირება. აუცილებელია ვიტამინებითა და მინერალებით მდიდარი საკვების გამოყენება, რომელიც ხელს შეუწყობს ანტისხეულის გამომუშავებას და ვირუსულ ინფექციებს წინააღმდეგობას გაუწევს. გთავაზობთ პროდუქტების არასრულ სიას, რომელთა გამოყენება დაგეხმარებათ, მთელი ზამთარი მხნე და ჯანმრთელი დარჩეთ.



1. თევზი და ზღვის პროდუქტები შეიცავს ძვირფას ნახევრადუჯერ ცხიმმჟავა ომეგა 3-ს, ასევე ბევრ ცილას, A და E ვიტამინებს, თუთიას, რაც იმუნიტეტისთვის მეტად მნიშვნელოვანია.

2. საქონლისა და ფრინველის (ინდაურის, ქათმის) ხორცი თუთიის მთავარი წყაროა. თუთია ორგანიზმს ესაჭიროება სისხლში E ვიტამინის ნორმალური კონცენტრაციის შესანარჩუნებლად.

3. ნიორი მნიშვნელოვნად ზრდის სასარგებლო ბაქტერიების რაოდენობას ჩვენს ორგანიზმში, რომლებიც ვირუსებს, სოკოებსა და პარაზიტულ ინფექციებს ეფექტურ წინააღმდეგობას უწევენ. ნიორი ნამდვილი ჭაა ალიცილინის, რომელიც ამ ბოსტნეულს იმუნომასტიმულირებელ თვისებებს ანიჭებს.

4. ყოველდღიურად გამოიყენეთ რძის მჟავე პროდუქტები — კეფირი, იოგურტი, მაწონი. ისინი შეიცავენ ლაქტო და ბიფიდობაქტერიებს, რომლებიც ორგანიზმს მავნე ბაცილებისა და ვირუსებისგან იცავენ.

5. კომბოსტოს მწნილში არსებული პრობიოტიკები (თავიანთი თვისებებით იდენტურია კეფირის ბიფიდობაქტერიების) ჩვენს იმუნურ სისტემაზე სასიკეთოდ მოქმედებს. ასევე მასში ბევრია რკინა, იოდი, ფთორი, თუთია, C და P ვიტამინები.

6. საკვებში გამოიყენეთ პირველადი, ცივად გამოხდილი მზესუმზირის, სიმინდის, ზეითუნის, სელის ზეთი. მასში არის ვიტამინი E. შეარჩიეთ მხოლოდ არარაფინირებული, მაგრამ მისი გაცხელება არ შეიძლება, ვინაიდან ყველა სასარგებლო ნივთიერებას კარგავს და ამავდროულად კანცეროგენებს (კიბოს გამომწვევი) გამოყოფს.

7. მწვანე ჩაი დიდი რაოდენობით ვიტამინებსა და ანტიმჟანგავებს შეიცავს, რომლებიც იმუნურ სისტემას ნორმაში იცავენ.

## ლურჯი მოცვი – სისხლის მკურნალი

ლეიკოზთან ბრძოლაში შესანიშნავად ეხმარება ჩვეულებრივი ლურჯი მოცვი — არა ნაყოფი, არამედ ფოთლები. სწორედ ისინი ბევრ ისეთ ნივთიერებას შეიცავს, რომლებიც სისხლის ფორმულაზე გავლენას ახდენს და ასევე ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის კარგი საშუალებაა.



წინათ ლურჯი მოცვი მხოლოდ ტყეში იზრდებოდა, ახლა ადამიანმა მისი ბაღში მოყვანა ისწავლა. ბაღის ლურჯი მოცვი ტყის მოცვისგან იმით განსხვავდება, რომ ნაყოფი უფრო დიდია, ბუჩქი — უფრო მაღალი და ფოთლებიც მეტი აქვს. თუ თქვენს ბაღში ასეთი განძი არ არის, ნუ დაღონდებით. ეს ნედლეული შეგიძლიათ აფთიაქში შეიძინოთ.

ნაყენის მომზადების წესი: 2 სუფრის კოვზ ფოთლებს 2 ჭიქა მდუღარე დაასხით და წყლის აბაზანაზე 30 წუთი დადგით, 1/4 ჭიქა დღეში 3-4-ჯერ ჭამამდე მიიღეთ.

## ჩავაქროთ კუჭის წვა

კუჭის წვა (ძმარვა) დაკავშირებულია საყლაპავ მილში კუჭის მჟავე შიგთავსის გადასროლასთან. მიზეზი რამდენიმეა.

ძმარვა აღმოცენდება ზედმეტის ჭამის, განსაკუთრებით ცხიმიანის, მჟავისა და ცხარის შემდეგ. გაზიანი სასმელები და ნებისმიერი ალკოჰოლი ასევე იწვევს კუჭის წვას. ის შეიძლება დაკავშირებული იყოს ზოგიერთ წამალთან, რომელსაც ლორწოვანზე გამაღიზიანებელი მოქმედება აქვს. დაბოლოს, კუჭის წვა მაღალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტის დროს ხდება. ძმარვასთან საბრძოლველად აფთიაქებში იყიდება სპეციალური პრეპარატები — ანტაციდები, რომლებიც სიმჟავეს ანეიტრალებს.



**სოდა** — ეს საშუალება სასწრაფო დახმარებაა ძლიერი კუჭის წვის დროს, მაგრამ მისი ხშირად გამოყენება არ შეიძლება. ჯერ ერთი, სოდა არანაკლებ აღიზიანებს, ვიდრე მჟავა. მეორეც, მისი ხშირად გამოყენებისას უკუეფექტი აღმოცენდება — მჟავა უფრო მეტი რაოდენობით გამოიყოფა.

კუჭის წვასთან ბრძოლის კარგი საშუალებაა კარტოფილის წვენი. მას ნედლი კარტოფილისგან ამზადებენ და 0,5-1 ჭიქას სვამენ. მკურნალობის მაქსიმალური კურსი 2 კვირაა.

შეგიძლიათ კვერცხის ნაჭუჭი დაფქვათ (აუცილებლად კარგად გარეცხეთ) და 0,5 ჩაის კოვზი მიიღოთ.

ძმარვას ხსნის დაფქული წიწიბურა ან შვრიის მთლიანი მარცვლები. ეს საშუალებები დაღეჭეთ და ნერწყვით ჩაყლაპეთ.

კუჭს ამშვიდებს ნიგოზი ან ნუში.

ყველა აღნიშნული საშუალება პირველადი დახმარებაა. რეგულარული კუჭის წვის დროს საჭიროა კუჭისა და საყლაპავი მილის მკურნალობა და დიეტის დაცვა.

## ეს იცოდით?

❖ სიტყვა „პარლამენტი“ წარმოიშვა ფრანგული „პარლესგან“, რაც ლაპარაკს ნიშნავს.

❖ გეიშა იაპონურად ხელოვან ადამიანს ნიშნავს და თავდაპირველად გეიშები მამაკაცები იყვნენ.

❖ ყველაზე ძველი ინსტრუმენტები ქნარი და ფლეიტაა.

❖ პარიზის ობსერვატორია 1667 წელს ლუი მეთოთხმეტის ბრძანებით შეიქმნა და ამჟამად მოქმედ ობსერვატორიათა შორის უძველესია.

❖ ამერიკის შტატი ფლორიდა უფრო დიდია, ვიდრე ინგლისის სამეფოს ტერიტორია.

❖ თეორიულად, ერთი ბაქტერია 24 საათში 500 მილიონჯერ მრავლდება და მილიარდი შთამომავლის წარმოქმნა შეუძლია.

❖ ამერიკული ტარაკანა ყველაზე სწრაფი ტარაკანაა მსოფლიოში, იგი წამში 1 მეტრს გადის.

❖ დედამიწაზე მხოლოდ ორი არსებაა ისეთი, რომელთაც თავის მიბრუნების გარეშე შეუძლიათ უკან დანახვა. ესენი არიან კურდღელი და თუთიყუში.

❖ მოწყურებულ აქლემს შეუძლია 15 წუთის განმავლობაში 200 ლიტრი წყალი დალიოს.



Cyan Magenta Yellow Black

# ბროწეული კონკურენციის გარეშეა



ეს ნაყოფი ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო და პატივსაცემია ჩვენს პლანეტაზე. მისი სამშობლო სპარსეთია. სწორედ იქიდან დაიწყო ბროწეულმა ტრიუმფული სვლა მთელ მსოფლიოში. ის მეტად სასარგებლოა. ჰიპოკრატე ბროწეულის წვენს ურჩევდა კუჭის დაავადებების დროს, კანს — დიზენტერიის და ჭრილობის სამკურნალოდ. არაბები ბროწეულს კუჭ-ნაწლავის აშლილობისა და თავის ტკივილის დროს იყენებდნენ. ძველი რომაელი, ინდოელი და სომეხი ექიმები ბროწეულის ქერქსა და მისი ხის ძირებს ლენტისებური ჭიებისგან გასათავისუფლებლად ხმარობდნენ. ბროწეულს ნაწლავების სანიტარს უწოდებენ, ვინაიდან ავადმყოფობის გამომწვევი ბაქტერიების ზრდას ხელს უშლის. მისი წვენი შესანიშნავი სიცხის დამწევი საშუალებაა. ასევე შეგიძლიათ ყელში გამოივლოთ (წყლით გააზავეთ თანაფარდობით 1:1). ბროწეულის წვენში უფრო მეტი ანტიმჟანგავია, ვიდრე წითელ ღვინოში, ამიტომ შესანიშნავ ზოგადგამაძლიერებელ საშუალებად ითვლება. მეცნიერებმა გამოავლინეს, რომ ბროწეული სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისთვისაც. საერთოდ ამ ხილში 15 ამინომჟავაა, რომელთაგან 6 მხოლოდ ხორცშია.

ბროწეულის ხის ნორჩი ფესვებისგან იღებენ შაქრის განსაკუთრებულ სახეობას — გრანადინს, რომელსაც სასიამოვნო გემო და არომატი აქვს. ის დიდი პოპულარობით სარგებლობს აღმოსავლურ სამზარეულოში საკონდიტრო ნაწარმის მომზადებისას.

ბროწეულის მკვებავი და მატონიზირებელი ნიღაბი ნებისმიერ კანს აცოცხლებს.

ნახევარი ბროწეულის წვენი, 1/2 ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი, 1 ჩაის კოვზი თაფლი და 3 სუფრის კოვზი ცხელ წყალში დარბილებული შვრიის ფანტელი კარგად აურიეთ. სუფთა კანზე 20 წუთი დაიდეთ. შემდეგ თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

# სახლის დამცველი ქვები

უძველესი დროიდან ცნობილია, რომ ქვებს აქვთ ძალა, ადამიანისთვის მავნე ზოგიერთი გამოსხივება გაანეიტრალონ, გარემო გაასუფთაონ და ჰარმონიული გახადონ. იმ ქვების სამკაულებს ვატარებთ, რომლებიც გვიცავენ და გვკურნავენ, მაგრამ ქვებს ასევე შეუძლიათ ჩვენი სახლიც დაიცვან. ასეთია კაჟი და მარმარილო.



კაჟი ბინის სივრცეს ნათელი ენერგიით შესანიშნავად კვებავს და უსიამოვნებებს აფრთხობს, ხოლო სახლის ბინადართ დაავადებებისა და დაღლილობისგან იცავს. ამ ქვის ძალით რომ ისარგებლოთ, ოთახის ყველა კუთხეში კაჟის კენჭები დაალაგეთ. დაახლოებით 3 თვეში ერთხელ ქვები ახლებით შეცვალეთ, ნამუშევარი ქვები დაასვენეთ. კაჟმა რომ „დაისვენოს", ერთი დღე მზეზე დატოვეთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში წყალში არ დაასველოთ. წყალმა შეიძლება ქვა „მოკლას".

მარმარილო ადამიანს ნეგატიური ენერგიისგან ათავისუფლებს. მეტად სასარგებლოა სახლში გქონდეთ მარმარილოს ზღურბლი, რომელზეც ყოველდღიურად ორივე ფეხით რამდენიმე წუთი დადგებით.

# სასარგებლო მცენარეები თქვენს სახლში

*„იქ, სადაც ყვავილი არ ხარობს, შეუძლებელია ადამიანმა იცხოვროს".*

*გ. ჰეგელი, გერმანელი ფილოსოფოსი*

### ლიმონი — ცოცხალი არომატიზატორი



ნებისმიერი ლიმონის ხე, თუნდაც თესლიდან გაზრდილი, ბაქტერიებს ანადგურებს და დამამშვიდებელ მოქმედებას ფლობს. არამხოლოდ ჰაერს ასუფთავებს ბინაში, ასევე ნაზი არომატით ავსებს. ასეთი თვისებები გააჩნია ყველა ციტრუსს: მანდარინის, ფორთოხლის, გრეიპფრუტის ხეს.

**მოვლა**. ზამთრის პერიოდში ციტრუსებს უყვართ დაბალი ტემპერატურა (არაუმეტეს 13 გრადუსისა). უმჯობესია ლიმონი შემინულ ლოჯიაში გაიტანოთ.

### კაქტუსი — იონიზატორი



როდესაც კომპიუტერები გაჩნდა, ვცდილობდით, მონიტორის გვერდით გამოსხივებისგან ცოცხალი დაცვა — კაქტუსი დაგვედგა. შემდეგ გავრცელდა ხმა, რომ ეს მხოლოდ ცრურწმენაა. არ დაიჯეროთ! კაქტუსი ნამდვილად იცავს ელექტრომაგნიტური გამოსხივებისგან, ჰაერს სასარგებლო უარყოფითი იონებით აჯერებს და შენობაში კეთილსასურველ მიკროკლიმატს ქმნის. რაც უფრო გრძელია კაქტუსის ნემსები, მით უკეთესად უმკლავდება მავნე გამოსხივებას.

**მოვლა.** ბევრი სითბო და სინათლე — სულ ეს არის, რაც კაქტუსს ესაჭიროება. დიდ კაქტუსებს ზამთარში არ რწყავენ. პატარებს საკმარისია თვეში ერთხელ ცოტა წყალი დაუსხათ.

### ნემსიწვერა — ჰაერის გამწმენდი

ნემსიწვერა ჰაერს შესანიშნავად ასუფთავებს, დეზინფექციას უკეთებს და მის დაოზონიანებას ახდენს. მოკლედ, იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც თანამედროვე ძვირადღირებული მოწყობილობა — ჰაერის გამწმენდი. ზემოხსენებულის გარდა, მიკრობებს ანადგურებს, ბუზებს აფრთხობს, განწყობას ამაღლებს და ბინის მფლობელებს თავის ტკივილისგან ათავისუფლებს.

**მოვლა.** ნემსიწვერას სინათლე უყვარს. ზამთარში დაბალ ტემპერატურას და უხვად მორწყვას ითხოვს.

✓ რუბრიკა მოამზადა აზა გაგოშიძემ


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.




Cyan Magenta Yellow Black



# ნინო შავგულიძე: „ქართველი მამაკაცების მიმართ განსაკუთრებულად ეჭვიანი ვარ“

26 წლის მსახიობი ნინო შავგულიძე ეკრანზე ეჭვიანი ცოლის ამპლუაში გამოჩნდა სერიალში „ჩვენი ამბავი“. ეს მისი პირველი ეკრანული როლია და მის შექმნაში საკუთარი ხასიათის ბევრი შტრიხი გამოიყენა. მაგალითად, ძლიერ სქესს თვითონაც არ ენდობა, ეჭვიანია, არშემდგარი მოცეკვავეა და ა.შ. გარკვეული თვისებები ამ გმირისთვის თავისი ნაცნობებისგანაც ისესხა.

ნინო სოხუმის დრამატული თეატრის მსახიობია, ასევე — თამაშობს მარჯანიშვილის თეატრში და ერთ-ერთი რადიოს მუსიკალური წამყვანიცაა. მისი სამუშაო დღე დილის 7 საათზე იწყება და ძალიან გვიან მთავრდება... დანარჩენს თავად გვიამბობს.

**— ნინო, ამ სერიალამდე რა გზა გამოიარეთ, როგორც მსახიობმა?**

— ამ სერიალში მოხვედრამდე ბევრი ეტაპი გავიარე. „ღამის შოუს სტუდიასთან“ თანამშრომლობა ყოველთვის მომწონდა. დამატებით, ეპიზოდური როლის შემსრულებელი მსახიობი თუ სჭირდებოდათ, ხშირად მირეკავდნენ. მეც სიამოვნებით მივდიოდი, რადგან არაჩვეულებრივი გუნდი და გარემოა. როცა რაიმე ახალს იწყებდნენ, შესარჩევ კონკურსზე ყოველთვის მიწვევდნენ, მაგრამ რატომღაც აქამდე ვერც ერთი როლი მოვირგე. როცა ამ სერიალზე დაიწყეს მუშაობა, თამუნას როლის შესასრულებლად კონკურსში მიმიწვიეს. პირველივე ეტაპიდან მათი მხრიდან დადებითი ემოცია ვიგრძენი. საბოლოოდ კი დამამტკიცეს.

> „ვიცნობ გოგოებს, რომლებიც ლამაზი გოგოს დანახვაზე ცუდად ხდებიან... ყველას ვაკვირდები და თამუნასთვის ხასიათის შტრიხებს ვაგროვებ“.

**— დაახასიათეთ თქვენი პერსონაჟი, თამუნა. როგორ იმუშავეთ ამ როლზე, რა თვისებები დაინახეთ მასში?**

— სხვათა შორის, ჩემი პერსონაჟი რაღაცეებით მგავს. ამ გუნდს ძალიან კარგი თვისება აქვს — ყოველთვის გეკითხებიან, შენ როგორი ხარ და რა თვისებებს შესძენდი გმირს, რომელსაც თავად ქმნიან. თავიდანვე ვცდილობდით, ერთობლივად შეგვექმნა ჩემი პერსონაჟის სახე. როგორც ჩემი გმირი, მეც დავდიოდი ცეკვაზე, მაგრამ მოცეკვავედ ვერ შევდექი, მიუხედავად იმისა, რომ კარგად ვცეკვავდი. მეც საშინლად ეჭვიანი ვარ. უბრალოდ ჩემი პერსონაჟი ამას გამოხატავს, მე კი — არა. თამუნასნაირი ადამიანები მართლა არსებობენ და ასეთი მეგობარიც მყავს. როცა სერიალი იწყებოდა, ვუთხარი კიდეც, რომ ზუსტად მისნაირ პერსონაჟს განვასახიერებდი.

ვიცნობ გოგოებს, რომლებიც ლამაზი გოგოს დანახვაზე ცუდად ხდებიან. თამუნა გარკვეული დოზით ჰგავს ერთ ადამიანს, რომელსაც ვიცნობ. მას ლამაზი გოგოს დანახვაზე უბრალოდ ბურძგლავს. ჩემს პერსონაჟსაც ლამაზი გოგოს დანახვაზე ბურძგლავს, რადგან არაჩვეულებრივი ქმარი უდგას გვერდით და ეშინია, მას ვინმესკენ არ გაეპაროს თვალი. ყველას ვაკვირდები და თამუნასთვის ხასიათის შტრიხებს ვაგროვებ, მაგრამ, რა თქმა უნდა, სერიალში უტრირება, ცოტა გადაჭარბებაც შეიძლება.

> „ვთვლი, რომ ჯანსაღ ურთიერთობას გულწრფელობა სჭირდება, მაგრამ მე ეჭვიანობას ხშირად ვმალავ, რადგან ამას ურთიერთობა კრახისკენ მიჰყავს“.

**— ვისზე ეჭვიანობთ, თქვენ გვერდით არის მამაკაცი — ქმარი ან შეყვარებული?**

— გათხოვილი არ ვარ და ამ ეტაპზე არც შეყვარებული გახლავართ. მყავს და, დედა, ბებია და ძაღლი ლულუ. ბაბუა ცოტა ხნის წინ გარდამეცვალა და სახლში სულ ქალები ვართ.

**— ეჭვიანობას თქვენს პირად ცხოვრებაში პრობლემები ხომ არ შეუქმნია?**

— შეუქმნია. ვთვლი, რომ ჯანსაღ ურთიერთობას გულწრფელობა სჭირდება, მაგრამ მე ეჭვიანობას ხშირად ვმალავ, რადგან ამას ურთიერთობა კრახისკენ მიჰყავს. ქართველი მამაკაცების მიმართ კი განსაკუთრებულად ეჭვიანი ვარ. საქართველოში კაცი არ მეგულება, ვინც ბოლომდე თავისი რჩეულის ერთგული დარჩება...

**— ნამდვილად ჰგავხართ თქვენს პერსონაჟს.**

— კი, თამუნას ვგავარ. გეგულებათ ერთგული მამაკაცი?! ვინც სამაგალითო ადამიანები მეგონა, მათზეც კი გამიგია, რომ ცოლებისთვის უღალატიათ. და ღალატი მარტო სხვა ქალთან ურთიერთობას არ გულისხმობს.

**— როგორი მამაკაცი წარმოგიდგენიათ გვერდით?**

— ყურადღებიანი და ერთგული.

**— ამ სერიალში გამოჩენის შემდეგ მამაკაცებისგან რა შეფასებებს იღებთ?**

— მეუბნებიან, შენთან ურთიერთობა ძალიან სასაცილო იქნება და ძალიან საყვარელი ხარო. პრინციპში, ისე გამოვიდა, რომ თითქმის უარყოფითი პერსონაჟი მაყურებლისთვის დადებითი გახდა.

**— მსახიობთა გუნდი მალევე დაუახლოვდით ერთმანეთს?**

— ბევრ მსახიობს შორიდან ვიცნობდი. სხვათა შორის, დიდი მნიშვნელობა აქვს, ოპერატორებს და რეჟისორს იცნობ თუ არა. უფრო ადვილია მუშაობა, როცა გადამღებ გუნდთან მეგობრობ. როლანდ ოქროპირიძეს, რომელიც სერიალში ჩემი ქმრის როლს თამაშობს, კარგად არ ვიცნობდი.

**— უცნობ „ქმართან“ თამაში არ გაგიჭირდათ?**

— სანამ სერიალის გადაღება დაიწყებოდა, ორი თვის განმავლობაში პილოტების ჩაწერაზე თუ თათბირებზე დავდიოდით და მალევე დავუახლოვდით ერთმანეთს.

**— შეგიძლიათ, გვითხრათ, რა მოხდა რუსკა მაყაშვილთან დაკავშირებით, რომელიც სერიალის დასაწყისში თქვენს გუნდში იყო, შემდეგ კი სოციალური ქსელით განაცხადა, სცენარისტები ჩემს გმირს ვეღარ აგითარებენ ან, ეტყობა, უნიჭო მსახიობი ვარო?**

— ეს სტატუსი ბევრმა ადამიანმა სხვანაირად გაიგო... თავიდანვე იყო შეთანხმება, რომ რუსკა სერიალში მთავარი გმირების ერთ-ერთი მეგობარი იქნებოდა. ის თავიდანვე ხან იყო სერიალში, ხან — არა. ეს იმაზე იყო დამოკიდებული, სცენარი რამდენად მოითხოვდა მის პერსონაჟს. რუსკა არ წასულა სერიალიდან და არც არავის გაუშვია. ამ სტატუსით ალბათ თავისი დამოკიდებულება გამოხატა. რუსკა რომ ძალიან ნიჭიერია, ამას ხაზგასმა არ სჭირდება, ისედაც ნათელია. რა თქმა უნდა, შეიძლება ისევ გამოჩნდეს სერიალში.

**— ამბობენ, რომ კომედიური პერსონაჟის თამაში უფრო ძნელია, ვიდრე ტრაგიკულის. ამ სიძნელეებს თქვენც წააწყდით?**

— გარკვეული დოზები უნდა დაიცვა, მაგრამ ხანდახან მეც ვაჭარბებ. ჩვენი სერიალის გადაღებას მაყურებელიც ესწრება, ანუ, როგორც თეატრში, ისე ვგრძნობთ თავს. როცა მაყურებელი ესწრება დადგმას, იუმორში დოზის გადამეტება შესაძლებელია, თუმცა ეს ყველაფერი ეკრანზე უკვე სხვანაირად და შეიძლება გამაღიზიანებლადაც გამოჩნდეს. პირველ სერიებს რომ

> „როცა მაყურებელი ესწრება დადგმას, იუმორში დოზის გადამეტება შესაძლებელია, თუმცა ეს ყველაფერი ეკრანზე უკვე სხვანაირად და შეიძლება გამაღიზიანებლადაც გამოჩნდეს. პირველ სერიებს რომ ვუყურებ, ხანდახან გული მისკდება, ამ მხრივ, ბევრი გადაჭარბება მაქვს“.

ვუყურებ, ხანდახან გული მისკდება, ამ მხრივ, ბევრი გადაჭარბება მაქვს. ახლა ვცდილობ, ნელ-ნელა ოქროს შუალედი დავიცვა.

**— ბევრ მსახიობს ეშინია დაშტამპვის. თქვენ არ ფიქრობთ, რომ მაყურებლისთვის და რეჟისორებისთვის ამ ჟანრის მსახიობად დარჩებით?**

— ძალიან მეშინია. გამოგიტყდებით, რომ ერთ-ერთ სპექტაკლში თამუნას მსგავ-

სად დავუკარი ტაში. ეს რომ დავაფიქსირე, ჟრუანტელმა დამიარა. მივხვდი, რომ ყურადღების კონცენტრირება საჭირო და როლში ჩარჩენა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

**— ვინ არის თქვენი შემფასებელი, ვის რჩევებს ენდობით?**

— ყველაზე მეტად დედის შეფასებას ვენდობი, რადგან ყოველთვის ობიექტურია. თუ არაფერს მეუბნება, ე.ი. რაღაც არ მოეწონა და თვითონ უნდა მივხვდე, რა გამოვასწორო, სხვა შემთხვევაში კი მეუბნება, რომ კარგია.

**— უცბათ გახდით ცნობილი სახე. რა პასუხისმგებლობა, სირთულე ახლავს პოპულარობას?**

— ნამდვილად დიდი პასუხისმგებლობაა. ძალიან ვნერვიულობდი, ჩემს პერსონაჟს მაყურებელი როგორ მიიღებდა. მიკვირს, როცა ამბობენ, რომ პოპულარობა და ყურადღება დამღლელია, პირიქით. ქუჩაში რომ მივდივარ და ვიღაც მიღიმის ან მეუბნება, რომ მიყურებს და მოსწონს ჩემი პერსონაჟი, ეს ძალიან სასიამოვნოა. ადამიანებისგან თბილ დამოკიდებულებას ვგრძნობ.

**— სერიოზული კონკურენტი გყავთ სერიალ „ჩემი ცოლის დაქალების“ სახით. ეს მსახიობებს ალბათ სტიმულს გაძლევთ, რომ მუდამ კარგ ფორმაში იყოთ.**

— რა თქმა უნდა, რადგან ეს სერიალი სერიოზული კონკურენტია. თუმცა ამის არ შეგვშინებია, რადგან გეგმაშიც არ ყოფილა, რომ ახალი სერიალი პირველივე სეზონიდან რეიტინგით გაასწრებდა რომელიმეს. უბრალოდ კარგი, ხარისხიანი, პროდუქტიული, ახალი ფორმატის სერიალის გაკეთება გვინდოდადა ეს გამოვიდა.

✓ **მანანა ნოდია**

## გვარდიოლა მოღალატეს ეძებს



მიუნხენის „ბაიერნის“ მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ აუცილებლად იპოვის და გუნდიდან გააგდებს იმ ფეხბურთელს, რომელმაც მასმედიის წარმომადგენლებს დორტმუნდის „ბორუსიასთან“ მატჩის წინ შედგენილი ტაქტიკური გეგმა გადასცა. ცნობილმა ესპანელმა მწვრთნელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისთვის სულერთია, ვინ გასცა მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მას შემდეგ, რაც იმ ფეხბურთელის სახელი გახდება ცნობილი, ეს „ვირთხა“ „ბაიერნში“ ველარ გაჩერდება.

საქმე ისაა, რომ „ბორუსიასთან“ მატჩამდე ერთი დღით ადრე გამოცემა „ბილდმა“ გამოაქვეყნა გუნდის შემადგენლობა, ტაქტიკური სქემა და მოთამაშეებისთვის მიცემული კონკრეტული დავალებები. გაზეთი ამტკიცებდა, რომ ეს ინფორმაცია მიუნხენური კლუბის ფეხბურთელისგან მიიღო.

ერთ-ერთი ესპანური გამოცემის ცნობით, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც „ბაიერნის“ რომელიღაც მოთამაშე გასაიდუმლოებულ ინფორმაციას აწვდის მედიის წარმომადგენლებს.

„ბაიერნის“ გენერალურმა დირექტორმა კარლ ჰაინც რუმენიგემ განაცხადა, რომ მისთვის სრულიად გასაგებია აღნიშნულ ფაქტზე გვარდიოლას რეაქცია, მაგრამ ამის გამო კლუბმა გამოძიება არ უნდა ჩაატაროს. იმ ფეხბურთელს კი, რომელიც მედიას ინფორმაციას აწვდის, ურჩევს, მსგავსი ქმედებებისგან თავი შეიკავოს, სხვაგვარად მას პრობლემები შეექმნება.

შეგახსენებთ, რომ დორტმუნდის „ბორუსიას“ და მიუნხენის „ბაიერნის“ მატჩი სტუმრების გამარჯვებით 3:0 დასრულდა.

## ოლიმპიური ჩემპიონი ავტოავარიაში მოყვა




1500 მეტრზე სირბილში ოლიმპიური და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, კენიელი ასბელ კიპროპი, სამშობლოში ავტოავარიაში მოყვა. სპორტსმენმა მთაგორიან ადგილას მკვეთრ მოსახვევში თავი ვერ გაართვა მანქანის მართვას, დიდ ქვას დაეჯახა და გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა. ამ ინფორმაციას „ფრანს პრესი“ ავრცელებს.

საბედნიეროდ, კიპროპი ტრავმებს გადაურჩა და მხოლოდ მსუბუქად დაშავდა. მისი თანამგზავრი ჯეიმს კანგოგო კი საავადმყოფოში მოხვდა, თუმცა რა სახის დაზიანებები მიიღო, ამის შესახებ არაფერია ცნობილი.

24 წლის კიპროპმა მიმდინარე წელს ოქროს მედალი მოიგო 1500 მეტრ დისტანციაზე გარბენში მოსკოვში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე მძლეოსნობაში. ეს მისი მეორე ოქროს მედალია მსოფლიოს ჩემპიონატებზე. პირველი კი 2011 წელს მოიგო სამხრეთკორეულ ქალაქ ტეგუში გამართულ შეჯიბრში.

2008 წელს პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე კიპროპმა ფინიშის ხაზი მეორემ გადაკვეთა, მაგრამ იმის გამო, რომ პირველ ადგილზე გასული რაშიდ რამზი დოპინგ-სკანდალში გახვეული აღმოჩნდა, ჩემპიონად და ოქროს მედლის მფლობელად კენიელი მორბენალი დაასახელეს.

## სან პაულუში სტადიონი ჩამოინგრა

ბრაზილიის ქალაქ სან პაულუში 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მშენებარე სტადიონ „არენა კორინთიანსის“ ერთი ნაწილი ჩამოინგრა. შემთხვევის შედეგად 3 ადამიანი დაიღუპა. ინციდენტი შესვენების დროს მოხდა, როდესაც სტადიონზე მშენებლების მცირე რაოდენობა იყო დარჩენილი. ჩამოინგრა სტადიონის აღმოსავლეთი ნაწილის ტრიბუნები, რაც, წინასწარი ინფორმაციით, ამწეკრანის ზედა ლითონის კონსტრუქციის ჩამოვარდნამ გამოიწვია.

სან პაულუს სტადიონი ექსპლუატაციაში მიმდინარე წლის დეკემბერში უნდა ჩაბარდეს, ისევე როგორც სხვა სტადიონები, რომლებიც მსოფლიოს მომავალი წლის ჩემპიონატისთვის შენდება. თავდაპირველი გეგმის თანახმად, სტადიონს თასის მატჩებისთვისაც უნდა ემასპინძლა, რომელიც მიმდინარე წლის ივნისში გაიმართა, მაგრამ დაფინანსებაში შეფერხებების გამო მისი დათქმულ ვადაში ჩაბარება ვერ მოხერხდა. უცნობია, მოახდენს თუ არა გავლენას ეს ინციდენტი სამშენებლო სამუშაოების დროულად დასრულებაზე.

ვარაუდობენ, რომ „არენა კორინთიანსი“, ანუ „არენა დე სან პაულუ“ — როგორც მას ფიფა უწოდებს, 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნით მატჩს უმასპინძლებს, ასევე აქ უნდა გაიმართოს სხვა მატჩები, მათ შორის — ნახევარფინალური შეხვედრაც.

ეს არ არის პირველი შემთხვევა ბრაზილიის სტადიონებზე. მიმდინარე წლის მაისში ავარია მოხდა სტადიონ „ფონტე ნოვაზე“, რომელიც ქალაქ სალვადორში მდებარეობს. იქ ძლიერი წვიმის შედეგად სახურავის ნაწილი ჩამოინგრა.

ბრაზილიაში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება საპროტესტო დემონსტრაციების ფონზე მიმდინარეობს, რომლის მონაწილენიც მსხვილ სპორტულ შეჯიბრებებზე დიდი ოდენობით თანხების ხარჯვას აპროტესტებენ. მათი აზრით, უფრო მნიშვნელოვანი ქვეყანაში სოციალური საკითხების მოგვარებაა.

✓ **მოამზადა კახა ხატიაშვილმა**






Cyan Magenta Yellow Black

## ფსალმუნების წიგნი 14 მილიონად გაიყიდა

ნიუ იორკში 1640 წელს გამოცემული ფსალმუნების წიგნი 14,2 მილიონ დოლარად გაიყიდა. ეს წიგნი მასაჩუსეტსის შტატში 1640 წელს 1700 ეგზემპლარად დაიბეჭდა და დღემდე მხოლოდ 11-მა მოაღწია, რომელთაგან მხოლოდ 5 ეგზემპლარია დაუზიანებლად შემონახული. ფსალმუნები პირველი ნაბეჭდი წიგნია, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიცა.



ნივთი აუქციონზე ბოსტონის ერთ-ერთმა ეკლესიამ გაიტანა, რათა სარემონტო სამუშაოების ხარჯი დაეფარა. ფსალმუნების წიგნი ამერიკელმა ბიზნესმენმა დევიდ რუბინშტეინმა შეიძინა. აუქციონზე ამ ლოტის საწყისი ფასი 6 მილიონი დოლარი გახლდათ. ორგანიზატორები ვარაუდობდნენ, რომ წიგნი 15-30 მილიონი დოლარის ფარგლებში გაიყიდებოდა. ვარაუდი არ გამართლდა და აუქციონზე ახალი მსოფლიო რეკორდი არ დამყარდა.

ამ წიგნზე ძვირად ლეონარდო და ვინჩის ხელნაწერი „ლესტერის კოდექსია“ გაყიდული, რომელშიც 1994 წელს 30,8 მილიონი ამერიკული დოლარი გადაიხადეს.

## ყველაზე მახინჯი ძაღლი მოკვდა

აშშ-ში, ნიუ ჯერსიში მცხოვრები მსოფლიოში ყველაზე მახინჯი ძაღლი, სახელად ელვუდი, 8 წლის ასაკში მოკვდა. მისი პატრონის, კარენ კუიგლის თქმით, სიკვდილის მიზეზი სიმსივნე გახდა.



კუიგლიმ ელვუდი 9 თვის ასაკში აიყვანა, მაშინ, როცა სიმახინჯის გამო ძაღლის პირველი პატრონი მის დაძინებას აპირებდა. ელვუდმა მსოფლიოში ყველაზე მახინჯი ძაღლის ტიტული 2007 წელს მოიპოვა. კარენ კუიგლის განცხადებით, მისი ოთხფეხა მეგობრის სიკვდილის შემდეგ ფული, რომელიც ძაღლმა ამ ტიტულის მოგებასთან ერთად მიიღო, სხვა ძაღლების სამკურნალოდ დაიხარჯება.



## მზარეულმა ჩაძირულ გემზე 3 დღე გაატარა

ატლანტის ოკეანეში, ნიგერიის სანაპიროდან რამდენიმე კილომეტრში მცურავი გემი შტორმის შედეგად გადატრიალდა და ჩაიძირა. მის ბორტზე მყოფი 12 ადამიანიდან მხოლოდ ერთი გადაურჩა სიკვდილს. მაშველმა მყვინთავებმა ჩაძირული გემის ერთ-ერთ კაბინაში ცოცხალი ადამიანი იპოვეს. ის გემის კოკი (მზარეული) ჰარისონ ოკენე აღმოჩნდა, რომელმაც ჩაძირულ გემზე 3 დღე და ღამე გაატარა.

როგორც იღბლიანი კაცი ყვება, შტორმის დროს გემის ქვედა ნაწილში იმყოფებოდა. ჩაძირვის შემდეგ კი პატარა ადგილი მოძებნა, სადაც ჰაერი და სუნთქვის საშუალება იყო. გადარჩენილმა კოკმა რამდენიმე დღე საავადმყოფოში გაატარა და ამჟამად თავს კარგად გრძნობს. ის აცხადებს, რომ გემზე აღარასოდეს იმუშავებს.



## ჩინელმა ქალმა 6 კილოიანი ჩვილი გააჩინა

ჩინეთის ქალაქ შანხაიში 27 წლის ქალმა გიგანტი ბავშვი გააჩინა. ბიჭუნა 6 კილოგრამს იწონის. დედის თქმით, ახალშობილის წონის საიდუმლო კვებაშია. ორსულობის პერიოდში ის მხოლოდ რძით, კვერცხითა და ხილით იკვებებოდა. დიდი ნაყოფი ქალს მოძრაობის საშუალებას არ აძლევდა, ამიტომაც ძირითადად იწვა.

2012 წელს ჩინეთში 7 კილოიანი ჩვილიც დაიბადა.



## პრინცესა დაიანას კაბა აუქციონზე გაიყიდება

ბრიტანეთის გარდაცვლილი პრინცესას, დაიანას, ერთ-ერთ საყვარელ კაბას აუქციონზე გაიტანენ. ეს კაბა დიზაინერმა ემანუელმა 1986 წელს შექმნა. ოქროს ძაფებითა და მარგალიტებით მორთულ ხელნაკეთ კაბას პატარა ჩანთა და ხელთათმანები მოჰყვება.






აუქციონის ორგანიზატორების ვარაუდით, კაბა 80 ათას გირვანქა სტერლინგად გაიყიდება.

## ეიფელის კოშკის კიბეს აუქციონზე გაყიდიან

პარიზის აუქციონზე ეიფელის კოშკის ორიგინალური კიბის ფრაგმენტს გასაყიდად გაიტანენ. მისი შეძენა ნებისმიერ მსურველს შეეძლება და საწყისი ფასი 10 000 ევრო იქნება. საერთოდ კი აუქციონის ორგანიზატორები კიბის გაყიდვას დაახლოებით მილიონ ევროდ ვარაუდობენ.

1983 წელს, უსაფრთხოების ახალი ზომების გატარების გამო, ეიფელის კოშკს 750 კილოგრამიანი სპირალური ფორმის ძველი კიბე მოხსნეს. ეს კიბე კოშკს 120 წელი ამშვენებდა. 2009 წელს ჩატარებულ აუქციონზე კიბის ერთი ნაწილი ამერიკელმა ბიზნესმენმა 550 ათას ევროდ შეიძინა.



Cyan Magenta Yellow Black

## აფრიკაში წყალქვეშა სასტუმრო გაიხსნა

აფრიკაში, კერძოდ კი ინდოეთის ოკეანეში მდებარე კუნძულ პემბაზე, წყალქვეშა სასტუმრო გაიხსნა. მისი დიზაინი შვედ მხატვარ მიქაელ გენბერგს ეკუთვნის. მანვე შექმნა მსოფლიოში პირველი წყალქვეშა სასტუმრო შვედეთის ქალაქ ვესტეროსში, მელანერის ტბაზე.



პემბის წყალქვეშა სასტუმროში განთავსებულ თითოეულ ნომერს ფართო ფანჯრები აქვს, საიდანაც სტუმრებს წყალქვეშა სამყაროს ბინადრების თვალიერება შეუძლიათ. წყლის ზედაპირზე სასტუმროს სიმაღლე 4 მეტრია, ხოლო წყლის ქვეშ — ოდნავ მეტი. სასტუმრო ფსკერზე ღუზების მეშვეობითაა დამაგრებული.



წყალქვეშა სასტუმროში ღამის გათენება ერთ ადამიანს 900 დოლარი დაუჯდება, ხოლო წყვილს 1 500 დოლარი.

## სარეცხი მანქანა ძაღლის ყეფაზე ირთვება

ბრიტანეთში საყოფაცხოვრებო ტექნიკის მწარმოებელმა ერთ-ერთმა კომპანიამ გადაწყვიტა, უნარშეზღუდული პირებისა და ყველა იმ ადამიანისათვის, ვისაც ძაღლების გარეშე ყოფა ვერ წარმოუდგენია, გარკვეულწილად შეემსუბუქებინა ცხოვრება.



ბრიტანეთში ფართოდაა გავრცელებული მომვლელი ძაღლები. ისინი იმდენად გაწვრთნილები არიან, რომ შეუძლიათ საწოლის ალაგება, სარეცხი მანქანიდან სარეცხის გამოღება და ჭუჭყიანი ტანსაცმლის კალათში მოთავსება, მაგრამ ძაღლებს ამ დრომდე არ შეეძლოთ სარეცხი მანქანის რეჟიმის მართვა. ამიტომაც გამომგონებელმა ჯონ მიდლტონმა სპეციალურად შექმნა სარეცხი მანქანა, რომელიც ძაღლის ყეფაზე იწყებს მუშაობას. ამ ფუნქციის გარდა, მანქანას აქვს ისეთი პედალი, რომელზე თათის დაჭერით ძაღლი კარს აღებს.

ამჟამად მხოლოდ საცდელი ეგზემპლარია შქმნილი, ცოტა ხანში კი ასეთი სარეცხი მანქანები სერიულად გაიყიდება.

## მხატვრის პროტესტი — ჰობიტების სახლი





59 წლის ბრიტანელმა მაიკლ ბაკმა ბანკის კრედიტებსა და იპოთეკას პროტესტი უჩვეულოდ გამოუცხადა. პროფესიით მხატვარმა მაიკლმა სულ რაღაც 150 ფუნტ სტერლინგად ოქსფორშირში სახლი აიშენა და ფერმერობას მიჰყო ხელი.

ბაკმა ჰობიტების სახლი უძველესი მეთოდით ააგო — საშენ მასალად თიხა, სილა, ტალახი, წყალი და ნაკელი გამოიყენა. ფანჯრების ადგილას კი ძველი სატვირთო ავტომობილის მინები ჩასვა.

რა თქმა უნდა, ასეთი სახლი სრულიად არაკომფორტულია, მაგრამ ამ გზით მხატვარს სურს იპოთეკის პროგრამის დაგმობა, რომ ადამიანებმა მთელი ცხოვრება უზარმაზარი კრედიტების დაფარვას არ უნდა შეალიონ.



# თოვლის ადამიანი ხართ თუ მზის?



1. თუ გარეთ ძალიან ცივა, შეგიძლიათ ამის გამო სახლიდან გასვლა გადაიფიქროთ?

ა) დიახ — 0
ბ) არა — 1

2. თოვლში ფეხით სიარული გიყვართ?

ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

3. იცით თხილამურებზე და ციგურებზე დგომა?

ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

4. გსიამოვნებთ ციდან მოფარფატე ფანტელების ცქერა?

ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

5. გაქვთ იმდენი ნებისყოფა, რომ ზამთარში, სიცივეში, დილის გამამხნევებელი ვარჯიში გააკეთოთ?

ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

6. ბავშვობაში ზამთრის პეიზაჟებს ხატავდით?

ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

7. ზამთრის კურორტებზე დასვენება გიყვართ?

ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

8. თვლით, რომ ზამთარში ადამიანმა გაცილებით მეტი უნდა დაისვენოს?

ა) დიახ — 0
ბ) არა — 1

9. ზამთარში უფრო გიჭირთ დილით ადრე ადგომა, ვიდრე ზაფხულში?

ა) დიახ — 0
ბ) არა — 1

10. ხშირად გიჩნდებათ სურვილი, შვებულება ზამთარში აიღოთ?

ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

11. შეგიძლიათ ზამთარში რამდენიმე დღე სახლიდან გარეთ საერთოდ არ გახვიდეთ?

ა) დიახ — 1
ბ) არა — 0

12. ზამთრის უმზეო დღეებში ქუჩაში სეირნობა გეზარებათ?

ა) დიახ — 0
ბ) არა — 1

**შედეგები:**

**9-12 ქულა** — თქვენ თოვლის ადამიანი ხართ. ბედნიერი იქნებოდით, მთელი წელი ზამთარი რომ იყოს. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ზაფხულიც მშვენიერია და ბევრს ის უფრო მოსწონს, ვიდრე ზამთარი.

**5-9 ქულა** — ზაფხული თუ ზამთარი? ამას განწყობის მიხედვით ირჩევთ. თუ ხასიათზე ხართ, შეგიძლიათ თავი მშვენივრად იგრძნოთ როგორც ზამთარში, ისე ზაფხულშიც.

**3-4 ქულა** — შეიძლება ითქვას, რომ წელიწადის არც ერთი დრო განსაკუთრებულად არ გიყვართ. თქვენ ან პესიმისტი ხართ, ან ტესტის კითხვებზე პასუხების გაცემის დროს ბოლომდე გულახდილი არ იყავით.

**1-2 ქულა** — ზამთარი თქვენთვის სატუსაღოა. თავს მხოლოდ მაშინ გრძნობთ კარგად, როცა გარეთ მზე ანათებს და ცხელა. ან ტროპიკულ ქვეყანაში უნდა გადასახლდეთ, ან როგორმე ზამთარს შეეგუოთ. თქვენ მზის ადამიანი ხართ.

ტესტი ქალებისთვის

# პრინციპული ქალი ხართ თუ დამყოლი?

**1. წვეულებაზე სიმპათიური მამაკაცი გაიცანით, რომელმაც უკეთ გაცნობის მიზნით სახლში ყავაზე მიგიპატიჟათ, რას იზამთ?**

ა) წავყვები — 3
ბ) შევთავაზებ, ყავა კაფეში დავლიოთ — 2
გ) ცივად ვეტყვი, თავი დამანებოს — 1

**2. აუცილებელ შეხვედრაზე ხართ წასასვლელი, ამ დროს მეგობარი მამაკაცი გირეკავთ და მაცდუნებელ წინადადებას გთავაზობთ...**

ა) გადავრეკავ და შეხვედრას ხვალისთვის გადავადებინებ — 3
ბ) უარს ვეტყვი — 1
გ) გააჩნია, იმ მომენტში როგორ ხასიათზე ვიქნები — 2

**3. დიეტაზე ხართ, საყვარელმა მამაკაცმა კი რესტორანში დაგპატიჟათ...**

ა) დიეტას დავარღვევ და რესტორანში წავალ — 3
ბ) რესტორანში წავალ, ოღონდ დიეტურ კერძებს შევუკვეთავ — 2
გ) ზრდილობიან უარს ვეტყვი — 1

**4. საყიდლებზე სიარულისას ფული ისე შემოგეხარჯათ, ჯიბეში ხურდაც კი არ დაგრჩათ...**

ა) მიკროავტობუსის მძღოლს ვთხოვ, უფასოდ წამიყვანოს — 2
ბ) ფეხით წავალ — 1
გ) მეგობარ კაცს დავურეკავ და სახლში წაყვანას ვთხოვ — 3

**5. ხელჩანთა ყოველთვის მოწესრიგებული გაქვთ?**

ა) დიახ — 1
ბ) როდის როგორ — 2
გ) არა, სრული ქაოსი მაქვს — 3

**6. ასტროლოგიის და ჰოროსკოპების გჯერათ?**

ა) დიახ — 3
ბ) არა — 1
გ) ხანდახან ვკითხულობ — 2

**7. რომელი ყვავილი გიყვართ?**

ა) მიხაკი — 1
ბ) ია — 2
გ) ვარდი — 3

**შედეგები:**

**7-10 ქულა** — პრინციპები გაქვთ და მათ მტკიცედ იცავთ. ასეთი ქცევით კი შეიძლება თაყვანისმცემლები დააფრთხოთ.

**11-18 ქულა** — ცოტა მერყევი ხართ, რაც ხან კარგია, ხან — ცუდი, რადგან ყველაფერი კონკრეტულ სიტუაციაზეა დამოკიდებული.

**19-21 ქულა** — ფეთქებადი ხასიათი გაქვთ და პრინციპებს ნაკლებად იცავთ. ამის გამო შეიძლება ვინმემ ადვილად დაგიყოლიოთ, უარეს შემთხვევაში კი მოგატყუოთ.

წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები იხ. გვ. 78

# სუდოკუ

სუდოკუ არის იაპონური თავსატეხი, რომელმაც ბოლო დროს ევროპაშიც მოიკიდა ფეხი. მისი ამოხსნისთვის საკმარისია ლოგიკური აზროვნების უნარი. თავად ამოხსნის პროცესი კი დიდ სიამოვნებას გპირდებათ.

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | | | | 9 | | | 4 |
| | | 1 | | | 5 | | 6 | |
| | 6 | | 2 | | | 3 | | 7 |
| | | | 1 | | | | 3 | |
| 2 | | | | 3 | | 4 | | |
| | | 7 | | | 6 | 8 | | |
| | 9 | | | 7 | | | | 8 |
| 3 | | | 6 | | | 2 | | |
| | | 4 | | 5 | | | 9 | |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | | 5 | | | | 2 |
| | | 8 | 9 | | | 6 | | |
| 4 | | | | | 6 | | 1 | |
| | | 3 | 1 | 7 | | | | |
| 9 | 2 | | | | | | 5 | |
| | | | | 2 | | 8 | | 4 |
| | | 5 | 3 | | | | 7 | |
| 7 | | | | | 1 | 3 | | |
| | 6 | | | 4 | 8 | | 9 | |

სუდოკუ შედგება 9-9 ჰორიზონტალური და ვერტიკალური სვეტისა და 9 ბლოკისგან. შევავსოთ ცარიელი უჯრები 1-დან 9 ციფრებით ისე, რომ ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ სვეტებსა და ბლოკებში ერთი და იგივე ციფრი არ განმეორდეს.



Cyan Magenta Yellow Black

# მზად ხართ, ცოლი მოიყვანოთ?



**1. პირველად როდის გაგიჩნდათ ცოლის შერთვის სურვილი?**

ა) ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში ყოფნისას — 1

ბ) ამაზე სერიოზულად დღესაც არ ვფიქრობ — 3

გ) როცა პირველად შემიყვარდა — 2

**2. პირველად ვინ შეგიყვარდათ?**

ა) ჯერ არავინ მყვარებია — 3

ბ) საბავშვო ბაღში ჩემი ჯგუფელი გოგონა — 1

გ) თანაკლასელი ლამაზი გოგო — 2

**3. ტელესერიალებში ყველაზე მეტად რა გაღიზიანებთ?**

ა) სერიალები საერთოდ მაღიზიანებს — 3

ბ) საპნის ოპერების სიუჟეტები ბანალურია და რეალობისგან შორსაა, სწორედ ეს მაღიზიანებს — 2

გ) სერიალებს არ ვუყურებ, ისინი დიასახლისებისთვისაა განკუთვნილი — 1.

**4. წვეულებაზე ქალთან ერთად მიხვედით, იქ კი ბევრი ლამაზი მანდილოსანი დაგხვდათ, როგორ მოიქცევით?**

ა) ვეცდები, ყველას ერთნაირი ყურადღება დავუთმო — 3

ბ) მიუხედავად ცდუნებისა, რადგან პარტნიორთან ერთად მივედი, ყურადღებასაც მას დავუთმობ — 2

გ) ყველას გავეპრანჭები, იქნებ მომავალში რომელიმესთან რომანიც გავაბა — 1

**5. მეზობელმა ცოტა ხნით პატარა ბავშვი დაგიტოვათ, რომელიც ძალიან ცელქია, როგორ მოიქცევით?**

ა) სასწრაფოდ დედამისს დავურეკავ და ვეტყვი, წაიყვანოს — 1

ბ) რადგან დავიტოვე, როგორც უნდა გამიჭირდეს, ყურადღებას მივაქცევ — 3

გ) ბავშვობას გავიხსენებ და მასთან ერთად ვითამაშებ — 2

**6. ნაგვის გადაყრის პროცედურა გაღიზიანებთ?**

ა) არა, რა პრობლემაა? — 3

ბ) ვთვლი, რომ კაცისთვის ეს დამამცირებელია — 2

გ) ვცდილობ, ეს „საქმე“ თავიდან ავირიდო — 1

**7. რაში ხედავთ ცოლქმრული ურთიერთობის უპირატესობას?**

ა) უსაფრთხო, მოწესრიგებულ სექსში — 3

ბ) ოჯახი სიმყუდროვე და სიხარულია — 2

გ) დასუფთავებული სახლი, გაუთოებული სამოსი, გემრიელი სადილი... — 1

**შედეგები:**

**7-9 ქულა** —სერიოზულ გრძნობებს არასერიოზულად აღიქვამთ. ქალის ბუნებისა ბევრი არაფერი გაგეგებათ. თუ შეხედულებებს არ შეიცვლით და ცოლს ისე მოიყვანთ, შესაძლოა, ძალიან მალე გაგექცეთ.

**10-16 ქულა** — თუ რჩეული უკვე გყავთ, არ გაშინებთ სიდედრის ინსტიტუტი, ბავშვების ჟივილ-ხივილი და ოჯახური მოვალეობები, გირჩევთ, ცოლი ხვალვე შეირთოთ.

**17-21 ქულა** — როგორც ჩანს, ცოლის მოყვანას არ ჩქარობთ. თქვენი ხასიათიდან გამომდინარე, ეს სწორიცაა. თუ ვინმემ მაინც „შეგაბათ“, ნამდვილად ინანებს. ოჯახურ ვალდებულებებს სერიოზულად არ უდგებით.

# რას ფიქრობენ თქვენზე გარშემომყოფები?

**1. დაბადების დღეზე მორთმეულ საჩუქარს ვერაფერში იყენებთ. რას მოიმოქმედებთ?**

ა) სხვას ვაჩუქებ — 2

ბ) ვინც მაჩუქა, ვაგრძნობინებ, რომ უფრო პრაქტიკული საჩუქრები მომართვას — 6

გ) ისეთ ადგილზე შევინახავ, თვალში ხშირად რომ არ მომხვდეს — 10

**2. მეზობლისთვის განკუთვნილი წერილი თქვენთან დატოვეს. როგორ მოიქცევით?**

ა) ცდუნებას ვერ გავუძლებ, გავხსნი, წავიკითხავ, შემდეგ ისევ დავაწებებ და მეზობელს მივცემ — 6

ბ) როცა მეზობელი სახლში დაბრუნდება, მივცემ — 10

გ) ნაგვის ყუთში მოვისვრი — 2

**3. უინტერესო, მაგრამ მაღალანაზღაურებადი სამსახური შემოგთავაზეს. რას იზამთ?**

ა) დავთანხმდები — 10

ბ) დავთანხმდები, თუმცა გული დამწყდება, რომ ისეთი ვერ არის, როგორზეც ვოცნებობდი — 2

გ) დაუფიქრებლად დავთანხმდები, ფული ყველას სჭირდება — 6

**4. ანეკდოტს ყვებიან, რომელიც უკვე მოსმენილი გაქვთ...**

ა) მაინც ყურადღებით მოვუსმენ — 10

ბ) აღვნიშნავ, რომ მოძველებულია — 6

გ) შევაწყვეტინებ მოყოლას — 2

**5. ქუჩაში სატელეფონო ავტომატზე წარწერაა, რომელიც გამცნობთ, რომ დღეს უფასოდ შეიძლება დარეკვა. რას იზამთ?**

ა) სატელეფონო კვანძში დავრეკავ და ასეთი აქციის მიზეზს ვიკითხავ — 10

ბ) არავის არაფერს ვეტყვი — 2

გ) მეგობრებს გადავურეკავ და ყველას ვეტყვი ამის შესახებ — 6

**6. ეზოში ბავშვები ძაღლს აწვალებენ, როგორ მოიქცევით?**

ა) დავტუქსავ — 6

ბ) ძაღლს გამოვართმევ და სახლში წავიყვან — 10

გ) ამ ფაქტს ყურადღებას არ მივაქცევ — 2

**შედეგები:**

**50 და მეტი ქულა** — მომთმენი ადამიანი ხართ, გარშემომყოფები გულღია პიროვნებად გიცნობენ. ნებისმიერთან შეგიძლიათ, იმეგობროთ. ხანდახან პრინციპულობა გაკლიათ და ეს ურთიერთობაში ხელს გიშლით.

**30-49 ქულა** —ეჭვი არ გეპარებათ, რომ კარგი ხასიათი გაქვთ და ამის დამტკიცებას ჯიუტად ცდილობთ, რაც ბევრს აღიზიანებს. გირჩევთ, უაზრო გარჯაზე ენერგია და ძალისხმევა არ დაკარგოთ, იყავით ისეთი, როგორიც ხართ.

**18-29 ქულა** — სიტუაციის მიხედვით იქცევით და ხასიათიც შესაბამისად გეცვლებათ. ხან ყურადღებიანი ხართ, ხან — ეჭვიანი და უაზრო წვრილმანებს ჩასჩიჩინებთ. ეს კი გარშემომყოფებს აღიზიანებთ და ცდილობენ, თავი აგარიდონ.

**17 და ნაკლები ქულა** —გარშემომყოფები პედანტად გთვლიან, ხანდახან კი ეგოისტადაც მიგიჩნევენ. იშვიათად ენდობით გარშემომყოფებს და უპრინციპოდაც იქცევით. ეცადეთ, ეს თვისებები დაძლიოთ და სხვებისგანაც იგრძნობთ სითბოს.


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# რა უნდა ვიცოდეთ ჰაიმორიტის შესახებ

ბევრი ადამიანი სურდოს ზერელედ უდგება. საკმაოდ ხშირად მას ცხვირისთვის განკუთვნილი სხვადასხვა წვეთებით მკურნალობს, ზოგიერთები კი საერთოდ ყურადღებას არ აქცევენ, დაავადებად არ თვლიან და ცივი სეზონის ჩვეულებრივ ავადმყოფობებს მიაწერენ. სულ ტყუილუბრალოდ! სურდო, რომელსაც დროულად არ უმკურნალეს, შეიძლება სულ ადვილად გადავიდეს ისეთ სერიოზულ დაავადებებში, როგორიცაა სინუსიტი (სინუსის — ცხვირის წიაღის ანთება) და ჰაიმორიტი.



ჰაიმორიტი — ეს არის თავის ზედა ყბის ნაწილში განლაგებული ცხვირის წიაღის დანამატების ანთება.

### მიზეზები

ჰაიმორიტის ძირითადი მიზეზი ორგანიზმის შიგნით მოხვედრილი ვირუსებისა და ბაქტერიების გააქტიურებაა. რომელია დაავადების განვითარების ხელშემწყობი ფაქტორები?

პირველი ფაქტორია ცხვირით სუნთქვის დარღვევა, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო აღმოცენდება. ასეთია: თანდაყოლილი ანატომიური თავისებურებები, ცხვირის ძგიდის გამრუდება, რინიტი (ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება), ადენოიდების ანთება, სხვადასხვა ალერგიული რეაქციები.

მეორე ფაქტორი ორგანიზმის დამცავი ძალების დასუსტებაა. დაქვეითებული იმუნიტეტი საკმაოდ ხშირად ხდება ჰაიმორიტის მიზეზი. ამიტომ აუცილებელია იმუნიტეტის მაღალ დონეზე დაცვა.

მესამე ფაქტორი ბოლომდე უმკურნალებელი გაციებაა. სასუნთქი გზების ნებისმიერი დაავადებები, რომლებსაც თან ახლავს სურდო, აუცილებლად საჭიროებს დროულად მკურნალობას. თუ ამას უგულებელყოფთ, ჰაიმორის წიაღებში დაგროვდება ლორწო, რომელიც სხვადასხვა სახის ბაქტერიების განვითარება-გამრავლების ხელსაყრელი გარემოა.

მეოთხე ფაქტორი თვითონ ვირუსები და ბაქტერიებია. ყოველი ადამიანი ამა თუ იმ ბაქტერიის „ბანკია“. ეს ნორმად ითვლება მანამ, სანამ განსაზღვრული ბალანსი არსებობს, მაგრამ ზოგჯერ სხვადასხვა გარემოების გამო ბაქტერიები აქტიურდებიან. ასეთი რამ რომ არ მოხდეს, მეტად მნიშვნელოვანია, ჯანმრთელობა სრულად გამოიკვლიოთ და იმუნიტეტს თვალყური ადევნოთ.

### საიმედო დაცვა

დროდადრო წიაღები გამოირეცხეთ. ეს განსაკუთრებით ცივ თვეებში გააკეთეთ, როდესაც გაცივების რისკი განსაკუთრებით მაღალია.

თავს ნუ გადაიციებთ. წლის ცივ დროს თავზე დაიხურეთ. უპირატესობა მიანიჭეთ ქუდებს, რომლებიც შუბლს ცივი ჰაერისგან იცავს.

ჩაიტარეთ არომათერაპიის სეანსები. განსაკუთრებით სასარგებლოა ღვიის, ფორთოხლის, ლიმონის, ასევე მათი კომბინაციების ეთერზეთების არომატების შესუნთქვა.

### ჰაიმორიტის მკურნალობა ხალხური საშუალებებით

ხალხური მედიცინა ჰაიმორიტის მკურნალობისა და პროფილაქტიკის რამდენიმე ვარიანტს გთავაზობთ. ისინი შეიძლება 3 ჯგუფად დაიყოს: გათბობა, ჩაწვეთება და გამორეცხვა.

**გათბობა.** ეს პროცედურა ტარდება როგორც ზედაპირულად, ასევე ინჰალაციის სახით. ზედაპირული გათბობა გამთბარი მარილიანი ტომსიკით ან მოხარშული თბილი კვერცხით კეთდება, მაგრამ ინჰალაცია უფრო ეფექტურია, ვინაიდან ქსოვილების სრულ და ღრმა გათბობას უზრუნველყოფს. შეისუნთქეთ კარტოფილის ან სხვადასხვა ბალახების ნაყენის ცხელი ორთქლი.

**ჩაწვეთება.** ეს პროცედურა საკმაოდ ეფექტურია სწორად შერჩეული საშუალების დროს. მაგალითად, კარგად მოქმედებს გაზავებული ჭარხლის წვენი.

**გამორეცხვა.** ამ პროცედურისთვის გამოიყენება ზღვის ან სუფრის მარილის თბილი ხსნარი.

და მაინც, ნებისმიერ შემთხვევაში დასაწყისში საჭიროა ექიმს მიმართოთ. თუ მკურნალობა დროულად და სწორად წარიმართება, ჰაიმორიტი განიკურნება.

---

# როგორ ავიცილოთ გულის კუნთის ინფარქტი

გულის კუნთის ინფარქტი ისეთ საშიშ დაავადებებს მიეკუთვნება, რომლებიც დაუყოვნებლივ და კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას საჭიროებენ, რათა ჯანმრთელობისთვის მძიმე და შეუქცევადი შედეგები თავიდან ავიცილოთ. როგორც ცნობილია, მკურნალობის საუკეთესო მეთოდია პროფილაქტიკა. გაგაცნობთ რამდენიმე რეკომენდაციას, რომლებიც არამხოლოდ ინფარქტისგან დაცვაში დაგეხმარებათ, ასევე გულ-სისხლძარღვთა სისტემის სხვა დაავადებების განვითარებას თავიდან აგაცილებთ.



### ჯანმრთელობაზე ვზრუნავთ

არ შეიძლება უქეიფობის იგნორირება და თვითდინებაზე მიშვება, მძიმე ვირუსული ინფექციების ფეხზე გადატანა. განსაზღვრული ქრონიკული დაავადებების არსებობისას (მაგალითად, ჰიპერტონია, გულის იშემიური დაავადება, ათეროსკლეროზი და სხვა) საჭიროა რეგულარული პროფილაქტიკა, რომელიც არამხოლოდ მათ მიმდინარეობას შეამსუბუქებს, ასევე ინფარქტის განვითარების რისკს შეამცირებს. გარდა ამისა, აუცილებელია ყურადღება მიაქციოთ სისხლის წნევას, სისხლში შაქრისა და ქოლესტერინის რაოდენობას — სამივე მაჩვენებელი ნორმაში უნდა იყოს. ჭარბი წონა ერთ-ერთი რისკფაქტორია, რომელიც გულ-სისხლძარღვთა სისტემის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს.

### კვება

გულ-სისხლძარღვთა სისტემის ჯანმრთელობის დაცვაში წამყვან როლს სწორი კვება ასრულებს. ვიტამინები, მინერალები, ამინომჟავები და ბევრი სხვა სასარგებლო ნივთიერება — ყველაფერი ეს თქვენს ორგანიზმს სასარგებლოდ წაადგება. მიღებული საჭმლის რაოდენობა უნდა იყოს ზომიერი, ხოლო რაციონი — ბალანსირებული (ე.ი. უნდა შედიოდეს სხვადასხვა ხილი, ბოსტნეული, მწვანილი, ბურღულეული, ზღვის პროდუქტები, ცოცხალი თევზი, დიეტური ხორცი). ეცადეთ, რაც შეიძლება მეტი პროდუქტი გამოიყენოთ ქორფა სახით. მარილის, შაქრის, ცხიმიანი პროდუქტების მოხმარება მაქსიმალურად შეამცირეთ. მეტი სუფთა წყალი ან მინერალური უგაზო წყალი დალიეთ.

### სპორტი

რეგულარული ფიზიკური აქტივობა თქვენს სისხლძარღვებს დაეხმარება, კარგ ფორმაში დარჩნენ. შეარჩიეთ თქვენთვის შესაფერისი სპორტის სახეობა და რეჟიმი. ყოველდღიურად სასარგებლოა დაახლოებით 30-40 წუთიანი სირბილი, ვარჯიში, ცურვა, იოგა, უბრალოდ სუფთა ჰაერზე გასეირნება. ორგანიზმი დატვირთვას თანდათან მიაჩვიეთ. თქვენი მკურნალი ექიმის თანხმობით, შეგიძლიათ საუნას, აბანოს ეწვიოთ. მიიღეთ კონტრასტული შხაპი ან ცივი წყალი გადაივლეთ. ეს პროცედურები სისხლძარღვების შეკუმშვას ასტიმულირებს, რაც ინფარქტის პროფილაქტიკაში ერთ-ერთ ძირითად მომენტად ითვლება.

### მავნე ჩვევები დაგმეთ

ინფარქტის პროფილაქტიკაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თამბაქოზე უარის თქმა. ნიკოტინი არამხოლოდ თქვენს გულზე ახდენს ნეგატიურ გავლენას, ასევე ზოგადად ცხოვრების ხარისხს აქვეითებს. უარი თქვით თამბაქოზე და გემოსა და სუნის სამყაროს ხელახლა აღმოაჩენთ. რაც შეეხება ალკოჰოლს, ზომიერად მოიხმარეთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black

# გვპასუხობს ექიმი



**— უზმოზე ვსვამ თაფლიან წყალს და მაინტერესებს, ხომ არ გამასუქებს და საერთოდ თაფლი ასუქებს?**

— თაფლი სხვა ტკბილი პროდუქტებისგან იმით განსხვავდება, რომ უამრავ სასარგებლო ნივთიერებას შეიცავს. ყოველ დილით თაფლიანი წყლის მიღება ნამდვილად არ არის „უებარი წამალი“. უმჯობესია, მიიღოთ 1 ჩაის კოვზი თაფლი, მაგრამ არა — ყოველდღე. ნებისმიერი ტკბილი პროდუქტი უმჯობესია მიიღოთ დილის საათებში.

**— ვარ 17 წლის და მკერდის თავზე მაქვს თმა. რა არის ამის მიზეზი და როგორ მოვიშორო სახლის პირობებში?**

— ნებისმიერი თმიანობა ორგანიზმში ჰორმონალური დისბალანსით არის გამოწვეული. აუცილებელია სისხლში ტესტოსტერონის განსაზღვრა და შემდეგ სპეციალისტის მითითებით მკურნალობა. სახლის პირობებში თმის მოცილება მხოლოდ უხეშად, პინცეტით შეგიძლიათ, რომელიც მეორედ აუცილებლად ამოგივათ და შეიძლება თმის ღერი უფრო უხეში იყოს.

**— 8 წლის ბიჭს მკლავებზე აქვს ზომაზე მეტი თმიანობა, რითი არის გამოწვეული და ვის მივმართო?**

— აუცილებელია ენდოკრინოლოგის კონსულტაცია და ბავშვის ჰორმონალური მდგომარეობის კონტროლი.

**— ერთი კვირის წინ გავიკეთე ლაპარასკოპია და მოვიშორე საკვერცხის ენდომეტრიოიდული კისტა, ზომით 2,1 სმ. ექიმმა მითხრა, რომ მაქვს ენდომეტრიოზი და ოპერაციის შემდეგ უნდა ვიმკურნალო და გავიკეთო დიფერელინი დეპო, ინექცია, რომელიც ძალიან ძვირი ღირს. თქვენ რას მირჩევთ, შემიძლია შემდეგ დაორსულება? 6 თვეა გავთხოვდი და არ ყოფილა ორსულობა.**

— ენდომეტრიოზი დაუყონებლივ მკურნალობას საჭიროებს. აღნიშნული პრეპარატი ენდომეტრიოზის სამკურნალოდ გამოიყენება. ანოტაციაში მითითებულია, რომ პრეპარატი გამოიყენება იმ დაავადებების დროს, როდესაც საჭიროა სქესობრივი ჰორმონების ინჰიბირება: წინამდებარე ჯირკვლის დაავადება, საშვილოსნოს ფიბრომიომა, ნაადრევი სქესობრივი მომწიფება ბავშვებში, ენდომეტრიოზი, უშვილობა ქალებში. მიღების წესები და დოზირება: პრეპარატი შეჰყავთ კუნთებში. ინექცია ხორციელდება დაუყოვნებლივ წინასწარ მომზადებული სუსპენზიით. დაუშვებელია მისი სხვა პრეპარატებთან შერევა. კარგი იქნება დიაგნოზს, თუ კიდევ ერთხელ გადაამოწმებთ. თუ ენდომეტრიოზი გაქვთ, აუცილებლად დაიწყეთ მკურნალობა.

**— ა და ე ვიტამინის სახეზე წასმა შეიძლება თუ არა?**

— თუ ვიტამინებს კრემთან არეულს იხმართ, უკეთესი შედეგი გექნებათ.

**— გამიჩნდა სტრიები ბარძაყებსა და დუნდულებზე, წონის მომატების გამო ხომ არ მაქვს? ძალიან ვნერვიულობ; შეიძლება მათი მთლიანად მოშორება და კანის აღდგენა თუ არაფერი ეშველება?**

— თუ სტრიები წითელი ფერისაა, მაშინ აუცილებლად მიმართეთ ენდოკრინოლოგს და თირკმელზედა ჯირკვალი გამოიკვლიეთ. რაც შეეხება თეთრი ფერის სტრიებს, იგი უკავშირდება წონის ცვალებადობას, არსებობს ასეთი სტრიების საწინააღმდეგო კრემები, გელები და შეგიძლიათ გამოიყენოთ. გარდა ამისა, სტრიების საწინააღმდეგოდ კარგ შედეგს იძლევა მეზოთერაპია, მეზოპილინგი, პილინგი.

**— ვერასდროს ვიყენებ ერთი და იმავე ფირმის კოსმეტიკურ საშუალებებს. სახის კანზე ეს ცუდად ხომ არ აისახება?**

— სხვადასხვა ფირმის კრემების გამოყენება უარყოფითად არ იმოქმედებს.

**— მაქვს მასტოპათია. ექიმმა დამინიშნა კასტაგნუსი, შედეგს მომცემს ან როგორ მივიღო?**

— კასტაგნუსი მომატებული პროლაქტინის დროს ინიშნება, უნდა მიიღოთ სამი თვის განმავლობაში, ერთსა და იმავე დროს. თუ ხართ 60 კილოგრამამდე წონის, დღეში ერთხელ ერთი აბი მიიღეთ, ხოლო თუ მეტი წონის ხართ, მიიღეთ 2 აბი დღეში ერთხელ. უმჯობესია დილის საათებში დალიოთ.

**— მაწუხებს შარდის შეუკავებლობა, რისი ბრალი შეიძლება იყოს და ვის მივმართო? ვარ 54 წლის ქალბატონი.**

— მიზეზი შეიძლება იყოს საშოს კედლების და საშვილოსნოს დაწევა, საშარდე გზების პათოლოგიები. აუცილებელია გინეკოლოგის და უროლოგის კონსულტაციები. მკურნალობა ხშირ შემთხვევაში ოპერაციულია.

**— მაქვს ფრჩხილის სოკო, მირჩიეს ტერბისილი. როგორ მივიღო და შედეგი მექნება? ძალიან ბევრი საშუალება გამოვიყენე, მაგრამ უშედეგოდ.**

— უნდა მიიღოთ ყოველდღე თითო აბი, მინიმუმი, სამი თვის განმავლობაში. მიღების ხანგრძლივობა უმჯობესია დერმატოლოგთან შეათანხმოთ.

**— დედაჩემს აქვს მასტოპათია. მიიღო მამოლეპტინი, მაგრამ უშედეგოდ, პირიქით კვანძები უფრო გაეზარდა. პასუხი ასეთია: უდიდესი ზომები მარცხნივ 1,2-0,7 სმ, 1,25-4, 2-0,4 სმ, 1-0,7 სმ, 0,9-0,6 სმ. მარჯვნივ ლატერალურ კვადრატის საზღვარზე 1,7-0,9 სმ, 1,1-0,8 სმ. ზედა მედიალურკვადრატში 4 კისტაა, რომელთა ექოგენობა დიფუზურად მომატებულია. კანქვეშა ცხიმოვანი ქსოვილი სუსტი განვითარების. პარენქიმაში რძის სადინარები კარგად გამოხატული, დიამეტრით 0,1-0,2 სმ. საშიშია? არის თუ არ ავთვისებიანი სიმსივნეში გადაზრდის შანსი?**

— გამოხატულია მასტოპათია, რომელიც სიცოცხლისთვის სახიფათოა არ არის. აუცილებლად მიმართეთ მამოლოგს, საჭირო მკურნალობის ჩატარების შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდება.

**— წლების წინ გავიკეთე ბრმანაწლავის ოპერაცია. ერთი წელია მტკივა იმ ადგილას. ექო საკვერცხის პათოლოგიას არ აჩვენებს. რა შეიძლება იყოს და ვის მივმართო?**

— შეიძლება ჭრილობის შეხორცების ადგილზე ანთებითი პროცესი მიმდინარეობს. მიმართეთ ქირურგს.

**— იღლიასთან ორივე მხარეს ფიქსირდება ერთეული ფიბროზულ-ქსოვილოვანი ჩანართები. შეიძლება ეს იოდის ნაკლებობით, ანუ ჩიყვით იყოს გამოწვეული და რომელ ექიმს მივმართო?**

— პირველ რიგში, მიმართეთ მამოლოგს. თუ საჭირო იქნა, გაიარეთ ენდოკრინოლოგის კონსულტაციაც.

**— ფეხების ოფლიანობას და სუნს როგორ ვებრძოლო? ვარ 21 წლის.**

— ფეხის სუნის გასაქრობად, უპირველეს ყოვლისა, ოფლს უნდა ებრძოლოთ. ამისათვის ფეხები ყოველდღე უნდა დაიბანოთ თბილი წყლითა და საპნით, უნდა გამოიცვალოთ ფეხსაცმელი და წინდები. გამოიყენეთ ფეხის დეზოდორანტები. მიიფრქვიეთ ბორის მჟავა ტერფებზე და თითებს შორის. საღამოს დაიბანეთ ფეხის ტერფები თბილი წყლით. ფეხებზე გადაივლეთ ძმრის ხსნარი. ძლიერი ოფლიანობის დროს სასარგებლოა მუხის ქერქი ნახარში. ადუღეთ 20-30 წთ. დაბალ ცეცხლზე. გაიკეთეთ თბილი აბაზანები ყოველ საღამოს. ჩაყარეთ 1 ჩაის კოვზი მარილი 1 ჭიქა ცხელ წყალში. გადაივლეთ ტერფებზე ღამე, დილით კი გამოიყენეთ ცივი მარილიანი წყალი. ასეთი პროცედურების შემდეგ მცირდება ოფლიანობა და სუნი ფეხებზე.

**თუ გსურთ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული კითხვის გაგზავნა, აკრიფეთ ასო S და გაგზავნეთ კითხვა ნომერზე 93887 მაგთიდან და 1779 ჯეოსელიდან. 1 სმს-ის ფასია: მაგთიდან 1 ლარი, ჯეოსელიდან 50 თეთრი.**


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად
მიმართეთ ექიმს.

# სკანვორდი კოდით

1. ყაიმი; 2. ფრე; 3. გერმანელი მწერალი; 4. ღობეზე გადასასვლელი ადგილი; 5. ქნარი; 6. ... ყანჩელი; 7. მეცნიერების, მოძღვრების აღმნიშვნელი ბოლოსართი; 8. ტაბლეტი; 9. ფილოსოფიური ან სამიჯნურო ლექსი სპარსულ და ტაჯიკურ პოეზიაში; 10. ფრანგი მათემატიკოსი; 11. სანელებელი; 12. ხანა, ეპოქა; 13. ნუსხა; 14. ზედმეტ, უსარგებლო რამეზე იტყვიან; 15. ერთუჯრედიანი, ცვლადი ფორმის მქონე ცხოველი; 16. ... თბილელი; 17. ცხრასტრიქონიანი სტროფი; 18. საჯარიმო შაიბა ჰოკეიში; 19. აკრძალვა; 20. ქამანდი; 21. თავაზიანი მიმართვა იაპონიაში; 22. ფრთოსანი მწერი; 23. ქართველი პოეტი; 24. ჭიდაობის სახეობა; 25. ქალის სამოსი; 26. ქიმიური ელემენტი; 27. ვირტუოზული პასაჟი სიმღერაში; 28. ლატვიის ფულის ერთეული; 29. ძიუდოს გასამართი ჭილოფი; 30. ... რივზი; 31. კავკასიის მთიელთა სოფელი; 32. პოლიციის მოხელე სოფელში; 33. ... სტრიპი; 34. ძალიან პატარას აღმნიშვნელი წინსართი; 35. ქათმების ოჯახის გარეული ფრინველი; 36. იტალიელი კომპოზიტორი; 37. ერთქულიანი მოგება ნარდში; 38. შეუჩვეველი, მფრთხალი ცხოველი, ფრინველი; 39. ნახევარკუნძული ეგვიპტეში; 40. დამატება გრამატიკულად; 41. ... პაჩინო; 42. დიდი ბრიტანეთის ნაწილი; 43. იტალიელი ფეხბურთელი; 44. მოკლე საეკლესიო საგალობელი; 45. კანის გაწითლება სისხლის მოწოლის შედეგად; 46. ბილიარდის ჯოხი; 47. პირის ნაცვალსახელი; 48. ფუჭი, უნაყოფო; 49. ბოტანიკის ნაწილი, რომელიც სოკოებს სწავლობს; 50. ტიბეტური ხარი; 51. სპორტული ასასხლეტი მოწყობილობა; 52. მოტკბო-მომჟავო კენკრა; 53. ავი სული, ეშმაკი; 54. ლითონისა და ვერცხლისწყლის შერევით მიღებული ხსნარი; 55. აღმოსავლური შაში; 56. მამალი ირემი; 57. ზურიკელას ძაღლი; 58. მიჯნა, საზღვარი; 59. ... ხაჩატურიანი; 60. ბოსტნეული მცენარე; 61. ჟორჟ სანდის რომანი; 62. ... ხაიამი; 63. ... ელექტრა; 64. ბატონო ინგლისურად; 65. ჭაობის მცენარე; 66. ცელქი, მოუსვენარი.




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კოდიანი სკანვორდის პასუხები

1. ჭედილა; 2. კაჭიჭი; 3. რეალია; 4. გედეონ; 5. ინვარი; 6. ბანკი; 7. რიზე; 8. ქაბაბი; 9. აკვარელი; 10. ლიონ; 11. ეჩო; 12. თურაშაული; 13. ფაეტონი; 14. სერ; 15. ბირდაბირი; 16. ალუჩა; 17. ორთი; 18. რეა; 19. პრესი; 20. ინა; 21. ალ; 22. კარგო; 23. კოშია; 24. კალიბრი; 25. არია; 26. ჰიუნდაი; 27. ლია; 28. იკერ; 29. მაჩეტე; 30. კადრილი; 31. აული; 32. ალაპი; 33. ტრუა; 34. იტალია; 35. ნამიბია; 36. ჩარხი; 37. ჩია; 38. ხრიკი; 39. ალკოვი; 40. ბაირონი; 41. ორდერი; 42. ხმა; 43. რაუტი; 44. კირი; 45. კრიკეტი; 46. ბიტი; 47. ანძა; 48. პორტალი; 49. პანი; 50. აგუტი; 51. კუბა; 52. საკურა; 53. ასკერი; 54. გულაბი; 55. ალეკ; 56. კაა; 57. ოვაცია; 58. ლიანა; 59. ცინკი; 60. ამინდი; 61. ანგიო; 62. ბანი; 63. მიჯნა. **სურათებზე:** უორენ ბიტი; ჰიზერ ლოკლირი; კარენ მიულგერი; ჯიმი კუიკი.

**კოდი: ღუბანი**



Cyan Magenta Yellow Black

# მწვანე სკანვორდი






1. ... უელსი
2. ამონი
3. ღამის ფრინველი
4. უარყოფითი ნაწილაკი
5. სიგრძის საზომი ერთეული
6. ბავშვის მეტყველების უუნარობა
7. ყურძნის ჯიში
8. ყავის მოსადუღებელი ჭურჭელი
9. ... ჰეიფეცი
10. ოსმალეთის სულთნის სასახლე
11. ქალაქი ინგლისში
12. ქვირფასი სასადილო
13. მდინარე ევროპაში
14. იტალიელი მოქანდაკე
15. ...-არტი
16. სასროლეთი
17. ზღვის წვრილი თევზი
18. ლიბერიის დედაქალაქი
19. ჭრილობა
20. იუპიტერის თანამგზავრი
21. ჯუჯა კამეჩი





## წინა ნომერში გამოქვეყნებული მწვანე სკანვორდის პასუხები

1. კუბდარი; 2. ბუ; 3. დო; 4. თონე; 5. თალი; 6. აბსტრაქცია; 7. ავრილ; 8. ილი; 9. ია; 10. ნია; 11. იანვარი; 12. „ალია“; 13. სვიანი; 14. სია; 15. სი; 16. ასაკი; 17. სტილბი; 18. სიესტა; 19. ერა; 20. სამართალი; 21. ლაქა; 22. კამბალა; 23. ბაო; 24. აბრაამ. **სურათებზე:** ტივი; ნავი; კატარღა; ლაინერი.



Cyan Magenta Yellow Black

# სავარჯიშო მათთვის, ვისაც ბუნებრიობა სურს

ყველას გვიწევს სხვადასხვა როლის თამაში. ზოგჯერ ეს აუცილებელია სამუშაოსა თუ პირად ცხოვრებაში წარმატებისთვის, მაგრამ ზოგიერთები ამას მალიმალ მიმართავენ. რატომ?

სიტუაცია შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ არსი ერთია: ადამიანს ეშინია, იყოს თავისთავადი იმიტომ, რომ დასცინებენ, არ მიიღებენ, ზურგს აქცევენ, ვერ გაუგებენ... ასეთ შიშს ამა თუ იმ ხარისხით ბევრი ჩვენგანი განიცდის, მაგრამ ვიღაცას ხელს სულაც არ უშლის, საკუთარი ცხოვრებით იცხოვროს, ხოლო მეორეს კომედიანტის ნიღბიან უსახო პიროვნებად აქცევს. თუ უკანასკნელში საკუთარი თავი ამოიცანით, საჭიროა პრობლემას ებრძოლოთ. გთავაზობთ რამდენიმე მეთოდს.

### როლს ვთამაშობთ

იცით, რომელია ყველაზე გულწრფელი და თავისთავადი ადამიანი? მსახიობი. სცენაზე ან კადრში როლებისგან იმდენად იღლება, რომ ცხოვრებაში სხვად გარდაქმნას არც კი ცდილობს და თითქმის ყოველთვის ბუნებრივი რჩება.

იდეალურია სამსახიობო დაოსტატების კურსებზე ჩაეწეროთ ან თავთან პირისპირ რეგულარულად გაითამაშოთ როლები ფილმებიდან, სერიალებიდან, წიგნებიდან. წარმოიდგინეთ, თქვენ წინ ათასი მაყურებელია. დრამწრესთან შედარებით, შედეგი ნელა, მაგრამ მაინც გამოვლინდება.

### კერძო დეტექტივი

როლებს თქვენი გარემომცველი ადამიანებიც თამაშობენ. დააკვირდით მათ ქცევებს და ეცადეთ, გაიგოთ, რომელი მათგანი ამბობს სიმართლეს და რომელი — არა. გარშემომყოფებს არამხოლოდ დააკვირდით, ასევე შეაფასეთ, მათ თვალთმაქცობაში რაციონალური მარცვალი არის თუ არა. დაინახავთ, რამდენი ადამიანი თამაშობს იქ, სადაც სრულიად შესაძლებელი იყო თავისთავადი, ხალასი ყოფილიყვნენ. დაფიქრდით, მათ ადგილას როგორ მოიქცეოდით. გულწრფელობას შეინარჩუნებდით? ყოველთვის გაიხსენეთ და გაითვალისწინეთ თქვენი დასკვნები, შეფასებები, როდესაც მომავალში მოგიწევთ გადაწყვეტა, რა და როგორ თქვათ და გააკეთოთ.



### აუტოტრენინგი

აუტოტრენინგი მეტად სასარგებლოა. ყოველდღიურად რამდენჯერმე წარმოთქვით: „თავდაჯერებული ადამიანი ვარ!“, „საინტერესო პიროვნება ვარ!“, „ღირსეული და სანიმუშო ვარ!“ სარკის დახმარებით თქვენს მიმიკას ყურადღება მიაქციეთ: ის მოცემულ მტკიცებულებებს უნდა შეესაბამებოდეს.

### დროულად „სდექ!"

იმ მომენტში, როდესაც მიხვდებით, რომ იმას არ ამბობთ, რასაც ფიქრობთ, თავს დროულად უთხარით: „სდექ!“ შემდეგი ფრაზა უკვე უნდა მოდიოდეს თქვენი სულის სიღრმიდან და არა — გამოგონილი პერსონაჟისგან, რომელიც განასახიერეთ. რაც უფრო ხშირად მოიქცევით ასე, თვალთმაქცობისგან მით უფრო სწრაფად გათავისუფლდებით.

შეარჩიეთ ერთი ან ორი მტკიცებულება, რომლებსაც ეთანხმებით და გულში ან ხმამაღლა წარმოთქვით, როდესაც ამის აუცილებლობა აღმოცენდება.

- დამოუკიდებელი პიროვნება ვარ, არ არის იმის აუცილებლობა, ვინმეს მივბაძო.
- ჩემი სიტყვები და ქცევები გარშემომყოფებისთვის საინტერესოა.
- ვინც არ მეთანხმება, უფლება აქვს, მისებურად იფიქროს, მაგრამ ვერ მაიძულებს, მის მსგავსად ვიაზროვნო.
- მოზრდილი, ჩამოყალიბებული ადამიანი ვარ და უფლება მაქვს, ნებისმიერ საკითხზე საკუთარი თვალსაზრისი გამაჩნდეს.
- შესანიშნავი მსახიობი ვარ და შემიძლია ნებისმიერი როლი ვითამაშო. მაგრამ ყველაზე საყვარელი — ჩემი ბუნებრიობაა.

# 7 რჩევა ბედნიერებისთვის

### 1. დაჯექით და დაისვენეთ

თავს უიღბლოდ თვლით იმიტომ, რომ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა არ შეგიძლიათ? ენთუზიაზმი, რომელიც თქვენში პროექტის დასაწყისში გიზგიზებდა, თანდათან გაქრა და საქმე მიატოვეთ? ირგვლივ მიმოიხედეთ. ბევრი პროექტი, რომლითაც დღეს აღფრთოვანებული ხართ, თავის დროზე არაერთხელ იყო მიგდებული და ხელახლა დაწყებული. რაშია საიდუმლო, რომ ვიღაცამ მათი ბოლომდე მიყვანა შეძლო, თქვენ კი — არა?



საჭიროა დაწყებულ საქმეზე დროულად უარის თქმა შეგეძლოთ. მორს ნუ ათრევთ იქამდე, სანამ ცოცხალმკვდარი უგრძნობლად არ დაეცემით. კარგ მორს გვერდზე ნუ მიაგდებთ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი თრევა არ შეგიძლიათ. უბრალოდ დაჯექით, დაისვენეთ და შემდეგ წაიღეთ.

### 2. მუშაობა დააბალანსეთ

ზღაპრები, რომლებზეც გავიზარდეთ, ამას ამტკიცებენ. იქ გერი ყოველთვის დაჯილდოებული იყო შრომისთვის, ხოლო ზარმაცი ქალიშვილი — დასჯილი. მაგრამ მაინც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ზღაპარი იმისთვის არსებობს, შავი და თეთრი, კარგი და ცუდი აჩვენოს. საბედნიეროდ, ყოველდღიურ ცხოვრებაში მრავალი ფერი არსებობს. შეარჩიეთ ოქროს შუალედი, სიზარმაცესა და შრომისმოყვარეობას შორის ბალანსი დაიცავით და თქვენი ცხოვრება მსუბუქი და ჰარმონიული გახდება.

### 3. თავს წაგების უფლება მიეცით

ახლობლებთან, კოლეგებთან, ნაცნობებთან, მეგობრებთან ხშირად კამათობთ და თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიხართ? როგორ ფიქრობთ, კარგია, როდესაც ყოველთვის და ყველაფერში მართალი აღმოჩნდებით? შეიძლება ეს იმაზე მეტყველებს, რომ უბრალოდ არ შეგიძლიათ სხვა ადამიანს მოუსმინოთ, გაუგოთ, მისი შეხედულება გაიზიაროთ? სასარგებლოა, თუგინდ იშვიათად, კამათი წააგოთ.

### 4. რეალობაში იცხოვრეთ

ბევრი ადამიანი სცოდავს იმით, რომ მუდამ წარსულზე ფიქრობს ან წარმოიდგენს, მომავალში რა ელოდება. უმჯობესია ყურადღება მიაქციოთ იმას, სწორედ ახლა, ამ წამში თქვენს თავს რა ხდება. დაფიქრდით, ცხოვრება გვერდით ხომ მიქრის? კართან დადექით და წარმოიდგინეთ, რომ დერეფანი — ეს თქვენი წარსულია, ხოლო ოთახი — თქვენი მომავალი. თუ მუდამ ერთი ფეხით წარსულში იმყოფებით, ხოლო მეორით მომავალში, აწმყოში რაღას დაინახავთ?

### 5. კროსვორდად ნუ იქცევით

როგორ ფიქრობთ, მუდამ რაღაცის სწავლა კარგია თუ ცუდი? წარმოიდგინეთ, ცოდნა — ეს არის საკვები, რომელიც ტვინს ასაზრდოებს. რა დაემართება, თუ აიძულებთ, უწესრიგოდ და იმით იკვებოს, რაც ხელში მოგხვდებათ? რა უფრო სასარგებლოა, რეგულარული ჯანსაღი კვება თუ მსუნაგობა? იქნებ შიმშილობა? ისწავლეთ ტვინის რეგულარულად და შერჩევით კვება. უწესრიგო, ზედაპირული ცოდნით ნუ დაანაგვიანებთ, მოსიარულე კროსვორდს ნუ დაემსგავსებით.

### 6. მწერებისგან ვსწავლობთ

ფიქრობთ, თუ ვინმეს დახმარებას სთხოვთ, ამით მათ იყენებთ? წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა კაცობრიობა, ადამიანებს ერთმანეთისთვის თავიანთი ცოდნის გადაცემა-გაზიარება რომ შეეწყვიტათ და ყოველ თაობას სამყაროს შეცნობა ნულიდან დაეწყო. ტარაკნებიც კი ერთმანეთს უზიარებენ ინფორმაციას საშიშროების ან საკვების წყაროს შესახებ. სხვა ადამიანების გამოცდილება და ცოდნა უბრალოდ შეუფასებელია და დიდი ძალისა და დროის ეკონომიას ეხმარება. ისარგებლეთ სხვების დახმარებით, თქვენც გაუწოდეთ ხელი. ეს ცხოვრებას უკეთესს გახდის, სულს — უფრო კეთილს.

### 7. თეთრი ყვავი – ეს ცუდია?

საერთო მასიდან გამორჩევა-გამოყოფა ულამაზოა? თავს უფლებას აძლევთ იყოთ თავისთავადი, თქვენი შეხედულება გქონდეთ თუ უკვე ქალაქის მკვიდრის ნიღაბი მოირგეთ? გაიხსენეთ, ცნობილი ადამიანები. თითოეულ მათგანს რაღაც უცნაურობა სჭირდა ან შეიძლება უბრალოდ თავიანთი ჭეშმარიტი სახის ჩვენების არ ეშინოდათ? წარმოიდგინეთ, თქვენში რამდენი ძალა და ენერგია გამოთავისუფლდება შემოქმედებითი აქტივობისთვის, თუ შეწყვეტთ, ყოველდღიურად დამღლელი სამუშაო შეასრულოთ — სხვა ადამიანის როლი ითამაშოთ.

✓ მოამზადა აზა გაგოშიძემ



Cyan Magenta Yellow Black



— მგელი შამაგვეჩვია ხევსურეთში, — ეუბნება უბნის ინსპექტორის ონისე ფირიტაური, — უნდა მავკლა.

— ა, არ შაიძლება, მოკვლა აკრძალულია! — შეიცხადა ინსპექტორმა.

— მა რა ვქნა? გაწყვიტა საქონელი.

— უნდა დაიჭირო, კასტრაციას გაუკეთებენ და გაუშვებენ.

— ბეჩავ, გეუბნები, ცხვარ-ძროხას ახრჩობს, განა ჩემ ცოლ ეარშიყება!

— რატომ გამოეკიდეთ მეზობელს დანით? — ეკითხება მოსამართლე ბრალდებულს.

— გარბოდა და, აბა, რა მექნა?

## ქართული ანეკდოტები

❖ ❖ ❖

ქალი დგას დიდუბის ხიდზე და წყალს დასცქერის. მიუახლოვდა ქუთაისელი.

— რაცხა, შენ ისთე გატყობ, ქალბატონო, რომე წყალში აპირობ გადახტომას და არ ქნა მაგი.

— სწორად გამოიცანი, — სევდიანად შეხედა ქალმა, — ჩემმა ქმარმა სიცოცხლე მომიწამლა და სხვა გზა არ მაქვს, თავი უნდა დავიხრჩო.

— არ ქნა, გოგო, მაგი. წამომყევი მე ცოლად, ქუთაისში წაგიყვან.

— შენც რომ იმასავით მომიწამლო სიცოცხლე? — დაეჭვდა ქალი.

— მერედა, შე დალოცვილო, არ იცი, რიონი მტკვარზე სუფთა რომაა?

❖ ❖ ❖

— ქალო, სამსახურიდან რომ მოვალ სახლში, სასიამოვნო რამე უნდა მითხრა ხოლმე, — ბუზღუნებს ქმარი.

— კი, ბატონო, სასიამოვნოს გეტყვი. დარეკეს შენი სოფლიდან. დედაშენი ჩამოვარდნილა ხიდან, ტვინის შერყევა მიუღია და ორივე ფეხი მოუტეხია.

— აქ რა არის სასიამოვნო, ქალო?!

— ჯერ ცოცხალია.

❖ ❖ ❖

ზესტაფონელს ეკითხებიან:

— თუ მაგარი ხარ, გვითხარი, როგორ უნდა მიიყვანო ქალი ორგაზმამდე.

— ჯერ ისი უნდა გეიგო, საიდან მეიყვანე ი ქალი.

❖ ❖ ❖

— რამ გააგიჟა შენი პაციენტი? — ეკითხება ერთი ფსიქიატრი მეორეს.

— წარმოიდგინა, რომ ახალი მერსედესი იყო.

— ალბათ ავარიაში მოყვა.

— მეც ეგრე მეგონა, მაგრამ არაფერი აქვს დაზიანებული.

❖ ❖ ❖

ლოთები პათანატომიურ მუზეუმში:

— გული მიკვდება, ქილებში დასპირტულ ცხოველებს რომ ვხედავ.

— ასე გიყვარს ცხოველები?

— ეგ რა შუაშია? აზრზე მოდი, რამდენი ლიტრა სპირტი იქნება ამ ქილებში!

❖ ❖ ❖

— რამდენი კილო ხარ, სიმონ?

— სათვალიანად 122.

— სათვალის გარეშე?

— შე რეგვენო, მაშინ როგორღა დავინახავ, რამდენი კილო ვარ!

❖ ❖ ❖

— ოო, რა ბიჭი დავინახე ავტობუსში! — აღტაცებით უყვება გოგო დაქალს, — მიყურებდა... რა ბიჭი იყო, რა მაღალი, ლამაზი, ნატიფი ხელები. ისეთი გრძელი და ლამაზი თითები ჰქონდა... ვაიმე!

— რა იყო, გოგო?

— სადაა ჩემი საფულე?!

❖ ❖ ❖

შუაღამეზე კახელი ცოლს აღვიძებს:

— აჰა, დალიე, ნიმესილია ეს. თავის და წელის ტკივილს აყუჩებს.

— მიწა კი დაგაყარე, რათ მინდა? არც თავი მტკივა და არც წელი!

— ააა! ხომ გამაგიჟირე, აბა, ახლა გადმობრუნდი, ქალო, თორემა!..



სვანმა მოკლული დათვი თბილისიდან მესტიაში ჩაიტანა.

— თბილისში დათვი როგორ მოკალი?! — გადაირივნენ მეზობლები, — სად გადაეყარე?!

— რა გადაყრა მაგას უნდოდა, ველოსიპედით კატაობდა ცირკში.



ხანგრძლივი კვლევების შედეგად სოციოლოგებმა კაცის გალოთების ორი და უტყუარი მიზეზი დაადგინეს:

1. მას ცოლი არ ჰყავს;
2. მას ცოლი ჰყავს.



პენსიონერი პროფესორი ახალგაზრდა ლამაზ სტუდენტს ხელს სთხოვს.

— წამოგყვები, მაგრამ იცოდე, მე ყოველდღე მინდა სექსი, — გაეღადავა ქალი.

— არ არის პრობლემა, მე, მაგალითად, ხუთშაბათს ჩამწერე.

✓ შეკრიბა
მურმან მერკვილიშვილმა,
ქეთი ხარატიშვილის ნახატები




შხამიანი და ქამა სოკო გვერდიგვერდ დგანან. დაინახეს კაცი კალათით ხელში.

— ახლა ვილაცას ყელს გამოჭრიან, — ჩაიხითხითა შხამიანმა სოკომ.

— ვილაცას კიდევ გასრესენ, — არ ჩამორჩა ქამა.






რობერტ ბლოხი

# ჰამლეტს მკვლელი თამაშობდა

ჯენტლმენებო, თქვენ შეუძლებელს მთხოვთ! ყველაზე დიდ ჰამლეტს ნამდვილად ვერ დავასახელებ...

იმ ორმოცდაათი წლის მანძილზე, რაც თეატრალურ კრიტიკოსად ვმუშაობ, ვინ აღარ ვნახე — ბერიმორი, ჰოვარდი, რედგრეივი, ოლივიე, ბარტონი და კიდევ ბევრი გამორჩენილი არტისტი, ვინც დანიის პრინცს ასახიერებდა.

მე ყველანაირი ჰამლეტი მინახავს, ვისი წარმოდგენაც კი შეიძლება: შემოკლებულ და სრულ ვერსიაში, ორიგინალურ ტანსაცმელსა და თანამედროვე სამოსელში და, თქვენ წარმოიდგინეთ, სამხედრო ფორმაშიც კი. ის კი არადა, შავკანიანი ჰამლეტის ხილვაც მომიხდა და ქალების ნახვაც პრინცის როლში, მოკლედ, ყველა შესაძლო ჰამლეტის, ამიტომ არ გამიკვირდება, თუ დღეს ჰამლეტის თამაშს რომელიმე დაუბანელი, გრძელთმიანი ჰიპი გადაწყვეტს. მიუხედავად ამ ყველაფრისა, საუკეთესო მსახიობის ან დადგმის დასახელება ჩემს ძალ-ღონეს აღემატება.

მაგრამ თუ ყველაზე დასამახსოვრებელი ჰამლეტი დაგაინტერესებთ, დიდი სიამოვნებით, პრობლემა არ არის. ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა, ასე ვთქვათ, სხვა ოპერიდან, თან ყველაფერი დღესავით ნათელი...

დღეს მშფოთვარე ოციანი წლები სუსტ ექოდ ჩაგვესმის. იმდენი წელი გავიდა, ასეც უნდა იყოს, მაგრამ მახსოვს დრო, როცა იმდროინდელი მკაფიო ხმები ისე კარგად მესმოდა, თითქოს ეს მხოლოდ გუშინ იყო.

ყმაწვილობაში დიდი ჩიკაგოს დიდი ორომტრიალის ეპიცენტრში მოვხვდი, ჰეპტის, მაკ-არტურის, ბოდენჰეიმის, ვინსენტ სტარეტისა და სხვა მაგარი ბიჭების ჩიკაგოში, მაგრამ იმის თქმა, რომ ამ დიდებულ საზოგადოებაში გავითქვიფე, ჩემი მხრივ აშკარა გადაჭარბება იქნებოდა. ცხადია, არა, არ ვიყავი.

მე მაშინ მხოლოდ ვადექი თეატრალური კრიტიკოსის გზას და მეორეხარისხოვან გაზეთ „მორნინგ გლოუბში“ ვმუშაობდი. მიუხედავად ამისა, უფრო სწორად, სწორედაც ამის გამო თეატრებში სულ დავდიოდი, ყველა სპექტაკლს ვესწრებოდი და ყველა მსახიობი ნანახი მყავდა. იმ წინადეპრესიულ წლებში კი, მერწმუნეთ, ნამდვილად იყო ყველაფერი, რისი ან ვისი ნახვაც ღირდა. სცენის ვარსკვლავებში ყველაზე დიდი პოპულარობით შექსპირი სარგებლობდა. ზოგიერთი მსახიობი მხოლოდ დიდი ბარდის როლებს თანხმდებოდა და მათზე იყო დახელოვნებული.

ყველას რა გაიხსენებს, მაგრამ უოლტერ ჰემპდენი, ფრიც ლეიბერი და, ბუნებრივია, რიჩარდ ბარეტი კარგად მახსოვს. არაა გასაკვირი, ამდენი ხნის შემდეგ ეს უკანასკნელი ცოტა ვინმეს თუ ემახსოვრება. ამასთან, ის მრავალი წლის განმავლობაში იმ დასში ირიცხებოდა, მთელ ქვეყანაში რომ მართავდა გასტროლებს შექსპირის ტრაგედიებით. და მაინც, მაშინ, ნახევარი საუკუნის წინ, ის ამერიკაში ძალიან ცნობილი მსახიობი იყო. ამიტომაც, როცა გაზეთის რედაქტორმა ჩიკაგოს რომელიმე კარგი მსახიობისგან ინტერვიუს აღება დამავალა, არჩევანი რიჩარდ ბარეტზე გავაკეთე.

ჯენტლმენებო, არ დაიჯერებთ, მაგრამ მასთან ჩემი პირველი შეხვედრა შესანიშნავად მახსოვს. ისე კარგად, თითქოს ეს გუშინ იყო ან სულაც დღეს დილით.

ჩვენ კაფეში შევხვდით. რიჩარდ ბარეტთან საუბარი ძალიან სასიამოვნო გამოდგა. ის მეტად ჭკვიანი და ნაკითხი თანამოსაუბრე იყო. ბევრ თემაზე მშვიდად და საქმის ღრმა ცოდნით ლაპარაკობდა.

ეს დიალოგი ალბათ ასევე წყნარად გაგრძელდებოდა, საუბარი მის საყვარელ გატაცებაზე — დანიის პრინც ჰამლეტზე და უილიამ შექსპირზე რომ არ გადამეტანა. როგორც უკვე ვთქვი, შექსპირი და ჰამლეტი მაშინ მოდაში იყო, და აი, მეც, ალბათ ამ მოდის გავლენით, ასეთი კითხვა დავუსვი:

— „ჰამლეტის“ თანამედროვე ინტერპრეტაციაზე რა აზრი გაქვთ?

— მკვეთრად უარყოფითი, — მომიგო უყოყმანოდ, — ყველა წინანდელი დადგმა არასწორი იყო და წარუმატებელი.

— მსახიობები?

— მსახიობები... კი, ზოგიერთები რაღაცას ცდილობდნენ, მაგრამ ეს ის არ იყო, რაც უნდა ყოფილიყო ანუ რაც ცოცხალ შექსპირს მოეწონებოდა, ან თუნდაც მე.

— მისტერ ბარეტ, არ მეგონა, ასეთი მკაცრი თუ იქნებოდით.

— მკაცრი კი არა, სამართლიანი, — შემისწორა მან, — ახლა ჩემს ერთ ჩანაფიქრს გაგანდობთ, თქვენ კი, როგორც დამწყებ თეატრალურ კრიტიკოსს, შეგიძლიათ ისე მოიქცეთ, როგორც გენებოთ, ანუ ან ახლავე გამოაქვეყნოთ, ანდა სამომავლოდ შემოინახოთ.

— გისმენთ, მისტერ ბარეტ.

— უდიდესი ბარდის უკვდავი ქმნილების ახალ დადგმას ვამზადებ. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩემი ვერსია ძირფესვიანად შეცვლის ადამიანების წარმოდგენას ჰამლეტზე.

— საინტერესოა, — ჩავურთე ღიმილით.

— თხუთმეტი წელი მივილტვოდი იმისკენ, რომ ქვეყნიერებისთვის ნამდვილი ჰამლეტი მეჩვენებინა, — ანთებული თვალებით განაგრძო რიჩარდ ბარეტმა, — არ გეგონოთ, რომ ეს ადვილი იყო. თხუთმეტი წლის მანძილზე ყველაფერს ვიკლებდი, უამრავ სირთულეს ვლახავდი, იაფფასიანი სასტუმროების ნომრებში ბაღლინჯოების ნადავლი ვიყავი, შხამიანი ჰამბურგერებისა და ჩიზბურგერების იმედად დარჩენილმა კოლიტი, გასტრიტი და კუჭის წყლული ავიკიდე. აი, რა ძნელი გზა განვვლე.

ბარეტი გაჩუმდა, მერე დამწუხრებულ სახეზე ნათელი მოეფინა და განაგრძო:

— ჩემმა მოთმინებამ და სიჯიუტემ ბოლოს მაინც გაიმარჯვა. ერთი თვის შემდეგ ბროდვეიზე ჩემი დადგმის პრემიერაა!

ჩემდაუნებურად გამეღიმა, რასაც მისი მყისიერი რეაქცია მოჰყვა:

— ვიცი, რატომაც გეღიმებათ და ახლა რაც გაიფიქრეთ.

— მე... ეს ისე...

— სპექტაკლის დადგმას საკმაო ფული სჭირდება და ამას საიდან ექნებაო. ეს გაიფიქრეთ, ხომ? კარგი. ნუ მიპასუხებთ. ახლავე აგიხსნით, რა როგორ. მისტერ მაკალოზე გსმენიათ რამე?

უარის ნიშნად თავი გავაქნიე.

— ეს ან გარდაცვლილი კაცი ჩიკაგოს ფოლადსასხმელი ქარხნების მფლობელი იყო, აქედან გამომდინარე, თუ მილიარდერი არა, მილიონერი მაინც, რაც მის ქვრივს, მისის მაკალოს ნამდვილად ეცოდინება. ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ამ ქალს, რომელმაც ქმრის სიკვდილის შემდეგ ქველმოქმედებას მიჰყო ხელი, მეც კარგად ვიცნობ. ჩემი დადგმის დაფინანსებაც სწორედ მან ითავა და... — მსახიობი უცებ გაჩუმდა და ჩემს მხარს მიღმა გაეყინა მზერა.

გაკვირვებით მივიხედე უკან. ჩვენს მაგიდას მაღალი, მოხდენილი ქალი უახლოვდებოდა. ფოლადის მაგნატის რობერტ მაკალოს მეუღლე თვალითაც არ მენახა, მაგრამ გუმანით მივხვდი, რომ ის იყო — ქვრივი მეცენატი ქალი,



Cyan Magenta Yellow Black

რომელმაც თეატრის, კერძოდ კი რიჩარდ ბარეტის დახმარება გადაწყვიტა.

— რა სასიამოვნო სიურპრიზია, — თქვა რიჩარდმა ხმადაბლა, როცა ქალი მოვიდა და თავისუფალ სკამზე დაეშვა.

რაკი მის ხმაში დიდი სიხარული ვერ შევნიშნე, გაკვირვებით შევაჩერდი. რაღაც ამის მსგავსი, ეტყობა, მოსულმაც ვერ დაიჭირა.

— სასიამოვნო სიურპრიზი! — ჩაიქირქილა მან, — უცებ დაგიჯერე, აა! როგორც ჩანს, ამნეზია შეგეყარა! აღარაფერი გახსოვს!

— რატომ ასეთი ტონ...

— მორჩი, რა! — გააწყვეტინა სიტყვა მისის მაკალომ, — დაგავიწყდა. სადილად რომ დამპატიჟე?

— დაწყნარდი, გოლდი... არაფერიც არ დამვიწყებია.

— გეყო-მეთქი ტყუილები! — შეუღრინა გოლდიმ.



ქუჩური სლენგის გამო მისის მაკალო ჩემთვის უკვე გოგოდ იქცა. მას უსიამოვნო, ოდნავ ჩახრინწული ხმა ჰქონდა, მაგრამ თვალისმომჭრელად ლამაზი იყო. თუ მის ზედმეტად მკვეთრ მაკიაჟს და ძალიან მოკლე კაბას გავითვალისწინებთ, ამ გოგოს უფრო გამომწვევად მიმზიდველი ეთქმოდა.

ბარეტი თითქოს მოინუსხა. დაპატარავდა კიდეც თითქოს, აღარც თავისი ჰამლეტი ახსოვდა და აღარც თეატრი საერთოდ.

— გაიცანი. პროტეჟეა ჩემი, გოლდი კონორსი, — ჩაილაპარაკა ბარეტმა ხმადაბლა.

ეს ქალი მაშინვე გამახსენდა, როგორც კი გაიღიმა და ოქროს კბილი გამოაჩინა. ცხადია, ვიცანი. მე ხომ რეპორტიორი ვიყავი. ეს კბილი არა მარტო ჩიკაგოელი პრესის მუშაკებისთვის იყო ცნობილი, არამედ აქაური წესრიგის დამცველებისთვისაც. ჩვენი ქალაქის შავი სამყაროსთვის ეს ქალი „გოლდი ოქროს კბილი“ იყო. ის „მაგარ“ ბიჭებთან მეგობრობდა და დამნაშავეთა წრეში, როგორც ამბობდნენ, დამსახურებული ავტორიტეტითაც სარგებლობა.

გაკვირვებით შევხედე მსახიობს. არ მეგონა, ასეთი ნაცნობები თუ ეყოლებოდა.

— მიხარია თქვენი გაცნობა, — გოგონა დაბღვერილი შემომცქეროდა. როცა არ იღიმებოდა, ავი და აგრესიული ჩანდა, — ხელი ხომ არ შეგიშალეთ?

— ცხადია, არა, — სწრაფად თქვა რიჩარდ ბარეტმა, ტონი კი ისეთი მაამებლური ჰქონდა, თითქოს სტუმარს ბოდიშს უხდის და ელაქუცებაო.

— შენ მოკეტე! — თვალები დაუბრიალა მაგნატის ქვრივმა, ახლა უკვე აღარც ლამაზმა და აღარც გამომწვევად მიმზიდველმა.

— მაპატიე, გოლდი, — სულ დადნა საბრალო ბარეტი, — მინდოდა, დამერეკა და გამეფრთხილებინე, რომ ვერ მოვიდოდი, მაგრამ ვერ მოვასწარი. ყველაფერი ისე უეცრად მოხდა, რომ...

— მორჩი ზღაპრებს! — ისე საზარლად ჩაიხითხითა გოგომ, რომ ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ახლა უკვე მესმოდა, რატომ სცემდნენ კრიმინალურ სამყაროში პატივს, — შენ შემპირდი, რეპეტიცია გვექნებაო...

რიჩარდ ბარეტი მომიბრუნდა და უნიათო ღიმილით გოგოს ნათქვამი განმიმარტა:

— მის კონორსს მსახიობობა უნდა. ჩემი აზრით, მისგან ნამდვილი მსახიობი დადგება, უფრო სწორად, ამაში დარწმუნებული ვარ. უნდა აღვნიშნო, რომ რაღაც-რაღაცა მონაცემები ნამდვილად აქვს.

— რაღაც-რაღაცა მონაცემები?! — გოლდი საწყალ მსახიობს როკაპივით ეცა, — როცა ადრე დიდ როლს მპირდებოდი... რა ჰქვია? ჰო, იმას... ოფელიას... მაშინ არ გითქვამს, რაღაც-რაღაცა მონაცემებიო?! მაშინ ტალანტი მქონდა, ახლა კი დავკარგე?! თქვი, დავკარგე? როგორც ვხედავ, ისე გამოთაყვანებულხარ, მართლა მოკლე მეხსიერება გქონია!

— ჰო, ჰო, საყვარელო... არაფერი დამვიწყებია. ახლავე ვაღიარებ, რომ ტალანტი გაქვს... ნამდვილი ტალანტი, — ბარეტი მის ხელს დასწვდა და მოფერება დაუწყო, — მაგრამ აქ, ამ კაფეში, როგორც ხედავ, არც ამის ადგილია და არც სერიოზული ლაპარაკის დრო...

— თუ ასეა, მაშინ დრო და ადგილი დამინიშნე და მორჩი ჩემს გაცუცურაკებას! ეს ყველაფერი ყელში ამომივიდა! ამევსო მოთმინების ფიალა, გესმის? გესმის, რაც გითხარი?

რიჩარდ ბარეტის არ ვიცი, ჩემთვის კი ყველაფერი ნათელი იყო, ამიტომ წამოვდექი და, ვიდრე კაფეს დავტოვებდი, მოწიწებით ვთქვი:

— მაპატიეთ, მაგრამ ჩემი წასვლის დროა. რედაქციაში იმდენი საქმე მაქვს, აუარებელი. მისტერ ბარეტ, ინტერვიუსთვის დიდი მადლობა. ახლა სასწრაფოდ უნდა დავამუშაო, მომდევნო ნომრისთვის რომ მოესწროს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

✓ *თარგმნა გურამ ჩხეტიანმა, ქეთი ხარატიშვილის ნახატი*

## ეს იცოდით?

❖ კომპოზიტორი ვაგნერი მუსიკალური ნაწარმოების შექმნის დროს სკამებსა და სხვა ავეჯზე აბრეშუმის ნაჭრებს აფენდა.

❖ მხატვარ ანრი მატისს დახატვამდე ყოველთვის უჩნდებოდა ვინმეს დახრჩობის სურვილი.

❖ მწერალ ედგარ პოს შეეძლო, საათობით მჯდარიყო მაგიდასთან და ცარიელი ფურცლისთვის ეცქირა.

❖ მწერალი ალექსანდრ დიუმა ხოლოდ კვადრატულ ფურცლებზე წერდა. თუ ასეთი ფურცელი გაუთავდებოდა, წერას წყვეტდა. მისი შვილი (მწერალი ალექსანდრ დიუმა უმცროსი) კი საწერად არ დაჯდებოდა, თუ ხუთჯერ არ შეჭამდა.

❖ კომპოზიტორი შუბერტი სანამ რამეს შექმნიდა, სავარცხელზე უკრავდა.






Cyan Magenta Yellow Black

თინათინ ბონი

# ოცნების ძიებაში

დასაწყისი №31-49

www.facebook.com/Tinatinbonney

## თავი 20

პირველი დღე ახალ სამსახურში. მშვენიერი ოფისი მაქვს. ასისტენტი მომიჩინეს, სალომე. ნორმალური გოგოა. ჯერ არ მაღიზიანებს. ზურას არ შევუწუხებივარ. ამიხსნა რაღაცეები და კლიენტების დახარისხება მთხოვა. ეს მარტივი დავალებაა. ცოტა ვნერვიულობ, რომ, რაც დრო გავა, თავს ვერ გავართმევ რთულ დავალებებს. არ ვიცი, რატომ დამივარდა თვითშეფასება. ვუყურებ მონიტორს. გვარები, პოზიციები, ფინანსური მაჩვენებლები. ნუთუ აწი დალაგდება ჩემი ცხოვრება? იქნებ ყველაფერი ისე ამეწყოს, რომ ოჯახიც შევქმნა, ბავშვიც გავაჩინო. მეც ხომ ვიმსახურებ პატარა ქალურ ბედნიერებას. კარი იღება და ზურა შემოდის ბლოკნოტით ხელში.

— ცოტა დრო მაქვს და ვიფიქრე, დავხედავ-მეთქი, — ჩემ წინ ჯდება.

— დიდი მადლობა, რომ ყურადღებას მაქცევ, — მართლაც მადლობელი ვარ.

— არაფერი გაქვს სამადლობელი, რამდენჯერ უნდა გითხრა?

— მე მაინც მადლობელი ვარ!

— ისე, სიტუაცია როგორ მოგწონს?

— საკმაოდ კარგია.

— კარგია? — ეცინება.

— რა იყო?

— ბრწყინვალეა!

— შენ ასე თვლი?

— აქ რომ ყველაფერი ბრწყინვალე არ იყოს, ესე იგი, მე ვერ ვაკეთებ ჩემს საქმეს.

— არ თვლი, რომ ძალიან ბევრს სთხოვ საკუთარ თავს?

— არ დაიწყო ახლა... — ეცინება.

— სიმართლე არავის უყვარს, — ვუღიმი.

— გახსენი ერთი ეგ ფაილი და მოგინიშნავ რამდენიმე მნიშვნელოვან პოტენციურ კლიენტს. ამოარჩიე, რომელიც გინდა და ხვალ სადილზე დავპატიჟოთ.

— მე და შენ?

— ხო. აწი ყოველ მეორე დღეს სადილზე ვატარებთ ხალხს, სანამ ყველა მათგანი ჩვენი კლიენტი არ გახდება.

— ანუ ჩემი მოვალეობაა ბევრი ვჭამო?

— შენი მოვალეობაა, ისინი მოაჯადოვო.

— ბუტაფორია ვარ?

— არა, ჭკვიანი, ლამაზი, მომხიბვლელი ქალი ხარ. იდეალური კანდიდატი ხარ.

— მოდი, შეხედე, — ვხსნი ფაილს.

მიახლოვდება, იხრება და იდაყვებზე ეყრდნობა. არც მიყურებს, მაგრამ ვხურდები შიგნიდან.

— აი, ეს ათი კაცი მონიშნე, — ზურა ეკრანზე მიმითითებს.

— და აქედან ვირჩევ?

— ხო, — სწორდება.

— კარგი. საღამომდე გეტყვი პასუხს.

— კარგი, მაგრამ რომელსაც ამოარჩევ, იმაზე ყველა ინფორმაციას მოგაწვდის შენი ასისტენტი.

— ეგეც უნდა დავიზეპირო?

— აუცილებლად, მთავარი ეგ არის. შენ მათზე უნდა იცოდე ყველაფერი და ესაუბრო ისე, თითქოს მთელი ცხოვრება იცნობ, — ზურა თვალს მიკრავს.

— არც ისე მარტივი სამსახური მქონია.

— არავინ შეგპირებია სიმარტივეს. გაითვალისწინე, რომ თითო დათანხმებული კლიენტიდან გექნება ბონუსი.



ზურა ოთახიდან გადის. ვიწყებ მონიშნული ათი კაცის თვალიერებას. ათივეს ფოტო მაქვს. არ არსებობს! სანდრო. სანდროა მათ შორის. იმის მერე, რაც ღამე გამომაგდო სახლიდან, უბრალოდ ვალდებულია, დამთანხმდეს შეთავაზებაზე. კარგი ბონუსიც მექნება! კმაყოფილი საზურგეს ვეყუდები და ვიზმორები. ახლა სანდროზე დოსიესაც მომცემენ და ყველაფერი მეცოდინება. ვურეკავ ჩემს ასისტენტს და ვთხოვ ინფორმაციას ალესანდრო მარანძანაზე. ვკიდებ ყურმილს. სანდროსთან გამოვძვრები, მაგრამ სხვებთან არც კი ვიცი, როგორ უნდა მოვიქცე. დარწმუნების ნიჭი კი გამაჩნია, მაგრამ პრაქტიკა დიდი არ მაქვს. მომდის სალომესგან ელექტრონული შეტყობინება. ვხსნი. სანდროს ფოტო. რა სიმპათიურია! შემდგომი ინფორმაცია დედაზე, მამინაცვალზე, ოჯახურ ბიზნესზე, ყოფილ მეუღლეზე. დიდი ქონების პატრონი ყოფილა. ამდენს ვერ წარმოვიდგენდი. სად დამასწრო ლენამ. სულ ცოტა ადრე რომ გამეცნო, ჩემი იქნებოდა. ნუ, რას ვიზამთ. გავაფრთხილო სანდრო თუ არა? ჯობია — არა. ვურეკავ სალომეს და ვეუბნები, რომ შეატყობინოს ბატონ ზურაბს, კლიენტი არჩეულია. ვალაგებ დანარჩენი ცხრა კლიენტის ფოტოს ისე, როგორც მათი გაცნობა მსურს. ჯერ სიმპათიურები. მობილური რეკავს.

ვპასუხობ.

— დედა, აბა, როგორ ხარ? — მესმის დედაჩემის ხმა.

— კარგი, რა, დედა! ასე უნდა მირეკო?

— ნუ ჩხუბობ! მაინტერესებს, ხომ ყველაფერი რიგზეა?

— ამხელა ქალი ვარ, რა თქმა უნდა, ყველაფერი რიგზეა!

— ხალხი კარგია?

— კი.

— კაბინეტი?

— ძალიან.

— საქმე ბევრია?

— დედა, შენ თუ გელაპარაკები მთელი დღე, არ მეცოდინება, საქმე რა მაქვს.

— სადილი დაგახვედრო?

— არა, დედა, არ მინდა არაფერი.

— ჩვენი ბიძაშვილები რომ არიან სენაკიდან, ხომ გახსოვს?

— ჩვენ ბიძაშვილები გვყავს სენაკში?

— ჩემი მამიდაშვილის მეორე ქმრის ნათესავებზე გეუბნები.

— ვაიმე, დედა, არ მახსოვს და რა ხდება?

— ჩამოდიან ორი დღით და მიშო რომ არაა, გავაჩეროთ, რა, ჩვენთან.

— დედა!

— რა იყო ახლა ორი დღე.

— არ გადამრიო ახლა შენ...

შემოდის განრისხებული ზურა და კარს აჯახუნებს.

— დაგირეკავ! — მობილურს ვთიშავ.

— თავხედი!

— ვინ? — ბეჭებში ვიმართები.

— ვინც შენ აარჩიე! მარანძანა!

— რატომ?

— უარი გვითხრა შეხვედრაზე.

— ნუ...

— ჯერ სალომეს უთხრა უარი, მერე მე დავურეკე და ასე მითხრა, აწყობილი მაქვს ყველაფერი და თავს ნუ ამატკიებთო.

— არ უნდა კაცს და რა ქნას?

— მაგაშია საქმეც, რომ უნდა მოვანდომოთ. სამწუხაროა, რომ პირველივე არასწორი კლიენტი ამოარჩიე.

— ათი კაცი შენ მომეცი!

— და ათიდან უვარგისი შენ ამოარჩიე.

— ეგრე, ხომ? თქვენ მოლაპარაკება არ იცოდეთ, რა ჩემი ბრალია!

— ანუ შენ დაითანხმებდი?

— ნამდვილად.

— მიდი, — ზურა ყურმილს მაწვდის და ნომრის აკრეფას იწყებს.

ვიღებ ყურმილს. იმედია, მიცნობს.

— გისმენთ, — მპასუხობს სანდრო გაღიზიანებული.

— ბატონო ალესანდრო, მე ვარ ალექსანდრა ჯიბუტი, ვიცი, რომ უკვე უარი განაცხადეთ ჩვენთან შეხვედრაზე, მაგრამ მინდა, დაგარწმუნოთ, რომ იმ სერვისს, რომელსაც ჩვენ გთავაზობთ, სხვა ვერავინ გაგიწევთ. ჩვენი ბანკი საუკეთესოა!

— თავი გამან... ალექსანდრა, შენ ხარ?

— დიახ.

— ოფიციალურად რატომ მელაპარაკები?

— რადგანაც დაინტერესდით, მინდა, რომ ხვალ სადილზე მოგიწვიოთ.

— მაბნევ.

— მე და ბატონი ზურაბი შეგხვდებით და აგიხსნით ყველაფერს.

— მარტო არ ხარ?

— დიახ.

— გამაშტერე, მოკლედ. კაი, ხო, მოვალ ამ სადილზე!

— ულრმესი მადლობა! ხვალ, საღამოს შვიდ საათზე.

— მომწერე ან დამირეკე, მარტო რომ იქნები!

— ულრმესი მადლობა, ბატონო ალესანდრო და შეხვედრამდე, — ყურმილს ვკიდებ.

— დაგეთანხმა? — ზურა გაოცებულია.

— რა თქმა უნდა.

— ასე მარტივად? — ზურა წარბს წევს.

— დამაჯერებელი ხმა მაქვს ალბათ.

— კარგი, გადასარევი! — კმაყოფილია.

— ნუ მაცდენ, — ვეუბნები მკაცრად.

ცინიკურად ეცინება და ოთახიდან გადის. შევებით ვსუნთქავ. ძალიან მჭირდება

ეს სამუშაო! ვწერ სანდროს მესიჯს: „მადლობა“.

მალევე მპასუხობს: „რა ჯანდაბა ხდება?“.

მე: „სამსახური დავიწყე“.

სანდრო: „მოძალადე ბანკირი გახდი?“☺.

მე: „არა, მაგრამ ძალიან მჭირდება, რომ ხვალ რამეზე მაინც დაგითანხმოთ“.

სანდრო: „ლენას რომ არ შევრიგებოდი, გეტყოდი, ნატურით გადამიხადე-მეთქი“.☺.

მე: „გადაგიხდიდი სიამოვნებით“.

სანდრო: „ტვინს ნუ მირევ!“.

მე: „მიხარია, თუ კარგად ხარ“.

სანდრო: „კარგად ვარ. გკოცნი ბევრს. ხვალ გნახავ“.

მობილურს მაგიდაზე ვდებ და კლიენტების დახარისხებას ვუბრუნდები.

შევდივარ სახლში. სამზარეულოში ხმაურია. ოხ, ლილი! შევდივარ ჩემს ოთახში, ვიცვლი და სამზარეულოში გავდივარ.

— დედააა, რამხელა გოგოა! — ხტება სენაკელი შორეულზე შორეული ნათესავი.

ხმის ამოღებასაც ვერ ვასწრებ, ისე მაქცევს თავის მკლავებში საყვარელზე საყვარელი ჟენია დეიდა. მისი ქალიშვილი ჩემზე რამდენიმე წლით პატარაა. ის მშვიდად მკოცნის და ნამცხვარს უბრუნდება. იძულებით ვურთიერთობ ნათესავებთან. ერთი საათი ვძლებ. შემდეგ გათიშული მივლოღავ საძინებელში და ვიძინებ.

ირაკლი განრისხებულია. წინ და უკან დადის. ეს როგორ გაუკეთეს? ეგოისტები!

— დაწყნარდი! — ეუბნება ბიძამისი.

— ინდოეთიდან ჩამომაქანეს, კინაღამ მოვკვდი ნერვიულობით!

— დედაშენს, აქ უნდოდა, რომ ჰყოლოდი. მოხუცდა, შვილო, ვერ ძლებს უშენოდ.

— დავბრუნდებოდი, მაგრამ ჯერ არა. ძალიან ცუდად მომექცნენ.

— ნუ, რა ჭკუას სთხოვ ქალებს? მამაშენის გარდაცვალების მერე ისედაც ძლივს არიან გონზე და შენ რომ წახვედი, საერთოდ გაგიჟდნენ.

— არა, გესმის? ჩამოვედი და დედაჩემი მშვენივრადაა. თურმე მოვენატრე. წავალ უკან!

— შვილო, მომისმინე, პატარა ბიჭი აღარ ხარ. შენ მათ სჭირდები! გესმის? ამ ოჯახში კაცი შენ ხარ და დროა, ამას შეეგუო.

ბიძამისი ოთახიდან გადის და ირაკლი სავარძელზე ჯდება. ჯიბიდან მობილურს იღებს და თინკას ფოტოს უყურებს. ულამაზესი ახალგაზრდა ქალი მომაჯადოებელ სანაპიროზე. იქ არის მისი ადგილიც. ირაკლის ადგილი იქ არის! კარი იღება და დედამისი შემოდის.

— შვილო...

— არაფერი მითხრა!

— შვილო, მომისმინე! — დედამისი გვერდით უჯდება.

— გისმენ, — ირაკლი წყნარდება.

— თუ იქ გინდა ცხოვრება, ჩვენგან შორს, ეს შენი უფლებაა. მე ვერ დაგიშლი.

ირაკლი თავს ხრის.

— მოდი, მამაშენის ფირმა გავყიდოთ, ეს სახლიც გავყიდოთ. მე ბავშვებთან გადავალ. შენ ნახევარი თანხა გეყოფა იქ ცხოვრების ასაწყობად. ჩვენც აქ მივხედავთ თავს, რესტორანს გავხსნით.

— დედა, მე დავბრუნდებოდი, უბრალოდ ჯერ არა...

— შვილო, დიდი ხანი რომ გაჩერებულიყავი იქ, აღარ დაბრუნდებოდი.

ირაკლი დედამისს იხუტებს და თავზე კოცნის.

— მაპატიე, შვილო.

— გაჩერდი, დედა!

— მაპატიე, რომ, როდესაც გჭირდებოდი, არ ვიყავი შენ გვერდით და იქით გიწევდა ჩემი მოვლა... მაპატიე, — ამბობს ტირილით.

— გეყოფა ახლა! — ირაკლი ცრემლებს იკავებს.

— თქვენ, ჩემი შვილები ხართ ჩემთვის ყველაფერი და სადაც ბედნიერები იქნებით, იქ მინდა იყოთ.

— დედა, მე აქ მინდა, თქვენთან. სიმართლე რომ გეთქვა, ხომ იცი, რომ ჩამოვიდოდი!

— არ ჩამოხვიდოდი, დაგკარგავდი! — მოთქვამს.

— გეყოფა, მორჩი! — ირაკლი ცრემლიან ლოყაზე კოცნის დედამისს.

— გშია? — დედამისი ხელსახოცით იმშრალებს თვალებს.

— ძალიან! — ამბობს ირაკლი ღიმილით.

— რა გაგიკეთო? ლობიანი გინდა? უცებ გამოვაცხობ!

— მინდა!

დედა დგება და ოთახიდან გადის. ირაკლი მობილურს უყურებს. თინკა ისევ ისეთი ბედნიერი, ულამაზეს სანაპიროზე. ირაკლი ღრმად ისუნთქავს და მობილურს ჯიბეში იდებს.

ვაიმე, მეორე დღეა და უკვე მეზარება მუშაობა. არაფერი ჩემგან არ გამოვა. ვიცი, რომ ვაგვიანებ, მაგრამ მაინც ვზოზინობ. ერთი საათი ვუყურებ ჩემს გარდერობს. რა ჩავიცვა? ძლივს ვწყვეტ, რა მინდა. ვემზადები, ვსაუზმობ და გავრბივარ სამსახურში.

ვუყურებ მონიტორს. წესით, დღევანდელი დღე სანდროს ინფორმაციას უნდა დავუთმო. ფინანსებზე ზურა ესაუბრება, მე კი, იქიდან გამომდინარე, რაც უყვარს, უნდა მოვენუსხო. მე კი ვიცი, მაგას რა უყვარს, მაგრამ აღარ მოხდება ეგ. მეღიმება. წინ ცხელი ყავა მიდგას. სანდროს ფოტო მთელ ეკრანზეა გამოჭიმული. ზურა შემოდის და სავარძელში ჯდება.

— აბა, როგორ ხარ?

— გადასარევად.

— მზად ხარ დღევანდელისთვის?

— მე ყოველთვის მზად ვარ, ზურა. კარგად არ მიცნობ ჯერ.

— მომწონს შენი თავდაჯერებულობა!

— მიხარია, რომ გუშინდელივით არ მიღრენ.

— მე? — ზურა საწყალ სახეს იღებს და მის მკაცრ ნაკვთებს ეს ძალიან არ უხდება.

— არა, მე.

— მე უფროსი ვარ და მეპატიება, თუმცა, ბოდიშს გიხდი, თუ ზღვარს გადავაჭარბე.

— არა უშავს.

— მაპატიებ? — მიღიმის.

— კი, — მეც ვუღიმი.

— საქმეს როცა ეხება, ზოგჯერ შეურაცხადი ვარ. ამიტომაც გამეყარა ცოლი.

— გეყოფა, ნუ მაცოდებ თავს.

— ვაიმე, ღმერთმა დამიფაროს! — ეცინება.

— იცი, შევამჩნიე, ქალები როგორ გიყურებენ აქ...

— როგორ?

— შიშნარევი ვნებით.

— ამიხსენი ოღონდ, ეგ რას ნიშნავს.

— ჯერ არ ვიცი, მაგრამ გავარკვევ.

— როგორი ინტერესიანი გოგო ყოფილხარ.

— აბა, რა გეგონა, აქ მომიყვანდი და მე შენზე ვერაფერს გავიგებდი?

— მე არც არაფერს გიმალავ.

— ოხ, ზურა, ზურა, ვინც შენ არ გიცნობს!

— ნეტა, ვინ მიცნობს რომ? — ხმამაღლა იცინის.

— მიდი, გამოტყდი, რომელ თანამშრომელ ქალთან გქონია სექსი, — ვეკითხები, ალბათ იმიტომ, რომ ძმაკაცურში მინდა გადავიყვანო ჩვენი ურთიერთობა ანდა უბრალოდ იდიოტი ვარ.

ზურა ახველებს.

— ეგრეც ვიცოდი! ბევრთან!

— არა, — ფეხზე დგება.

— სად მიდიხარ?

— საქმე მაქვს.

— ანუ ამ თემაზე საუბარი არ გსურს? — მეც ფეხზე ვდგები.

ზურა მიახლოვდება და კედელს ვეყუდები. თვალებში მიყურებს.

— შენს სამუშაო მაგიდაზე შეგვიძლია გვქონდეს სექსი, შენ თუ მოისურვებ, — მეუბნება და ტუჩებზე მიყურებს.

ჟრუანტელი მივლის. არის მასში რაღაც საოცრად მამაკაცური, სექსუალური, მაგრამ ძალიან საშიში. ცალყბად ეღიმება. გაქვავებული ვდგავარ. ახლა რომ დამაგდოს ამ მაგიდაზე, არ ვიცი, რას გავაკეთებ. ზურა უფრო მიახლოვდება. მისი ტუჩები ჩემგან სულ რამდენიმე სანტიმეტრშია. თვალებს ვხუჭავ, მაგრამ კარზე კაკუნს გამოვყავარ ტრანსიდან. ზურა იმ წამსვე უკან იწევს.

➔68



სალომე შემოდის და ზურას მობილურს აწვდის.

— ბატონო ზურა, თქვენმა მდივანმა თქვა, სასწრაფოაო.

— მადლობა, — ზურა მობილურს უყურებს.

სალომე გადის. ზურა მობილურს პასუხობს.

— დამელოდე ერთი წამი, — ამბობს და ჩემკენ ტრიალდება.

მე ისევ ისე ვდგავარ. წამიერად მიყურებს და შემდგომ ოთახიდან გადის. სკამზე ვეცემი. ნერვიულობისგან სულ გავოფლიანდი. რა უბედურებაა, კაცო! კინაღამ შეცდომა დავუშვი. ვატყობ, რომ მიზიდავს. ახლა ამის დრო არაა! ალექსანდრა, გონს მოეგე!

რესტორანში ვართ. ზურა გვერდით მიზის. ჩუმად ვართ. ცოტა უხერხულადაც ვართ. სანდრო აგვიანებს.

— ალექსანდრა... — მეუბნება ზურა.

— რა?

— დღეს არ ვიცი, რა დამემართა...

— არ გვინდა ახლა ამის გარჩევა.

— მე ვთვლი, რომ გვინდა!

დარბაზში შემოდის სანდრო. ყველა მას უყურებს, ის კი მე მეძებს თვალებით. მე და ზურა ფეხზე ვდგებით. ძალიან ლამაზი ვარ. მოკლე, ლურჯი გიპიურის კაბა მაცვია და აწეული მაქვს თმა. სანდრო გვიახლოვდება, ზურას ართმევს ხელს. მე მათვალიერებს, ეღიმება და ხელზე მკოცნის. ჩემ წინ ჯდება და თვალს არ მაცილებს.

— ბატონო ალესანდრო, დიდი მადლობა, რომ დრო დაგვითმეთ.

— სხვა გზა არ დამიტოვეთ, — სანდრო ისევ მე მიყურებს.

ვხვდები, რომ ზურა იძაბება.

— ხომ არ შევუკვეთოთ ჯერ? — ვეკითხები ზურას ღიმილით.

— კარგი აზრია, — ზურა მენიუს იღებს.

სანდრო მობილურში აკეთებს რაღაცას და შემდგომ იღებს მენიუს. ვუკვეთავთ.

— არ ვიცოდი, ბანკებში თუ ასეთი ლამაზი ქალბატონები მუშაობდნენ, — ამბობს სანდრო.

— მხოლოდ ჩვენს ბანკში. ქალბატონი ალექსანდრა ჩემი მარჯვენა ხელია, — ამბობს ზურა.

— კარგი მარჯვენა ხელი გყოლიათ, — სანდრო მაიმუნობის ხასიათზეა.

— იქნებ საქმეზე გვესაუბრა... — ზურა სერიოზულდება.

— ქალბატონი რასაც მეტყვის, იმას გავაკეთებ! — სანდრო ღვინოს წრუპავს.

— თუ ნებას დამრთავთ, მე გავახმოვანებ ქალბატონის სურვილებს, — ამბობს ზურა დაძაბული ღიმილით.

— გისმენთ.

ზურა ირთვება და ლაპარაკობს ჩემთვის აბსოლუტურად უცნობ თემებზე. უხერხულობისგან მობილურს ვიღებ. მესიჯი მომსვლია. ვხსნი.

სანდრო: „როგორ მინდა, გაგხადო ეგ კაბა“.

ნერწყვი მცდება და ვახველებ. ზურა მსუბუქად მირტყამს ზურგზე ხელს.

— რა დაგემართა?

სანდროს ცინიკურად ეღიმება და სალათს იდებს თეფშზე.

— გადამცდა რატომღაც. ყელი გამიშრა. ახლავე დავბრუნდები.

მობილურიანად გავრბივარ საპირფარეშოში. სახეზე ვისხამ წყალს და ვმშვიდდები. კინაღამ გული წამივიდა. ვწერ სანდროს.

მე: „კინაღამ გავიგუდე, არ ხარ შენ ნორმალური!“.

სანდრო: „გინდა, მანდ მოვიდე?“.

სასწრაფოდ გავრბივარ გარეთ და ვუბრუნდები მაგიდას. ვიცი, რომ მაიმუნობს და ლენას არ ულალატებს, მაგრამ მისი საქციელი ძალიან მოქმედებს ჩემზე. ჰაერი აღარ მყოფნის და გაფითრებული ვღეჭავ მჭადს.

— ზურა, მინდა გითხრათ, რომ დამაინტერესეთ.

— მოხარული ვარ.

— მე კარგად ავწონ-დავწონი ყველაფერს და თქვენს რომელიმე შეთავაზებას ნამდვილად დავთანხმდები.



— გაგვიხარდება, თუ მოგვეცემა შანსი, თქვენნაირი კლიენტი გვყავდეს.

— თქვენ საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე ხართ...

— დიახ.

— კლიენტებთან უფრო დაბალი საფეხური არ უნდა მუშაობდეს?

— მე მიყვარს ჩემი საქმე, ბატონო ალესანდრო და მინდა, რომ ჩემი მნიშვნელოვანი კლიენტები მიცნობდნენ და მენდობოდნენ.

— ვეტყობათ, რომ თქვენი საქმის პროფესიონალი ბრძანდებით.

— გმადლობთ.

— ქალბატონმა რაღაც მოიწყინა, — სანდრო მიღიმის.

როგორ მინდა, ამოვცხო ერთი წიხლი!

— არა, უბრალოდ გისმენთ.

— თქვენ ძალიან ნაცნობი სახე გაქვთ, — მეუბნება სანდრო.

— ნუთუ? თბილისში ხომ ყველას ნაცნობი სახე აქვს, — ვუღიმი.

— არა, აი, მგონია, რომ სადღაც შევხვედრივართ.

— შეიძლება. ისევ და ისევ, ეს ხომ თბილისია.

— თუმცა თქვენნაირი ქალი თბილისში არ დადის!

— მოკლედ, კომპლიმენტებს არ იშურებთ.

— მიჩვეული იქნებით მამაკაცების ყურადღებას.

ოხ, სანდრო! არ მინდა, ზურა რამეს მიხვდეს.

ზურა ისევ საბანკო საკითხებზე ერთვება და შევებით ვისუნთქავ. ვიწყებ ხალხის თვალიერებას. კიბეზე სამი ქალი და ორი მამაკაცი ჩამოდის. გული მეკუმშება და კიდურები მეყინება. ირაკლი გარუჯულია, აცვია თეთრი პერანგი და ლურჯი ჯინსი. სიცილით ამბობს რაღაცას და მეორე მამაკაცი მსუბუქად ჰკრავს ხელს. მუცელი მეჭიმება. ირაკლი გვამჩნევს და საოცრად ლაღად მომართება ჩვენკენ.

— ზურა, გამარჯობა, — ამბობს და ზურას ხელს უწვდის.

არ ვარ დარწმუნებული, მეჩვენება თუ ზურა ფითრდება. სანდრო ინტერესით გვათვალიერებს. ირაკლი სკამს წევს და სანდროს გვერდით ჯდება.

— ალექსანდრა, როგორ ხარ? — მეკითხება მშვიდად.

ვცდილობ, ხმა ამოვიღო, მაგრამ არ გამომდის. სანდრო წარბს ჭმუხნის.

— შენ როდის ჩამოხვედი? — ეკითხება ზურა და წყალს სვამს.

— გუშინ ჩამოვედი.

— არ გელოდით ასე მალე.

— ხომ იცი ჩვენების ამბავი, — ირაკლი იღიმის.

აი, ის ღიმილი, რომელიც ფიქრებშიც კი მათბობდა.

— აღარ მიდიხარ? — ეკითხება ზურა.

ვერ ვიგებ, რა ხდება, მაგრამ რაღაცაშია საქმე.

— არ ვიცი ჯერ. შევხედავ სიტუაციას.

ზურა ამჩნევს, რომ მე გაშეშებული ვარ.

— ირა, ბოდიში აქ საქმიანი შეხვედრა გვაქვს და...

— კი, რაზეა ლაპარაკი, — ირაკლი ფეხზე დგება.

— ბოდიში, რა.

— არა, როგორ გეკადრება. გამიხარდა თქვენი ნახვა.

ზურა ფეხზე დგება და ირაკლის ხელს ართმევს. ირაკლი მეგობრებს უბრუნდება. სანდრო თვალებს ჭუტავს და მიყურებს ისე, თითქოს ხვდება, ჩემს გულს რა ემართება.

— ჩემი ცოლისძმა, — ამბობს ზურა.

— დაოჯახებული ბრძანდებით? — ეკითხება სანდრო.

— გაცილებული გახლავართ.

— მეც, — ამბობს სანდრო სიცილით, — მაგრამ ხელმეორედ ვაპირებ მაგ შეცდომის დაშვებას!

— ძალიან რისკიანი ბრძანდებით, — ზურა ცდილობს, გაიცინოს, მაგრამ ძალიან დაძაბულია.

ნუთუ ირაკლის გამოჩენამ გამოიწვია ეს? ზურა საქმეზე აგრძელებს საუბარს. თვალს ვაპარებ ირაკლის მაგიდისკენ. გამწარებული ყვება რაღაცას. ამჩნევს ჩემს მზერას და მიღიმის. ჩვენი თვალები ხვდებიან და იმ წამსვე უფასურდება ყველაფერი, სამსახური, ფული, ზურა, სანდრო... მე ირაკლი მიყვარს... მიყვარს!

გაგრძელება შემდეგ ნომერში



Cyan Magenta Yellow Black

# ჩაი დაგვეხმარება

როგორც წესი, ბალახეული ჩაი მეტაბოლიზმს აჩქარებს, რაც, თავის მხრივ, გახდომას ეხმარება. გარდა ამისა, ორგანიზმს შლაკებისა და ტოქსინებისგან ასუფთავებს — სიმსუბუქის შეგრძნება და კანის მდგომარეობის გაუმჯობესება გარანტირებული გაქვთ.



დილით გაღვიძება გიჭირთ? აუცილებელი არ არის, ყავა დალიოთ. მთელი დღით ენერგიით დამუხტვაში მელისას და პიტნის სასმელი დაგეხმარებათ.

რთული დღის შემდეგ დაძინება გიძნელდებათ? კუნელის ან ცაცხვის ყვავილების ჩაი დალიეთ.

ზოგიერთი ბალახეული ჩაი, ისე როგორც ქამელეონი ფერს, თავის დანიშნულებას ტემპერატურის მიხედვით იცვლის. მაგალითად, ზაფხულის სიცხეში სალბისა და შავი მოცხარის გრილი სასმელი წყურვილს კარგად კლავს, ხოლო ზამთარში ამ ბალახების ცხელი ჩაი გაციების შეუცვლელი მკურნალია.

### ჯანმრთელობისთვის

ნერვიულობთ, ცუდად გძინავთ? მელისას ჩაი ადუნებს და ამშვიდებს. მელისა ქალებში კრიტიკულ დღეებში ტკივილსა და სპაზმებს ხსნის.

**პიტნის ჩაი** წყურვილს კლავს, საჭმლის მომნელებელი სისტემის მუშაობის ნორმალიზაციას ეხმარება, სპაზმებს ხსნის. უმჯობესია გამოიყენოთ არა ქორფა, არამედ გამხმარი პიტნა.

**გვირილის ჩაი**საჭმლის მონელებას აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ორგანოების დაავადებების დროს, აირების დაგროვებას თავიდან აგაცილებთ. ეს სასმელი გაციების პირველივე ნიშნების დროს დალიეთ.

**სალბის გრილი ჩაი** ზაფხულში აგრილებს, ხოლო ცხელი ნაყენი სასარგებლოა ცუდი მადის, თირკმლებისა და შარდის ბუშტის ქრონიკული დაავადებების დროს.

**ცაცხვის ჩაი** ნომერი პირველი საშუალებაა გაციების დროს. ეს სასმელი ასევე კარგია მოწამვლის შემთხვევაშიც.



# აკურატული მანიკიური

ლაქის ფერის შერჩევისას კანის ფერი გაითვალისწინეთ. თუ სპილოსძვლის ფერთან ახლოსაა, ფრჩხილებზე კარგად გამოჩნდება თბილი ფერები: თაფლისფერი, მუქი წითელი. ვარდისფერ სახის კანს მარჯნისფერი ტონის ლაქი მიესადაგება. მუქი კანის მფლობელებს ვურჩევთ, ცივი ფერის ლაქი გამოიყენონ.

ლაქის შერჩევის კიდევ ერთი მეთოდი: რაც უფრო მოკლეა ფრჩხილი, მით უფრო ხასხასა უნდა იყოს ლაქის ფერი.

ლაქი დიდხანს რომ გემსახუროთ: მზის სხივებისა და გამათბობლებისგან მოშორებით შეინახეთ; გამოყენების წინ ფლაკონი გადმოაბრუნეთ (თავით ქვევით) და ხელისგულებს შორის ასრიალეთ — ლაქი თანაბრად დაეფინება; ფლაკონის შენჯღრევა არ შეიძლება — წარმოქმნილი ჰაერის ბუშტები ფრჩხილებზე დარჩება და ლაქის საფარველს არაერთსახოვანს გახდის; ლაქის წასმის შემდეგ ფლაკონის ყელი აცეტონით გაწმინდეთ.

# ტატუს წესები

არავისთვის არის ცნობილი, ტატუს გაკეთება პირველად ადამიანმა ზუსტად როდის დაიწყო. მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ეს იყო დაახლოებით 4000 წელზე მეტი ხნის წინათ. დეკორატიულის გარდა, ნახატები დამატებით ინფორმაციულ ფუნქციას ასრულებდნენ. სურათის მიხედვით შეიძლებოდა განსაზღვრა, ადამიანი რომელ ტომს მიეკუთვნებოდა, რომელი სოციალური ფენის წევრი იყო. ზოგიერთი ტატუ მაგიურ ძალას ატარებდა და მოწოდებული იყო დასაცავად, წარმატების, ბედნიერების, კეთილდღეობის მოსაზიდად. ისტორიაში არის შემთხვევები, როდესაც გამოსაცვლელ ნახატებს ატარებდნენ, როგორც ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელს.



ტატუმ თავისი ადგილი დაიმკვიდრა თანამედროვე ადამიანის ცხოვრებაშიც. მოდა მასზე აქტუალური დარჩა, მოხატვა — უფრო სრულყოფილი. სადღეისოდ ყოველ მესამე ადამიანს შეუძლია მომხიბლავი ტატუთი თავი მოიწონოს. ქალებიც არანაკლებ ინტერესს ამჟღავნებენ ასეთი „სამკაულების" მიმართ.



### ამის ცოდნა საჭიროა

ტატუ მაღალკვალიფიციურ ოსტატთან გაიკეთეთ.

თუ არ გსურთ, ტატუ მთელი ცხოვრება ატაროთ, ისეთი გაიკეთეთ, რომელიც 7-10 წლის შემდეგ თავისით გაიხსნება, გაუფერულდება და გაქრება.

ტატუს გაკეთებიდან 3 დღის შემდეგ ნახატზე წარმოიქმნება ქერქი, რომლის აცლა არ შეიძლება. დაელოდეთ, სანამ თავისით არ მოსცილდება. ეს მოხდება 10 დღის განმავლობაში. ამის შემდეგ სრულად მოშუშდება.

ტატუს გაკეთებიდან 2 კვირის განმავლობაში აკრძალულია სოლარიუმი, საუნა, სპორტული ვარჯიშები, ცურვა, გარუჯვა ან უბრალოდ ტატუს მზის პირდაპირი სხივებისთვის მიშვერა. სანამ შხაპს მიიღებთ, აუცილებელია ნახატზე ცხიმიანი კრემი ან ვაზელინი წაისვათ.

გაიადვილეთ საჭმლის მონელება
იქონიეთ მიიღეთ ეფექტური
კრეზამი
თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს
www.krezam.ge
გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

## გავიცნობ, ვეძებ

### გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ ქალს ფარული შეხვედრებისთვის. 593172045

2. გავიცნობ 40 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის, ვისაც გვიან საღამოს შეეძლება შეხვედრები, სასურველია ცხოვრობდეს საბურთალოზე. 555195062. ირაკლი

3. გავიცნობ 30-35 წლამდე ქალს. ვარ სიმპათიური მამაკაცი. 555754377

4. გავიცნობ ნებისმიერი ასაკის მსუქან ქალს. ვარ 25 წლის. 551003304. გია

5. ვარ 33 წლის, მწვანეთვალება ბიჭი, 170/55. გავიცნობ თბილისელ, ლამაზ და მომხიბვლელ ქალს. 599941834

6. ვარ 33 წლის, მწვანეთვალება ბიჭი, 170/55. გავიცნობ თბილისელ, ლამაზ და მომხიბვლელ ქალს. 574477961

7. ვარ 30 წლის. გავიცნობ თბილისელ, 35-45 წლამდე ქალს, რომელსაც პატარა ასაკის ბიჭები მოსწონს. 598365397

8. გავიცნობ გათხოვილ ან განათხოვარ გოგოს, თბილისში მცხოვრებს. 555974906

9. გავიცნობ 40-55 წლამდე ქალს, ვარ 56 წლის. 555935477

10. სამეგობროდ გავიცნობ 30 წლამდე სიმპათიურ, თბილისელ გოგოს. ვარ მაღალი, სპორტული აღნაგობის, 38 წლის მამაკაცი. 599909457. გია

11. გავიცნობ 35 წლამდე, ოდნავ მსუქან ქალს შეხვედრებისთვის. 551216131. ანრი

12. ვარ 38 წლის მამაკაცი. გავიცნობ 45 წლამდე ქალს სამეგობროდ. ვცხოვრობ თბილისში. 555422544. გიო

13. ვარ 30 წლის, დაოჯახებული მამაკაცი. გავიცნობ 25 წლამდე სასიამოვნო გარეგნობის უპრობლემო გოგოს. 555710251. გიო

14. გავიცნობ იმერელ, მხოლოდ ქვრივ, სერიოზულ 37 წლამდე ქალს. ვარ 39 წლის მამაკაცი, დამიმესიჯეთ საღამოს 5 საათამდე. 555285870. ჯონი

15. გავიცნობ 35 წლამდე არამსუქან და ლამაზ გოგონას ლამაზი ურთიერთობისთვის. 577334456. ნიკა

16. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ თბილისელ, ბინიან, შეძლებულ გოგოს. ვარ 25 წლის, მაღალი, შავგვრემანი, სპორტული აღნაგობის, სიმპათიური ბიჭი. 598422038. რატი

17. სამეგობროდ გავიცნობ 28 წლამდე გოგოს დასავლეთიდან. 557199076

18. ვარ 43 წლის, კეთილი, მხიარული, ნდობით სავსე პიროვნება, სამეგობროდ გავიცნობ ქალს დასავლეთიდან. 558282018. გიორგი

19. გავიცნობ 28 წლამდე ლამაზ გოგოს სერიოზული ურთიერთობისთვის, თუნდაც განათხოვარს. 557255777. ნიკა

20. ვარ 36 წლის, დასაქმებული, ვცხოვრობ ქობულეთში. სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე ქალს, ვინც იცხოვრებს ჩემთან ერთად. დამიკავშირდით 6 საათის შემდეგ. 514224554

21. შეხვედრებისთვის გავიცნობ ზედმეტად მგრძნობიარე და კომპლექსიან თბილისელ გოგოს. 551509254

22. სამეგობროდ გავიცნობ სიმპათიურ, ალერსიან, უპრობლემო ქალს. ვარ საშუალო ასაკის მამაკაცი. 557104464. თემო

23. ვარ 28 წლის სიმპათიური მამაკაცი. გავიცნობ 45 წლამდე ქალს. 5555166. გიო

24. გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ სიმპათიური, დასაქმებული მამაკაცი. 555133257

25. გავიცნობ ლამაზი აღნაგობის, ფინანსურად ძლიერ, ბინიან გოგოს ფარული შეხვედრებისთვის, შესაძლებელია ოჯახის შექმნა. 555119003. „ოდნოებში“ მომნახეთ ალექსანდრე კუდუხოვი.

26. ვარ 23 წლის მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ სიმპათიურ ქალს. 558660712

27. გავიცნობ განათხოვარ ან გათხოვილ ქალს თბილისიდან ან რუსთავიდან. ვარ 27 წლის, დასაქმებული მამაკაცი. 555163585

28. გავიცნობ სულიერად ლამაზ და მშვიდ თბილისელ ქალს. 555675264. ნიკა

29. გავიცნობ ქალს შეხვედრებისთვის. ვარ 38 წლის მამაკაცი. 555532394

30. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ 30 წლამდე, ლამაზ გოგოს სერიოზული ურთიერთობისთვის. 598772903

31. გავიცნობ ქალს სამეგრელოდან. ვარ 32 წლის, სანდო პიროვნება, 555487223

32. ვარ 28 წლის. გავიცნობ ქუთაისელ გოგოს შეხვედრებისთვის. 598107203

33. სამეგობროდ გავიცნობ 42 წლამდე ქალს, რომელიც თავს მარტო გრძნობს და სურს შეიძინოს ერთგული და სანდო მეგობარი ბიჭი. ვარ 35 წლის, თბილი ადამიანი, ვცხოვრობ ზესტაფონში. 557451540

34. ვარ ბათუმელი, სიმპათიური, სპორტული აღნაგობის 31 წლის მამაკაცი. გავიცნობ აჭარაში მცხოვრებ 30-დან 50 წლამდე ქალს შეხვედრებისთვის. 557760791

35. ვარ 40 წლის, თბილისელი, სიმპათიური, გაცილებული მამაკაცი, სამეგობროდ გავიცნობ უფროსი ასაკის ქალს. 555639450

36. ვარ თბილისელი, სიმპათიური და დასაქმებული მამაკაცი. გავიცნობ 20-დან 35 წლამდე თბილისელ ქალს, მყავს ავტომანქანა. 557612439. გიო

**sms-ები გამოაგზავნეთ ორშაბათიდან. sms-ის გამოგზავნის ბოლო ვადაა შაბათი, 14 დეკემბერი, 17 საათი.**

**2017**

37. ვარ 22 წლის ბიჭი. სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე გოგოს. 555109884

38. ვარ 45 წლის მამაკაცი. შეხვედრებისთვის გავიცნობ ქალს. 551524721. გიო

39. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, არამსუქან 25-დან 45 წლამდე ქალს სერიოზული ურთიერთობისთვის. ვარ 45 წლის, სიმპათიური მამაკაცი. 599707625

40. ხანგრძლივი შეხვედრებისთვის გავიცნობ 32 წლამდე გოგოს. ვარ 26 წლის. 557503047

41. გავიცნობ თბილისელ, გამხდარ, ლამაზ ქალს თბილი შეხვედრებისთვის. ვარ 48 წლის მამაკაცი. 555654183

42. სამეგობროდ გავიცნობ 30 წლამდე, განათლებულ, წესიერ, სიმპათიურ, თბილისელ ქალს. 593584580

43. სამეგობროდ გავიცნობ 40 წლამდე, ლამაზ, მოწესრიგებულ ქალს, სასურველია იყოს ქართლიდან. ვარ 25 წლის, სიმპათიური. 598171413. საბა

### გავიცნობ ქალს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-დან 31 წლამდე სუსტი აღნაგობის ქალს, სუფთა წარსულის მქონეს, სასურველია იყოს თბილისელი. 558159359. გიო

2. ვარ 185/82/38, დასაქმებული მამაკაცი, ვცხოვრობ სამტრედიაში. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 33 წლამდე ქალიშვილ გოგოს, საშუალოზე მაღალს. 555639894. დათო

3. ვარ 70 წელს გადაცილებული მამაკაცი. წლების მანძილზე ვარ უცოლოდ. მინდა ოჯახი შევქმნა, მიუხედავად წლოვანებისა. 593623354. გიორგი

4. ვარ 44 წლის, თბილისელი მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ პატიოსან 30-40 წლამდე ქალს. 558664319. ომარი

5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, თბილ, შეგნებულ, გამხდარ, მარტომყოფ, განათხოვარ, თუნდაც ბავშვიან, 30-დან 35 წლამდე ასაკის ქალს. 551539247

6. ვარ 64 წლის მამაკაცი, ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 38 წლამდე ქალს, რომელსაც არ ჰყავს და უნდა, რომ ჰყავდეს ბავშვი და იყოს დიასახლისი. 595469342

7. გავიცნობ ლამაზი აღნაგობის, ფინანსურად ძლიერ, ბინიან გოგოს ოჯახის შესაქმნელად ან ფარული შეხვედრებისთვის. 555119003. „ოდნოებში“ მომნახეთ ალექსანდრე კუდუხოვი

8. ვარ 41 წლის, უცოლო მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 32 წლამდე იმერელ, ქალიშვილ გოგოს. ვარ ყველაფრით უზრუნველყოფილი, 557527483. გოგიტა

9. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ სასიამოვნო გარეგნობის, განათლებულ, 23-დან 30 წლამდე ქალს, უმჯობესია თბილისელი. 555534251

10. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ პატიოსან, სასიამოვნო გარეგნობის გოგოს. ვარ 40/170/72, წესიერი ადამიანი. 551102820

11. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 28-დან 35 წლამდე, მაღალ, შავთმიან, პატიოსან გოგოს, უმჯობესია სოფლიდან. ვარ 40 წლის უცოლო მამაკაცი. 599156258

12. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 40 წლამდე პატიოსან ქალს. 555263388

### გავიცნობ მამაკაცს ოჯახის შესაქმნელად

1. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე თბილისელ, სიმპათიურ მამაკაცს. ვარ 30 წლის. 555226312

2. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ, წესიერ 33-დან 40 წლამდე მამაკაცს. 551806880. ნინო

3. ვარ 52 წლის, სიმპათიური, თბილისელი ქალი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ თბილისელ, სიმპათიურ, შეძლებულ, წესიერ მამაკაცს. 555416795

### გავიცნობ მამაკაცს შეხვედრებისთვის

1. გავიცნობ პატიოსან, ფინანსურად უზრუნველყოფილ მამაკაცს. 514499559

2. შეხვედრებისთვის გავიცნობ თბილისელ, დასაქმებულ, 33-დან 40 წლამდე მამაკაცს. 551806880. ნინო

3. ვარ ლამაზი, ახალგაზრდა ქალი, გავიცნობ 40-50 წლამდე მამაკაცს, ვინც გამიწევს მეობრობას, სასურველია იყოს დასაქმებული. 555669069

## სხვადასხვა

1. გავიცნობ 40 წლის სერიოზულ ქალს, თბილისელს, რომელიც შემასწავლის მანქანის ტარებას. სხვა მხრივ არ შემხვდეთ. 557928400

2. გავიცნობ მხიარულ, მეგობარ ადამიანს სამეგობროდ, 28-40 წლამდე. 599511914. მაკა

## გილოცავ

მაია რეხვიაშვილს ვულოცავთ შემოქმედების 35 წლისთავს. დაესწარი მრავალს შენს ოჯახთან ერთად, იხარე და იბედნიერე, ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

**თუ გსურთ, ახლობელს მიულოცოთ რაიმე ან გაუმხილოთ თქვენი გრძნობები ჟურნალ „სარკის“ მეშვეობით, აკრიფეთ ასო „M“, შემდეგ — ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 2017 ჯეოსელის და 93887 მაგთის აბონენტებმა. გაცნობის განცხადებებში მიუთითეთ თქვენი ტელეფონის ნომერი. თქვენი ტექსტი დაიბეჭდება „სარკის“ უახლოეს ნომერში. sms უნდა გამოგზავნოთ 14 დეკემბრის 17 საათამდე.**
**ერთი sms-ის ღირებულებაა 1 ლარი. წერილი, რომელიც 3-ზე მეტ სმს-ში იქნება მოთავსებული, არ დაიბეჭდება!**
**ერთი ადრესატისადმი მიწერილი ორ ბარათზე მეტი არ დაიბეჭდება**



Cyan Magenta Yellow Black

# მამა მირიანი: „ჩემი მეუღლე მუსლიმანი იყო“

## „ეროვნული მოძრაობის დახმარებით ჭეშმარიტი ღმერთი ვიპოვე“

თბილისში, ლოტკინის დასახლებაში, ერთი საოცარი ადგილია, სადაც ქრისტიანი და მუსლიმანი ბავშვები გვერდიგვერდ სწავლობენ, ცხოვრობენ, მეგობრობენ და თავიანთი რწმენით ლოცულობენ. ეს სულიერი ოაზისი მამა მირიან სამხარაძის უდიდესი ძალისხმევით არის შექმნილი, სწორედ ის არის ხიდი სხვადასხვა სარწმუნოების მქონე ბავშვებს შორის.

მამა მირიანის სასულიერო ცხოვრება 15 წელს ითვლის. მანამდე ის ხელოვნების მუშაკი, ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი იყო, რომლის ცხოვრებას მიმართულება ერთმა დღემ შეუცვალა. ეს მაშინ მოხდა, როცა პოლიტიკური დევნისგან თავდასაღწევად საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა და ტაძარში მივიდა, რათა კურთხევა მიეღო მოძღვრისგან. უფალმა კი მისი მომავლის წარმართვა სხვაგვარად ინება. საქართველოში დარჩა და აჭარაში ქრისტიანობის სამსახურში ჩადგა.

რამდენიმე წელია, რაც საქართველოს პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით თბილისში გადმოვიდა და ამჟამად წმინდა თამარ მეფის

**„ჩემი ცოლის მთელი ოჯახი მუსლიმანური აღმსარებლობის იყო. დედამისი ისლამური სჯულის მასწავლებელი გახლდათ. ჩვენი დაქორწინება არამარტო მათი ოჯახისთვის, არამედ საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანებისთვის მეხის გავარდნასავით იყო. ამის გამო ბევრი განსაცდელი და ნათესავებისგან დევნა გამოვიარეთ".**

სახელობის სკოლა-პანსიონს უდგას სათავეში. ეს არის საგანმანათლებლო დაწესებულება, სადაც ქართველი ქრისტიანები და ქართველი მუსლიმანები ერთად სწავლობენ, ცხოვრობენ და მეგობრობენ. სიმბოლურია, რომ თვით მამა მირიანის პირადი ცხოვრება, მისი ოჯახი ამ ორი რელიგიის წარმომადგენლებთან ურთიერთობებს მოიცავს.

მამა მირიანი „სარკის“ მკითხველებს თავისი გამოვლილი გზის შესახებ უყვება.

— **მამა მირიან, თავდაპირველად, გვიამბეთ სკოლაზე, რომლის დამფუძნებელიც ბრძანდებით. როგორ დაარსდა სკოლა-პანსიონი?**

— 2007 წელს პატრიარქმა თბილისში გადმომიყვანა. 2 წელი მოციქულთა თავთა წმინდა პეტრე-პავლეს ეკლესიაში ვმსახურობდი. შემდეგ ლოტკინის დასახლებაში წმინდა თამარ მეფის სახელობის სკოლა-პანსიონი გაიხსნა, რომლის დირექტორიც ვარ. ადრე აქ მუსიკალური სკოლა იყო. ახლა ის პირველი სახელობო და სახელოვნებო სასწავლებელია საქართველოში. ჩვენი სკოლა ოთხ ნაწილად იყოფა: ზოგადი საგანმანათლებო სკოლა, პროფესიული საგანმანათლებლო ცენტრი, სახელოვნებო სწავლების ცენტრი და სადღეღამისო პანსიონი.

ვასწავლით უძველეს ქართულ ტრადიციულ ხელობებს, რომლებიც მივიწყებას მიეცა — თექა, ხის მხატვრული დამუშავება, ტიხრული მინანქარი და ეროვნული ტანსაცმლის მოდელირება. ასევე დიდი ყურადღება ექცევა ფოლკლორს. კლასიკურ ინსტრუმენტებთან ერთად სხვადასხვა ხალხურ საკრავებზე დაკვრას ვასწავლით. ვაჟთა და გოგონათა ფოლკლორული ანსამბლები გვყავს. შარშან ჩვენმა ანსამბლმა „არსიანი“ საერთაშორისო კონკურსზე „მომავლის ვარსკვლავები“ გრან პრი აიღო. ასევე გვყავს ქორეოგრაფიული ანსამბლი, რომელსაც „არსიანი“ ჰქვია. ჩვენთან ყველაფერს ეს სიმბოლური სახელწოდება აქვს. როგორც იცით, არსიანი არის მთა, რომლის ნაწილი ტაო-კლარჯეთში მდებარეობს, ნაწილი კი — საქართველოში.

— **როგორია სადღეღამისო პანსიონის კონტინგენტი, ვინ სწავლობს თქვენთან?**

— ესენი არიან ხელოვნებაში განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვები. ჩვენს სკოლაში 450 ბავშვია, აქედან 126 პანსიონში ცხოვრობს. საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან არიან, ყველაზე მეტი მოსწავლე კი აჭარის რეგიონიდან გვყავს. 20-მდე ბავშვი ჰერეთიდან ანუ საინგილოდანაა, ეკომიგრანტებიც გვყავს. მოკლედ, მთელ საქართველოს მოვიცავთ. მომავალი წლისთვის ძალიან გვინდა, რომ გავფართოვდეთ. თუ მოხერხდა, ბავშვებს ტაო-კლარჯეთიდან, ლაზეთიდან და ფერეიდნიდან ჩამოვიყვანთ. ეს ჩვენი უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის დიდი სურვილიც არის.

პანსიონში 50-მდე მუსლიმანური აღმსარებლობის ბავშვი გვყავს. ასე რომ, ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველები ერთად ცხოვრობენ, სწავლობენ და მეგობრობენ. მათ თავიანთი სამშობლოს, ხელოვნებისა და ფოლკლორის სიყვარული აერთიანებთ. ბავშვმა, რომელიც ჩვენთან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს გაივლის, შეიძლება უმაღლეს სასწავლებელში სწავლა ვერ გააგრძელოს, მაგრამ თავის კუთხეში დაბრუნდება და იქ დასაქმდება.

— **სკოლის შენობაში სამლოცველო დავინახე. ვისი სახელობის არის?**

— კი, გვაქვს სამლოცველოც, რომელიც წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის არის. ბავშვები, ვისაც სურვილი აქვთ, შედიან და ლოცულობენ. უახლოეს ხანებში ვაპირებთ, მიმდებარე ტერიტორიაზე წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძარი ავაგოთ, რომელიც სამნავიანი ბაზილიკა იქნება.

— **მუსლიმანი ბავშვები სად ლოცულობენ?**

— მათთვის სპეციალური ოთახიც გვაქვს გამოყოფილი და მეჩეთში წასვლაც შეუძლიათ, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამას არ ვუშლით. ეს ბავშვები ჩვენი სისხლი და ხორცნი არიან, მიუხედავად იმისა, რომ სხვა აღმსარებლობა აქვთ. მომავალში, თუ თავად მოისურვებენ და მშობლების თანხმობაც ექნებათ, ისინიც ქრისტიანად მოინათლებიან. შეიძლება ჩვენი სკოლა ისე დაამთავრონ, რომ არ მოინათლონ და თავიანთი სარწმუნოება შეინარჩუნონ. ამ მხრივ მათთან არანაირი პრობლემა არ გვაქვს. ჩვენს სკოლაში აქცენტი ხელოვნებაზე კეთდება და არა — სარ-



მამა მირიანი ცოლთან ერთად

**„არ ვიცი, საზღვარგარეთ რომ წავსულიყავით, ჩვენი ცხოვრება როგორ წარიმართებოდა. შეიძლებოდა აქეთ აღარც ჩამოვსულიყავით ან კიდევ პოლიტიკოსები გავმხდარიყავით. სამშობლოში დავრჩით და ისე წარიმართა ყველაფერი, რომ დღეს ორივენი სასულიერო პირები ვართ".**

წმუნოებაზე. მთავარია, რომ აქ ბავშვებს ერთმანეთში კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ.

წელს სკოლადამთავრებულების პირველი გამოშვება გვექნება და ატესტატებს სიმბოლურად დიდგორის ველზე გადავცემთ. ჩვენი სკოლა თამარ მეფის სახელობის შემთხვევით არ არის. მომავალ თაობას თამარის ეპოქისთვის ვზრდით და ვამზადებთ. ჩვენი დევიზიც ასეთია: წინ, თამარის ეპოქისაკენ!

— **როგორ ვიცი, წარსულში თეატრთან იყავით დაკავშირებული. იმ პერიოდზე გვიამბეთ.**

— ეს ძალიან ადრე იყო. სერგო ზაქარიაძის სახელობის სასწავლებლის სარეჟისორო ფაკულტეტი დავამთავრე, შემდეგ თეატრალურ ინსტიტუტში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მენეჯერის სპეციალობაზე ვისწავლე. ჩემი პროფესიით ვიმუშავე კიდეც — ხარაგაულის კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ვიყავი. მოსწავლეთა თეატრალური სტუდია დავაფუძნე და მას ვხელმძღვანელობდი. ამის მერე პოლიტიკურად აქტიური გავხდი. ეროვნული მოძრაობა რომ დაიწყო, მასში მეც ჩავერთე. ეროვნული ხელისუფლების დროს ხარაგაულის კულტურისა და განათლების განყოფილების გამგედ დავინიშნე. წმინდა ილია მართლის საზოგადოების წევრი და ხარაგაულის ფილიალის თავმჯდომარეც ვიყავი იქ-

←75








Cyan Magenta Yellow Black



# ერთი კაცის კეთილშობილება შეიძლება მსოფლიო კეთილშობილების მიზეზი გახდეს

## ხსენება ღირსისა მიქაელ მალეინისა

ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევთ მიზნისაკენ და ღვთის შეწევნით ვახერხებთ ისეთი წმინდა მამების გაცოცხლებას, როგორიც, მაგალითისთვის, წმინდა მიქაელ მალეინოსია. დიდი ალბათობით, ის იყო სულიერი მოძღვარი წმინდა ათანასე ათონელის, რომელმაც, ცნობილია, რომ ქართველები ძმასავით მიიღო ათონის წმინდა მთაზე და მოგვიანებით სწორედ ათანასე ათონელის გვერდში დგომით დაარსდა ქართველთა სავანე ათონის მთაზე — ივერონის მონასტერი.

ეს მცირე შესავალი იმისთვის, რომ წარმოდგენა შევიქმნათ, თუ რაოდენ დიდ მოღვაწესთან გვაქვს საქმე. ჩვენმა ხალხმა კი თითქმის არაფერი იცის მის შესახებ. წმინდა მიქაელის სამშობლოდ კაბადოკია ითვლება, რადგან იქ დაიბადა და ბავშვობაც იქ გაატარა. სამწუხაროდ, არ არის ცნობილი იმ ქალაქის სახელი, სადაც დაიბადა. დანამდვილებით ის ვიცით, რომ ღვთისმოსავი და მდიდარი მშობლების შვილი იყო.

წმინდანის ბაბუა, ევსტათიოსი იმპერიის სამხედრო მაღალჩინოსანი ყოფილა, გამოჩენილი სახელითაც და შესაძლებლობითაც. მისი შვილიც, წმინდა მიქაელის მამაც სამხედრო მაღალჩინოსანი ყოფილა. აგრეთვე უნდა აღინიშნოს დედის მხრიდანაც ბაბუა, რომელსაც კიდევ უფრო დიდი ჩინი ჰქონდა, რადგან იმპერატორს აღმოსავლეთის სტრატილატად გაუმწესებია, იმხელა ნდობა ჰქონია მისი. მოკლედ, მთელი ოჯახი საკმაოდ დაახლოებული იყო სამეფო კარზე. თანაც მორწმუნე ქრისტიანები იყვნენ, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა კიდეც წმინდა მიქაელის მომავალი, რომელზეც გვექნება საუბარი.

წმინდა მიქაელის დედა წლების განმავლობაში ყოფილა უშვილო, რასაც, ბუნებრივია, ძალიან განიცდიდნენ მისი მშობლები. ყველა ექიმი მოინახულეს, ვინც კი იმ დროს შეიძლებოდა, რომ მათ დახმარებოდა, მაგრამ ამაოდ, რადგან ყველაფერი ღვთის ხელთაა და არავის ძალუძს წინააღდგომა მისი. უამრავი მცდელობის შემდეგ წმინდანის მშობლებიც დანებდნენ, მხოლოდ იმასღა ფიქრობდნენ, ვისთვის დაეტოვებინათ თავიანთი სიმდიდრე. ტაძარში სიარული და ლოცვა არ შეუწყვეტიათ, იმედს არ კარგავდნენ ბოლომდე, იმაზე კი ნამდვილად ფიქრობდნენ, თუ რა იქნებოდა მათი გარდაცვალების შემდგომ.

ერთხელაც ერთ სოფელში, კუკაში, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში აღმოჩნდნენ. ადგილობრივებს უდიდესი მოკრძალება ჰქონდათ ღვთისმშობლის ხატის, რომელიც მათი სოფლის ეკლესიაში იყო დაბრძანებული და სასწაულმოქმედიც იყო. სწორედ ამ ხატს გაუზიარეს წმინდანის მშობლებმა, ანასტასიამ და ევდოკიმოსმა თავიანთი მწუხარების მიზეზი და შეწევნა სთხოვეს, მათთვის შვილი მიეცა. ღვთისმშობელმაც შეისმინა მათი თხოვნა. გამოეცხადა ამავე ტაძრის მღვდელმსახურს და მოუწოდა, ამ სამ ზეწარს, რომელსაც გაძლევ, გადასცემ ანასტასიას მხოლოდ ერთი პირობით, რომ ღვთისმშობელი ამ სამი ზეწრიდან ერთს ისევ უკან წაიღებსო.

მღვდელმა მოძებნა ანასტასია და მისი მეუღლე და გადასცა ღვთისმშობლის დანაბარები, რომელიც ხილვით იხილა. როგორც კი მღვდელმა გაანდო ხილვის შესახებ, მაშინვე უშვილო ანასტასია ნაყოფიერი შეიქნა და ერთის ნაცვლად ღვთისმშობელმა სამი შვილი აჩუქა. პირველად ვაჟი გაუჩნდათ და ემანუელი დაარქვეს. როგორც კი ემანუელი სრულწლოვანი გახდა, ჩვეულებისამებრ მშობლებმა მისი დაოჯახება გადაწყვიტეს, თანაც არა ისე, როგორც თვითონ ემანუელს მოეწონებოდა, არამედ უნდა ყოფილიყო მშვენიერი, მდიდარი ოჯახის შვილი და სამეფო სისხლიც უნდა ჰქონოდა მათი შვილის მსგავსად. მშობლებმა კი გადაწყვიტეს, მაგრამ ემანუელს და მით უმეტეს, ზეციერ მამას არაფერს უთანხმებდნენ, რომელმაც ჯერ კიდევ დედის მუცელში მისცა ემანუელს ზეციერი კურთხევა.

ერთხელ, როცა ევდოკიმოსი კონსტანტინეპოლში გაემგზავრა თავის საქმეებზე, ემანუელიც თან იახლა. უკან გამობრუნებისას ევდოკიმოსმა გადაწყვიტა, შვილი ცოტა ხნით მეფის კარზე დაეტოვებინა, რათა გამოცდილება მიეღო მეფის სიახლოვეს ყოფნით, გაცნობიერებული ყოფილიყო მეფის კარზე არსებულ რეალობაში. ემანუელის კონსტანტინეპოლში ყოფნისას გარდაიცვალა მეფე ლეონი. ემანუელმა ძალიან განიცადა მეფის გარდაცვალება და დაიწყო იმაზე ფიქრი, რომ თუ ადვილია მეფის გარდაცვალება, რომელსაც ვერაფერი უშველეს, მაშინ ხომ რიგითი მოკვდავებისთვის კიდევ უფრო არარაობა იყო ხორციელი სიცოცხლე. მაშინ გადაწყვიტა, უმჯობესია, მშვიდ ადგილზე ვიცხოვრო, რომ ლოცვით დავკავდე და მოუმზადებელი არ გავიდე ამქვეყნიდან, რომელიც არის მართლაც არარაობაო.

ამ ჟამს, როცა ემანუელი მეფის გამო მწუხარებაში იყო ჩავარდნილი, კონსტანტინეპოლში ერთ-ერთ ეკლესიაში აღმოჩნდა, რომელშიც მეფის სულს ავედრებდა უფალს. კიდევ შესთხოვა ღმერთს, თავის შეხედულებაზე რაიმე ნიშანი მიეცა და თუ ღვთისთვის სათნო იყო, მიუძღვნიდა კიდეც საკუთარ თავს. ფსალმუნის წიგნი ეჭირა ხელში და გადაშალა, სადაც ამოიკითხა: „უფალსა ვესავ; ვითარ ეტყვით სულსა ჩემსა: ეცვალებოდე მთათა ზედა ვითარცა სირი?“ (ფს. 10,1-2).

გაუხარდა ემანუელს ამ სიტყვების ამოკითხვა ფსალმუნიდან და გადაწყვიტა კიდეც, თუ შესაძლებელი იქნებოდა, მონაზონიც გახდებოდა. შეატყობინა მშობლებს თავისი გადაწყვეტილების შესახებ და მათი დაჟინებული თხოვნის მიუხედავად, რომ დარჩენილიყო კონსტანტინეპოლში მეფის კარზე, არ შეცვალა თავისი გადაწყვეტილება განმარტოებულად ცხოვრების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მამამ მხლებლები აუყვანა და თან გააყოლა.

როცა ემანუელი მიადგა მდინარე გალონს, რომელიც ჩამოედინება კიმინეუს მთებში, ზედ გადებულ საცალფეხო ხიდზე შედგა და მოუწოდა თანმხლებ პირებს, ახლა შეგიძლიათ წახვიდეთ, მე დღეიდან უკან აღარ დავბრუნდები, ჩემი ცხოვრებით ცხოვრებას ვაპირებ და ასე გადაეცით ჩემს მშობლებს, ჩემზე ნუ ინერვიულებენო. ხიდზე გადავიდა და წინ შემოხვდა პატარა დასახლება, სახელწოდებით კერსინი, სადაც ჰკითხა ადგილობრივებს, ხომ არ იცნობდნენ ვინმეს ამ მთებში განმარტოებით მცხოვრებს, მოღვაწეს. რაზეც უპასუხეს: „აქ მთებში ცხოვრობს ერთი წმინდა მოძღვარი, სახელად იოანე და ვიცით, რომ მასთან ურთიერთობით ბევრი ადამიანი პოულობს შვებას და ნუგეშს“.

როგორც კი მოისმინა სოფლელებისგან მოღვაწის შესახებ, ემანუელმა გადაწყვიტა, მაშინვე მისულიყო მასთან. თან გაიყოლა მხოლოდ ერთი მსახური, რომელიც მამას ჰყავდა დაქირავებული და დაადგა გზას, რათა მოეძებნა მამა იოანე, რომლის შესახებაც შეიტყო სოფლელებისგან. მიადგა მამა იოანეს, ჩაუვარდა ფეხებში და ცრემლით მოახსენა თავისი გადაწყვეტილების შესახებ.

მამა იოანეს მოეწონა ახალგაზრდა, ისიც შენიშნა, რომ შესამოსელიც ძვირფასი ეცვა. ჰკითხა, ახალგაზრდა კაცი რატომ იყო ასეთი დამწუხრებული, რაზეც ემანუელმა უპასუხა: „წმინდაო მამაო, არაფერი მაქვს მწუხარება, მხოლოდ ცხონებას ვითხოვ და ამიტომ მოვედი თქვენთან“. მაშინ მიუგო მოძღვარმა: „შვილო, მონა ხომ არ ხარ და რამე უბედურება ხომ არ შეგემთხვა შენს ბატონთან. მითხარი სიმართლე, ვინ ხარ და რა გსურს ჩემგან, ან ეს ძვირფასი შესამოსელი საიდან გაქვს?“. ემანუელმა უპასუხა: „მონა ვარ ღვთისა, ძე მდიდარი კაცის. გულით მინდა, მონაზვნად შევეწირო უფალს. შორი გზიდან მოვედი ამ ადამიანთან ერთად, რომელსაც დავპირდი, რომ თუ სურვილი დაკმაყოფილდა და სამოღვაწეოდ დავრჩი, ჩემი ცხენი მისი იქნება“.

მოძღვარმა ყურადღებით მოისმინა ემანუელის მონათხრობი და გადაწყვიტა, თავისთან დაეტოვებინა. მართლაც, თვალცრემლიანმა გააცილა თანმხლები მსახური. ხედავდა მოძღვარი ემანუელის დამოკიდებულებას მონაზვნობისადმი და გადაწყვეტილიც ჰქონდა, რომ სქემით შემოსავდა, მაგრამ უნდოდა, ცოტა ხანს გამოეცადა, როგორც წესი და ამიტომაც არ ჩქარობდა. სამაგიეროდ, ემანუელი ჩქარობდა და შეაგონებდა მოძღვარს, თუ სასწრაფოდ არ აღვიკვეცები, შესაძლოა მამამ მომაგნოს და ველარ შევეწინააღმდეგები, თუ არ მოისურვა ჩემი სქემით შემოსვაო.

მამა იოანეს ბევრი აღარ უფიქრია. ოთხშაბათი დღე იყო, სქემით შემოსა ღვთისმოყვარე ემანუელი და უწოდა სახელი მიხეილი (მიქაელი). მოძღვრის სასახელოდ მონაზონი მიხეილი მოშურნე მსახური აღმოჩნდა, რაც ძალზე უხაროდა მამა იოანეს. დემონებთან ჭიდილში ისე გაიწაფა, რომ ეჭვი აღარ იყო, დიდი მოძღვარი დადგებოდა მისგან.

ამასობაში მიხეილის მამამ ევდოკიმოსმაც შეიტყო შვილის გადაწყვეტილების შესახებ და ნუგეშს ვერ პოულობდა, ისე იყო მომხდარის გამო დამწუხრებული. თავდაპირველად ყველა მსახური სასტიკად დასაჯა, ვინც კი თან ახლდა წმინდანს,



Cyan Magenta Yellow Black

ვიდრე კონსტანტინეპოლიდან მონასტრამდე მიაღწევდა. არ პატიობდა, რომ ძალის გამოყენებით არ წამოიყვანეს და მონასტერში დარჩენის შესაძლებლობა მისცეს. გადაწყვიტა, ღამით მისდგომოდა მონასტერს და ძალით წამოეყვანა თავისი ქონების მემკვიდრე. ძალიან არ უნდოდა, რომ მისი შვილი მონაზონი გამხდარიყო და მიეტოვებინა სოფელი.

მართლაც, მივიდა თავისი მხლებლებით მონასტერში იმ დროს, როცა ცისკარს კითხულობდნენ. ისე ტკბილად გალობდა მისი შვილი, მემატიანის თქმით, ბულბული გეგონებოდათ. უზომოდ მოიხიბლა გალობის მოსმენით ევდოკიმოსი. წმინდანმა შეიტყო მამის მოსვლა მონასტერში და მოძღვარს უთხრა. ორივენი ჩაფიქრებულები აგრძელებდნენ ცისკარს, ვინაიდან არ იცოდნენ, როგორ განვითარდებოდა მოვლენები და რას მოიმოქმედებდა წმინდანის მამა. უფალ ღმერთს მიანდეს ცისკრის დასრულებაც და მომდევნო შედეგიც.

დაასრულეს ცისკარი და შეეგებნენ მთავარს, რომელიც აყვედრიდა მამა იოანეს იმის გამო, რაც მოხდა: „უგუნურო ადამიანო, დროზე ადრე ჩემო სულთამხუთავო და მკვლელო, რატომ ჩამიქრე სიცოცხლის შუქი, ოხ, მცდარო და ცრუ კაცო! სად ისწავლე, შვილები წაართვა მშობლებს? ნუთუ არ იცოდით, ვინც ვარ და აქ მოსვლაც რომ არ გამიჭირდებოდა?“ მამა იოანემ მშვიდი ხმით მიუგო: „მე არ ვიცი, ვინ ან ვისი ხარ, პატივცემულო, მხოლოდ უფალმა ქრისტემ იცის შენი ვინაობა და წარმომავლობა. ის არის ყოველივეს მცნობელი. შენი შვილი მე არ მიპოვია, მან თვითონ მიპოვა, მე კი უფლება არ მაქვს, სტუმარს არ მოვუსმინო“.

მამამ ნახა მოძღვრის მშვიდი გამომეტყველება და მეტად აღარ გაუგრძელებია მისი ყვედრება. მოჰკიდა მიხეილს ხელი და სახლში წაყვანა დაუპირა. მიხეილმა შეხედა მოძღვარს, რომელიც ქვითინებდა შვილთან განშორების გამო, მაგრამ უძლური იყო ხორციელი მშობლის წინაშე. მაშინ მიხეილმა მიმართა მამა იოანეს: „ილოცე, მამაო, და ნუ წუხხარ ამდენს ჩემთვის, ვინაიდან არაფერს შეუძლია ამქვეყნად, ჩემს უფალ იესოზე აზრი შემაცვლევინოს“.

როცა უკვე მიაღწიეს სახლში, ნახა წმინდანმა თმებგადაპარსული და შავებში შემოსილი დედა. იმის ნაცვლად, რომ ბედნიერი ყოფილიყო შვილის გადაწყვეტილებით, უნუგეშოდ მოსთქვამდა და ქვითინებდა. რამდენიმე ხნით დაჰყვა დედ-მამის ნებას, მაგრამ როცა ნახეს მშობლებმა, რომ ვერას გახდებოდნენ და უკვე გადაწყვეტილების შეცვლა შეუძლებელი იყო, აკურთხეს და ისიც სიხარულით დაბრუნდა მონასტერში, სადაც ასევე სიხარულით შეხვდა მამა იოანე.

დიდი დრო არ გასულა ღირსი მამის დაბრუნებიდან და ევდოკიმოსი მიიცვალა. წმინდანს დარჩა დედა და და-ძმა. დედამ მიხეილიც დაიბარა და სამივე შვილს თანაბრად გაუნაწილა მამის დანატოვარი მემკვიდრეობა. როგორც მოსალოდნელი იყო, წმინდა მამამ თავისი ქონება ქვრივობლებსა და ღარიბ-ღატაკებს დაურიგა და როცა სრულიად გათავისუფლდა მიწიერი საზრუნავისგან, ისევ უკან დაბრუნდა და კიდევ უფრო მეტი მოშურნეობით განაგრძო მოსაგრეობა.

წმინდანის დედაც მონაზონი გახდა და შვილის სიყვარულით მანაც ანაცვალა თავი. როცა დედაც გარდაიცვალა, ღირსი მამა, ახლა სრულიად თავისუფალი, კიდევ უფრო მეტი სიმყუდროვის საძებნელად მოძღვრის ლოცვა-კურთხევით მონასტრიდან მოშორებით სრულიად უკაცრიელ ადგილას განმარტოვდა. იმ ადგილზე ერთი დიდი ქვა იყო და კვირიდან ხუთ დღეს ღირსი მამა ამ ქვაზე ატარებდა. დღეში მხოლოდ ერთხელ ჭამდა და თან ხელსაქმით იყო დაკავებული, რითაც მოძღვრის კურთხევას ასრულებდა. შაბათს მონასტერში ბრუნდებოდა, კვირის წირვის შემდგომ ისევ უკან, განმარტოებისთვის.

ოთხი წლის შემდეგ მოძღვრის კურთხევით მიხეილმა კიდევ ერთი ძმა წაიყვანა თანამოღვაწედ, სახელად ალაპიონი და კიდევ უფრო უკაცრიელ ადგილზე დასახლდნენ, ვიდრე ის ადგილი იყო მონასტრიდან მოშორებული. ორწლიანი თანაცხოვრების შემდეგ ალაპიონი გამოემშვიდობა წმინდანს და ცალ-ცალკე შეუდგნენ კიდევ უფრო მკაცრ მოსაგრეობას.

როცა წმინდანმა სულიერი სიმშვიდე მოიპოვა, საკმაოდ ბევრი ადამიანი აკითხავდა უკვე და მისგან რჩევებს იღებდნენ. ბევრმა გამოთქვა სურვილი, წმინდა მამის მსგავსად ასკეტურად ეცხოვრა. ერთ დროს მყუდრო და უკაცრიელი ადგილი ახლა უკვე პატარა ქალაქი გეგონებოდათ, იმდენ ადამიანს მოეყარა თავი წმინდანის გვერდით.

წმინდა მიხეილი უფალმა წინასწარ ჭვრეტის და სასწაულთმოქმედების ნიჭით დააჯილდოვა. იმდენი სასწაული უკავშირდება მის სახელს, რომელი ერთი შეიძლება წარმოგიდგინოთ. ამაზე იქნებ არც ღირდეს დროის კარგვა, რადგან ტომებიც კი არ გვეყოფა, არათუ რამდენიმე ფურცელი.

უკვე ვისაუბრეთ იმის შესახებ, რომ წმინდა მიხეილი წმინდა ათანასე ათონელის მოძღვარი იყო. ის კონსტანტინეპოლში გაიცნო და სიკვდილამდე გვერდიდან არ მოსცილებია. სქემითაც წმინდა მიხეილმა შემოსა. წმინდა ათანასე სიცოცხლის ბოლომდე ცდილობდა, მოძღვარს მიმსგავსებოდა სათნოებებით და როგორც გამოუვიდა, ყველამ ვიცით, ვისაც კი რამე შეხება აქვს საეკლესიო ლიტერატურასთან. წმინდა ათანასე სიცოცხლის ბოლომდე წმინდა მიხეილის ნაჩუქარი კუნკულით იმოსებოდა განსაკუთრებულ დღეებში და საუფლო დღესასწაულებზე. ამ კუნკულით შემოსილი არაერთხელ უნახავთ ქართველ მოღვაწეებსაც, რომლებიც წმინდა ათანასესთან ერთად იყვნენ ლავრაში.

წმინდა მიხეილმა წინასწარ იგრძნო საკუთარი აღსასრული და წმინდა ათანასეც, იმის გამო, რომ მონასტრის იღუმენად არ დაესახელებინათ, მალევე გაშორდა იქაურობას და მიაშურა ათონის წმინდა მთას, მაშინ ჯერ კიდევ სრულიად უცხო ადგილს. მეფე ნიკიფორემ ამ ლავრის მშენებლობისთვის თანხა შესწირა. სწორედ ეს იყო ნიკიფორე იმპერატორი, ძმისშვილი წმინდა მიხეილის. ყველა ამ დიდებული წამოწყების თავი და თავი საბოლოოდ მაინც წმინდა მიხეილია, რომლის სიყვარულმაც გააერთიანა იმპერატორი და წმინდა ათანასე და დღეს გვაქვს მართლმადიდებლობის უდიდესი საუნჯე — ათონის წმინდა მთა თავისი მონასტრებით და სამონაზვნო დასით.

წმინდაო ღირსო მამაო მიხეილ, შეგვეწიე და მეოხ გვეყავ ჩვენ, ცოდვილთა. ამინ!

✓ **ქრისტესმიერი სიყვარულით პროტოდიაკონი მირიანი. ამინ!**



# „სამყაროს არსებობას ადამიანის ამქვეყნად არსებობა აძლევს აზრს“

სამყაროს შექმნა ადამიანებისთვის გამოუცნობი რჩება. მეცნიერები საუკუნეებია ამ საკითხს იკვლევენ, სხვადასხვა თეორიას ქმნიან, მაგრამ საბოლოო დასკვნას ვერ აკეთებენ. შეუძლებელია დაჯერება და, მით უმეტეს, დამტკიცება იმისა, რომ ეს სრულყოფილი კანონზომიერება, რასაც სამყარო ჰქვია, შემთხვევით, „თავისით“ წარმოიშვა. ქრისტიანული რელიგია კი ამ საკითხში ურყევია, თავად ქრისტიანული რწმენა შეიცავს ცოდნას სამყაროს წარმოშობის შესახებ და ის აბსოლუტურ სიკეთეს, შემოქმედს, ღმერთს უკავშირდება. ამ თემას ვრცლად განგვიმარტავს იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზი, **მამა გიორგი** (სხირტლაძე).

**— მამაო, როგორ შეიქმნა სამყარო და მეცნიერებს და თეოლოგებს სხვადასხვა შეხედულება რატომ აქვთ ამასთან დაკავშირებით?**

— ჩვენთვის, სივრცითა და დროით შეზღუდულთათვის, ძნელი აღსაქმელია ღმერთის უსასრულობის ჭეშმარიტი არსი, ვინაიდან ჩვენი უკიდეგანო სამყაროც კი არ არის უსასრულო და კაცის გონება ვერ ჩასწვდომია მის საიდუმლოებას. სამყაროს დაბადების პროცესი მეცნიერებაში აღწერილია დიდი აფეთქების თეორიის სახით. ოდესღაც, შორეულ წარსულში, არარადან უეცრად წამოვიდა ენერგიის უზარმაზარი რაოდენობა, რომელმაც მთელი კოსმოსი წარმოშვა. დღეს ყველა სამეცნიერო საზოგადოების მიერ მიღებული სამყაროს გაფართოების ინფლაციური თეორია ამტკიცებს, რომ სამყარომ თავისი არსებობა აბსოლუტური სიცარიელიდან, ეგრეთ წოდებული ცრუ კვანტური ვაკუუმის მდგომარეობიდან დაიწყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ინფლაციური თეორია ვერანაირად ხსნის, თუ როგორ აღმოჩნდა სამყარო თავდაპირველად ცრუ ვაკუუმის მდგომარეობაში ანუ „არარაში“. ფუნდამენტური ფიზიკა მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ჩვენი გარემომცველი სამყაროს ძირითადი კატეგორიები — სივრცე, დრო და მატერია ერთდროულად და, ფაქტობრივად, მყისიერად წარმოიშვნენ, ურთიერთით არიან განპირობებული და დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლიათ. ხოლო იმ კოლოსალური ენერგიის წყაროს შესახებ, რამაც ეს ყველაფერი წარმოშვა, მეცნიერებამ არაფერი იცის.

ეს წყარო მეცნიერებისთვის უცნობია იმიტომ, რომ იგი ზნეობრივ კატეგორიას ეკუთვნის. ეს ყველაფერი კი გარკვეულ კითხვებს ბადებს, რომლებზეც პასუხები მეცნიერული მეთოდების შესაძლებლობებს აღემატება. ამასთან, წმინდა წერილის მოწმობა, რომელიც გაცილებით ადრე არსებობდა, ვიდრე მეცნიერება ჩამოყალიბდებოდა, პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ ბუნებრივ გზად რჩება. მამაღმერთმა მთელი სამყარო სიტყვით შექმნა. სწორედაც რომ შექმნა, ვინაიდან სამყარო შემოქმედებითი აქტის ნაყოფია. სამყაროს შექმნის სრულყოფილებას და პოეზიას კარგად გრძნობდნენ მსოფლიო კრებების ეპოქის წმინდა მამები, რომლებმაც შექმნის ამგვარი გაგება მართლმადიდებლური მრწამსის სიტყვებით გამოხატეს: „მრწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქვეყნისა“.

**— მაგრამ კაცობრიობის დიდი ნაწილისთვის ეს ცოდნა, რაც ქრისტიანობას აქვს, დაუჯერე-** ➔74



Cyan Magenta Yellow Black



მამა გიორგი

**ბული და მიუღებელია. რა არგუმენტებით შეიძლება მათი დარწმუნება?**

— დღეს არსებული სამეცნიერო მონაცემებიდან (თუმცა სრულყოფილებისგან ჯერ კიდევ ძალიან შორს მყოფისგან) უკვე შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ სამყაროში მიმდინარე პროცესები შორს არის შემთხვევითობისგან და თავად სამყაროს დაბადება მიზანმიმართულობის და გონიერი მოქმედების ნიშანს ატარებს. სამყაროს ჰარმონია და საოცარი მოხდენილობა შემოქმედის მიერ მის საფუძველში ჩადებული მკაცრი ფიზიკური კანონებით არის განპირობებული. სამყაროს ასეთი აგებულების შემთხვევითი წარმოშობის დაშვება წარმოუდგენელია. შემთხვევით წარმოშობილ სამყაროში უფრო სწორი იქნებოდა, ქაოსი ყოფილიყო გამეფებული და არა მოწესრიგებულობა, რთული ორგანიზებულობა და ისეთი მტკიცე სტრუქტურები, როგორებიც ატომები, ვარსკვლავები და ცოცხალი ორგანიზმებია. წარმოუდგენლად ზუსტ გაანგარიშებებზე აგებული სამყაროს ჰარმონია ჭეშმარიტად შემოქმედის გონივრულად წარმმართველ ხელზე მეტყველებს.

> **„სამყაროს ჰარმონია და საოცარი მოხდენილობა შემოქმედის მიერ მის საფუძველში ჩადებული მკაცრი ფიზიკური კანონებით არის განპირობებული. სამყაროს ასეთი აგებულების შემთხვევითი წარმოშობის დაშვება წარმოუდგენელია".**

**— რა გახდა სამყაროს შექმნის მიზეზი, საფუძველი?**

— სამყაროს სტრუქტურა ისეა მოწყობილი, რომ გარკვეული პირობები შესრულდა მასში სიცოცხლის ჩასახვისათვის. ეს პირობები სიცოცხლისათვის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია, რამდენადაც თავად სიცოცხლის წარმოშობა გონივრულად მიმართული მოქმედების აშკარა ნიშნებს შეიცავს, პირობები კი მხოლოდ პირობებია და მას გონიერება არ გააჩნია. სამყაროს არსებობას ადამიანის ამქვეყნად არსებობა აძლევს აზრს. მხოლოდ სამეცნიერო მონაცემებს რომ დავეყრდნოთ, შეიძლება იმის მტკიცება, რომ სამყარო და ყველაფერი, რაც მასშია, გაჩენას მხოლოდ ადამიანის არსებობას უნდა უმადლოდეს.

**— რისთვის ცხოვრობს ადამიანი, რატომ შეიქმნა იგი?**

— თუ გვინდა, სწორად განვსაზღვროთ კაცის ცხოვრების მიზანი, მის შინაგან სულიერ სამყაროში, მისი აზრების, სურვილების, გრძნობების სამყაროში უნდა ჩავიხედოთ; და თუ ყურადღებით დავაკვირდებით მისი სულის მოძრაობას, დავინახავთ, რომ ადამიანის არსებობის მიზანს თვით ცხოვრება შეადგენს. ყველას სურს, იცხოვროს; ყველა ცდილობს, თავი დაიფაროს ყოველივე იმისგან, რაც მის ცხოვრებაზე ცუდად მოქმედებს; ყველას უნდა, რომ ხედავდეს ამქვეყნიურ სულიერ და ხორციელ სიამეს. ცხოვრება მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაა. სხეულს შეუძლია იცხოვროს მაშინ, თუ მისი მოთხოვნილებანი კმაყოფილდება. მცენარისათვის საჭიროა ნაყოფიერი ნიადაგი, მზის სხივები და სხვა. თუ ის ყოველივე ამით გარემოცულია, მაშინ ხარობს, იზრდება, ყვავის. პირუტყვი ითხოვს წყალს, სასმელს, სუფთა ჰაერს და სხვას. ასევე ადამიანიც ცხოვრობს მაშინ, როცა მისი ბუნების მოთხოვნილება კმაყოფილდება.

ადამიანში არის ბევრი ისეთი მოთხოვნილება ან მიდრეკილება, რომელთაც კაცობრიობის ცნობიერება სამარცხვინოდ, დამღუპველად თვლის. კაცისთვის საჭიროა საზრდო, სასმელი, სამოსელი, თავშესაფარი, დასვენება, ძილი და სხვა. თუ მისი ხორციელი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულია, მაშინ იგი საღად და მხნედაა, მაშინ იგი ცხოვრობს და თუ არ არის, მაშინ სუსტდება და ვერ ცხოვრობს. მაგრამ ადამიანის ხორციელ არსებაში იმ მოთხოვნილებებთან ერთად, რომელთა დაკმაყოფილება საჭიროა სიცოცხლის დაცვისათვის, არის კიდევ სხვა მოთხოვნილება: მას აქვს სურვილი ხშირად, მომეტებულად და ძლიერ ტკბილად ჭამოს და სვას, მიეცეს ძილს და მოსვენებას, ხშირად და უფრო საგრძნობელად დააკმაყოფილოს სხვადასხვა მოთხოვნილება სხეულისა.

ამგვარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, როგორც ყოველდღიური დაკვირვება და გამოცდილება გვიმტკიცებს, ხელს არ უწყობს სხეულის კეთილ მდგომარეობას. პირიქით, ვნებს მას. ხანგრძლივი შესვენება და ძილი კაცს ანებიერებს, უძლურყოფს მას შრომისათვის; სასმელისა და საჭმლის უზომოდ მიღება გამოიწვევს საჭმლის მომნელებელი ორგანოების მოშლილობას; ავხორცობისაგან ნერვები სუსტდება და სხვა. შესაბამისად, ადამიანმა უნდა დააკმაყოფილოს მხოლოდ ის მოთხოვნილებანი, რომელიც სიცოცხლეს იცავს და უარი უთხრას იმ მოთხოვნილებებს, რომლებიც ორგანიზმზე ცუდად მოქმედებს, არღვევს, რყვნის მის ბუნებას.

ახლა ავიღოთ ადამიანის ბუნების მეორე მხარე — სულიერი. კაცს აქვს სურვილი, გაიგოს, რა არის და რა ხდება მიწაზე, მის სიღრმეში და მის მაღლა. შეიტყოს, თუ რა იყო წარსულში, სურს, სხვებს ეხმარებოდეს დ იმავე პასუხს იღებდეს მათგან, ისწრაფვის, შეუერთდეს უფალს და სხვა. თუ ეს მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულია, მაშინ ადამიანის სულის მოქმედება ჯეროვნად სრულდება და იგი ცხოვრობს. და თუ ეს დაკმაყოფილებული არ არის, მაშინ სულს ბოლო ელება.

> **„კაცს აქვს სურვილი, გაიგოს, რა არის და რა ხდება მიწაზე, მის სიღრმეში და მის მაღლა. შეიტყოს, თუ რა იყო წარსულში, სურს, სხვებს ეხმარებოდეს, ისწრაფვის, შეუერთდეს უფალს და სხვა. თუ ეს მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულია, მაშინ ადამიანის სულის მოქმედება ჯეროვნად სრულდება და იგი ცხოვრობს. და თუ ეს დაკმაყოფილებული არ არის, მაშინ სულს ბოლო ელება".**

ამ მიდრეკილებებთან ერთად ადამიანს აქვს კიდევ სხვა მიდრეკილებანი: ის ცდილობს, გამოვიდეს ღვთის მორჩილებიდან და სახელმძღვანელო დასაბამად თავისი ცხოვრებისა, დადოს თავისი „მე", თავისი აღვირახსნილი ნება; ის შურით ივსება, სხვას აწუხებს, სხვის ბედნიერებას სპობს და სხვა. ამისთანა სურვილების აღსრულებას კი ცუდი შედეგი მოსდევს — ადამიანის სული წუხილით ივსება, შინაგანი უთანხმოება ეწყება, გრძნობს არეულობას, უკმაყოფილებას თავისი თავით და გარემომცველი წრით, რის გამოც მისი სული უფრო სუსტდება. შესაბამისად, კაცმა უნდა დააკმაყოფილოს მხოლოდ ის სულიერი მოთხოვნილებები, რომელიც მასში ჰარმონიას ამეფებს.

**— დაბოლოს, მამაო, შობა-ახალი წელი ახლოვდება და ყველასათვის ცნობილია ამ დღესასწაულების დასავლური სიმბოლო სანტა კლაუსი, რომელიც სარეკლამო-კომერციულმა პროპაგანდამ საქართველოშიც პოპულარულ კომიკურ პერსონაჟად აქცია. ითვლება, რომ ის იგივე წმინდა ნიკოლოზია. მართებულია თუ არა სანტა კლაუსის გაიგივება ქრისტიანობის ამ უდიდეს წმინდანთან?**

— ახალი სტილით 19 დეკემბერს მართლმადიდებელი ეკლესია დიდი სასწაულთმოქმედი წმინდანის, მირონ-ლუკიის მთავარეპისკოპოსის, წმინდა ნიკოლოზის სხენების დღეს აღნიშნავს. იგი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გამორჩეული წმინდანია ქრისტიანულ სამყაროში. განსაკუთრებული თაყვანისცემა წმიდა ნიკოლაუსისა გერმანიაში VI საუკუნიდან დამკვიდრდა, რომში კი — VIII საუკუნიდან.

წმინდა ნიკოლოზი განსაკუთრებული ქველმოქმედებითა და მოწყალებით გამოირჩეოდა. მისი ცხოვრება სასწაულებითაა აღსავსე. ყველასთვის ცნობილია, მაგალითად, თუ როგორ გადაარჩინა მან ქალაქი მირონლუკია შიმშილისაგან; როგორ დააცხრო ქარიშხალი ლოცვით და პალესტინაში მიმავალი გემი გარდაუვალი დაღუპვისგან იხსნა; როგორ გადაარჩინა სიკვდილით დასჯას სამი მხედართმთავარი, რომლებსაც ბოროტმოქმედებმა ცილი დასწამეს.

დაბოლოს, საყოველთაოდ ცნობილია ერთი ეპიზოდი წმინდანის ცხოვრებიდან: იმხანად წმინდა ნიკოლოზი ქალაქ პატრაში მღვდლად მსახურობდა. მან შეიტყო, რომ ერთმა გალატაკებულმა კაცმა, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავდა და მათი გამზითვება და გათხოვება არ შეეძლო, შვილების საროსკიპოში გაგზავნა და ამ გზით გამდიდრება გადაწყვიტა. ქალწულები ცრემლით ევედრებოდნენ უფალს ამ საშინელი ხვედრისაგან გამოხსნას. ყოვლადმოწყალე ღმერთმა მათ დასახმარებლად მღვდელი ნიკოლოზი გაგზავნა. სამგზის მივიდა მის სახლთან წმინდა ნიკოლოზი, ყოველ მისვლაზე კარის ზღურბლთან ოქროთი სავსე ქისა დატოვა და მამამ შეძლო სამივე ქალიშვილის გამზითვება. ამგვარად იხსნა წმინდა ნიკოლოზმა სამი ქალწული და მათი მამა საშინელი განსაცდელისაგან.

წმინდა ნიკოლოზის ცხოვრებიდან სწორედ ამ ეპიზოდმა განაპირობა სანტა კლაუსის დამკვიდრება დასავლურ ტრადიციაში. ასე თანდათანობით იქცა იგი დასავლეთ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის შობა-ახალი წლის სიმბოლოდ სანტა კლაუსად. შობაღამეს წმინდა ნიკოლოზის სასწაულის მოლოდინში საჩუქრების დასატოვებლად საგანგებოდ წინდებს გამოფენდნენ ხოლმე. ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში შობაღამეს წინდებსა და ფეხსაცმელს ბუხართან ტოვებენ, რადგან სწამთ, რომ საკვამურიდან სახლში სანტა კლაუსი ან მისი თანაშემწე შეაღწევს და წინდებსა და ფეხსაცმელში საჩუქრებს ჩააწყობს.

დასავლეთ ევროპაში, განსაკუთრებით პროტესტანტულ რეგიონებში, წმინდა ნიკოლოზის რელიგიური არსი თანდათანობით უკანა პლანზე გადავიდა, სანტა კლაუსის პერსონაჟმა სახეცვლილება განიცადა — დღეს იგი უკვე მოიაზრება, როგორც ჯადოქარი სინრე კლაასი ან სანტა კლაუსი. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, თანამედროვე ბავშვის ცნობიერებაში ამჟამინდელი სანტა კლაუსი არანაირად უკავშირდება წმინდა ნიკოლოზს.

✓ მანანა ნოდია



Cyan Magenta Yellow Black

←71 ამდე, სანამ საქართველოში სამხედრო გადატრიალება მოხდებოდა.

**— ეროვნული ხელისუფლების დამხობის შემდეგ თქვენი ცხოვრება და მუშაობა როგორ წარიმართა, ხომ არ გდევნიდნენ, როგორც ზვიად გამსახურდიას მომხრეს?**

— კი, მეც მდევნიდნენ. მე და ხარაგაულის პრეფექტი თემურ ყურავა, რომელიც დღეს მოძღვარი მამა თეიმურაზია, ერთად გავიქეცით. ფეხით გადავედით აჭარის რაიონში და თავი ხულოს შევაფარეთ. აჭარაში შეიარაღებული ძალები ვერ შევიდნენ და ამ მხრივ იქ დაცული ვიყავით. ხულოში არსებობდა სასულიერო სასწავლებელი, რომელიც 1991 წელს ჩვენი პატრიარქის ლოცვა-კურთხევით და პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელშეწყობით მამა გრიგოლ აბულაძემ (დღეს ის სხალთის ეპისკოპოსია და სპირიდონად იწოდება) დააფუძნა. როცა მე იქ ჩავედი, დაგვხვდა მამა ზაქარია ფერაძე (ამჟამად კვიპროსში მსახურობს). მასთან მე და თემური იმიტომ მივედით, რომ კურთხევა აგვეღო და საზღვარგარეთ წავსულიყავით. ეროვნულად მოაზროვნე ადამიანების ადგილი ამ ქვეყანაში აღარ იყო. მაშინ ბათუმ-შემოქმედის მღვდელმთავარი მეუფე იობი (აქიაშვილი) გახლდათ. როდესაც ჩვენი ამბავი შეიტყო, კატეგორიული წინააღმდეგობა გაგვიწია, რომ საზღვარგარეთ წავსულიყავით. მისი აზრით, ჩვენ შეგვეძლო, ქართული ეკლესიისთვის სასიკეთო საქმეები გაგვეკეთებინა.

მეუფე იობმა ხულოში დარჩენა და სასულიერო სასწავლებელში მუშაობის დაწყება შემოგვთავაზა. მე და თემურმა დავუჯერეთ და დავრჩით. არ ვიცი, საზღვარგარეთ რომ წავსულიყავით, ჩვენი ცხოვრება როგორ წარიმართებოდა. შეიძლებოდა აქეთ აღარც ჩამოვსულიყავით ან კიდევ პოლიტიკოსები გავმხდარიყავით. სამშობლოში დავრჩით და ისე წარიმართა ყველაფერი, რომ დღეს ორივენი სასულიერო პირები ვართ. ასეთი იყო უფლის ნება!

**— რას საქმიანობდით ხულოს სასულიერო სასწავლებელში?**

— ტაძრის მშენებლობა დავიწყეთ, რომელსაც სათავეში მამა ზაქარია ჩაუდგა. თემური პროფესიით მშენებელი იყო და ის ხელმძღვანელობდა მშენებლობას. ასე ავაშენეთ ხარების სახელობის ტაძარი. წლების შემდეგ ჩემი მოძღვრობის პირველი წირვა-ლოცვა სწორედ იმ ტაძარში აღვავლინე.

**— რა ეტაპები გაიარეთ, სანამ სასულიერო პირი გახდებოდით?**

— ბოლო დროს უკვე ვფიქრობდი, რომ სასულიერო პირი გავმხდარიყავი, მაგრამ უფრო მეტად ბერობა მინდოდა. მოხდა ისე, რომ იმ პერიოდში ჩემი მომავალი მეუღლე გავიცანი და დავქორწინდი. ჩემი მეუღლე, ნანა (ციცინო) ანთაძე, მუსლიმანი იყო. პირველ რიგში, ქრისტიანად მოინათლა და ნანა ეწოდა. ჯვარი მამა ზაქარიამ ბათუმში დაგვწერა. ჩემი ცოლის მთელი ოჯახი მუსლიმანური აღმსარებლობის იყო. დედამისი ისლამური სჯულის მასწავლებელი გახლდათ. ჩვენი დაქორწინება არამარტო მათი ოჯახისთვის, არამედ საქართველოში მცხოვრები მაჰმადიანებისთვის მეხის გავარდნასავით იყო. ამის გამო ბევრი განსაცდელი და ნათესავებისგან დევნა გამოვიარეთ. განსაკუთრებით წინააღმდეგი დედამისი იყო, მაგრამ წლები გავიდა და შემოვირიგეთ.

**— ცოლის ნათესავებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ, თქვენ შორის ხომ სარწმუნოებრივი განსხვავებაა?**

— ეს განსხვავება ნაკლებად იგრძნობა. ნანას ნათესავების უმრავლესობა, ისინი, ვინც უფრო მეტად გვდევნიდნენ, დღეს ქრისტიანები არიან. მათი ნაწილი ქრისტიანული რელიგიის არამარტო აღმსარებელი, მქადაგებელიც გახდა. ჩემი მეუღლის დედა ისე გარდაიცვალა, ბოლომდე მუსლიმანად დარჩა, მისი დები და დისშვილები კი, თითქმის ყველანი, მონათლულნი არიან. ჩემს მეუღლეს სამი და ჰყავს, მათგან ერთი გარდაცვლილია. მისი შვილები ქრისტიანებად არიან მონათლული. უფროსი და ქედის რაიონშია გათხოვილი და მისი ქმარი არის ხოჯა (მაჰმადიანების მოძღვარი). მათ სამი შვილი ჰყავთ და მათგან ორი ქრისტიანად მოინათლა. მან ეს ამბავი იცის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება, რადგან შვილებმა ასე გადაწყვიტეს. მე და ჩემს ქვისლს ერთმანეთთან შეხვედრა გვიწევს ხოლმე. ჩვეულებრივ ვურთიერთობთ, ის ხოჯაა, მე — მღვდელი და ჩვენში განსხვავება მხოლოდ ამ კუთხით არის.

> **„მე და ჩემს ქვისლს ერთმანეთთან შეხვედრა გვიწევს ხოლმე. ჩვეულებრივ ვურთიერთობთ, ის ხოჯაა, მე — მღვდელი და ჩვენში განსხვავება მხოლოდ ამ კუთხით არის".**

**— ოდესმე წარმოიდგენდით, რომ ხელოვანი ადამიანი სასულიერო პირი გახდებოდით?**

— არა, თავიდან არ მიფიქრია, მაგრამ მერე დავფიქრდი. მართალია, სასულიერო ცხოვრება ცოტა გვიან დავიწყე, ლამის 40 წელს ვიყავი მიღწეული, მაგრამ ქვეცნობიერად ბავშვობიდან მორწმუნე გახლდით. ბებიაჩემი წარმოშობით უბისიდან იყო. იქ არსებულ მონასტერში კი შხამ-ქიმიკატების საწყობი იყო გაკეთებული. ბებია ღამით წავიდოდა ხოლმე უბისის მონასტერში, დარაჯს კარს გააღებინებდა და სამლოცველოში ათენებდა. მეც მივყავდი და იქ ღამეს ერთად ვატარებდით. ბებია ძალიან მორწმუნე ქალი გახლდათ. ტაძარში ქათმები მიჰყავდა შესაწირად, სანთელს თავისი ხელით ჩამოქნიდა ხოლმე, საკურთხსაც აკეთებდა, მარხვასაც სულ იცავდა. ეს იყო ჩემს ბავშვობაში. მერე და მერე ყველაფერი შეიცვალა. ჯერ ხელოვნების სფეროში ვიყავი, მერე პოლიტიკაში.

**— ეროვნული მოძრაობიდან კი ეკლესიაში მიხვედით.**

— დიახ, ასე გამოვიდა. ჩემში სარწმუნოების მარცვალი არსებობდა, მაგრამ იესო ქრისტეს არ ვიცნობდი. ჩემი ეკლესიური ცხოვრების დაწყება ეროვნულმა მოძრაობამ განაპირობა. ეს ხომ ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა იყო. 1988 წლის ნოემბრისა და 1989 წლის აპრილის ცნობილ აქციებზე ბოლოს მღვდლები გამოდიოდნენ, რომლებიც ლოცვებს კითხულობდნენ და ქადაგებდნენ. ჩვეულებრივი საერო პირებიც ქადაგებდნენ ხოლმე. ერთ-ერთი ყველაზე დიდი მქადაგებელი გოჩა აბულაძე გახლდათ, რომელიც შემდგომში ეპისკოპოსი სპირიდონი გახდა. ყველა პოლიტიკოსი რომ სიტყვით გამოვიდოდა, მერე გოჩა ჩაიგდებდა ხელში მიკროფონს და ლოცვას გვასწავლიდა. „მამაო ჩვენო“ და „ღვთისმშობელო ქალწულო“ პირველად იქ მოვისმინე.

> **„ჩემში სარწმუნოების მარცვალი არსებობდა, მაგრამ იესო ქრისტეს არ ვიცნობდი. ჩემი ეკლესიური ცხოვრების დაწყება ეროვნულმა მოძრაობამ განაპირობა. ეს ხომ ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა იყო".**

ასე, ეროვნულ მოძრაობასთან ერთად დაიწყო ჩემი სარწმუნოებაში შესვლა. დავფიქრდი იმაზე, რომ ჩვენი წინაპრები არამარტო ქვეყნისთვის, თავიანთი სარწმუნოებისთვისაც იბრძოდნენ და ქრისტიანობა დღემდე მოგვიტანეს. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაც და უმაღლესი სასწავლებელიც დამთავრებული მქონდა, წმინდა ასი ათასი მოწამის შესახებ პირველად მაშინ შევიტყვე. ამის მერე უკვე ხულოში, ეკლესიის წიაღში ყოფნა მომიწია. მაშინ დავრწმუნდი, რომ ჩემი გზა ვიპოვე.

მთელი ცხოვრება ძიებაში ვიყავი, რაღაც ახალს ვეძებდი, რაღაც არ მაკმაყოფილებდა. ჩემ მიერ დაარსებული ბავშვთა თეატრი საკმაოდ წარმატებული და სახალხო იყო. ეს იყო ჩემი ინტერესის სფერო, მაგრამ სულ სხვა რაღაცას ვეძებდი. მას მერე, რაც ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ შევიტყვე და ეკლესიაში სითბო და სიყვარული დავინახე, ჩემი მომავალი გზაც განისაზღვრა. კიდევ კარგი, რომ ამ გზით წავედი. სხვა საქმე რომ მეკეთებინა, მასში ასეთი მადლი არ იქნებოდა, რა მადლსაც დღეს ვგრძნობ. უფალს მადლობა, რომ ეროვნული მოძრაობის დახმარებით ჭეშმარიტი ღმერთი მაპოვნინა.

**— ხულოში დიდხანს მსახურობდით, ის პერიოდი ალბათ ძალიან მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის.**

— კი, ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი წლები იყო. 1997 წელს მღვდლად მეუფე დიმიტრიმ (შიოლაშვილმა) მაკურთხა. 10 წელი ხულოში, ხარების სახელობის ტაძრის წინამძღვარი გახლდით. იქ დავაარსე წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის გიმნაზია, გაზეთი „სხალთის ზარები“, თევდორე აჭარელის სახელობის საბავშვო ბაღი. სასულიერო სკოლის და ჩემ მიერ დაარსებული გიმნაზიის რექტორი ვიყავი.

**— თქვენი მეუღლე რას საქმიანობს?**

— სამ შვილს მიზრდის — ქეთევანს, თამარს და გიორგის. სამივენი აჭარაში დაიბადნენ. თბილისში ოჯახთან ერთად გადმოვედი. ნანა ჩემთან მუშაობს, სკოლა-პანსიონში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსია. მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს დედობას უწევს, საქართველოს საპატრიარქოში კი ქართველ მუსლიმანებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსია. ჩვენი სკოლის გვერდით შენობაში სადღეღამისო პანსიონი გვაქვს, სადაც ბავშვები ცხოვრობენ. მათი მოვლა-პატრონობა და საორგანიზაციო საკითხების მოგვარება მთლიანად ჩემს მეუღლეს აბარია. ის ყველაფერში გვერდით მიდგას და მეხმარება. სხვათა შორის, ჩემს ფოფოდიას — 80, მე კი 150-ზე მეტი პირადი ნათლული მყავს. უამრავი მასობრივი ნათლობა მაქვს ჩატარებული და ვერც კი დავთვლი, სულ რამდენი ადამიანი მოვაქციე. ხშირად ხდებოდა, რომ ქართველ მუსლიმანთა მთელი სოფელი ერთდროულად ინათლებოდა.

✓ **თეონა კენჭიაშვილი**


გაიადვილეთ საჭმლის მონელება

იქონიეთ მიიღეთ ეფექტური

კრეზამი

თითო კაფსულა ყოველი ჭამის დროს

www.krezam.ge

გამოყენებისას გაეცანით ინსტრუქციას,
გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

# ლაბირინთი

რა ფერის შარფს ქსოვს ბებია?



# გააფერადეთ





Cyan Magenta Yellow Black

## წიწაკა ცხვრის ხორცით



**მასალა:**
ცხვრის ხორცი — 150 გ
კარაქი (გამდნარი) — 30 გ
ბულგარული წიწაკა — 150 გ
ხახვი — 20 გ
ფქვილი — 10 გ
ბრინჯი — 10 გ
პომიდორი ან ტომატი-პასტა — 20 გ
რძე — 50 გ
კვერცხი — 1 ცალი
ოხრახუში — 5 გ
ზეთი, დაფქული წითელი წიწაკა, პილპილი, მარილი — გემოვნებით

**მომზადება:** აკეპილი ხახვი ზეთში მოშუშეთ, დაუმატეთ წიწაკა, გარჩეული და გარეცხილი ბრინჯი, გაფცქვნილი და დაჭყლეტილი პომიდორი, ცოტაოდენი წყალი და ადუღეთ 10-15 წუთი. ნახევრად მოხარშულ ბრინჯს დაჭრილი ხორცი შეურიეთ, მოაყარეთ მარილი, პილპილი და ოხრახუში.

ბულგარულ წიწაკას თესლები ამოაცალეთ და მომზადებული ფარშით ამოავსეთ. შეწვით ზეთში. შემდეგ გადაიტანეთ ქვაბში, დაასხით სოუსი და ადუღეთ დაბალ ცეცხლზე.

სოუსის მოსამზადებლად ზეთში ხახვი მოშუშეთ, დაუმატეთ ფქვილი, წიწაკა, ტომატის პასტა ან პატარა ნაჭრებად დაჭრილი პომიდორი, დაასხით თბილი წყალი ან ბულიონი და შეაზავეთ მარილით.

მჟავე რძის მოსამზადებლად კვერცხი და სოუსი (რომელშიც წიწაკა იშუშებოდა) რძეში ჩაასხით, შემოდგით ცეცხლზე და მუდმივი მორევით მანამ გააჩერეთ, სანამ არ შესქელდება. შემდეგ გაწურეთ საწურში და ზემოდან ოხრახუში მოაყარეთ.

## პომიდვრის სუპი ბადრიჯნით

**მასალა:**
პომიდორი — 1 კილო
კარტოფილი — 6 ცალი
სტაფილო — 2 ცალი
ხახვი — 2 თავი
ნიორი — 2 კბილი
ზეთი — 1/2 ჩ.ჭ.
ბულგარული წიწაკა — 2 ცალი
ნიახური, ოხრახუში, ქინძი და რეჰანი — 4-4 ძირი
მარილი, პილპილი — გემოვნებით

**მომზადება:** დაჭერით ბადრიჯანი, დააყარეთ მარილი, გააჩერეთ 15 წუთი, შემდეგ გაწურეთ, სიგრძეზე ოთხად გაჭერით.



ხახვი გაფცქვენით, გარეცხეთ და წვრილად დაჭერით. ქვაბში ჩაასხით ზეთი, წამოადუღეთ და ხახვი მოშუშეთ. შემდეგ კანგაცლილი, დაჭრილი პომიდორი ჩაყარეთ და მოშუშეთ. როცა პომიდორი წამოდუღდება, ორად გაჭრილი კარტოფილი და კუბიკებად დაჭრილი სტაფილო ჩაყარეთ. როდესაც სტაფილო და კარტოფილი მოიშუშება, ჩაუმატეთ ბადრიჯანი, თესლებამოცლილი, დაჭრილი ბულგარული წიწაკა და წვრილად დაჭრილი მწვანილი. შეაზავეთ მარილით და პილპილით.

## ხორცის სალათი მექსიკურად



**მასალა:**
წიწილა — 1 ცალი
ნიახური — 40 გ
ბულგარული წითელი წიწაკა — 1 ცალი
კვერცხი — 1 ცალი
მწვანე ხახვი — 1 კონა
სალათის ფოთლები — 1 კონა
ძმარი — 1 ჩ.კ.
ზეითუნის ზეთი — 1 ჩ.კ.
მარილი — გემოვნებით

**მომზადება:** წიწილა მოხარშეთ, გააცივეთ და დაჭერით ნაჭრებად. დაუმატეთ გახეხილი ნიახური, რგოლებად დაჭრილი ბულგარული წიწაკა, ხახვი, დაჭრილი მოხარშული კვერცხი და დაჭრილი სალათის ფურცლები. ყველაფერი კარგად აურიეთ, შეაზავეთ მარილით, პილპილით, მოასხით ძმარი და ზეითუნის ზეთი.

## ვალეხო



**მასალა:**
კვერცხი — 6 ცალი
კარაქი — 1,5 ს.კ.
ხახვი — 1 თავი
პომიდორი — 5-6 ცალი
მწვანე წიწაკა — 1 ცალი
ტომატი-პასტა — 2 ს.კ.
გახეხილი ყველი — 3-6 ს.კ.
მარილი, პილპილი — გემოვნებით

**მომზადება:** კარაქი სქელძირიან ტაფაში გაადნეთ, ჩაყარეთ შიგ წვრილად დაჭრილი ხახვი და შუშეთ საშუალო ალზე. შემდეგ დაუმატეთ წიწაკის ნაჭრები, კუბიკებად დაჭრილი კანგაცლილი პომიდორი, ტომატი-პასტა და შუშეთ 10 წუთი. მოაყარეთ მარილი და პილპილი. კოვზით 4-5 ჩაღრმავება გაუკეთეთ და შიგ კვერცხები ჩაახალეთ. ტაფას სახურავი დაახურეთ და ქურაზე 4 წუთი გააჩერეთ, სანამ კვერცხი არ ჩაიხარშება. კვერცხს ზემოდან მოაყარეთ გახეხილი ყველი, დაახურეთ თავსახური და ცეცხლზე კიდევ ერთი წუთი გააჩერეთ. სუფრასთან ცხელი მიიტანეთ.






Cyan Magenta Yellow Black

ხელსაქმე

# როგორ გადაიტანოთ ფოტო ქსოვილზე



გსურთ, ლამაზი ფოტო (ფოტოგრაფის გადაღებული ან ჟურნალში ნანახი) ქსოვილზე გადაიტანოთ, შემდეგ ჩარჩოში ჩასვათ და ინტერიერი გაალამაზოთ? ეს არც ისე რთულია. ამისათვის დაგჭირდებათ: ქსოვილი (სასურველია თეთრი არ ძალიან ღია ფერის), გელი „medium“, ფუნჯი, ფოტო და პულვერიზატორი წყლით.

ქსოვილი ბრტყელ ზედაპირზე დააფინეთ და ზედაპირზე გელი წაუსვით. ზემოდან ფოტო დაადეთ (გამოსახულებით ქსოვილზე), ცოტა დააწექით და მთელი ღამით დატოვეთ. მეორე დღეს პულვერიზატორით ფოტოს ზედაპირი დაასველეთ და თითებით აკურატულად ქაღალდის აქერცვლა-აცლა დაიწყეთ, სანამ ქაღალდს ბოლომდე არ მოაცილებთ. ბოლოს ქსოვილზე დატანილ ფოტოს ზემოდან გელი წაუსვით (დასაცავად). თუ ყველაფერს სწორად გააკეთებთ, კმაყოფილი დარჩებით.

**გისურვებთ წარმატებას!**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

**№ 1**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | 8 | 9 | 3 | 6 | 4 | 5 | 2 |
| 6 | 3 | 9 | 4 | 2 | 5 | 7 | 8 | 1 |
| 2 | 5 | 4 | 7 | 8 | 1 | 6 | 9 | 3 |
| 9 | 6 | 5 | 8 | 1 | 7 | 3 | 2 | 4 |
| 8 | 4 | 1 | 2 | 6 | 3 | 5 | 7 | 9 |
| 3 | 2 | 7 | 5 | 4 | 9 | 1 | 6 | 8 |
| 5 | 8 | 3 | 6 | 9 | 4 | 2 | 1 | 7 |
| 4 | 9 | 6 | 1 | 7 | 2 | 8 | 5 | 6 |
| 1 | 7 | 2 | 3 | 5 | 8 | 9 | 4 | 6 |

**№ 2**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 5 | 6 | 3 | 1 | 4 | 2 | 8 | 9 |
| 3 | 1 | 4 | 8 | 9 | 2 | 7 | 6 | 5 |
| 2 | 8 | 9 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 1 |
| 6 | 2 | 1 | 5 | 4 | 3 | 9 | 7 | 8 |
| 9 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 1 | 2 | 3 |
| 8 | 7 | 3 | 1 | 2 | 9 | 5 | 4 | 6 |
| 1 | 9 | 2 | 4 | 3 | 6 | 8 | 5 | 7 |
| 4 | 3 | 8 | 9 | 5 | 7 | 6 | 1 | 2 |
| 5 | 6 | 7 | 2 | 8 | 1 | 3 | 9 | 4 |

## ეს იცოდით?

❖ სირაქლემები შიშის დროს თავს ქვიშაში არ მალავენ. თუ საფრთხე შეიგრძნეს, მიწაზე ეცემიან და თავს იმკვდარუნებენ.

❖ ცისფერთვალა თეთრი კატები ძალიან ხშირად ყრუები არიან.

❖ ძველ ეგვიპტეში კატა იმდენად პატივსაცემი ცხოველი იყო, რომ ხანძრის დროს სახლიდან, უპირველეს ყოვლისა, კატები გამოჰყავდათ. შუა საუკუნეების ევროპაში კი ცეცხლში უპირველესად კატებს ყრიდნენ.

❖ ძველ საბერძნეთში ბაზარში მარტო კაცები დადიოდნენ, ქალებს აკრძალული ჰქონდათ იქ სიარული.

❖ ეგვიპტეში ღვინო მხოლოდ მაღალი წრის ადამიანისთვის იყო განკუთვნილი. მდაბიო ხალხი ლუდს სვამდა.

❖ ურუგვაის პრეზიდენტი ხოსე მუხიკა ყველაზე ღარიბ პრეზიდენტადაა მიჩნეული. ის ცხოვრობს 800 დოლარიან ხელფასზე და სრულიად კმაყოფილია. მან უარი თქვა სპეციალურ რეზიდენციაზე და მშობლიურ ფერმაში ცხოვრობს, რომელსაც 2 პოლიციელი და სამფეხა ძაღლი მანუელა იცავს.

❖ ამერიკის პრეზიდენტ აბრაამ ლინკოლნის გარდაცვალების მიზეზი ძროხის რძე გახდა. ძროხას, რომლის რძეც პრეზიდენტმა დალია, შხამიანი სოკო ჰქონდა ნაჭამი და ლინკოლნიც მისი რძით მოიწამლა.

❖ ირანში უფრო მეტი აზერბაიჯანელი ცხოვრობს (30 მილიონი), ვიდრე აზერბაიჯანში (7,9 მილიონი).

❖ ადამიანი ცხოვრების საშუალოდ 6 წელიწადს სიზმრებში ატარებს.

❖ ადამიანები, რომლებიც ფსიქიკური აშლილობებით იტანჯებიან, სიზმრებს ვერ ხედავენ.

❖ ზედმეტი ფიქრი ადამიანების 84%-ს სტრესში აგდებს.

❖ პლასტმასის ერთჯერადი შპრიცები, რომლებიც თანამედროვე მედიცინის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს, ცხოველების ვაქცინაციის დაჩქარების მიზნით ახალზელანდიელმა ფარმაცევტმა და ვეტერინარმა კოლინ მერდოკმა გამოიგონა.

❖ 31 დეკემბრის ღამეს, როცა ახალი წლის დადგომის მაუწყებელი საათი პირველად ჩამოკრავს, ინგლისელები სახლის უკანა კარს აღებენ ძველი წლის გასაშვებად, საათის უკანასკნელ დარტყმაზე კი — სახლის წინა კარს, რათა ახალი წელი შემოვიდეს.

❖ შოტლანდიელები ახალი წლის ღამეს საუკეთესო საჩუქრად ახალგაზრდა კაცისგან მირთმეულ ნახშირის ქვას თვლიან. შემდეგ ამ ნახშირისგან ცეცხლს ანთებენ. რაც უფრო დიდი და ძლიერი იქნება ცეცხლი, მით უფრო წარმატებული იქნება ახალი წელი.



Cyan Magenta Yellow Black

# 2013 წლის ათი ყველაზე ცუდი კაბა


■ კეშა

წითელი ხალიჩა ცნობილი ადამიანებისთვის ხშირად არის ის ადგილი, საიდანაც მათი წარმატება თუ წარუმატებლობა იწყება. ჟურნალმა „ტაიმმა“ მთელი წლის წითელი ხალიჩების ტენდენციებს თვალი გადაავლო და ვარსკვლავების ყველაზე ცუდი ათი კაბა გამოავლინა.


■ კიმ კარდაშიანი


■ ენი ჰეთეუეი

## ჟურნალ „ტაიმის" ვერდიქტი ასეთია:

საპატიო პირველი ადგილი ყველაზე სკანდალურმა მომღერალმა მაილი საირუსმა დაიკავა. მისი თითქმის ყველა სამოსი, რომლითაც 2013 წელს დაჯილდოების ცერემონიალებზე გამოჩნდა, ერთპიროვნულად დასაწუნია, მაგრამ კრიტიკოსებმა ამჯერად ლატექსის ბიკინი გამოარჩიეს, რომელიც 21 წლის მომღერალს „ემტივი“-ს დაჯილდოების ცერემონიალზე ეცვა.

დიდი ხმაური გამოიწვია კიმ კარდაშიანის ჟივანშის კაბამ, რომელიც მას კოსტიუმების ინსტიტუტის გალა ცერემონიალზე ეცვა. მაშინ კიმი ორსულად იყო და კრიტიკოსებმა ყვავილებიანი კაბა არ მოუწონეს.

წესით, პრადა კარგი არჩევანია, მაგრამ ოსკარების ცერემონიალზე ენი ჰეთეუეი ნაკლებად ბრწყინავდა პრადას კაბაში. ყველაფერი კი ერთმა დეტალმა გააფუჭა — მსახიობმა კაბის ქვეშ ბიუსტჰალტერი არ ჩაიცვა. ენის კი ისეთი ბიუსტი არ აქვს, რომელიც კაბას უფრო ელეგანტურს გახდიდა.


■ რიტა ორა


■ მაილი საირუსი

ჰოლივუდის ამომავალი ვარსკვლავი ზი ლალა ცდილობს, ლედი გაგას მიბაძოს არამარტო მუსიკით, არამედ ტანსაცმლის შერჩევითაც. 23 წლის მომღერალი „ბილბორდ მიუზიკლ ევერდსის“ ცერემონიალზე მეტალის ფუტურისტული ტანსაცმლით მივიდა.

ათეულში ერთადერთი მამაკაცი მოხვდა და ეს ჯასტინ ბიბერი აღმოჩნდა. 19 წლის მომღერალი არასოდეს მალავს, რომ მაიკლ ჯექსონს აღმერთებს. თავისი კერპის მსგავსად ჯასტინი ქუჩაში ხშირად დადის ნიღბით, ლონდონის მაღაზიებში სასიარულოდ კი ნამდვილი აირწინაღი გამოიყენა.


■ ზი ლალა

ფილმ „დიდი გეტსბის“ პრემიერაზე მომღერალი ფლორენს უელჩი მიუ-მიუს უახლესი კოლექციის კაბით გამოცხადდა, მაგრამ ვარდისფერი კაბა ჟურნალ „ტაიმის“ რედაქტორმა პიჟამად მონათლა.

პოპულარული ამერიკული სერიალის, „გოგონების“ ვარსკვლავი ზოსია მამეტი გემოვნებით დიდად ვერ დაიტრაბახებს. მისი ყვავილებიანი კაბა ალბათ ამ სიაში ვერც მოხვდებოდა, რომ არა მის ქვეშ ჩაცმული ტყავის ბიუსჰალტერი.


■ ფლორენს უელჩი

ემის ცერემონიალზე ახალგაზრდა მსახიობმა ჯულიანა ჰაფმა ინგლისელი დიზაინერის, ჯენი პეკჰემის ნახევრად გამჭვირვალე კაბა აირჩია. ამ ჩაცმულობაში ის მოცეკვავეს ჰგავდა პროექტიდან „ცეკვავენ ვარსკვლავები“.

ეპატაჟური მომღერალი კეშა ხშირად გვაკვირვებს თავისი ჩაცმულობით. „ბილბორდ მიუზიკლ ევერდსის“ ცერემონიალზე მან ჟივანშის ელეგანტური შავი კაბა ჩაიცვა. თითქოსდა ყველაფერი კარგად იყო, რომ არა კაბის დიდი ჭრილი, ამას დამატებული ის ფაქტიც, რომ 24 წლის მომღერალმა იმ დღეს საცვლები არ ჩაიცვა და... სკანდალიც გამოცხვა.

22 წლის მომღერალმა რიტა ორამ ბრიტანული მუსიკალური ცერემონიალისათვის იულიანა სერგეენკოს კაბა შეარჩია, რომელმაც პარიზის მოდის კვირეულზე ნამდვილი ფურორი მოახდინა. მომღერალზე კი ის ტომრის შთაბეჭდილებს ტოვებდა და ამიტომ ეს ელეგანტური კაბა მეათე ნომინანტი გახდა ყველაზე ცუდ კაბებს შორის.

## ყველაზე სექსუალური ბრიტანელი მამაკაცი

ბრიტანულ ჟურნალ „გლამურის“ გამოკითხვებით გაირკვა, რომ 2013 წლის ყველაზე სექსუალური მამაკაცი ფილმ „რკინის ადამიანის“ ვარსკვლავი, 30 წლის ჰენრი კავილია. მან უკან ჩამოიტოვა ისეთი სექსსიმბოლოები, როგორებიც არიან რობერტ პატინსონი და კრის ჰემსვორტი.


■ ჰენრი კავილი

ახალი სექსსიმბოლო თავისუფალი მამაკაცია და ამბობს, რომ აბსოლუტურად ღიაა ახალი სასიყვარულო ურთიერთობებისათვის. სხვათა შორის, რეიტინგში მეორე და მესამე ადგილზე გასული რობერტ პატინსონი და ლიამ ჰემსვორტიც თავისუფალი მამაკაცები არიან. მათ ცოტა ხნის წინ დაასრულეს ურთიერთობა კრისტენ სტიუარტთან (რობერტმა) და მაილი საირუსთან (ლიამმა).

ბრიტანელებსა და ამერიკელებს აშკარად სხვადასხვა გემოვნება აქვთ. ჟურნალმა „ფიფლმა“ 2013 წლის ყველაზე სექსუალურ მამაკაცად ადამ ლივაინი დაასახელა, რომელიც ბრიტანელების რეიტინგში 93-ე ადგილზე მოხვდა.

ბრიტანელების რჩეული ყველაზე სექსუალური მამაკაცების სია ასე გამოიყურება: 1. ჰენრი კავილი; 2. რობერტ პატინსონი; 3. ლიამ ჰემსვორტი; 4. ტომ ჰილდსტონი; 5. ბენედიქტ კამბერბეტჩი; 6. ჰენრი სტაილსი; 7. კრის ჰემსვორტი; 8. იდრის ელბა; 9. ჯეიმი კემპბელ ბაუერი; 10. ჯასტინ ბიბერი.

## ლედი გაგამ თავზე ნაძვის ხე დაიდგა



ეპატაჟური მომღერალი ლედი გაგა ცდილობს, ნებისმიერი რამიდან განსაკუთრებული დღესასწაული შექმნას. როგორც აღმოჩნდა, შობა-ახალი წელი მისთვის ყველაზე საყვარელი დღეებია. ცოტა ხნის წინ პაპარაცებიც კიდევ ერთხელ გააოცა, როცა ნაძვის ხე პირდაპირ თავზე დაიდგა და ქუჩაშიც ასე გავიდა.

მომღერალი 2014 წელს ყურადღების ცენტრში იმითაც მოექცევა, რომ კოსმოსში აპირებს გაფრენას და ამით გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდება — ერთადერთი ვარსკვლავი იქნება, რომელიც კოსმოსში იფრენს.


სილქნეტი
SILKNET
გაზარდე ინტერნეტ სიჩქარე 50 მბ/წმ - მდე
ღამის ექსპრესი
5 ლარი თვეში
00.00 - 08.00
მოქმედების პერიოდი: ღამის 12სთ-დან დილის 8სთ-მდე
მხოლოდ ოპტიკური ქსელის აბონენტებისთვის
Silk Optic
Find us on: facebook
2 100 100
www.silknet.com
ოპტიკური ტექნოლოგიები